იასუნარი კავაბატა
ათასფრთიანი წერო

სერია «მსოფლიო კლასიკა»

მთარგმნელი: ლილი მჭედლიშვილი

ქართული გამოცემა © «ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა», 2013

1.

კიკუჯი უკვე კამაკურას ეზოში მიაბიჯებდა, რომ ჯერ ისევ ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, მისულიყო თუ არა ჩაის ცერემონიალზე. მით უმეტეს, ცერემონიალი ახლა ალბათ დაწყებული იქნებოდა.

ჩიკაკო კურიმოტოს, ჩაის ცერემონიალებზე, რომელთაც ის ტაძრის პარკ ენკაკუჯის პავილიონში ყოველწლიურად მართავდა, კიკუჯისათვის მოსაწვევის გაგზავნა არასოდეს ავიწყდებოდა. თუმცა მამის სიკვდილის შემდეგ კიკუჯი იქ არასოდეს ყოფილა, ვინაიდან ამ მიპატიჟებას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა, უბრალოდ, მიცვალებულის პატივისცემად უთვლიდა.

მაგრამ ამჯერად, ჩვეულებრივი ტექსტის გარდა, მოსაწვევს პატარა მინაწერიც ჰქონდა – ჩიკაკოს უნდოდა ერთი ქალიშვილი, თავისი შეგირდი ეჩვენებინა.

წერილის კითხვისას კიკუჯის უცბად ჩიკაკოს ტყირპი წარმოუდგა, გაახსენდა, ერთხელ მამამ ამ ქალთან სტუმრად როგორ წაიყვანა. მაშინ ასე, რვა-ცხრა წლის ბიჭი იქნებოდა. სასადილო ოთახში რომ შევიდნენ, ჩიკაკო კიმანოგახსნილი იჯდა და პატარა მაკრატლით ტყირპზე ბალანს იკრეჭდა. მარცხენა ძუძუს ქვედა ნახევარი, გულის კოვზამდე, ხელისგულისოდენა მუქი იისფერი ხალით ჰქონდა დაფარული, ხალზე შავი, უხეში თმა ამოსულიყო. აი, სწორედ იმ თმას იკრეჭდა მაშინ ჩიკაკო.

– ღმერთო ჩემო, ბავშვთან ერთად მოხვედით?!

ქალი, ეტყობა, შეცბა, წამოსახტომად წამოიწია, მაგრამ ალბათ იფიქრა, ჩემი ეს აფაციფუცება კიდევ უფრო უხერხული იქნებაო, ოდნავ შეტრიალდა, კიმანოს კალთები აუჩქარებლად გაისწორა და ობიში ჩაიტანა.

აშკარა იყო, ჩიკაკო კაცის კი არა, ბიჭის დანახვამ შეაცბუნა, ვინაიდან კიკუჯის მამის მოსვლის ამბავი მოსამსახურე ქალისაგან, რომელიც კარის ზღურბლზე შემოეგებათ, უკვე იცოდა.

მამა სასტუმრო ოთახში არ გასულა. იქვე, სასადილოში ჩამოჯდა, სადაც ჩიკაკო თავის გაკვეთილებს ატარებდა და კედლის ნიშაში დაკიდებულ კაკემონოს[33] უგულისყურო თვალიერება დაუწყო.

– ერთ ჭიქა ჩაის ხომ ვერ დამალევინებდი? – უთხრა მამამ.

– ახლავე... – გამოეპასუხა ჩიკაკო.

მაგრამ დიდად არ აჩქარებულა. და ბიჭმა უცებ ჩიკაკოს მუხლებზე გაშლილი გაზეთი დაინახა. გაზეთი მოკლე, მამაკაცის ნიკაპზე ნაპარსი ჯაგარივით უხეში, შავი ბალნით იყო მოფენილი.

მზიანი დღე იდგა, სხვენიდან ვირთხების ფხაკაფხუკი ისმოდა, გალერეის წინ ვარდისფრად ყვაოდა ატმის ხე...

ბოლოს ჩიკაკო წამოდგა, კერიას მიუჯდა და ჩაის მომზადებას შეუდგა. მიხრა-მოხრაზე ეტყობოდა, თავს არც ისე თავისუფლად გრძნობდა.

ამ ამბიდან ათი დღე-ღამეც არ იყო გასული, რომ კიკუჯიმ დედ-მამის საუბარი გაიგონა. თითქოს რაღაც საშინელ საიდუმლოს უმხელსო, დედა მამას ეუბნებოდა: «წარმოგიდგენიათ, საწყალ ჩიკაკოს მკერდზე შავი, უშველებელი ტყირპი აქვს, თურმე ამიტომ არ თხოვდება»... დედას ეგონა, მამა ამ საქმის ბაიბურში არ იყო, თან ისე მოწყენილი ელაპარაკებოდა, ეტყობოდა, ეცოდებოდა ჩიკაკო.

მამამაც თავი ისე დაიჭირა, ვითომ ძალიან გაუკვირდა. ჯერ რაღაც ჩაიდუდუნა და ბოლოს თქვა:

– ჰოო... აბა, აბა... რახან ასეა, ადგეს და წინასწარ გააფრთხილოს

საქმრო... წინასწარ რომ ეცოდინება... ის კი არა, შეუძლია, აჩვენოს კიდევაც... თუ კაცს უნდა, არა მგონია, ამან ხელი შეუშალოს, გადაწყვეტილება შეაცვლევინოს.

– მეც ამას არ ვამბობ?! მაგრამ, განა ასე ადვილია, ქალმა კაცს წინასწარ გამოუცხადოს, შავი, საზიზღარი ტყირპი მაქვსო, თანაც ძუძუზე?

– რა სისულელეა, ქალწული ხომ არ არის...

– რაც უნდა იყოს, ერიდება, ეს ტყირპი კაცს რომ ჰქონდეს, სულ სხვაა. ქმარმა ცოლს ქორწინების შემდეგაც რომ აჩვენოს, ცოლი ერთს გაიცინებს და მორჩა.

– კი მაგრამ, რა იცი, გაჩვენა თუ რა?

– რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ!

– ესე იგი, მხოლოდ გითხრა?

– დღეს დილას გაკვეთილის ჩასატარებლად რომ მოვიდა, საუბარს შევყევით, სწორედ მაშინ გამიმხილა, გული გადამიშალა... როგორ ფიქრობთ, ვთქვათ, გათხოვდა, რას იზამს, როგორ შეხედავს კაცი ამას?

– მმმე რრა ვიცი... იქნებ ძალიანაც არ ესიამოვნოს... სხვათა შორის, ასეთ რაღაცას ზოგჯერ თავისებური მომხიბვლელობაც აქვს, ის კი არა, ქმრის გულში ამ ნაკლმა შეიძლება თანაგრძნობაც გამოიწვიოს, ქალისადმი უფრო მზრუნველი გახადოს, კაცის ხასიათის კარგი მხარე გამოაჩინოს... ისე, რა ისეთი ნაკლიც ეგ არის?

– ნამდვილად ასე ფიქრობთ?.. მეც კი ვუთხარი, აბა რა დიდი ნაკლი ეგ არის-მეთქი, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახის – ძუძუზე რომაა, ძუძუზე მაინც არ იყოსო.

– ჰოო...

– იცით, ყველაზე მეტად ბავშვზე ღელავს – ქმარს კიდევ არა უშავს, ბავშვი რომ მეყოლოს? ბავშვს რა ვუყო? ამის გაფიქრებაც კი მზარავსო.

– ვითომ რატომ, რძე არ ექნება თუ რა?

– რძე რატომ არ ექნება... რძე კი არა, იმაზე წუხს, ბავშვი თვალს

რომ გაახელს და პირველად ტყირპს დაინახავს. ეტყობა, სულ ამაზე ფიქრობს... მე ეს ალბათ აზრადაც არ მომივიდოდა... ის კი ამბობს, ხომ წარმოგიდგენია, ბავშვი ძუძუს პირში ჩაიდებს თუ არა, ეს შავი, საზიზღარი ხალი უნდა დაინახოსო. განა საშინელება არ არის! პირველი შთაბეჭდილება გარესამყაროსა და დედაზე და ეს აუტანელი სიმახინჯე!.. რა იცი, ამან იქნებ მთელ მის ცხოვრებაზეც კი იქონიოს გავლენა... აი, ამ შავმა ხალმა...

– ეეე... მე მგონი, ტყუილად ეშინია.

– რა თქმა უნდა! ბოლოს და ბოლოს, ადგეს და ხელოვნურ კვებაზე იყოლიოს, ანდა სულაც ძიძა აიყვანოს...

– ტყირპი რა შუაშია, მთავარია, ქალს რძე ჰქონდეს.

– რა ვიცი... მე მგონი, მთლად მართალი არა ხართ... ის კი არადა, ამ ამბავს რომ მიყვებოდა, ტირილი ვერ შევიკავე, სულ ამას ვფიქრობდი, რა ბედნიერებაა, ის რაღაც ტყირპი რომ არა მაქვს, ჩვენს კიკუჯის მსგავსიც რომ არაფერი უნახავს-მეთქი.

– ჰმმ...

კიკუჯი აღშფოთებამ მოიცვა: მამას როგორ არ რცხვენია, თავი ისე უჭირავს, ვითომ პირველად ესმის! მე ვითომ ვერც კი მხედავს; ვითომ არ იცის, ჩიკაკოს ეს ტყირპია თუ რაღაც, მეც რომ მშვენივრად დავინახეო.

მას შემდეგ აგერ ოცი წელი გავიდა, ამ ამბავს კიკუჯი ახლა, ცხადია, სულ სხვა თვალით უყურებს. როცა კი გაახსენდება, სულ ეცინება – მამაჩემი ალბათ რა დღეში ჩავარდებოდა, როგორ აღელდებოდაო.

ერთი კია, დედისა და მამის ის საუბარი მერეც დიდხანს არ ამოსდიოდა გონებიდან. უკვე ათი წლის ბიჭი იყო, გულში კი სულ იმის შიში ჰქონდა, ვაითუ ისეთი და ან ძმა გასჩენოდა, რომელსაც ის შავტყირპიანი ძუძუ უნდა ეწოვა.

რაც მთავარია, საშინელებად ის კი არ მიაჩნდა, ბავშვი უცხო ოჯახში რომ დაიბადებოდა, არამედ ის, ამქვეყნად ისეთი ყმაწვილი რომ იცხოვრებდა, რომელსაც უშველებელი, შავბალნიანი ტყირპით დაფარული ძუძუ ექნებოდა ნაწოვი. ასე ეგონა, ჩვეულებრივი ადამიანი კი არა, რაღაც შემზარავი, ეშმაკთან წილნაყარი არსება გამოვიდოდა, რომელიც მუდამ

ძრწოლით აავსებდა მის გულს.

საბედნიეროდ, ჩიკაკოს შვილი არასოდეს გაუჩენია, არც მამამისისაგან და არც მისი სიკვდილის შემდეგ – ჩანს, მამამ არ დართო ამის ნება. ადვილი შესაძლებელია, ის სევდიანი ამბავიც ყრმასა და ტყირპიან ძუძუზე, რომელმაც დედა მაშინ ასე ააცრემლა, სწორედ მამამისის მიერ იყო მოფიქრებული, ჩიკაკოს ალბათ თვითონ შთააგონა ეს აზრი, ვინაიდან, ცხადია, მაინცდამაინც დიდი სურვილი არ ექნებოდა მასთან შვილის გაჩენისა.

ჩიკაკომ კი ალბათ იფიქრა, ბიჭს არაფერი წამოსცდესო და, მოვლენებისათვის რომ დაესწრო, თავისი ტყირპის ამბავი დედამისს თვითონვე უამბო.

ასეა თუ ისე, ჩიკაკო ბოლომდე გაუთხოვარი დარჩა. ნუთუ მართლა ის შავბალნიანი ხალი გახდა მისი ამგვარი ცხოვრების მიზეზი?

სხვათა შორის, ვერც კიკუჯიმ დაივიწყა ის ტყირპი, ვინაიდან იმ ტყირპს, როგორც ჩანს, მის ბედსა და მომავალ ცხოვრებაშიაც გარკვეული როლი უნდა ეთამაშა.

და აი, როდესაც ჩიკაკომ ვითომდა ჩაის ცერემონიალის საბაბით, კიკუჯის მისწერა, ქალიშვილი მინდა გაგაცნოო, თვალწინ მაშინვე ის ტყირპი წარმოუდგა და, რახან ჩიკაკოა ამ საქმეში ჩარეული, ქალიშვილს ალბათ არაჩვეულებრივად ნაზი და კრიალა კანი ექნებაო, – გაიფიქრა.

ზოგჯერ რატომღაც უცნაური აზრები აეკვიატებოდა: ნეტავი რა თვალით უყურებდა მამა იმ ხალს? იქნებ ხელს უსვამდა და ეფერებოდა კიდეც...

აი, ახლაც მიაბიჯებდა მთის ტაძრის ირგვლივ ტანაყრილ ხშირ ტყეში და თავში ახლაც ეს საშინელი აზრები უტრიალებდა, ჩიტების გალობა-ჭიკჭიკით ვერ ტკბებოდა.

ჩიკაკოს კი, ჩანს, რაღაც უცნაური რამ სჭირდა. მას შემდეგ, რაც კიკუჯიმ ის შავი ტყირპი დაინახა, ორიოდ წელსაც არ გაევლო, რომ ქალი სრულიად შეიცვალა, ჯერ როგორიღაც მამაკაცური გახდა, მერე და მერე კი, რა სქესისა იყო, საერთოდაც ვეღარ გაარკვევდი.

«დღესაც, ჩაის ამ ცერემონიალზე, ქალურად უშუალო და

თავდაჯერებული კი არ იქნება, თავს მოჩვენებითი ღირსებით დაიჭერს... ვინ იცის, მის მკერდსაც, რომელზეც უკვე ამდენი ხანია შავ ტყირპს ატარებს, უკვე ჭკნობა შეეპარა», – გაიფიქრა კიკუჯიმ და რატომღაც სიცილის გუნებაზე დადგა, ლამის ხმამაღლაც კი გაიცინა, რომ სწორედ ამ დროს ორი უცნობი ქალიშვილი წამოეწია.

კიკუჯი შეჩერდა, ქალიშვილებს გზა დაუთმო.

– ხომ ვერ მეტყვით, ამ ბილიკით იმ პავილიონამდე თუ მივალ, კურიმოტო-სანი ჩაის ცერემონიალს რომ აწყობს?

– დიახ, – უპასუხეს ქალიშვილებმა ერთხმად.

კიკუჯიმ, რა თქმა უნდა, გზაც მშვენივრად იცოდა და იმასაც მშვენივრად მიხვდა, რომ ბილიკზე სწრაფი ნაბიჯით მიმავალი ეს ლამაზ კიმონოებში გამოწყობილი ქალიშვილებიც სწორედ იმ პავილიონისკენ მიდიოდნენ, მაგრამ, განგებ იკითხა, ვინაიდან ამ შეკითხვის შემდეგ, უბრალოდ, მოერიდებოდა და უკან ვეღარ გაბრუნდებოდა.

ქალიშვილი, რომელსაც ხელში ვარდისფერი, ათასფრთა თეთრწეროამოქარგული აბრეშუმის ფუროშიკი ეჭირა, მშვენიერი იყო.

2.

კაკუძი პავილიონთან სწორედ იმ დროს მივიდა, როდესაც წინ გასწრებულ იმ ორ ქალიშვილს ტაბები უკვე ჩაეცვა და პავილიონში შესასვლელად ემზადებოდა.

ვაჟმა ქალიშვილების ზურგს უკან, ოთახში შეიხედა. საკმაოდ დიდი ოთახი იყო, დაახლოებით რვა ტატამი. მიუხედავად ამისა, ხალხით ისე იყო გაჭედილი, ისე ახლო-ახლოს ისხდნენ, ლამის მუხლებით ეხებოდნენ ერთმანეთს. ფერად-ფერადმა ტანისამოსმა კიკუჯის თვალები ისე აუჭრელა, რომ სახეზე ვერვინ გაარჩია.

კიკუჯის დანახვისას ჩიკაკო მაშინვე მისკენ გამოეშურა. ეტყობოდა, ერთდროულად გახარებულიც იყო და გაოცებულიც.

– ო-ო, იშვიათო სტუმარო, მობრძანდით, მობრძანდით! რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთ! აქეთ, პირდაპირ აქეთ წამობრძანდით! – თქვა და იქვე, ნიშასთან მდგარი შიოჯისკენ მიუთითა.

კიკუჯიმ იგრძნო, ოთახში მყოფმა ყველა ქალმა მისკენ როგორ გამოიხედა.

– ჩანს, დღეს აქ მხოლოდ ქალები არიან, – თქვა სახეზე სიწითლემორეულმა.

– დიახ... კაცები უკვე წავიდ-წამოვიდნენ. ასე რომ, ჩვენი საზოგადოების ერთადერთი სამკაული თქვენ იქნებით.

– აბა, რას ბრძანებთ, სადაური სამკაული ვარ!

– არა, არა, კიკუჯი-სან, იმდენი შესანიშნავი თვისება გაქვთ!.. დიახაც, ნამდვილი სამკაული ბრძანდებით.

კიკუჯიმ ხელით ანიშნა, რომ მთავარი შესასვლელიდან შევიდოდა.

ლამაზმა ქალიშვილმა ტაბი ვარდისფერ, ათასფრთა თეთრწეროამოქარგულ ფუროშიკიში გაახვია, თავაზიანად გვერდით მიდგა და ვაჟს გზა დაუთმო.

კიკუჯიმ მეზობლად მდებარე ოთახი გაიარა. მთელ ოთახში ნამცხვრისა თუ ფინჯნის კოლოფები და ჩაის ცერემონიალისათვის მოტანილი სხვადასხვა ჭურჭელი იყო მიმობნეული. აქვე ელაგა სტუმრების ნივთებიც. კედლის იქით, მიძუიაში[34], მოსამსახურე ქალი ჭურჭელს რეცხავდა.

მალე ოთახში ჩიკაკოც შემოვიდა. კიკუჯის წინ ისე ფაციფუცით ჩაჯდა, თითქოს მის წინაშე მუხლებზე უნდა დაეცესო და სულმოუთქმელად ჰკითხა:

– რას იტყვით, ხომ ლამაზია?

– რა? ათასფრთა თეთრწეროამოქარგული ფუროშიკი?

– ფუროშიკიო! ფუროშიკი კი არა, იმ გოგოზე გეკითხებით, აგერ ახლა ჩვენ გვერდით რომ იდგა.

კიკუჯიმ თავი გაურკვევლად დაუქნია.

– ო-ო, თქვენთან, კიკუჯი-სან, კაცი, ეტყობა, ფრთხილად უნდა

იყოს, როგორც ჩანს, მცირეოდენ წვრილმანსაც ვერავინ გამოგაპარებთ... მე კი ლამის გაკვირვებული დავრჩი, რა მარჯვე, რა მოხერხებულია-მეთქი. მეგონა, ერთად მოხვედით...

– კარგი ერთი!

– თუ შემთხვევით შეხვდით, კიდევ უკეთესი, ესე იგი, თქვენი ბედი ყოფილა... მამათქვენი კარგად იცნობდა ინამურა-სანს.

– ჰოო?

– დიახ, ინამურა-სანი ხომ ცნობილ ვაჭართა სახლიდანაა. უწინ ეგენი იოკოჰამაში ხამი აბრეშუმით ვაჭრობდნენ... ქალიშვილს, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არა აქვს ჩვენს გეგმაზე, შეგიძლიათ მშვიდად შეათვალიეროთ.

ჩიკაკო ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, კიკუჯის ეშინოდა, სტუმრებს, რომლებთანაც მხოლოდ ეს სიფრიფანა კედელი ჰყოფდა, მათი საუბარი არ გაეგონათ... მაგრამ ამ დროს ჩიკაკო დაიხარა და ყურში წასჩურჩულა:

– ყველაფერი შესანიშნავად იქნებოდა, ერთი უსიამოვნო ამბავი რომ არა... წარმოგიდგენიათ, ქალბატონი ოოტა მოვიდა და თავისი ქალიშვილიც მოიყვანა... – თქვა და კიკუჯის შეხედა, რას იზამს, ჩემი სიტყვები როგორ იმოქმედებსო, – ოღონდ, არ გეგონოთ, მე მოვიპატიჟე... თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჩაის ცერემონიალზე ყოველ გამვლელ-გამომვლელს შეუძლია შემოვიდეს. წესია ასეთი... ცოტა ხნის წინ ამერიკელი ტურისტების ორი ჯგუფი იყო. ჩანს, ოოტა-სანმაც ყური მოჰკრა, ჩაის ცერემონიალი უნდა შედგესო, და, აგერ, მობრძანდა კიდევაც. ხომ არ გამინაწყენდებით? მაგრამ თქვენ შესახებ, უფრო სწორად, იმ ამბის შესახებ, რისთვისაც მოხვედით, რა თქმა უნდა, არაფერი იცის.

– ამბის შესახებ?! კი მაგრამ... – კიკუჯის უნდოდა ეთქვა, რომ დღეს აქ არავითარი «ამბის შესახებ» არ მოსულა, მაგრამ იდგა ასე ენაგადაყლაპულივით და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

– სხვათა შორის, ეს თქვენთვის კი არა, ქალბატონი ოოტასათვის არის უფრო უხერხული. თავი ისე დაიჭირეთ, ვითომც არაფერი.

მისი სიტყვები კიკუჯის გულზე მოხვდა. როგორც ჩანს, ჩიკაკოსა და მამამისის ურთიერთობა არც დიდხანს

გაგრძელებულა, არც მაინცდამაინც სერიოზული ყოფილა. მიუხედავად ამისა, მამამისის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ეს ქალი მუდამ მათ ოჯახში ტრიალებდა. მარტო ჩაის ცერემონიალზე კი არა, მაშინაც ეძახდნენ, სტუმრები რომ ჰყავდათ და საქმეში ხელის წაშველება სჭირდებოდათ. იგი თითქოს რაღაც საშუალო იყო კომპანიონსა და მოსამსახურეს შორის. ამოუდგებოდა დედას გვერდით და მთელ დღეს მასთან ერთად ფუსფუსებდა. უკანასკნელ წლებში კი ისე შეიცვალა, ისეთი კაცივით შესახედავი გახდა, ამ ქალზე ეჭვიანობა, უბრალოდ, სასაცილოც იყო. დედა არც ეჭვიანობდა, თუმცა ძალიან კარგადაც ხვდებოდა, რომ მის მეუღლეს თავის დროზე ჩიკაკოს ის ყბადაღებული ტყირპი სულ საგულდაგულოდ ჰქონდა შესწავლილი. ახლა ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, წარსულს ჩაჰბარებოდა, ამიტომაც ჩიკაკოს დედამისთან თავი უბრალოდ, ბუნებრივად ეჭირა.

კიკუჯი თანდათან მიეჩვია იმ აზრს, რომ მათი ოჯახის სასიკეთოდ ეს ქალი არაფერს დაიშურებდა, რომ იგი მზად იყო კიკუჯის ყოველი ახირებული სურვილიც კი უსიტყვოდ შეესრულებინა. ამასობაში იმ მტანჯველმა ბავშვურმა ზიზღმაც თანდათან გაუარა და მისი ადგილი ოდნავ აგდებულმა დამოკიდებულებამ დაიჭირა.

ადვილი შესაძლებელია, მათთან მიტმასნებითა და მათი ოჯახის მეშვეობით ჩიკაკომ, უბრალოდ, არსებობის იოლი გზა იშოვა. ჩანს, ცხოვრების ეს ყაიდა, ისევე, როგორც მისი ეს მამაკაცურობა, ამ ქალის ხასიათსა და ბუნებაში იყო.

ასეა თუ ისე, იმ გარკვეულ უპირატესობას, რომელსაც ჩიკაკომ ჩაის ცერემონიალის მასწავლებლობით მიაღწია, ცხადია, მხოლოდ კიკუჯის ოჯახს უნდა უმადლოდეს.

მამა რომ გარდაეცვალა, კიკუჯი თითქმის შეურიგდა ჩიკაკოს, ის კი არა, ხანდახან ეცოდებოდა კიდევაც – მთელ თავის ცხოვრებაში იმ ერთადერთი, თითქმის ილუზიური, ხანმოკლე კავშირის შემდეგ, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც ჩაიკლა თავისი ქალური სურვილებიო, ფიქრობდა.

დედა კი მუდამ ჩვეულებრივად ექცეოდა – არც მტრობდა, არც მეგობრობდა. ეს ალბათ გასაგებიც იყო, ვინაიდან ამ ბოლო დროს ჩიკაკო კი არა, ქალბატონი ოოტას ამბავი უფრო აშინებდა.

ჩაის ცერემონიალში მამამისის თანამონაწილე და მეგობარი – ბატონი ოოტა ადრე გარდაიცვალა, რის შემდეგაც მამამ თვითონ იკისრა მისეული ჩაის ჭურჭლისა და ცერემონიალისათვის საჭირო სხვადასხვა ნივთის გაყიდვა და ამასობაში მის ქვრივს – ქალბატონ ოოტას დაუახლოვდა.

ჩიკაკომ, ცხადია, მაშინვე იყნოსა ეს ამბავი, დაუყოვნებლივ აცნობა დედას და იმ დღიდან თავისი ყოფილი საყვარლის მეუღლეს ლამის განუყრელ მეგობრად ექცა. აქაოდა, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებო, რაღას არ აკეთებდა, მამას ერთთავად უკან დასდევდა, ზვერავდა, გამოეცხადებოდა შინ ბატონი ოოტას ქვრივს მოურიდებლად და ხან იმუქრებოდა, ხანაც ნამუსზე აგდებდა. ასე გეგონებოდა, დიდი ხნის წინათ მიძინებულმა ეჭვიანობამ მის გულში ერთბაშად გაიღვიძა და თავით ფეხამდე ხანძარივით მოედოო.

კიკუჯის დედა კი, ეს მორცხვი, მოკრძალებული ქალი, მისმა ასეთმა მოურიდებელმა ჩარევამ ძალზე დააბნია. გარდაუვალი სკანდალის მოლოდინში იგი ერთთავად შიშსა და გულისხეთქვაში იყო.

ჩიკაკო მაინცდამაინც არც კიკუჯის ერიდებოდა, მისი თანდასწრებით ქალბატონ ოოტას სულ ლანძღვა-გინებით იკლებდა. ერთხელ, როდესაც ამ ამბით შეშფოთებული დედა შეეცადა როგორმე დაეშოშმინებინა, ასე უპასუხა:

– გაუშვი, ამანაც იცოდეს, ეს ჩვენი ქალბატონი ოოტა ვინ ბრძანდება. ამის ცოდნა არც ამას აწყენსო.

– წარმოგიდგენიათ, – ეუბნება დედას, – ამ ბოლო დროს ქალბატონ ოოტასთან რომ ვიყავი, მისი გოგონა, ეტყობა, იქვე მეორე ოთახში იჯდა და გვისმენდა. მე ერთ ჩხუბსა და დავიდარაბაში ვარ, ველაპარაკები, ვლანძღავ, ვაგინებ, რომ უცებ მეორე ოთახიდან ვიღაცის ხმამაღალი ქვითინი მესმის...

– ვინ, ვინ ტიროდა, ბავშვი ტიროდა? – სახე მოეღრუბლა დედას.

– დიახ, დიახ, იმის ბავშვი გახლდათ! ბავშვი კი არა, მგონი უკვე თორმეტი წლისაა! რომ იცოდეთ, რა წარმოდგენა გამიმართეს! ეს ჩვენი ქალბატონი ოოტა ხომ მთლად ჭკუაზე ვერ არის!.. მის ადგილას სხვა, ნორმალური ადამიანი როგორ მოიქცეოდა? როგორ და, იმ მოყურადების გამო გოგოს სულ კინწისკვრით

გააგდებდა. იმან კი გამოაბრძანა თავისი ქალიშვილი, მუხლებზე დაისვა და გულში ჩაიხუტა. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთიცა და მეორეც, რომ იტყვიან, ნამდვილი არტისტები არიან. თუმცა ერთი ლამის უკვე ბებერია, მეორე კი ჯერ მიწას არ ასცილებია. აქაოდა, ვითომ ძალიან გვეტირებაო, სხედან და ცრემლებს აღვარღვარებენ.

– ასე როგორ შეიძლება, ცოდო არ არის ბავშვი?

– ვისთვის ცოდოა და ვისთვის – არა. მე თუ მკითხავთ, სწორედ ამ გოგოს მეშვეობით თუ შეაგნებინებ იმ შენს ქალბატონ ოოტას რაიმეს... – თქვა ჩიკაკომ და მზერა ახლა კიკუჯიზე გადაიტანა. – რომ იცოდეთ, ეს ზოგჯერ ბავშვებსაც არ აწყენდათ... აი, განა კიკუჯი-სანს არ შეუძლია, მამას ერთი-ორი სიტყვა უთხრას?!

აქ კი დედამ თავი ვეღარ შეიკავა:

– ძალიან გთხოვთ, ენას კბილი დააჭირეთ! ეს რა შხამიანი ენა გაქვთ!

– შხამიანი? ძალიანაც კარგი, თუ შხამიანი ენა მაქვს! თქვენ კი, ქალბატონო, იმის მაგივრად, რომ ეგ შხამი ერთიანად გადმოანთხიოთ და ცოტა სული მოითქვათ, მთელ ბოღმას გულში იტრიალებთ. ვერ ხედავთ, როგორ გახდით? ის კი, ვითომც არაფერიო, სულ გაბზინებული დადის... რომ ჰკითხო, თავი ალბათ საცოდავ მსხვერპლადაც მიაჩნია. ბეწვისოდენა უბედურებაც რომ შეხვდეს, თითიც რომ წამოსტკივდეს, საქვეყნოდ უნდა ივიშვიშოს, სისაძაგლე და უმსგავსობა კი ჩუმ-ჩუმად აკეთოს. არა, ხომ წარმოგიდგენიათ! იმ სასტუმრო ოთახში, სადაც ეს ქალბატონი თქვენს ქმარს ღებულობს, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას თავისი ქმრის, სახლის პატრონის სურათი აქვს გამოჭიმული! პირდაპირ გაოცებული ვარ, ვერ გამიგია, თქვენი მეუღლე როგორ ითმენს!

და აი, მამის გარდაცვალების შემდეგ ეს ქალი, რომელსაც ჩიკაკო ასე ლანძღავდა, ჩაის ცერემონიალზე უბოდიშოდ გამოეცხადა, თანაც, მარტო კი არა, ქალიშვილთან ერთად!

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, კიკუჯის ტანში გასცრა:

დავუშვათ, ქალბატონი ოოტა, როგორც ამას ჩიკაკო ამტკიცებს, დღეს აქ დაუპატიჟებლად მოვიდა, მაგრამ, ასეა თუ ისე, რახან

მოსვლა გაბედა, ესე იგი, გამოდის, რომ მამის სიკვდილის შემდეგ ამ ორ ქალს გარკვეული ურთიერთობა აქვს... ვინ იცის, ქალბატონ ოოტას ჩაის ცერემონიალის წეს-ჩვეულებების შესასწავლად თავისი ქალიშვილი ჩიკაკოსთანაც კი დაჰყავს.

კიკუჯისათვის ეს ყოველივე სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

– რახან ასე გეწყინათ, ხომ არ ვთხოვო, წავიდეს? – ჰკითხა ჩიკაკომ და თვალებში შეხედა.

– როგორც გენებოთ... ისე, თვითონ თუ მიხვდება და წავა, კიდევ უკეთესი.

– აი, მაგის იმედი კი ტყუილად გაქვთ! ასეთი მიხვედრილი რომ ყოფილიყო, არც დედათქვენს შეხვდებოდა იმდენი უსიამოვნება, არც – მამათქვენს.

– მგონი, ქალიშვილთან ერთად მოვიდაო, არა?

ქალბატონ ოოტას ქალიშვილი კიკუჯის არასოდეს ენახა და გუნებაში გაიფიქრა: – ეს რა ულაზათოდ გამოვიდა... ქალბატონი ოოტა... ქალბატონი ოოტას ქალიშვილი... ათასფრთა თეთრწეროამოქარგული გოგონა... – სულაც არ უნდოდა, ამ გოგოს ქალბატონი ოოტას ქალიშვილის თანდასწრებით შეხვედროდა, ქალიშვილისა, რომელსაც დღეს აგრეთვე პირველად ნახავდა.

მაგრამ ჩიკაკოს აბეზარი ხმა ყურებში უძვრებოდა და ნერვებს უშლიდა.

– ასეა თუ ისე, ოოტა-სანმა უკვე იცის, რომ აქა ვარ, ხომ არ გავიქცევი? ანდა ხომ არ დავიმალები?

ამ სიტყვებზე კიკუჯი წამოდგა, იქვე, ტოკონომას[35] გვერდით შიოჯი გასწია, ოთახში შევიდა და საპატიო ადგილას ჩაიჩოქა.

მალე ჩიკაკოც უკან მიჰყვა.

– ეს მიტანი-სანია, აწ გარდაცვლილი მიტანი-სანის ვაჟიშვილი, – წარუდგინა კიკუჯი სტუმრებს.

ჭაბუკი იქ მყოფთ ერთხელ კიდევ მიესალმა და, თავი რომ ასწია, ყველა ქალიშვილი ახლა უკვე გარკვევით გაარჩია.

წეღან, ეტყობა, ღელავდა. თავდაპირველად თვალებში ერთ დიდ, ღია ფერის ლაქად ქცეული ტანსაცმელი აებლანდა – ფერად-ფერადი სამოსი სახეებს ჩრდილავდა, იერფერს უკარგავდა. ახლა კი, როდესაც ცოტა უფრო დამშვიდებული იყო, იქ მყოფნი კიდევ ერთხელ შეათვალიერა და ნახა, რომ ზუსტად ქალბატონი ოოტას წინ იჯდა.

– ღმერთო ჩემო! – წამოიძახა ქალბატონმა ოოტამ. მის ხმაში ერთდროულად გაოცებაც იყო და აშკარა, გულწრფელი სიხარულიც, რასაც, ცხადია, ყველა მიხვდა, – რა ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს... ნუ მიწყენთ, ამდენ ხანს რომ ვერ შეგეხმიანეთ, ჩემი ამბავი ვერ გაგაგებინეთ...

თქვა და გვერდით მჯდომ ქალიშვილს სახელოზე ნელა მოქაჩა, თითქოს ეუბნება – არ გრცხვენია? რატომ არ ესალმები, ახლავე მიესალმეო! ქალიშვილი სახეზე წითლად წამოენთო და კიკუჯის თავი მორცხვად დაუკრა.

კიკუჯი შეძრწუნებული იყო: ქალბატონ ოოტას არც სიტყვებსა და არც მოქმედებაში მტრობისა და არაკეთილმოსურნეობის ნატამალიც არ იგრძნობოდა. თითქოს ძალიან გახარებულია, თითქოს ამ მოულოდნელმა შეხვედრამ მართლაც რომ უზარმაზარი სიამოვნება მიანიჭა, თითქოს აზრადაც არ მოსდის, აქ მყოფთა თვალში თავს რა უხერხულსა და ორჭოფულ მდგომარეობაში იყენებდა.

ქალიშვილს კი თავი არ აუწევია.

ეს ქალბატონმა ოოტამაც შენიშნა და ღაწვებზე შეუმჩნეველმა სიწითლემ გადაჰკრა, მაგრამ ნირი არ შესცვლია, ვაჟს ისეთი სიყვარულით სავსე თვალებით შეჰყურებდა, ასე გეგონებოდა, საცაა წამოდგება, მივა ამ ახალგაზრდა კაცთან და რაღაც მეტისმეტად ინტიმურსა და საალერსო სიტყვას ეტყვისო.

– თქვენ ასე გატაცებული ბრძანდებით ჩაის ცერემონიალით? – ჰკითხა ბოლოს ქალბატონმა ოოტამ.

– აჰ, არა, რას ბრძანებთ, როგორც ჩანს, მამაჩემის ეს მიდრეკილება მემკვიდრეობით არ გადმომეცა...

– საოცარია! მე კი მეგონა, ასეთი რამ ადამიანებს სისხლში ჰქონდათ...

ქალბატონ ოოტას, ეტყობა, მოგონებები მოეძალა, თვალები

გაუბრწყინდა, ცრემლებით აევსო.

კიკუჯიმ იგი უკანასკნელად მამის გასვენების დღეს ნახა.

ამ ოთხ წელიწადში ქალი თითქმის არ შეცვლილიყო. ისევ ის თეთრი, მრგვალ მხრებთან არცთუ შეხამებული მაღალი ყელი, ისევ ის ასაკისათვის შეუფერებელი წერწეტა ტანი... უწინ ასე ეგონა, თვალებთან შედარებით ცხვირი და ტუჩები მეტისმეტად პატარა აქვსო. ახლა კი, როცა ასე ახლოს, დაკვირვებით შეათვალიერა, ნახა, რომ ცხვირი არაჩვეულებრივად სწორი, ლამაზი და გამოქანდაკებული ჰქონდა. საუბრის დროს ქვედა ბაგე ოდნავ წამოეწეოდა და ესეც ერთგვარ სილამაზეს ჰმატებდა.

მრგვალი მხრები და მაღალი ყელი ქალიშვილს ზუსტად დედისას უგავდა, ბაგე და ცხვირი კი თითქოს მოდიდო ჰქონდა. ქალიშვილს დედაზე დიდი ტუჩები აქვსო – ეს ამბავი კიკუჯის რატომღაც სასაცილოდ ეჩვენა. ქალიშვილი კი იჯდა ტუჩებმოკუმული და დიდრონი თვალები უსაზღვრო სევდით ჰქონდა სავსე.

ჩიკაკომ კერიაზე მბჟუტავ ცეცხლს შეხედა:

– ინამურა-სან, მიტანი-სანს ერთ ფინჯან ჩაის ხომ ვერ მოართმევდით? ჩაის დაყენების თქვენეული მანერითა და ოსტატობით ხომ არ დაგვატკბობდით?

– სიამოვნებით...

ქალიშვილი, რომლის ვარდისფერ ფუროშიკიზე თეთრი, ათასფრთიანი წერო იყო ამოქარგული, ფეხზე წამოდგა.

და კიკუჯიმ ახლაღა შეამჩნია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს გოგო თურმე ქალბატონი ოოტას გვერდით მჯდარა. მერე ისევ ქალბატონ ოოტას შეხედა და შეეცადა, ვარდისფერფუროშიკიანი გოგოსაკენ აღარ გაეხედა.

ინამურას ქალიშვილს ჩიკაკომ ჩაის მირთმევა, ეტყობა, იმიტომ დაავალა, უნდოდა ვაჟისათვის მისი შეთვალიერების საშუალება მიეცა.

ინამურას ქალიშვილმა კი წყლით სავსე კარდლის წინ ჩაიმუხლა, ჩიკაკოსაკენ თავი ოდნავ შეაბრუნა და ჰკითხა:

– რას მიბრძანებთ, რომელ ფინჯანში დავუსხა?

– რომელში? – აიტაცა იმავე წუთს ჩიკაკომ, – მგონი, ამაში, აი, ამაში... მე ეს აწ განსვენებულმა ბატონმა მიტანიმ მაჩუქა, ეს მისი საყვარელი ფინჯანია.

კიკუჯის შესანიშნავად ახსოვდა ეს ფინჯანი, მამა ჩაის მართლაც ამ ფინჯნით მიირთმევდა, მაგრამ... მაგრამ მამასთან ხომ იგი ბატონი ოოტას ქვრივის – ქალბატონი ოოტასაგან მოხვდა...

საბრალო ქალბატონი ოოტა! ახლა ალბათ ძალიან იტანჯება. ბატონი მიტანისათვის თვითონ საყვარელი მეუღლის ფინჯანიც არ დაიშურა, იმან კი, ადგა და გააჩუქა! თან არ იტყვით, ვის აჩუქა? ვისა და ჩიკაკოს... ქალბატონ ჩიკაკო კურიმოტოს!

ჩიკაკოს გულცივობითა და უტაქტობით კიკუჯი გაოცებული დარჩა.

თუმცა უტაქტობაში ჩიკაკოს არც ქალბატონი ოოტა ჩამორჩებოდა.

კერიის თავზე მსუბუქი ოხშივარი ისე ირეოდა, თითქოს ამ ორი, არცთუ ისე ახალგაზრდა ქალის წარსულს ერთმანეთში ხლართავდა. ხოლო ამ ფონზე ინამურას ჯერ ისევ ქორფა ასული ჩაის მომზადების ყველა წესს უზადო სიფაქიზით აღასრულებდა. და ქალიშვილის არაჩვეულებრივი სილამაზე კიკუჯიმ ერთბაშად და უცნაური სიმძაფრით შეიგრძნო.

3.

ინამურას ქალიშვილს კი ის, რომ ჩიკაკოს იგი კიკუჯისთვის უნდა ეჩვენებინა, ჩანს, აზრადაც არ მოსდიოდა.

ჩაი მშვიდად, აუღელვებლად დაასხა და ასევე მშვიდად, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე სავსე ფინჯანი კიკუჯის დაუდგა.

კიკუჯი ჩაის სმას მორჩა და ახლა ფინჯნის ცქერით ტკბებოდა. ეს იყო შავი ორიბე, რომლის ცალ მხარეს, თეთრ ჭიქურზე, შავი საღებავით გვიმრის ახლად ამოყრილი ღერო იყო გამოსახული.

– თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ ეს ფინჯანი, – უთხრა ჩიკაკომ

კიკუჯის.

– მგონი, მახსოვს... – თქვა კიკუჯიმ და ფინჯანი მაგიდაზე დადგა.

– შეხედავ გვიმრის ლერწს და მთები გაგახსენდება... ფინჯანი ადრეული გაზაფხულისთვისაა, მიტანი-სანიც ამ ფინჯნით ჩაის გაზაფხულობით სვამდა... ახლა, რა თქმა უნდა, არცთუ ისე შესაფერისი დროა, მაგრამ კიკუჯი-სანი შეხედავს, ხელს შეავლებს და ესიამოვნება-მეთქი.

– რას ბრძანებთ, მამას ხომ იგი ძალიან ცოტა ხანს ჰქონდა. ფინჯანს თავისი ისტორია აქვს. თუ არ ვცდები, სანამ მომოიამას ეპოქის[36] ოსტატის – რიკიუს ხელიდან ჩვენამდე მოაღწევდა, საკმაოდ გრძელი გზა გამოიარა. ის ადამიანები, ვინც ჩაის ცერემონიალის ფასი და ყადრი იცოდა, საუკუნეების განმავლობაში სათუთად უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ, ასე რომ, მამაჩემი აქ არაფერ შუაშია, – თქვა კიკუჯიმ და შეეცადა თავიდან მოეშორებინა ფიქრი იმ ადამიანებზე, რომელთა ბედიც ამ ფინჯანთან იყო დაკავშირებული. ბატონი ოოტასაგან ფინჯანი მის ქვრივს – ქალბატონ ოოტას გადაეცა, ქალბატონი ოოტასაგან იგი კიკუჯის მამის ხელში მოხვდა, კიკუჯის მამისაგან კი კურიმოტოსთან აღმოჩნდა. ამ ოთხი ადამიანიდან ორი, თანაც ორივე მამაკაცი, კარგა ხანია ამ ქვეყანას აღარ არის. ქალები კი, აგერ, კიკუჯის გვერდით სხედან და ჩაის ცერემონიალში მონაწილეობენ...

– ჩაის მეც სიამოვნებით დავლევდი ამ ფინჯნით, – თქვა უცბად ქალბატონმა ოოტამ.

კიკუჯი ახლაც გაოცებული დარჩა: არა, რა უცნაური ქალია, ან სულელია, ან მეტისმეტად ურცხვი და უტიფარი.

ქალბატონი ოოტას ქალიშვილი კი ისე დარცხვენილი იჯდა, შეხედავდი და შეგეცოდებოდა.

ინამურამ ჩაი ქალბატონ ოოტასაც მიართვა. ყველა იქ მყოფის მზერა ახლა ამ ქალიშვილისაკენ იყო მიპყრობილი, თვითონ მას კი, კვლავინდებურად მშვიდსა და თვინიერს, წარმოდგენაც არა ჰქონდა, რა მღელვარე ვნებები ბობოქრობდა შავი ორიბეს გარშემო.

ოსტატისაგან ნასწავლ ჩაის მომზადების ყველა წესს ისე

ზუსტად, სადად, ბუნებრივად, ყოველგვარი პრანჭვა-გრეხის გარეშე ასრულებდა, გეგონებოდა, ჩაის ეს ცერემონიალი ჭეშმარიტად უდიდეს სიამოვნებას ანიჭებსო. მთელი მისი გარეგნობა, ყოველი მისი მოძრაობა მართლაც რომ არაჩვეულებრივი კეთილშობილებით, საოცარი უშუალობით იყო სავსე.

ქალიშვილის ზურგს უკან, შიოჯიზე, ახლად გამოსული ფოთლების ჩრდილი ეფინა. სინათლის ანაშუქი ნაზად კიაფობდა გოგონას ძვირფას, ღია ფერის კიმონოზე. სინათლის ათინათი გამოკრთოდა ვარდისფერფუროშიკიანი ქალიშვილის თმიდანაც.

ჩაის ცერემონიალის კვალობაზე ოთახი მართლაც მეტისმეტად იყო გაჩახჩახებული, მაგრამ ეს გაბრდღვიალებული სინათლე არათუ რაიმეს აკლებდა, პირიქით, კიდევ უფრო ნათელს ხდიდა ყმაწვილი ქალის სილამაზეს. მისი ცეცხლივით მოგიზგიზე ალისფერი ფუკუსა[37] თვალში უსიამოვნოდ კი არ გხვდებოდა, კიდევ უფრო აცხოველებდა ადრეული გაზაფხულის სიკისკასისა და შინორჩის შეგრძნებას. ხელში თითქოს რაღაც წითელი ყვავილი უყვავისო...

თითქოს წუთიც და ამ ლამაზი ქალიშვილის ირგვლივ ათასი პაწაწა, თეთრი წერო აფარფატდებოდა.

– მწვანე ჩაი მუქი ფერის ფინჯანში! რა მშვენიერია! – თქვა ქალბატონმა ოოტამ, – შეხედავ და უნებურად ადრეული გაზაფხულის სიმწვანე გაგახსენდება...

კიდევ კარგი, ის მაინც არ წამოროშა, ფინჯანი მანამდე ვისი იყო, ქმრის ხსოვნას გაუფრთხილდა.

მერე ჩაის ჭურჭლის დათვალიერება დაიწყეს. ქალიშვილები, მართალია, დიდად ვერ ერკვეოდნენ, მაგრამ ზრდილობისათვის აღტაცებასაც გამოთქვამდნენ და ჩიკაკოს ახსნა-განმარტებებსაც ყურადღებით უსმენდნენ. ეს მიძუსაში[38] და ტიაშიკუ[39] თავის დროზე კიკუჯის მამის საკუთრება იყო. მაგრამ ჩიკაკოს ამის თაობაზე სიტყვაც არ დაუძრავს. ცხადია, არც კიკუჯის უთქვამს არაფერი.

ჭურჭლის დათვალიერების შემდეგ ქალიშვილები თანდათან წავიდ-წამოვიდნენ. კიკუჯი ქალიშვილებისაკენ დაბნეული იყურებოდა, რომ ქალბატონი ოოტა მიუახლოვდა:

– გთხოვთ, მომიტევოთ ეს კადნიერება! მაგრამ, დაგინახეთ თუ არა, გული ძვირფასი მოგონებებით ამევსო...

– დიახ...

– როგორ დავაჟკაცებულხართ! პირდაპირ საოცარია... – ამბობდა ქალი და, ასე გეგონებოდა, საცაა, მისი თვალებიდან ცრემლები იწვიმებსო, – ეეჰ.. დედათქვენიც ხომ... ძალიან მინდოდა სამძიმარზე მოვსულიყავი, მაგრამ ვერ გავბედე...

კიკუჯიმ შუბლი უსიამოვნოდ შეიჭმუხნა, თუმცა ქალმა ეს აინუნშიაც არ ჩააგდო.

– რა სამწუხაროა... მამა სულ ახალი გარდაცვლილი გყავდათ, რომ დედათქვენიც მიჰყვა... წარმოდგენილი მაქვს, რა სიმარტოვეს განიცდით.

– დიახ.

– არ მოდიხართ? – ჰკითხა ქალმა.

– არა, ცოტა ხანს დავრჩები...

– იცით, მინდოდა, როგორმე გაგსაუბრებოდით.

– კიკუჯი-სან! – გამოსძახა ამ დროს გვერდითა ოთახიდან ჩიკაკომ.

ქალბატონი ოოტა აშკარად გულდაწყვეტილი წამოდგა. ქალიშვილი უკვე ბაღში ელოდა. კიკუჯის ორივემ თავი დაუკრა და გამოემშვიდობა. ქალიშვილი ისეთი თვალებით შეჰყურებდა, თითქოს რაღაცას წუხს, რაღაცას შესჩივისო.

გვერდითა ოთახიდან ჩიკაკოს ფუსფუსი ისმოდა, ეტყობა, შეგირდებთან და მოსამსახურე ქალთან ერთად იქაურობას ალაგებდა.

– რაო ქალბატონმა ოოტამ, ასე რას გეჭიკჭიკებოდათ?

– ისეთს არაფერს.

– გირჩევთ, ცოტა მოერიდოთ, ეგ ხომ სულ თვალთმაქცობს. ისეთი გულუბრყვილო თვალებით შემოგხედავს, თავს ისეთ უწყინარ ადამიანად მოგაჩვენებს, გულში კი, კაცმა არ იცის, რა უდევს.

– ეტყობა, თქვენი ხშირი სტუმარია. საინტერესოა, ასე როდის დამეგობრდით? – თავი ვეღარ შეიკავა კიკუჯიმ და, პავილიონიდან რომ გამოვიდა, ისე ამოისუნთქა, თითქოს შხამიანი ჰაერი აქვს ნასუნთქი და მისგან უნდა განთავისუფლდესო.

კიკუჯის ჩიკაკოც გამოჰყვა.

– რას იტყვით, მოგეწონათ ინამურას ქალიშვილი? ხომ მართლაც საუცხოო გოგოა?

– კარგი გოგოა... მაგრამ, აქ კი არა, სადმე სხვა ადგილას რომ შევხვედროდი, ალბათ უფრო მომეწონებოდა, იქ, სადაც არც განსვენებული მამაჩემის აჩრდილი იტრიალებდა, არც თქვენ იქნებოდით, არც ქალბატონი ოოტა.

– ნუთუ მეტი საქმე არ გაქვთ, თავს ასეთი სისულელეებით რომ იტკივებთ? ყველა-ყველა და, ქალბატონი ოოტას ქალიშვილთან რა ხელი აქვს?

– რა ვიცი, შეიძლება არცა აქვს... მე კი, მართალი გითხრათ, სწორედ ამ ქალიშვილის წინაშე ვგრძნობდი თავს უხერხულად.

– კი, მაგრამ, რატომ? ქალბატონი ოოტას მოსვლამ გუნება თუ ასე წაგიხდინათ, ბოდიშს გიხდით. თუმცა დღეს მე იგი არ დამიპატიჟებია. ისე კი, ხომ გითხარით, ინამურას ქალიშვილთან იმას არაფერი ესაქმება.

– ნება მომეცით, დაგემშვიდობოთ, – უთხრა ბოლოს კიკუჯიმ. იცოდა, ერთად რომ გასულიყვნენ, თავიდან ვეღარ მოიშორებდა.

მარტო დარჩენილმა ვაჟმა მიიხედ-მოიხედა. მთის ფერდობებს უნაზესი კოკრებით დაფარული ველური იელი მოსდებოდა. კიკუჯიმ შვებით ამოისუნთქა.

არა, მაინც რა უნდოდა, რისთვის წამოვიდა ამ ჩაის ცერემონიალზე?.. ესე იგი, ჩიკაკოს წერილმა აცდუნა! ვარდისფერ ფუროშიკიზე ათასფრთა თეთრწეროამოქარგული ქალიშვილი კი მართლაც მშვენიერია... მის შეხედვაზე გულს ნათელი გეფინება, გაზაფხულის სიქორფისა და შინორჩის სურნელით ივსები.

ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს გოგო იყო მიზეზი, მამამისის ამ ორ

საყვარელთან შეხვედრა მაინცდამაინც დიდ ხინჯად რომ არ ჩარჩენია. მაგრამ, იმის გაფიქრებაზე, ეს ქალები ისევ ცოცხლები და საღ-სალამათები არიან, მამაჩემს საფლავშიაც მოსვენებას არ აძლევენ, დედა კი, რა ხანია, ამქვეყანას აღარ არისო, გული ეკუმშებოდა. ამ ფიქრებში გართულს რატომღაც ისევ ჩიკაკოს ამაზრზენი ტყირპი გაახსენდა.

შლაპა მოიხადა, ახლად გამობიბინებული ფოთლებიდან მონაბერ გრილ ნიავს შუბლი მიუშვირა და გზას ნელი ნაბიჯით გაუყვა.

უცებ შორს, ტაძრის ჭიშკართან, ქალბატონი ოოტა დაინახა და დაბნეულმა მიიხედ-მოიხედა: რა ქნას, თავი როგორ აარიდოს?.. ერთი პირობა ისიც კი გაიფიქრა, მთის ფერდობზე ავალ, სულერთია, გზის მარჯვნივ იქნება თუ მარცხნივ, ტაძრის შემოგარენიდან ისე გავიპარები, ჭიშკარში გავლა არ მომიწიოსო.

მაგრამ გზიდან არ გადაუხვევია, დაადო თავი და პირდაპირ ჭიშკრისაკენ გასწია. ნერვიულობისაგან სახე გაჰფითრებოდა, ლოყები გაჰყინვოდა.

ქალბატონი ოოტა კი, დაინახა თუ არა, მაშინვე მისკენ წამოვიდა სახეაგიზგიზებული.

– იცით, თქვენ გელოდებოდით... მინდოდა, ერთხელ კიდევ დამენახეთ. ვინ იცის, იქნებ ვეღარც კი შევხვდეთ ერთმანეთს... ეს ალბათ კადნიერებაც კია ჩემი მხრივ, მაგრამ...

– თქვენი ქალიშვილი სადღაა?

– ფუმიკო? ამხანაგს გაჰყვა... წინ წავიდა.

– და, იცის, რომ... მე მელოდებოდით? – ჰკითხა კიკუჯიმ.

– დიახ, – უპასუხა ქალბატონმა ოოტამ და ვაჟს თვალებში შეხედა.

– მგონი, ჩაის ცერემონიალზე ჩვენმა ამ შემთხვევითმა შეხვედრამ არცთუ კარგ გუნებაზე დააყენა. მართალი გითხრათ, შემეცოდა კიდეც.

კიკუჯი სიტყვებს საგულდაგულოდ არჩევდა, რათა მისი ნათქვამი ქალს ერთდროულად თავაზიანიც სჩვენებოდა და პირდაპირიც. მაგრამ ქალბატონმა ოოტამ ამაზე სრულიად

გულღიად უპასუხა:

– მართალი ბრძანდებით. თქვენთან შეხვედრა ფუმიკოსთვის მეტად მტკივნეული იყო.

– რა თქმა უნდა... განა ცოტა წვალება გამოიარა თქვენმა ქალიშვილმა მამაჩემის გამოისობით?!

ისე, როგორც თქვენი გამოისობითაცო, – ესეც ენის წვერზე ადგა კიკუჯის, მაგრამ...

– არა, რატომ? – ცხარედ შეეკამათა ქალბატონი ოოტა, – მამათქვენი მუდამ ალერსიანად ექცეოდა ფუმიკოს... როგორ მინდა, ერთხელ მაინც დავსხდეთ ჩვენთვის წყნარად და თავიდან ბოლომდე ყველაფერს მოგიყვეთ. მიუხედავად მამათქვენის ყოველგვარი მცდელობისა, მართალია, თავდაპირველად ფუმიკო ვერა და ვერ შეეჩვია, მაგრამ, მერე და მერე – ეს მაშინ, ომი უკვე დამთავრებული რომ იყო, საჰაერო დაბომბვამ რომ იმატა – გოგონა უცებ შეიცვალა, მამათქვენის მიმართ ერთბაშად საოცრად თბილი და ყურადღებიანი გახდა... მართალი გითხრათ, არ ვიცი, რა მოხდა... არა, კი არ ეფერებოდა, ბავშვივით ზრუნავდა. ბატონი მიტანასათვის თევზი ან ქათამი რომ ეშოვა, ვინ მოთვლის, რამდენჯერ მარტოდმარტოც კი წასულა სადღაც, შორეულ სოფელში. მაშინ ჯერ ისევ ერთი ციდა გოგო იყო... თან ირგვლივ სულ ბომბავდნენ და ბომბავდნენ. ძალიან ვღელავდი. აბა, წარმოიდგინეთ, გზაში რა შიშსა და გულისხეთქვაში იქნებოდა! ის კი თავისას მაინც არ იშლიდა, ეტყობა, ძალიან უნდოდა, მამათქვენისათვის ესიამოვნებინა... ხომ წარმოგიდგენიათ, რამსიშორეს მიდიოდა... დარწმუნებული ვარ, ბევრჯერ საფრთხეშიაც ჩაუგდია სიცოცხლე, მაგრამ რა უნდა მექნა!.. მამათქვენი გაოცებას ვერ ფარავდა. ვერ გაეგო, ასე რატომ შეიცვალა, რატომ გახდა მის მიმართ ასეთი ნაზი და ყურადღებიანი... მეც გაოგნებული ვიყავი, ფუმიკოს საქციელი ისეთი გულის ამაჩუყებელი იყო, ხანდახან ცრემლს ძლივს ვიკავებდი... თან, იცით... მოკლედ, ძალიან ვიტანჯებოდი... მე ხომ ის სულ მარცხვენდა, ნამუსზე მაგდებდა...

კიკუჯი ახლაღა მიხვდა, იმ დიდი გაჭირვების წლებში, დროდადრო საიდან გაჩნდებოდა ხოლმე მათ სახლში ესა თუ ის გემრიელი საჭმელი. მოიტანდა მამა საუკეთესო ხარისხის სურსათს და რაღაცას მიკიბ-მოკიბავდა. სინამდვილეში კი,

როგორც ჩანს, მთელ მათ ოჯახს თავი თურმე ოოტას ქალიშვილის, მისი კეთილი გულის წყალობით გაჰქონდა.

– იცით, დღემდე ვერ მივმხვდარვარ, ფუმიკო ასე თვალსა და ხელს შუა რატომ შეიცვალა, – განაგრძობდა ქალბატონი ოოტა, – მე მგონი, უბრალოდ, იგრძნო, რა მძიმე, რა საშინელი დრო იყო: სიკვდილი ხომ ყოველდღე უდრტვინველად დააბიჯებდა ქალაქის ქუჩებში... ეტყობა, ძალიან ვეცოდებოდი, და აი, რაც შეეძლო, თავს არ იზოგავდა, მამათქვენის გულისათვის მზად იყო, ცეცხლშიაც კი ჩავარდნილიყო...

ჩანს, მართლაც ბევრი გადაიტანა გოგონამ, რახან მაშინ, ომის იმ ბოლო დღეებში, უცებ მიხვდა, თუ რით ცხოვრობდა და რა ასულდგმულებდა დედამისს... დედა კი თავგანწირვით ჩასჭიდებოდა სიყვარულს. და აი, ფუმიკომ დაივიწყა წარსული, დაივიწყა გარდაცვლილი მამა და დღევანდელი დღის ტკივილით განიმსჭვალა... გაიგო და გაიზიარა, რა მძიმე, აუტანელი იყო დედამისის სიცოცხლე, ისეთივე მძიმე და აუტანელი, როგორიც მთელი მისი გარემომცველი ცხოვრება.

– ფუმიკოს ბეჭედი თუ შეამჩნიეთ?

– არა, არ შემიმჩნევია.

– ის ბეჭედი მამათქვენის სახსოვარია. საჰაერო განგაში რომ დაიწყებოდა, მამა მაშინვე სახლში მიდიოდა. ფუმიკო კი, რამდენიც უნდა გეხვეწნა, რა იცი, გზაში რა მოუხდესო, შინ მარტო არასოდეს გამოუშვებდა. იმას, რომ მასაც ასევე შეიძლებოდა ათასი მარცხი და უბედურება შემთხვეოდა, არაფრად დაგიდევდა. საკუთარ თავზე სულაც არ ფიქრობდა. ერთხელაც, ჩვეულებისამებრ, მამათქვენი გააცილა. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... ძალიან ვღელავ, ველოდები, ფუმიკო კი არა და არ ჩანს... თუ არ გამოუშვეს, ღამის გასათევად თავისთან თუ დაიტოვეს, ხომ კარგი, მაგრამ, ვაითუ ასე არ არის, მაშინ? მაშინ რა ვქნა, რა ვიღონო ამ შუაღამისას, მარტომ, ამ ბომბების ცვენასა და უბედურებაში?.. შინ რომ დაბრუნდა, უკვე გათენების ხანი იყო. სად იყავი-მეთქი, რომ ვკითხე, ასე მითხრა, სახლის კარამდე მივაცილე, ღამე კი სადღაც თავშესაფარში გავათენეო. ამ ამბის შემდეგ მამათქვენი ჩვენთან რომ მოვიდა, გმადლობთ, ფუმი-ჩან, მადლობელი ვარო, სულ მადლობას უხდიდა... სწორედ მაშინ იყო, ბეჭედი რომ აჩუქა... აგერ ახლა, ჩაის ცერემონიალზე, ფუმიკო ხელს

ალბათ სულ მალავდა, ერიდებოდა თქვენი...

კიკუჯი ქალბატონ ოოტას უსმენდა და თანდათან უსიამოვნო გრძნობა ეუფლებოდა. უცნაური ქალია! ნუთუ მართლა სჯერა, რომ ამ რაღაც თავისი მიეთმოეთით კიკუჯის გულში თანაგრძნობასა და სიბრალულს გამოიწვევს?!

კაცმა რომ თქვას, ქალბატონი ოოტას მიმართ ახლა იგი არც მტრობას გრძნობდა, არც სიძულვილს. ამის მიზეზი ალბათ ქალის ის საოცარი სითბო იყო, რომელიც ვაჟის ყურადღებას ფანტავდა, სიფხიზლეს უდუნებდა.

ქალბატონი ოოტას ქალიშვილს კი, ეტყობა, არ შეეძლო გულდამშვიდებულად ეცქირა დედისათვის. ალბათ ამიტომაც გახდა მის მიმართ ასეთი თავდაუზოგავი.

კიკუჯის ასე ეგონა, ქალბატონი ოოტა ქალიშვილზე კი ლაპარაკობს, მაგრამ სინამდვილეში თავისი სიყვარულის ამბავს ჰყვებაო.

როგორც ჩანს, უნდოდა სული და გული გადაეხსნა, ისეთი გახარებული იყო, მის წინაშე თითქოს აწ განსვენებული საყვარლის ვაჟიშვილი კი არა, თავად ის საყვარელი იდგა. უცნაურია, მაგრამ კიკუჯის ისეთი გრძნობა ჰქონდა, ქალბატონი ოოტა მას კი არა, ამწუთას გულს იმ მეორეს უშლიდა, მთელი სულითა და არსებით მამამისთან იყო.

ის მტრული განწყობა, რომელსაც უწინ თვითონაც და დედამისიც ქალბატონი ოოტას მიმართ განიცდიდნენ, მართალია, მთლად გამქრალი არა, მაგრამ როგორღაც მიმცხრალი და მინელებული იყო. ალბათ საკმარისია ოდნავ, სულ ოდნავ მოედუნებინა დაძაბული გულისყური, რომ ეჭვი აღარ შეჰპარვოდა, ამ ქალს მე ვუყვარვარ, ვინაიდან მე და მამაჩემი ერთი და იგივე ვართო... ცდუნება იმდენად დიდი იყო, ლამის ერწმუნა კიდეც, რომ ამ ქალთან დიდი ხნის სიახლოვე აკავშირებდა.

ახლა უკვე მშვენივრად ესმოდა, რატომ გაწყვიტა კავშირი მამამ ჩიკაკოსთან, რატომ ვერ მოშორდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ქალბატონ ოოტას. იმასაც მიხვდა, ჩიკაკოს დღემდე ძველებურად რომ სძულდა ყოფილი მეტოქე, დღემდე არ უსვენებდა, ქირდავდა და დასცინოდა. ვაჟი ერთბაშად ბრაზმა აიტანა, უცნაურმა სურვილმა შეიპყრო, რაც

შეიძლება მწარედ დაეკოდა გული ქალბატონი ოოტასათვის. და თავის შეკავებასაც არ ცდილა, ეგრევე მიახალა:

– როგორც ჩანს, კურიმოტოს ჩაის ცერემონიალების ხშირი სტუმარი ბრძანდებით... საოცარია! მან ხომ სისხლი გაგიშროთ თავის დროზე?!

– დიახ... მაგრამ მამათქვენი რომ გარდაიცვალა, ქალბატონი კურიმოტოსაგან წერილი მივიღე... საშინელ დღეში ვიყავი, ისეთ სიცარიელეს, ისეთ სიმარტოვეს ვგრძნობდი... – თქვა ქალბატონმა ოოტამ და თავი დახარა.

– და, ქალიშვილიც მუდამ ასე დაგყავთ თან?

– არა, მუდამ არა... მაგრამ, როცა მიმყავს, მაშინაც ძალისძალად.

ამ სიტყვებით სადგურ ჩრდილოეთ კამაკურასთან რკინიგზა გადაჭრეს და ტაძრის პირდაპირ აღმართული მთისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

4.

ქალბატონი ოოტა კიკუჯიზე ალბათ მთელი ოცი წლით მაინც იყო უფროსი – ორმოცდახუთ წელს თითქმის აღარაფერი უკლდა. მიუხედავად ამისა, ვაჟს ისეთი გრძნობა ჰქონდა, შუახნის დიაცს კი არა, ჩემზე გაცილებით უმცროსს – ჯერ ისევ ყმაწვილ ქალს ვეხვევიო.

სადღა იყო მარტოხელა ახალგაზრდა კაცისათვის ჩვეული შებოჭილობა – ამ ქალთან თავს მართლაც შესანიშნავად გრძნობდა.

ასე ეგონა, დღეს პირველად მიხვდა, ქალი რა იყო, მხოლოდ ქალი კი არა, მამაკაციც. ამით იგი აღელვებულიც იყო და გაოცებულიც, ვინაიდან აქამდე წარმოდგენა არ ჰქონდა, ქალი ასე დამყოლი, ასე თავბრუდახვევამდე ნაზი და მომხიბვლელი რომ შეიძლებოდა ყოფილიყო. ქალი ვაჟს ხიბლით ავსებდა და თავადაც იხიბლებოდა, ვაჟიც ისე ზავდებოდა ამ ქალში, როგორც უტკბეს სურნელში.

ქალთან სიახლოვის შემდეგ კიკუჯის, როგორც წესი, რაღაც ზიზღის გრძნობა ეუფლებოდა, ახლა კი, როცა ეს ზიზღი თითქმის გარდაუვალი ჩანდა, მსგავსიც არაფერი უგრძნია,

მთელი მისი არსება შვებისმომგვრელ სიმშვიდეს მოეცვა.

უწინ ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება მალე მოშორებოდა, შორს გაწეულიყო ქალისაგან, ახლა კი დიდხანს ტკბებოდა მისი თბილი სხეულის სიახლოვით, კიდევ დიდხანს, დიდხანს ავსებდა მის ძარღვებს ქალის სხეულიდან წამოსული ნეტარების მომგვრელი ტალღები. იწვა ქალბატონი ოოტას გვერდით ნახევრად მთვლემარე და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თვითონ ყოვლისშემძლე, გულზვიადი მბრძანებელი ყოფილიყოს, ეს ქალი კი – მისი უმორჩილესი მონა და მხევალი.

ქალის ხვევნა-ალერსში თითქოს რაღაც დედობრივიც იყო.

უცებ ვაჟმა თავი მხრებში წარგო:

– იცით, აი, მაგ ადგილას კურიმოტოს შავი, დიდი ტყირპი აქვს...

თქვა და იმავე წუთს მიხვდა, რომ რაღაც უგვანო და უკადრისი წამოსცდა, მაგრამ მთელი მისი სხეული ისეთ თვლემას მოეცვა, მის არსებას ისეთი ტკბილი სიზანტე დაუფლებოდა, კურიმოტოს მიმართ ამწუთას იოტისოდენა სინდისის ქენჯნაც არ უგრძნია.

– ჰო, ჰო, მანდ, აი, ზუსტად მაგ ადგილას, – დასძინა კიკუჯიმ და ხელი ქალბატონი ოოტას მკერდისაკენ გაიწოდა.

ერთი სული ჰქონდა, კიდევ რაღაც მწვავე სიტყვა ეთქვა ქალისათვის. ძნელი გასარკვევია, ამით მისი გულისტკენა სურდა თუ ეს მხოლოდ უჩვეულო მდგომარეობაში მყოფი მამაკაცის ერთგვარი თავდაცვითი რეაქცია იყო... ვინ იცის, ამ უხეში საქციელით იქნებ სწორედ საკუთარი უხერხულობის დაფარვა სურდა? რაც უნდა იყოს, განა უხერხული არ არის, დადგე და ქალის მკერდს ასე უტიფრად, ასე დაჟინებით უცქირო?

– არა, არა, არ გინდათ! – ქალბატონმა ოოტამ კიმონოს კალთა ფრთხილად მოსწია. კაცმა რომ თქვას, კიკუჯის სიტყვებს მასზე არცთუ ისე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, პირიქით, მეტისმეტად მშვიდადაც კი უპასუხა: – ტყირპი? პირველად მესმის... ვითომ რა მნიშვნელობა აქვს, ტანსაცმელში ხომ არ გამოუჩნდება?

– არ გამოუჩნდება? რატომ?

– როგორ თუ რატომ?

– თუ ამ ადგილასაა?

– კარგი, ერთი! გეტყობათ, ძალიან გაინტერესებთ, ისეთი ტყირპი მეცა მაქვს თუ არა, ხომ ასეა?

– არა, ეგ კი არა... მე ის მაინტერესებს, ნეტავი რას განიცდის ქალი, ვისაც მკერდზე ასეთი საშინელი ტყირპი აქვს?

– თუ... აქ... აი, აქ, არა? – თქვა ქალბატონმა ოოტამ და მკერდზე დაიხედა, – მაინც, რატომ გაინტერესებთ? ახლა რატომ გაგახსენდათ? მე თუ მკითხავთ, ამას სულაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ქალბატონი ოოტას წყენინება არცთუ ისე იოლი საქმე გამოდგა. კიკუჯის მიერ დანთხეულმა გესლმა ქალს სულაც ვერაფერი დააკლო, სამაგიეროდ, იგრძნო, ამ შხამმა თავად მას გულ-გვამში როგორ დაუარა:

– მნიშვნელობა არა აქვსო?! ცდებით! იმ ტყირპს მთელ ჩემს სიცოცხლეში ერთადერთხელ მოვკარი თვალი, მაშინ ჯერ კიდევ რვა-ცხრა წლის ბიჭუნა ვიყავი, მაგრამ დღემდე არ დამვიწყებია.

– რატომ?

– რატომ? არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ ნამდვილად ასეა... იმ ტყირპმა, მგონი, არც თქვენს ცხოვრებაში შეასრულა ნაკლები როლი. განა თქვენ კი გული არ გაგიწყალათ კურიმოტომ? გამოგეცხადებოდათ შინ ყოველდღე და რა დღეში არ გაგდებდათ, თავი კი ისე ეჭირა, ვითომ ჩვენგან – დედაჩემისა და ჩემგან იყო გაქეზებული.

ქალბატონმა ოოტამ თავი დაუქნია და ჩუმად გაიწია, მაგრამ კიკუჯიმ ქალი თავისკენ მიიზიდა და გულში მაგრად ჩაიკრა.

– ეტყობა, კურიმოტო წუთითაც ვერ ივიწყებდა იმ თავის შავ ტყირპს, ამიტომაც ჰქონდა გული ასე გესლით სავსე.

– ღმერთო ჩემო, აბა, რას ამბობთ, რა საშინელებას ლაპარაკობთ!

– გარდა ამისა, ამით ალბათ მამაჩემზეც უნდოდა შური ეძია.

– შური? კი მაგრამ, რისთვის? რატომ?

– გესმით, მთელ თავის წარუმატებლობას, როგორც ჩანს, იმ

თავის შავ ტყირპს უკავშირებდა, ასე ეგონა, სწორედ იმ შავი ხალის ბრალი იყო, მამა ერთთავად ასე რომ ამცირებდა, ბოლოს კი ადგა და მიატოვა კიდევაც.

– ძალიან გთხოვთ, ამაზე არაფერი მითხრათ, რაც უნდა იყოს, არ მსიამოვნებს.

კურიმოტოს დიდი, შავად შებალნული ხალი ქალბატონ ოოტას, ეტყობა, ნამდვილად არ აწუხებდა, ვინაიდან მისთვის იგი მხოლოდ აბსტრაქცია იყო.

– მე მგონი, ის ძველი შფოთვა და ტანჯვა, დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა, კურიმოტო-სანი ახლა თავს ალბათ დამშვიდებულად გრძნობს, თავისი შავი ხალი სულაც აღარ ახსოვს.

– ჰო, მაგრამ, რა დროც უნდა გავიდეს, განა განცდილი მწუხარება სამუდამოდ არ ტოვებს კვალს ადამიანის სულში?

– არ ვიცი... ზოგჯერ საშინლად ვიტანჯებით, ვწუხვართ, განვიცდით, მაგრამ, გავა ხანი და ის გარდასული დრო მთელი თავისი ტანჯვა-მწუხარებით სანუკვარიც კი ხდება.

ქალბატონი ოოტა ისე ლაპარაკობდა, თითქოს ჯერ ისევ ნეტარების ბურუსში იყო გახვეული.

და აი, კიკუჯიმ უცებ ისეთი რამ წამოროშა, რაც, გადაწყვეტილი ჰქონდა, არავითარ შემთხვევაში არ ეთქვა.

– ჩაის ცერემონიალზე თქვენ გვერდით ერთი ქალიშვილი იჯდა...

– ვინ? იოკიკო-სანი? ბატონი ინამურას ქალიშვილი?..

– კურიმოტომ დღეს სწორედ იმ ქალიშვილის სანახავად დამპატიჟა.

– ღმერთო ჩემო!

ქალბატონ ოოტას ისედაც დიდი, ფართოდ გახელილი თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა და მისი დაჟინებული მზერა კიკუჯის სახეზე მიეყინა.

– ესე იგი, გასასინჯად იყავით? მე კი აზრადაც არ მომსვლია...

– რას ბრძანებთ, ეს რა გასინჯვაა?!

– არა, არა... აბა, ეს სადაური ამბავია... გასინჯვის შემდეგ... გზად... ღმერთო ჩემო! ღმერთო!..

ფართოდ გახელილი თვალებიდან ქალბატონ ოოტას ცრემლი გადმოუგორდა და სასთუმალს დაეცა, მხრები ხურვებაშეყრილივით უთრთოდა.

– რა სისაძაგლეა, ღმერთო, რა საშინელებაა! რატომ... რატომ ადრე არ მითხარით?

ქალმა თავი ბალიშში ჩარგო და ატირდა.

მისი სიტყვები ასე თუ იმოქმედებდა, კიკუჯის ნამდვილად არ ეგონა:

– ის, რაც სისაძაგლეა, ასედაც სისაძაგლეა და ისედაც. გასინჯვის შემდეგ... შინ მიმავალმა... გზად... ვითომ გასინჯვა რა შუაშია! ერთმანეთთან რა კავშირი აქვს? – თქვა ვაჟმა გულწრფელად.

მაგრამ თვალწინ უცბად იმ ქალიშვილის სახე წარმოუდგა, ათასფრთა თეთრწეროამოქარგული ვარდისფერი ფუროშიკი თითქმის ცხადლივ დაინახა და ქალბატონი ოოტას ქვითინისაგან აცახცახებული სხეულის მიმართ აუტანელი ზიზღი იგრძნო.

– რა საშინელებაა, ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!.. ეს რა ვქენი, რა ჩავიდინე! – ტიროდა ქალბატონი ოოტა და მრგვალი მხრები უთრთოდა.

კიკუჯი არც სინდისის ქენჯნას გრძნობდა, არც სინანულს, ასე რომ არა, ეს ყველაფერი ახლა ალბათ გულისამრევი მოეჩვენებოდა, არა რაღაც გასინჯვის, არამედ იმის გამო, ეს ქალი... აი, ეს ქალი... ოდესღაც მამამისის საყვარელი რომ იყო.

დიახ, ბოლო წუთამდე იგი არც სინანულს გრძნობდა, არც ზიზღს.

მაგრამ, რა მოხდა, რატომ შეემთხვა ასეთი რამ ქალბატონ ოოტასთან, წესიერად ჯერაც ვერ გაეცნობიერებინა... ყველაფერი თითქოს თავისთავად მოხდა, უბრალოდ და ბუნებრივად. და აი, წევს ახლა ეს ქალი, გულამოსკვნილი ქვითინებს და რაღაც სისულელეებს ბოდავს... იქნებ, თავს იდანაშაულებს, ყველაფერი ჩემი ბრალია, მე ვაცდუნეო?..

მაგრამ, განა ასეა? განა ქალბატონმა ოოტამ აცდუნა კიკუჯი? რა თქმა უნდა, არა! უბრალოდ, ერთსაც და მეორესაც გულმა ერთმანეთისაკენ გაუწია. რაც მთავარია, არც ერთსა და არც მეორეს შინაგანი წინააღმდეგობის მსგავსი არაფერი უგრძნია, მორალსა და ზნეობაზე ფიქრს არც ერთი დაუმძიმებია, არც მეორე.

ისინი ენკაკუჯის ტაძრის წინ აღმართულ გორაზე ავიდნენ და სასტუმროში ერთად ივახშმეს. ქალბატონი ოოტა სულ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, სულ უფრო ღრმად და ღრმად იძირებოდა მოგონებებში, კიკუჯის კი სხვა რაღა დარჩენოდა, იჯდა და უსმენდა. ალბათ ყველაზე სასაცილო ის იყო, მაშინვე რომ არ გააჩუმა, მაგრამ ქალბატონ ოოტას ეს აზრადაც არ მოსვლია. უნდოდა ყველაფერი ეთქვა, მამამისის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით მოეთხრო. თან ისე თბილად, ისე გულდასმით ჰყვებოდა, მისი ეს სითბო და გულისხმიერება თანდათან კიკუჯისაც გადაედო. და აი, უცებ იგრძნო, ქალბატონი ოოტასაგან მოდენილმა თავბრუდამხვევმა სინაზემ მთელი მისი არსება როგორ მოიცვა, ამ ქალის მიმართ თავისდა უნებურად თანდათან სიმპათიით როგორ განიმსჭვალა.

ისიც იგრძნო, მამაჩემი ამ ქალთან, რა თქმა უნდა, ძალზე ბედნიერი იქნებოდაო.

«ყოვლისმომცველი სინაზე»... სწორედ ეს სინაზე იყო ყოველივე ამის მიზეზი, ყოველივე ამის თავი და თავი... თუკი რამ ცუდი და უგვანო მოხდა, ყველაფერს სათავე ამ თავბრუდამხვევ, მომაჯადოებელ სინაზეში ედო... კიკუჯიმ ხელიდან გაუშვა ის წამი, როდესაც ჯერ ისევ შეეძლო, თავი დაეღწია ქალბატონი ოოტასაგან, მერე კი თანდათან მოეშვა, მდორე ნეტარების მორევში ჩაიძირა.

მიუხედავად ამისა, სულის სიღრმეში რაღაც მწარე ნაღველივით ჰქონდა ჩაწოლილი... ვინ იცის, ჩიკაკოსა და ინამურას ქალიშვილის ამბავიც იქნებ სწორედ იმ დროს წამოროშა, როცა ამ მდგომარეობიდან გამოსვლას, გულიდან ამ მწარე ნაღვლის ამოღებას ლამობდა.

მაგრამ მისი ეს ნაღველი მეტისმეტად მომწამვლელი აღმოჩნდა. გრძნობდა, თანდათან საკუთარი თავის მიმართ სიძულვილით როგორ იმსჭვალებოდა, სინანული და თითზე

კბენანი კი შეუძლებელი გამხდარიყო, ვინაიდან ეს სინანული მის გულში ზიზღს კიდევ უფრო გაზრდიდა, ქალბატონ ოოტას კი უამრავ სისაძაგლესა და გულმოსაკლავს ეტყოდა.

– რაც იყო, იყო, – თქვა ქალბატონმა ოოტამ, – დავივიწყოთ, ვითომც არაფერი მომხდარა.

– რა თქმა უნდა, უბრალოდ, მამაჩემი გაიხსენეთ, ეგ არის და ეგ.

– ღმერთო ჩემო!

ქალმა ბალიშიდან თავი წამოწია და ვაჟს გაოცებულმა შეხედა. პირქვე წოლისა და ცრემლისაგან ქუთუთოები დასწითლებოდა, თვალის კაკლებიც კი შემღვრეოდა. მიუხედავად ამისა, კიკუჯიმ შეამჩნია, დიდი, ფართოდ გახელილი თვალები ჯერ ისევ განცდილი ნეტარების მსუბუქი ჩრდილით ჰქონდა ჩაბინდული.

– აბა, რა გითხრათ, სათქმელიც კი არაფერი მაქვს... ღმერთო, რა საცოდავი ვარ...

– ცრუობთ! ყველაფერი ის უკვე დაგავიწყდათ! – კიკუჯიმ კიმონოს კალთები უხეშად გადაუწია და მკერდი გაუშიშვლა, – სხვათა შორის... მაგრამ თქვენ ხომ ტყირპი არა გაქვთ! რომ გქონდეთ, არც თქვენ დაგავიწყდებოდათ... ასეთი რამ ადამიანს არასოდეს ავიწყდება.

თქვა და თავისმა ნათქვამმა თვითონვე გააოცა.

– არა, არა, არ გინდათ, ასე ნუ მიყურებთ, მე ხომ უკვე ახალგაზრდა აღარა ვარ...

ვაჟმა ზედა ტუჩი ნადირივით წინ წამოსწია და ქალის მკერდს დაეწაფა.

და ისევ მოაწყდა ტალღა ტალღას.

მერე კიკუჯის მშვიდად ჩაეძინა.

ძილში ჩიტების ჭიკჭიკი ჩაესმა და ასე ეგონა, მის ცხოვრებაში ეს პირველი შემთხვევა იყო, ჩიტების ჭიკჭიკზე რომ გაეღვიძა.

დილის ნისლმა ალბათ მწვანედ შეფოთლილი ხეები განბანა, მერე ნისლმა მის გონებაშიც შეაღწია და ყოველგვარი ფიქრი და აზრი პირწმინდად ჩამორეცხა.

ქალი ვაჟისაკენ ზურგშებრუნებული იწვა. მაინც როდის იბრუნა გვერდი?.. იდაყვზე წამოწეულმა, რატომღაც ძალზე დამორცხვებულმა კიკუჯიმ მძინარე ქალს ჩამავალი მზის შუქით მოვარაყებულ სახეში ფრთხილად ჩახედა.

5.

ჩიკაკოს მიერ მოწყობილი ჩაის იმ ცერემონიალის შემდეგ თითქმის მთელი ორი კვირა იყო გასული, რომ ერთ მშვენიერ დღეს კიკუჯის ქალბატონი ოოტას ქალიშვილი ეწვია.

ვაჟი მოუსვენრად აწრიალდა, ქალიშვილი სასტუმრო ოთახში შეიყვანა, თვითონ სასადილო ოთახში გავიდა, ბუფეტი გამოაღო და ნამცხვარი თეფშზე თავისი ხელით დაალაგა, მაგრამ ვერა და ვერ დამშვიდდა. ნუთუ მარტო მოვიდა ფუმიკო? იქნებ ქალბატონმა ოოტამ მის სახლში შემოსვლა ვერ გაბედა? იქნებ დგას ახლა ქუჩაში და ელოდება?

სასტუმროში შემობრუნებული კიკუჯის დანახვაზე ქალიშვილი სავარძლიდან წამოდგა. თვალებდახრილს ლამაზი, სავსე ბაგეები მოეკუმა, ოდნავ წამოწეული ქვედა ტუჩი უფრო თხელი და ნატიფი უჩანდა.

– ბოდიშს ვიხდი, რომ გალოდინეთ.

კიკუჯიმ ქალიშვილს ზურგს უკან შემოუარა და ბაღში გამავალი მინის კარი გასწია.

გვერდით რომ გაუარა, ლარნაკში ჩაწყობილი თეთრი იორდასალამების ძლივს შესამჩნევი სურნელი შეიგრძნო. თითქოს თავისი მრგვალი მხრების გაშლისა ეშინიაო, ფუმიკო კიდევ უფრო მოიბუზა, მხრებში აიწურა.

– დაბრძანდით, – თქვა კიკუჯიმ და სავარძელში პირველი ჩაეშვა.

მერე უცებ სრულიად დამშვიდდა – დედა-შვილის საოცარი მსგავსების გამო ქალიშვილის მიმართ ერთბაშად არაჩვეულებრივი სითბო და სიახლოვე იგრძნო.

– ვიცი, არასწორად ვიქცევი, – წარმოთქვა ქალიშვილმა ისე, თავი არ აუწევია, – არ უნდა მოვსულიყავი.

– რას ბრძანებთ!.. მოხარული ვარ, ასე იოლად რომ მომაგენით.

– დიახ...

მაგრამ, დაბომბვის დროს ფუმიკოს ხომ არაერთხელ მოუცილებია მამამისი სახლის კარამდე!

ეს ლამის უთხრა კიდეც კიკუჯიმ, მაგრამ თავი შეიკავა და მხოლოდ შეხედა.

და აი, თითქოს ზაფხულის თბილ წვიმაში მოხვდაო, მთელ ტანში სითბომ დაუარა – ისევ მოაწყდნენ მის სხეულს ქალბატონი ოოტასაგან წამოსული ვნების ტალღები... რა უფიქრელად, რა ნაზად, როგორ მთელი არსებით დამნებდა... მეც რა დამცხრალი, რა დაამებული ვიყავიო, გაიფიქრა.

ყოველივე ამის, იმ მაშინდელი დაამების, იმ დაოკების გამო ფუმიკოსთან თავს ახლა სრულიად მშვიდად გრძნობდა. დაძაბულობამ უკვე გაუარა, მიუხედავად ამისა, ქალიშვილს თვალს ვერ უსწორებდა, სახეში შეხედვას ვერ უბედავდა.

– იცით... – დაიწყო ფუმიკომ, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა და ვაჟს ერთხანს ასე გაჩუმებული მიაჩერდა, – თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს... თქვენთან დედაჩემის გამო მოვედი...

კიკუჯიმ სუნთქვაც კი შეწყვიტა.

– გთხოვთ, აპატიოთ დედას.

– ვაპატიო?! რა? რა უნდა ვაპატიო?! – გულწრფელად გაიოცა კიკუჯიმ, მაგრამ იმავე წუთს მიხვდა, რომ ქალბატონი ოოტა, როგორც ჩანს, სრულიად გულახდილი იყო ქალიშვილთან, – თუ ასეა, თუ ვინმემ ვინმეს უნდა აპატიოს, საპატიებელი მე უფრო ვარ, – თქვა ბოლოს კიკუჯიმ.

– არა, არა, გთხოვთ, აპატიოთ... თუნდაც მამათქვენის გამო...

– აკი გითხარით, თუ ასეა, პატიებას მე უნდა ვითხოვდე... ისე, კაცმა რომ თქვას, ვინღა აპატიოს? დედაჩემი რა ხანია ცოცხალი აღარ არის...

– ჰო, მაგრამ... იცით... იქნებ დედაჩემია დამნაშავე, თქვენი მშობლები ასე უდროოდ რომ დაიხოცნენ... ჯერ მამა გარდაიცვალა, მერე დედა... მე ეს ასედაც ვუთხარი დედაჩემს.

– რატომ, რატომ უთხარით? ნუთუ ოდნავ მაინც არ შეგებრალათ? ის ხომ არაფერ შუაშია?

– მათზე ადრე დედა რომ გარდაცვლილიყო, ალბათ ყველასთვის უკეთესი იქნებოდა...

ამ სიტყვების წარმოთქმისას ფუმიკო, ეტყობა, სირცხვილისაგან იტანჯებოდა. კიკუჯი, ცხადია, მიხვდა, რომ ფუმიკო მასზე – კიკუჯიზე ლაპარაკობდა! ადვილი წარმოსადგენია, ეს ამბავი რა შეურაცხმყოფელი, როგორი დამამცირებელი უნდა ყოფილიყო ამ ახალგაზრდა ქალისათვის.

– გთხოვთ... ძალიან გთხოვთ, აპატიოთ! – გაიმეორა უკიდურესობამდე სასოწარკვეთილმა ფუმიკომ.

– ნეტავი რა პატიებაზეა ლაპარაკი! პირიქით, მადლობელიც კი ვარ დედათქვენის, – მტკიცედ, გარკვევით წარმოთქვა კიკუჯიმ.

– ისაა... ისაა ყველაფერში დამნაშავე! ღმერთო ჩემო, რა აუტანელი, რა საშინელი ქალია დედაჩემი! – ფუმიკოს ხმა უთრთოდა, სიტყვა ყელში ეჩხირებოდა, – ძალიან გთხოვთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, თავი დაანებეთ, დაივიწყეთ... სულ დაივიწყეთ! გთხოვთ, გემუდარებით!

და კიკუჯი მიხვდა, «აპატიეო» – რა ღრმა აზრს დებდა ამ სიტყვაში ფუმიკო: – არათუ ნუ დაადანაშაულებ, დაივიწყე, სრულიად ნუ შეეხები, ნუ ააფორიაქებ, მოსვენებას ნუ დაუკარგავო.

– და კიდევ... ძალიან გთხოვთ, ტელეფონზე ნუ დაურეკავთ, იცით, ნურასოდეს ნუ დაურეკავთ...

ამ სიტყვებზე ფუმიკოს სახე წამოენთო, თითქოს ცდილობს, როგორმე სასოწარმკვეთ სირცხვილს სძლიოსო, თავი ასწია და კიკუჯის თვალებში ჯიქურ შეხედა. ნათელი, დიდი, ლამაზი თვალები ცრემლითა და უსიტყვო ვედრებით ჰქონდა სავსე. მათში სიძულვილის ნატამალიც არ ჩანდა.

– ყველაფერი გასაგებია... გთხოვთ, მაპატიოთ, – უთხრა ქალს კიკუჯიმ.

– გემუდარებით!..

ჭარბად მორეულმა სიწითლემ თანდათან მაღალი, თეთრი

კისრისაკენ ჩაინაცვლა, კიმონოს თეთრით გაწყობილ საყელომდე ჩააღწია, რომელიც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენდა ქალიშვილის თეთრი, გედივით მაღალი, ყარყარა ყელის სილამაზეს.

– დედა შეგპირდათ, მოვალო, მაგრამ მე არ გამოვუშვი... ჯერ არ მიჯერებდა, წამოსასვლელად იწევდა, მე კი ხელები მაგრად მოვხვიე და ძალით დავაკავე...

ქალიშვილს ხმა ახლა ცოტა უფრო დაწყნარებული ჰქონდა, ისე აღარ ღელავდა.

სასტუმროში გატარებული იმ ღამიდან სამი დღე რომ გავიდა, კიკუჯიმ ქალბატონ ოოტას დაურეკა. აშკარა იყო, ტელეფონის ზარმა ქალი საოცრად გაახარა. შეთანხმების თანახმად, ისინი ერთმანეთს კაფეში უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ ქალბატონი ოოტა იმ დღეს კაფეში არ მისულა.

მას შემდეგ კიკუჯის აღარც დაურეკავს და აღარც უნახავს ქალბატონი ოოტა.

– მერე კი ძალიან შემეცოდა დედა. მაგრამ იმწუთას გიჟივით ვიყავი, მხოლოდ იმას ვფიქრობდი, როგორმე დამეკავებინა, არ გამომეშვა. სულ იმას მეხვეწებოდა, თუ არ გამიშვებ, დაურეკე მაინც, ის მაინც უთხარი, ვერ მოვაო... ერთი პირობა, ვიფიქრე კიდეც, რაც არის, არის, ავდგები და დავურეკავ-მეთქი, ყურმილიც ავიღე, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამომდიოდა. დედა კი იჯდა, ტელეფონს შეჰყურებდა და ტიროდა. თქვენ ხომ შეხვდით, ხომ ნახეთ, როგორია ჩემი დედა?..

– აი, ჩაის ცერემონიალის შემდეგ თქვენ რატომღა მიატოვეთ? რატომ წახვედით? ხომ იცოდით, ჩემ გამო დარჩა, მე მელოდა?

– მინდოდა, დალაპარაკებოდით... მინდოდა, გაგეგოთ, რომ არც ისეთი ცუდი ადამიანია...

– ცუდი?! რას ბრძანებთ! მხოლოდ კარგი კი არა, ძალზე კარგი ადამიანია!

ქალიშვილმა თვალები დახარა: პატარა, ლამაზი ცხვირი, მსხვილი, სავსე ტუჩები, სახის ოვალი არაჩვეულებრივად ნატიფი, დედასავით მომრგვალო...

– იცით, უწინ ზოგჯერ თქვენზეც მიფიქრია... ვიცოდი,

ქალბატონ ოოტას ქალიშვილი ჰყავდა, ვიდექი და ვოცნებობდი, სულ იმაზე ვფიქრობდი, მე და ის ქალიშვილი ერთმანეთს როგორ შევხვდებოდით და მამაჩემზე როგორ ვისაუბრებდით...

ფუმიკომ თავი დაუქნია:

– ზოგჯერ მეც ვფიქრობდი ამაზე...

კიკუჯი დაღონდა – ქალბატონ ოოტასა და მას შორის ის ამბავი რომ არ მომხდარიყო, დაჯდებოდა ახლა ამ გოგოსთან და მამაზე საუბარს მოურიდებლად გაუბამდა.

მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ეს ამბავი უკვე მოხდა, კიკუჯიმ ყველაფერი შეუნდო ქალბატონ ოოტას, ყველაფერი გულწრფელად, მთელი სულითა და გულით აპატია. ის კი არა, ამ ქალთან ურთიერთობის გამო ახლა მამასაც აღარ ძრახავდა, თუმცა ეს ყოველივე, კაცმა რომ თქვას, იქნებ ამაზრზენიც იყო.

ფუმიკოს, ეტყობა, გაახსენდა, რა ხანია აქა ვზივარო და უცებ აწრიალდა, სავარძლიდან სასწრაფოდ წამოდგა.

ქალიშვილის გასაცილებლად კიკუჯიც ადგა.

– ნეტავი ისეთი დღე დადგებოდეს, დავმსხდარიყავით ჩვენთვის მშვიდად და დედათქვენის კეთილშობილებაზე წყნარად გვესაუბრა, მამაც გაგვეხსენებინა, რა კარგი იქნებოდა, არა? – თქვა კიკუჯიმ და ნათქვამმა თვითონვე გააკვირვა. მაგრამ ახლა იგი სულაც არ ცრუობდა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ეს აზრი საკმაოდ უჩვეულო, ის კი არა, უცნაურიც იყო.

– დიახ. კარგი იქნებოდა, მაგრამ თქვენ ხომ სულ მალე ცოლი უნდა ითხოვოთ?

– ცოლი?

– იუკიკო ინამურაზე დედამ ყველაფერი მითხრა. ხომ ნახეთ, ხომ იყავით მის სანახავად?

– სანახავად? არა, მთლად ასეც არაა...

კიკუჯის სახლის ჭიშკარს ოდნავ გასცდებოდი თუ არა, თავდაღმართი იწყებოდა და შუა გორაზე გზა მიხვეულ-მოხვეულებში იკარგებოდა. ამ ადგილიდან სახლი უკვე აღარ ჩანდა, მხოლოდ ბაღში ატყორცნილი ხის მაღალი კენწეროები იხატებოდა ცის ფონზე.

ქალიშვილის სიტყვებმა კიკუჯის ის მეორე – ფუროშიკიზე ათასფრთა თეთრწეროამოქარგული ქალიშვილი გაახსენა.

ფუმიკო შეჩერდა, გამოემშვიდობა.

კიკუჯიც მიტრიალდა და აღმართ-აღმართ მიმავალ გზას ნელა აუყვა.

მზის ჩასვლა ტყეში

1.

ჩიკაკომ კიკუჯის სამსახურში დაურეკა. ყურმილში მისი ხმა რომ გაიგონა, კიკუჯის გაოცებისაგან სახე დაუგრძელდა.

– დღეს ალბათ პირდაპირ შინ წამოხვალთ?

– ვერ გეტყვით, ჯერ არ ვიცი...

კაცმა რომ თქვას, ამ წუთამდე კიკუჯი ნამდვილად არ აპირებდა არსად გავლას, ახლა კი, ცოტა არ იყოს, შეყოყმანდა.

– მამათქვენის ხათრი და პატივისცემა თუ გაქვთ, ძალიან გთხოვთ, ნურსად გაივლით, პირდაპირ წამოდით. ყოველ ამ დღეს მამათქვენი ჩაის ცერემონიალს აწყობდა. იცით, დილას აქეთია, სულ ამაზე ვფიქრობ... ისე ვღელავ და ვნერვიულობ, ერთ ადგილას ვერ ვჩერდები.

კიკუჯიმ არაფერი უპასუხა.

– სანამ მე... ალო, ალო! მისმენთ? სანამ აქ ჩაის პავილიონს ვალაგებდი, ვიფიქრე, მოდი, ავდგები და რაღაც საჭმელს მოვამზადებ-მეთქი...

– კი მაგრამ, ახლა საიდან რეკავთ?

– აქა ვარ... თქვენს სახლში ვარ. ბოდიშს ვიხდი, მაშინვე რომ ვერ გითხარით.

კიკუჯი გაოცებული უსმენდა.

– გამახსენდა, დღეს რა დღე იყო და გულმა აღარ მომითმინა, ახლავე თუ არ წავედი, ის ჩაის პავილიონი თუ არ მივალაგ-მოვალაგე, ვერ მოვისვენებ-მეთქი. რა თქმა უნდა, თქვენც თუ

ნებას დამრთავდით. ცოტა ადრე უნდა დამერეკა, გამეფრთხილებინეთ, მაგრამ... მართალი გითხრათ, მეშინოდა, კიკუჯი-სან, ვაითუ უარი გეთქვათ...

მამის სიკვდილის შემდეგ ჩაის პავილიონი თითქმის გამოუყენებელი იყო. ხანდახან დედა თუ შევიდოდა. წაიღებდა თუჯის ჩაიდნით მდუღარეს და იჯდა და იჯდა თავისთვის, მარტოდმარტო, ცეცხლსაც არ ანთებდა კერიაზე. ნეტავი რა უნდოდა, რას აკეთებდა იმ სიჩუმესა და მარტოობაში? ალბათ თავის საფიქრალს თუ ფიქრობდა... როცა იგი ჩაის პავილიონში ჩაიკეტებოდა, კიკუჯი მუდამ ღელავდა, ეჭვი არ ეპარებოდა, დედა ამ დროს არცთუ სასიამოვნო ფიქრებით იყო გარემოცული.

რამდენჯერ უფიქრია ამაოდ, შევალ, მეც მასთან ერთად დავჯდებიო, მაგრამ...

სანამ მამა ცოცხალი იყო, ჩაის პავილიონში ჩიკაკო ფარფაშებდა, დედა იქ თითქმის არასოდეს შედიოდა.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ კი პავილიონის კარი სულ გამოკეტილი იყო. ხანდახან მათი ძველი, ამ სახლს შებერებული მოსამსახურე ქალი თუ გააღებდა და გაანიავებდა, ისიც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ.

– არა, მაინც რამდენი ხანია, ეს ჩაის პავილიონი არავის დაულაგებია? ტატამი იმდენი ვწმინდე, იმდენი ვასუფთავე, მაგრამ ობის სუნი ვერა და ვერ მოვაცილე. ასე როგორ შეიძლება?! – ახლა უკვე უკმეხად გააბა ჩიკაკომ, – სანამ მე ამ რეცხვასა და წმენდაში ვიყავი, ვიფიქრე, რაღაც საჭმელს მაინც მოვამზადებ-მეთქი, მაგრამ ასე სახელდახელოდ რას გავაწყობდი?! თქვენს სახლში, სანთლითაც რომ ეძებო, სურსათ-სანოვაგის მსგავსსაც ვერაფერს იპოვი! მიუხედავად ამისა, ცოტა რამ მაინც მოვახერხე. ამიტომაც გთხოვეთ, სამსახურის მერე ნურსად გაივლით, მაშინვე შინ წამოდით-მეთქი.

– ჰმ... მართალი გითხრათ, გამაოცეთ...

– მარტო ალბათ მოგეწყინებათ, რომელიმე თქვენს ამხანაგს ხომ არ წამოიყვანდით? ვთქვათ, რომელიმე თქვენს თანამშრომელს?

– აი, ეგ კი ნამდვილად არ გამოვა, ჩაის ცერემონიალის მცოდნე და მოყვარული მე აქ არავინ მეგულება.

– თუ არ ესმით და არ იციან, კიდევ უკეთესი! მე ხომ ყველაფერი საგანგებოდ არ მომიმზადებია! უბრალოდ, გამოგვივლიან და ეგ არის...

– არა, არა, არ გამოვა! – გაიმეორა კიკუჯიმ ჯიუტად.

– ჰოო? ძალიანაც საწყენია!.. მაშ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ვინმე მამათქვენის მეგობარი ხომ არ დავპატიჟოთ? თუმცა არა, მათი ასე მოპატიჟება, რა თქმა უნდა, უხერხულია. აჰ, მგონი მოვიფიქრე! გინდათ, ინამურა-სანის ქალიშვილს დავურეკავ?

– კარგი ახლა, გეყოფათ! არავინ მჭირდება.

– კი მაგრამ, რატომ? ეს ხომ მართლაც დიდებული იქნება! სხვათა შორის, ქალიშვილის ოჯახი დიდად დაინტერესებულია თქვენთვის ცნობილი იმ საკითხით. არა, აბა ერთი დაფიქრდით, რა მშვენივრად აეწყო ყველაფერი – დასხდებით, ისაუბრებთ, ერთხელ კიდევ ახედ-დახედავთ, შეათვალიერებთ ერთურთს... მოკლედ, ახლავე დავურეკავ. რას იტყვით, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? თუ მოვა, ხომ...

– რა თქმა უნდა, წინააღმდეგი ვიქნები! საერთოდაც, კმარა, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს! – კიკუჯის ლამის სუნთქვა ეკვროდა აღშფოთებისაგან, – არაფერი არ მინდა, გესმით, არაფერი არ მინდა! არ მოვდივარ... სახლში არ მოვდივარ!

– კარგი, კარგი... რა თქმა უნდა, ეს ამბავი ტელეფონში სალაპარაკო არ არის, ამაზე სხვა დროს იყოს, სხვა დროს ვილაპარაკოთ... ესე იგი, სამსახურის მერე პირდაპირ სახლში მოხვალთ?

– როგორ თუ, ესე იგი? აკი გითხარით...

– კი, მითხარით, როგორ არ მითხარით... ჰოდა, ჩათვალეთ, რომ მეც ავდექი და პატარა სიურპრიზი მოგიმზადეთ.

ჩიკაკოს აბეზარი, ბანგივით შემპარავი ხმა კიკუჯის სულში უძვრება და თითქმის ცხადლივ ხედავს – ჩიკაკოს კიმონოს კალთები გადაუწევია, მარცხენა ძუძუ შავი, უზარმაზარი ტყირპითა აქვს დაფარული.

თავი უცებ ისეთ ბუბუნს უწყებს, რომლითაც ახლა ის

უკაცრიელი პავილიონია სავსე, ჩიკაკო რომ ხეხავს, ფხეკს და ასუფთავებს... ცოცხის გულისამრევი ფხაკაფხუკი, სველი ტილოს ტყლაპუნი პირდაპირ საფეთქლებში ურტყამს.

და ისევ ევსება გული ამ ქალის სიძულვილით... მარტო იმის გაფიქრებაც კი, ჩემ დაუკითხავად ქურდულად შეიპარა ჩემს სახლში, წმენდს, ალაგებს, სამზარეულოში რაღაც სასმელ-საჭმელს ამზადებსო, კიკუჯისათვის უკვე აუტანელი ხდება.

მხოლოდ პავილიონი რომ დაელაგებინა, ყვავილები რომ ჩაეწყო, ჯანდაბას, მოითმენდა მამის ხათრით, ამას კი...

მიუხედავად ამისა, ჭაბუკის ბრაზით გასიებულ, ცოფმორეულ გულში იუკიკო ინამურას სახე სინათლის სხივივით იჭრება...

მამის გარდაცვალების შემდეგ კიკუჯიმ ჩიკაკოსთან თითქმის ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. მაშინ ეს როგორღაც თავისთავად მოხდა. ახლა ალბათ ფიქრობს, ამ ნორჩი, მშვენიერი იუკიკოს მეშვეობით დაკარგული ნდობა აღიდგინოს, მათ ოჯახში კვლავ მეგობრად და შინაურად მოტრიალდეს!

ჩიკაკოს დღევანდელი საქციელი, ერთი შეხედვით, თითქოს არაფრად ჩასაგდები, ღიმილის მომგვრელი უფრო იყო, მაგრამ მისი ეს დაჟინება ეჭვში აგდებდა კიკუჯის, აიძულებდა უფრო ფრთხილად და ყურადღებით ყოფილიყო.

და იყო კიდევაც, ვინაიდან თავს პირშავად გრძნობდა. ეს რომ არა, ჩიკაკოს ამ უტიფარ დარეკვას სულაც არაფრად ჩააგდებდა, ერთი გემრიელად შეუკურთხებდა და მორჩა! ახლა კი ხეირიანად გაბრაზებასაც ვერ ბედავდა, გულში შეპარული ზადი ბოჭავდა, სითამამესა და გაბედულებას უკარგავდა – ეტყობა, რაღაც იყნოსა, იცის, ჩემი ეს სისუსტე საიდანაც მოდის, თავის ახალ მსხვერპლს გახარებული თავს მესხმის, პირდაპირ სახლში მივარდებაო.

კიკუჯი სახლში წასვლას არ ჩქარობდა, სამსახურის შემდეგ ერთხანს გინძაზე[40] ისეირნა და ბოლოს ერთ პატარა ბარში შევიდა.

მაგრამ ჩიკაკო, რა თქმა უნდა, მართალი იყო – ადრე იქნებოდა თუ გვიან, შინ ხომ უნდა მისულიყო?! მიუხედავად ამისა, დროს განგებ აჭიანურებდა, გულს ეჭვის ჭია უღრღნიდა.

კაცმა რომ თქვას, ვითომ საიდან უნდა სცოდნოდა ჩიკაკოს, იმ ღამეს, ჩაის ცერემონიალის შემდეგ, სასტუმროში რა მოხდა? ანდა იქნებ უკვე მოასწრო, იქნებ უკვე შეხვდა კიდეც ქალბატონ ოოტას?

და მაინც, ჩიკაკოს ზარი, მისი მომთხოვნი, თავხედური კილო აფიქრებინებდა, რომ ეს ყოველივე მხოლოდ მისი ახირებული ხასიათიდან არ მომდინარეობდა და ამის უკან სხვა რაღაც უფრო მნიშვნელოვანი იმალებოდა.

ანდა იქნებ ეს პრელუდია იყო – ინამურას ქალიშვილისა და მისი ურთიერთობის შემდგომი განვითარების ჩიკაკოსეული პრელუდია?

კიკუჯის ბარში გული აღარ გაუჩერდა, პირდაპირ სადგურისკენ გასწია.

ელექტრომატარებელში იგი ფანჯარას მიუჯდა და ქვევით, რკინიგზის ვაკისზე სწორკუთხად მობჯენილ, აქეთ-იქით ხეებჩაყოლებულ ფართო პროსპექტს ყურება დაუწყო.

იურაკუტიესა და ტოკიოს სადგურებს შორის პროსპექტი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართებოდა. უკვე საღამოსპირი იდგა, ჩამავალი მზის სხივებზე ასფალტი მეტალის ზედაპირმოპრიალებული ზოდივით ელავდა. კიკუჯი ხეებს მზის მოპირდაპირე მხრიდან გაჰყურებდა, ამიტომაც სიმწვანე უფრო მუქი და მსუყე, ჩრდილი კი უფრო გრილი და სასიამოვნო ეჩვენებოდა. ტანაყრილ, ხშირი ფოთლით შემოსილ ხეებს ფართოდ გადაეხსნათ თავიანთი ლაღი, ღონიერი ტოტები. პროსპექტის ორივე მხარეს მკვიდრი, ქვით ნაგები ევროპული ყაიდის შენობები იყო ჩარიგებული. ქვეყანა თითქოს გაუკაცრიელებულიაო – არ იყო არც მანქანები, არც ფეხით მოსიარულეთა ჭაჭანება. იყო მხოლოდ უდაბურება, მხოლოდ მდუმარება, ჩამავალი მზის სხივებში მოლაპლაპე ასფალტის საოცრად შიშველი ზოლი და მის გადაღმა, შორს, ჰორიზონტთან, ლანდივით აღმართული იმპერატორის სასახლის კედლები.

ხალხით გაჭედილ, შემაძრწუნებლად რეალურ ელექტრომატარებლის ვაგონს არაფერი ჰქონდა საერთო იდუმალებით მოცულ ამ მდუმარე საღამოსთან. მხოლოდ პროსპექტი მოლივლივებდა ირეალური საღამოს ზღაპრულ ბინდბუნდში.

და აი, თვალწინ ერთბაშად იუკიკო წარმოუდგა... აი, იგი ხეივანში წყნარად მოაბიჯებს, ხელში კრეპდეშინის ღია ვარდისფერი ფუროშიკი უჭირავს, ფუროშიკიზე ათასფრთიანი თეთრი წეროა ამოქარგული... საოცარი ის არის, თავად ქალიშვილს კი არა, ყველაზე უფრო ნათლად ღია ვარდისფერ ფუროშიკისა და ათასფრთიან თეთრ წეროს ხედავს.

კიკუჯის გრილმა სიომ დაჰბერა.

და როდესაც გაიფიქრა, ის ქალიშვილი ახლა ალბათ ჩემს სახლში ზის, მელოდებაო, გული ტკბილად აუძგერდა.

საინტერესოა, რას ფიქრობდა, მაინც რა მიზანი ჰქონდა ჩიკაკოს – ჯერ თანამშრომლების მოწვევა მოისურვა, მაგრამ უარი რომ მიიღო, იუკიკო დაპატიჟეო, მხოლოდ მერეღა შესთავაზა... არა, ამ ქალისა ვერაფერი გაეგო კიკუჯის!

შინ რომ მივიდა, ჩიკაკო მის შესაგებებლად წინკარში გამოვარდა.

– მარტო ხართ?

კიკუჯიმ თავი დაუქნია.

– ძალიან კარგი! აქ კი აი, რა ხანია გელოდებიან, – უთხრა და ჩანთა და შლაპა ჩამოართვა. – ალბათ სადღაც შეიარეთ?

«ეტყობა, სახეზე შემატყო, რომ ნასვამი ვარ», – გაიფიქრა კიკუჯიმ.

– მაინც სად იყავით? – განაგრძო ჩიკაკომ, – ცოტა ხანში კიდევ დაგირეკეთ, მითხრეს, წავიდაო... საათი დავინიშნე, გამოვთვალე, გზაში რა დრო დაგჭირდებოდათ, თქვენ კი აგერ...

– პირდაპირ მაოცებთ! – თქვა და: – «დრო კი დანიშნა, მაგრამ აი, მის სახლში მისი ნებართვის გარეშე რომ შემობრძანდა, როგორც მოეპრიანება, ისე დიასახლისობს და მასპინძლობს, ვითომც არაფერი, ბოდიშსაც არ იხდის!..» – გაიფიქრა კიკუჯიმ და თავისი ოთახისაკენ გასწია.

ჩიკაკო უკან აედევნა, უნდოდა ტანისამოსის გამოცვლაში მიხმარებოდა, მაგრამ მოსამსახურის მიერ გამზადებული კიმონოსაკენ ხელი რომ გაიწოდა, კიკუჯიმ უხეშად შეაჩერა:

– თავი დამანებეთ, მე თვითონ ჩავიცვამ! უხერხული არ არის,

სტუმარი ასე მარტო რომ მიატოვეთ?!

მერე პიჯაკი გაიხადა და თითქოს ჩიკაკოს გაურბისო, ტანსაცმლის გამოსაცვლელად საკუჭნაოში გავიდა... უკან რომ შემობრუნდა, უკვე კიმონოში იყო გამოწყობილი.

– აჰ, რა ხართ ეს უცოლო კაცები!.. მეტად მარჯვე და მოხერხებული ხალხი ბრძანდებით!

კიკუჯიმ რაღაც ჩაიბურდღუნა.

– ნეტავი არ მოგბეზრდათ ასე მარტოხელა ცხოვრება? განა ძნელი და მოსაწყენი არ არის? კმარა, გეყოფათ ეს...

– ძნელი რატომ არის? მე ამას კარგა ხანია შევეგუე, თან ზოგი რამ მამაჩემისგანაც ვისწავლე, გამოცდილება შევიძინე.

ჩიკაკომ ვაჟს ერთი ჯიქურ შეხედა და მაშინვე თვალი აარიდა. კიკუჯის დედისეულ სამზარეულო ხალათში გამოწყობილს სახელოები თითქმის იღლიებამდე ჰქონდა აკაპიწებული. უცნაური იყო მისი შიშველი მკლავები. ერთი კი არა, თითქოს სხვადასხვა ადამიანის მკლავის ნაწილებისაგან იყო აწყობილი – ხელის მტევანი უხეში და გაფიჩხული ჰქონდა, მაჯიდან იდაყვამდე სასიამოვნოდ შემრგვალებული, იდაყვიდან იღლიამდე სიმსუქნისაგან დანაკეცებული, სქელი, დონდლო და მოშვებული. კიკუჯი გაოცებული დარჩა. ეგონა, ჩიკაკოს კუნთმაგარი, მკვრივი, ღონიერი მკლავები ექნებოდა.

– ქალიშვილი ჯერჯერობით სასტუმრო ოთახში შევიყვანე, მერე კი ალბათ ჩაის პავილიონში გირჩევნიათ... – უთხრა ჩიკაკომ ახლა უკვე მშრალად, რამდენადმე ოფიციალურადაც კი, – ნეტავი ელექტროგაყვანილობა მოშლილი ხომ არ არის, რაღაც არ მაგონდება, პავილიონში სინათლე ყოფილიყო ანთებული.

– თუ ასეა, სანთლები აანთეთ. მგონი, ორიგინალურიც იქნება.

– სანთელი? არა, აბა, რა სასიამოვნოა!

ჩიკაკო უცებ შეკრთა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი გაახსენდაო:

– იცით, იუკიკოს რომ დავურეკე, მკითხა, დედასთან ერთად ხომ არ მოვიდეო? რა თქმა უნდა, დედასთან ერთად-მეთქი, ვუთხარი. მაგრამ ქალბატონ ინამურას გადაუდებელი საქმეები გამოუჩნდა და, გადავწყვიტეთ, მარტო მოსულიყო.

– გადავწყვიტეთო! «გადავწყვიტეთ» კი არა, თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ. მე თუ მკითხავთ, განგებ მოაწყვეთ ასე! საინტერესოა, რა იფიქრეს? არ იტყვიან, ეს რა უზრდელობაა, გვირეკავენ და ლამის გვიბრძანებენ, გინდა თუ არა, გვესტუმრეთო!

– შეიძლება... მაგრამ, მთავარია, იუკიკო უკვე აქ არის... ჰოდა, რახან მოვიდა და აქ არის, ესე იგი ჩვენს უზრდელობაზე ახლა უკვე ლაპარაკიც ზედმეტია.

– ვითომ რატომაო?!

– რატომ და უბრალოდ! დავურეკე თუ არა, მაშინვე მოირბინა, ესე იგი, თქვენი დაპატიჟება ძალიანაც გაუხარდა... ესე იგი დიდ ინტერესს იჩენს თქვენ მიმართ... რა მნიშვნელობა აქვს, ეს ამბავი გარეგნულად ლამაზად გამოიყურება თუ არა. დარწმუნებული ვარ, გავა დრო და ორივენი დიდ მადლობასაც მეტყვით – ამ ჩვენმა კურიმოტომ ეს რა ქნა, ეს რა ოინი ჩაიდინაო? კარგა გულიანადაც იცინებთ... მთავარია, ორმა ადამიანმა საერთო ნახოს, ერთმანეთს გაუგოს, როგორ და რანაირად, მერე ამას მნიშვნელობა აღარა აქვს. მე ეს ჩემი გამოცდილებით ვიცი.

ჩიკაკო ისე თავდაჯერებული ლაპარაკობდა, თითქოს ეუბნებოდა, ნეტავი რას ხტუნაობ, ხომ ვხედავ, შენს გულში რა ხდებაო!

– თქვენ რა, უკვე ელაპარაკეთ ამაზე?

– საერთოდ, კი.

ასე გეგონებოდა, ჩიკაკოს მოთმინება აღარ ჰყოფნის, კიკუჯის მოსვენებას არ აძლევს – გეყოფა, კარგი, გადაწყვიტე, ნეტავი რაღას აყოვნებო!..

კიკუჯი გალერეაში გამოვიდა და სასტუმრო ოთახისაკენ გასწია. ბროწეულის უშველებელ ხეს რომ ჩაუარა, სახის გამომეტყველების შეცვლას შეეცადა – რაც უნდა იყოს, უხერხულია, ქალიშვილს ასეთი ჩამჟავებული სიფათით ხომ არ გამოეცხადებოდა!

ბროწეულის ძირში შავად დაფენილმა მსუყე ჩრდილმა ძუძუზე გადღაბნილი შავი ტყირპი გაახსენა. ეს უსიამოვნო ზმანება რომ მოეშორებინა, კიკუჯიმ თავი გადააქნია. უკვე

საღამო ხანი იყო, სასტუმროს შესასვლელთან ბაღის ბილიკის ფილაქანზე ჩამავალ მზის სხივთა უკანასკნელი ანარეკლი ესვენა.

სასტუმრო ოთახის ყველა შიოჯი გაწეული იყო, იუკიკო ინამურა იქვე, თითქმის გალერეის შესასვლელთან იჯდა. კიკუჯის მოეჩვენა, ქალიშვილისაგან რაღაც მკრთალი ნათელი მოედინება, მისგან გამონაშუქი სინათლე უშველებელი ოთახის სიღრმეში ჩაწოლილ ბინდს ასხივოსნებსო.

ტოკონომაში დაბალ, ბრტყელ ლარნაკში ზამბახები ელაგა.

წითელი ზამბახები იყო ამოქარგული იუკიკოს ობიზეც. უბრალო დამთხვევაა? ალბათ არა, არც ისე შემთხვევითი – ზამბახი ხომ გაზაფხულის ნიშანია, მისი გავრცელებული სიმბოლო!

ოღონდ დაბალ, ბრტყელ ლარნაკში წითელი კი არა, მაღალღეროიანი, ვარდისფერი ზამბახები ეწყო. აშკარად ეტყობოდა, ყვავილები ახალთახალი დაკრეფილი იყო, ჩანს, ჩიკაკოს ის-ის იყო, შემოეტანა და ლარნაკში ჩაეწყო.

2.

კვირას, ანუ მეორე დღეს, წვიმდა.

გუშინდელი ჩაის ცერემონიალის დროს ნახმარი ჭურჭლის მისალაგებლად კიკუჯი ნასადილევს პავილიონში გავიდა.

ესეც რომ არა, უნდოდა ერთხანს იქ მარტო მჯდარიყო. იუკიკოს გახსენებაზე გული როგორღაც გაურკვეველი სევდით ევსებოდა, ასე ეგონა, პავილიონში ჯერ ისევ იუკიკოს სურნელი იტრიალებდა.

მოსამსახურეს ქოლგის ამოტანა უბრძანა და, გალერეიდან ქვით მოკირწყლულ ბილიკზე რომ გამოვიდა, უცებ შეამჩნია, სახურავქვეშ ერთ ადგილას წყლის სადინარი გახვრეტილიყო – ბროწეულის ხესთან წყალს მიწაზე ჩხრიალი გაჰქონდა.

– უსათუოდ უნდა შეკეთდეს, – უთხრა კიკუჯიმ მოსამსახურე ქალს.

– დიახ...

კიკუჯის გაახსენდა, წვიმიან ამინდებში ამ სადინარიდან წამოსული წყალი რა ხანია, ღამღამობით ძილს უფრთხობდა...

– თუმცა რა აზრი აქვს, ერთის შეკეთებას ვერ მოასწრებ, რომ უკვე მეორეა შესაკეთებელი. სანამ სულ დანგრეულა, მირჩევნია, ავდგე და დროზე გავყიდო ეს სახლი.

– ვისაც დიდი სახლი აქვს, ახლა ყველა ასე ამბობს, – თქვა პასუხად მოსამსახურემ, – აი, გუშინ აქ რომ ქალიშვილი იყო, სულ ის უკვირდა, ეს რამხელა სახლი გაქვთო. ალბათ ამ სახლში აპირებს ცხოვრებას?

მოსამსახურეს, ეტყობა, უნდოდა ერჩია, ეს სახლი არ გაყიდოო.

– გუშინ ეს კურიმოტო მასწავლებელმა წამოროშა, არა?

– დიახ, ქალიშვილი რომ მობრძანდა, ქალბატონმა მასწავლებელმა მთელი სახლი შემოატარა, ყველაფერი დაათვალიერებინა.

– ეშმაკმა არ იცის, რა ხდება!

იუკიკოს კი გუშინ ამაზე არაფერი უთქვამს.

ამ წუთამდე კიკუჯის ასე ეგონა, ჩემ მოსვლამდე მთელი იმ დროის განმავლობაში ქალიშვილი სასტუმრო ოთახში იჯდა, მერე კი ჩემთან ერთად პავილიონში იყოო. დღეს სწორედ ამიტომ მოესურვა, ერთხელ კიდევ გაევლო ეს გზა – გზა სასტუმროდან პავილიონამდე.

გუშინ ვერ იქნა და ვეღარ დაიძინა. დარწმუნებული იყო, ჩაის პავილიონში ახლაც იუკიკოს სუნამოს სუნი იქნებოდა, შუაღამის მიუხედავად, მზად იყო, ლოგინიდან წამომხტარიყო და პავილიონში გაქცეულიყო.

იქნებ როგორმე დავმშვიდდე, დავიძინოო, ძილის წინ ასჯერ მაინც გაიმეორა გუნებაში: «იუკიკო ჩემთვის მიუწვდომელია, სრულიად მიუწვდომელია»...

ახლა კი აი, უცებ იგებს, რომ მისი ეს «მიუწვდომელი» იუკიკო ჩიკაკოსთან ერთად გუშინ თურმე არხეინად დაბრძანდებოდა მის სახლში, ყველაფერს გულდაგულ ათვალიერებდა.

ბილიკ-ბილიკ პავილიონისაკენ გასწია. მანამდე კი მოსამსახურეს კერიისათვის ნაღვერდლის შემოტანა დაავალა.

ჩიკაკო საკმაოდ შორს – კატა-კამურაში ცხოვრობდა. აქედან გუშინ იუკიკოსთან ერთად წავიდა, ჩაის პავილიონის დალაგება მოსამსახურეს დაავალა.

კაცმა რომ თქვას, დასალაგებელი თითქმის არც არაფერი იყო: დააწყობდი კუთხეში მილაგებულ ჭურჭელს თავ-თავის ადგილას და მორჩა. მაგრამ კიკუჯი არცთუ ისე კარგად ერკვეოდა, სად რა უნდა დაედგა, სად რისი ადგილი იყო.

– რა თქმა უნდა, ჩიკაკომ ეს უკეთესად იცის... – თქვა კიკუჯიმ ხმამაღლა.

უცებ თვალში ტოკონომა მოხვდა. ტოკონომაში გრძელი, ვიწრო სურათი ეკიდა.

ეს იყო მენეიუკის პატარა მინიატიურა – ტუშით შეფერადებულ ფონზე ტუშითვე გამოყვანილი მქრქალი, ბუნდოვანი ხაზები.

– უკაცრავად, ვისი ნახატია, ხომ ვერ მეტყვით? – ჰკითხა გუშინ იუკიკომ.

კიკუჯიმ ვერაფერი უპასუხა.

– ღმერთმა უწყის... ლექსი არ არის, ულექსოდ კი... სხვათა შორის, ის ლექსებიც, რომლებისთვისაც ასეთი სურათები იხატება, ყველა ერთი სტილისაა, ერთმანეთს ჰგავს.

– ეს მენეიუკია, – ჩაერია საუბარში ჩიკაკო, – იგი აი, ამ ლექსისათვისაა დახატული:

«როგორ ხასხასებს ბებერი ფიჭვი...

მის მარად მწვანე წიწვებსაც კი

სულ სხვა ფერი აქვს გაზაფხულობით»...

მართალია, ახლა უკვე ამ სურათის დაკიდების სეზონი აღარ არის, მაგრამ მამათქვენი, კიკუჯი-სან, ხშირად დაჰკიდებდა ხოლმე ამ დღეს...

– რა უნდა გაიგო, მუნეიუკია თუ ცურაიუკი[41], მანერაზე მიხვდები თუ რა... – შეეკამათა გუშინ კიკუჯი ჩიკაკოს.

აი, ახლაც იდგა ამ სურათის წინ და სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ნახატის ავტორი მართლაც ძნელი გამოსაცნობი იყო – არც სტილი, არც ხელწერა... სამაგიეროდ,

ფუნჯის სუსტ, მქრქალ მონასმში იყო რაღაც ფარული სიუხვე, სიუხვე ძალმოსილი გაზაფხულისა. სურათიდან თითქოს სინედლის ძლივს შესამჩნევი სურნელი დიოდა.

კიკუჯის ეს სურათიც, ეს ლექსიცა და ბრტყელ ლარნაკში ჩაწყობილი ეს ზამბახებიც იუკიკოს აგონებდა.

– უკაცრავად, წყალს ვადუღებდი და შემაგვიანდა. ვიფიქრე, ცივი წყლის მიტანას, ჯობია მდუღარე მივიტანო-მეთქი, – უთხრა მოსამსახურემ და ზღურბლზე გადმოაბიჯა, ხელში საკერიე ნაღვერდალი და ადუღებული წყლით სავსე ჩაიდანი ეჭირა.

მაგრამ ჩაის დალევა აქ კიკუჯის აზრადაც არ მოსვლია. უბრალოდ, ცეცხლი უნდოდა აენთო, ვინაიდან პავილიონში საშინელი ობისა და ნესტის სუნი ტრიალებდა.

მოსამსახურე ქალის ცხოვრებაში კი, როგორც ჩანს, ანთებული კერია და ცეცხლზე შემოდგმული კარდალა განუყოფელი იყო. და აი, იმანაც ბეჯითად შეასრულა პატრონის ბრძანება.

კიკუჯიმ ნაღვერდალი კერიაზე დაუდევრად დაყარა. კარდალა კერიის თავზე ჩამოკიდა.

ჩაის ცერემონიალის ყოველგვარ წეს-ჩვეულებას მამისგან იგი ბავშვობიდან იყო მიჩვეული, თუმცა თვითონ ამით გატაცებული არასოდეს ყოფილა. გინდა თუ არა, ისწავლეო, არც მამას დაუძალებია როდისმე.

აი, ახლაც კარდალაში წყალი უკვე თუხთუხებდა, ის კი ისევ დაბნეული იჯდა. ბოლოს ისღა მოახერხა, ხელი გაეწოდებინა და კარდლის სახურავი ოდნავ გაეწია.

ტატამს ნესტი ისე ჰქონდა გამჯდარი, პავილიონიდან ობის სუნი ვერა და ვერ გავიდა, ვერ განიავდა.

მქრქალი ფერის კედლები, რომლებიც გუშინ ასე მშვენივრად ეხამებოდა იუკოკოს ნატიფ ფიგურას, დღეს საოცრად მოსაწყენი და უღიმღამო ეჩვენებოდა.

გუშინ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოსდა სტუმრად ევროპულ ოჯახში აღზრდილი ქალიშვილი სწვეოდეს, რომელსაც ოდენ ზრდილობის გამო ჩაეცვა კიმონო.

– თავისი ამ მოულოდნელი, არცთუ ისე თავაზიანი

მოპატიჟებით ალბათ რამდენი საზრუნავი გაგიჩინათ კურიმოტომ. ჩაის პავილიონში თქვენი ეს მიღებაც მისი იდეა გახლავთ! – უთხრა გუშინ კიკუჯიმ იუკიკოს.

– ქალბატონმა მასწავლებელმა ბრძანა, რომ თქვენს ოჯახში დღეს გახსენების დღეა – მამათქვენი თურმე მუდამ ამ დღეს აწყობდა ჩაის ცერემონიალს.

– მგონი, ასეა... მართალი გითხრათ, ამ დღისა და ამ ჩაის ცერემონიალისათვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია. ეტყობა, დღესაც ამიტომ არ გამახსენდა.

– ხედავთ, მე კი სწორედ ამ დღისათვის მივიღე მოპატიჟება... იქნებ ქალბატონმა მასწავლებელმა ჩემი გამასხარავება გადაწყვიტა? მე ხომ ძალიან ცუდად ვერკვევი ჩაის ცერემონიალში... თანაც, ამ ბოლო დროს იმდენი გაკვეთილი გავაცდინე...

– რას ბრძანებთ! თვითონ კურიმოტოსაც ეს ამბავი მხოლოდ დღეს დილას გაახსენდა და აქაურობის დასალაგებლად მაშინვე აქეთ გამოეშურა. ხედავთ, პავილიონში როგორი ნესტია, როგორი ობის სუნი ტრიალებს? – კიკუჯი წუთით შეყოყმანდა, – მაგრამ... მაგრამ, ჩვენ თუ გაცნობა გვეწერა, უმჯობესია სხვაგან, სხვაგვარად გაგვეცნო ერთმანეთი, კურიმოტოს ჩაურევლად... თქვენ წინაშე, ინამურა-სან, მართალი გითხრათ, თავს დამნაშავედ ვგრძნობ.

– რატომ? ქალბატონი მასწავლებელი რომ არა, ჩვენ ალბათ ვერასოდეს შევხვდებოდით.

დიახ, ეს სრული ჭეშმარიტება იყო. ჩიკაკო რომ არა, ცხადია, ისინი ვერასოდეს გაიცნობდნენ ერთმანეთს. კიკუჯის სახეზე თითქოს მათრახი გადაუჭირესო – ქალიშვილმა ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, კაცი იფიქრებდა, შინაგანად ის უკვე მზად იყო მასთან შესაუღლებლადო. ყოველ შემთხვევაში, ამწუთას ასე ეჩვენებოდა კიკუჯის.

მერე მისი მზერაც დაიჭირა – ოდნავ გაოცებული და მღელვარედ გაბრწყინებული, ანდა იქნებ ესეც ეჩვენებოდა კიკუჯის?! ნეტავი რას ფიქრობს, კურიმოტოს ასე აგდებულად რომ ვიხსენიებ, კურიმოტო-სანს კი არა, კურიმოტოს რომ ვეძახი; ნეტავი, ის თუ აქვს გაგებული, იგი ერთ დროს მამაჩემის საყვარელი რომ იყოო.

– იცით... კურიმოტოსთან მეტად არასასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს, – თქვა ბოლოს კიკუჯიმ და შეეშინდა, ხმა არ აჰკანკალებოდა, – არ მინდა, ის ქალი ჩემს ბედსა და ცხოვრებაში ერეოდეს... მიუხედავად ამისა, თქვენს გაცნობას მე მაინც კურიმოტოს უნდა ვუმადლოდე... რა კარგი იქნებოდა, ამის არდაჯერება და დავიწყება შემეძლოს...

ამ დროს პავილიონში ჩიკაკომ ხონჩა-მაგიდა შემოიტანა და მათი საუბარი შეწყდა.

– თქვენის ნებართვით, ცოტა ხანს თქვენ გვერდით დავჯდები! – თქვა და მძიმედ დაეშვა ტატამზე. მხრები ისე ჩამოუშვა, თითქოს დღევანდელი მზადებისა და ფაციფუცის სიმძიმე ჩამოიბერტყაო. მერე სული დემონსტრაციულად მოითქვა და იუკიკოს ბასრი მზერა სტყორცნა.

– კიკუჯი-სან, მართალია, დღევანდელ დღეს ეს ერთადერთი სტუმარი გყავთ, მაგრამ, თქვენი ამ სტუმრით მამათქვენი ალბათ ძალიან გაიხარებდა.

იუკიკომ თავი მორცხვად დახარა:

– რას ბრძანებთ! ბატონი მიტანის ჩაის პავილიონში შინაურივით შემოსვლის ღირსი სულაც არ გახლავართ.

ეს სიტყვები ჩიკაკომ ვითომ ვერც კი გაიგონა, იმ დროის გახსენებას მოჰყვა, როდესაც კიკუჯის მამა ჯერ ისევ ცოცხალი გახლდათ, ხოლო ეს პავილიონი ერთთავად სტუმრებით იყო სავსე.

როგორც ჩანდა, კიკუჯისა და იუკიკოს ქორწილი ჩიკაკოს უკვე გადაწყვეტილ საქმედ მიაჩნდა.

მოგვიანებით წინკარში, როდესაც ორივე ქალი უკვე შინ წასასვლელად ემზადებოდა, ჩიკაკომ კიკუჯის შეახსენა:

– კიკუჯი-სან, მგონი, ცუდი არ იქნება, თქვენც ესტუმრებოდეთ ინამურა-სანს... ოღონდ, დღევანდელივით რომ არ გამოვიდეს, ცხადია, წინასწარ უნდა გააფრთხილოთ.

ქალიშვილმა თავი დააქნია. მერე თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ დაირცხვინა, თავით ფეხამდე სიმორცხვის განსახიერებად იქცა.

კიკუჯი ამას არ ელოდა. უცებ ქალიშვილის მიმართ საოცარმა

ლტოლვამ მოიცვა, თითქოს მისი სხეულის სითბოც კი შეიგრძნო. მერე ერთბაშად თვითონაც დაიმორცხვა... თუმცა სხვაგვარი იყო მისი ეს სიმორცხვე – რაღაც ამაზრზენი ხელ-ფეხს უბოჭავდა, თრგუნავდა.

და აი, ის ამაზრზენი, გულისამრევი გრძნობა კიკუჯის დღესაც არ შორდება. სამწუხაროდ, ბილწი და ბინძურია არა მარტო ჩიკაკო, ბილწი და ბინძურია თვითონაც.

მერე მამა გაახსენდა, ცხადლივ წარმოუდგა, გაუხეხავი კბილებით ჩიკაკოს შავ, ბალნიან ტყირპზე როგორ კბენდა, და შეზარდა, მოეჩვენა, რომ მის არსებაში მამამისი მეორდებოდა.

იუკიკოსთან ჩიკაკოს თავი ლაღად, უშუალოდ ეჭირა. მას, კიკუჯის კი რაღაც ბუნდოვანი, გაუცნობიერებელი სირცხვილი ბოჭავდა, საშუალებას არ აძლევდა, ქალიშვილის მიმართ ბოლომდე მტკიცე და თანმიმდევრული ყოფილიყო.

კურიმოტოსადმი თავის მტრულ განწყობილებას რომ არ მალავდა, ამით, ეტყობა, თავს იზღვევდა, აქაოდა, იუკიკოს მისი ნება-სურვილით კი არ ვირთავ, ჩიკაკო მაიძულებსო... ო, ეს ჩიკაკო! მართლაც რომ ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო ეს ქალი, შეგეძლო ყველა ვითარებაში გამოგეყენებინა, ყველაფერი მისთვის გადაგებრალებინა.

ახლაც ამიტომ იყო კიკუჯი ასე ნირწამხდარი. ეჭვი არ ეპარებოდა, იუკიკო შესანიშნავად ხვდებოდა მის განწყობას. ამას ისიც ემატებოდა, რომ თვითონვე ამუნათებდა თავის თავს – ასეთი და ასეთი ვარ... ახია... ჩემზე ყველაფერი ახიაო!

ჭამის შემდეგ ჩიკაკო ჩაის დასაყენებლად გავიდა. როგორმე თავი რომ ემართლებინა, კიკუჯიმ იუკიკოს მოუბოდიშასავით:

– ეტყობა, კურიმოტოს ვერსად გავექცევით, ნამდვილ ბედისწერასავითაა... ერთი კია, მე და თქვენ, როგორც ჩანს, სრულიად განსხვავებულად ვუყურებთ ამ ბედისწერას...

კიკუჯის გაახსენდა, მამის გარდაცვალების შემდეგ დედამისი დროდადრო ჩაის პავილიონში როგორ ჩაიკეტებოდა ხოლმე. ეს ამბავი კიკუჯის მუდამ სევდიან გუნებაზე აყენებდა... უწინ მამაც ასე იყო, შემოვიდოდა პავილიონში და იჯდა და იჯდა მარტოდმარტო. აგერ ახლა კიკუჯიც აქ არის, ზის ისიც ასე მარტოდმარტო და თავის სევდიან ფიქრებს მისცემია... ალბათ

ეს ადგილი თუა ასეთი, ეს ადგილი თუ განაწყობს ყველას ფიქრისა და თვითანალიზისათვისო...

წვიმდა, ფოთლებზე ტკაპატკუპით ცვიოდა და ცვიოდა წვიმის მსხვილი, მძიმე წვეთები.

წვიმის ხმაურს უცებ ქოლგაზე წყლის შხაპუნის ხმა შეერია და კიკუჯიმ პავილიონისაკენ სწრაფი ნაბიჯით მომავალი მოსამსახურე ქალი დაინახა.

– მიტანი-სან, ოოტა-სანი გესტუმრათ...

– ოოტა-სანი? ოოტა-სანი თუ ოოტა-სანის ქალიშვილი?

– არა, თავად ქალბატონი ოოტა მობრძანდა, ისეთი სახე აქვს, ეტყობა, ძალიან ავადაა.

კიკუჯი ელდანაკრავივით წამოხტა, მაგრამ ადგილიდან ფეხი ვერ მოიცვალა.

– რას მიბრძანებთ, სად შევიყვანო, სად დაგელოდოთ?

– თუ გინდა, აქ შემოიყვანე.

– კი ბატონო.

ქალბატონი ოოტა პავილიონში უქოლგოდ შემოვიდა, ეტყობა, ქოლგა წინკარში დატოვა.

კიკუჯიმ ქალის მონამულ სახეს შეხედა და, წვიმაში თუ დასველდაო, – გაიფიქრა. მაგრამ უმალვე მიხვდა, ნამტირალევი იყო – ქალბატონ ოოტას ცრემლი ახლაც ღაპაღუპით სდიოდა ღაწვებზე.

თავდაპირველად ქალის მიმართ, ჩანს, სათანადო ყურადღება ვერ გამოიჩინა, ცრემლი უბრალო წვიმის წვეთებად მიიღო, მაგრამ, როგორც კი დარწმუნდა, ცრემლიაო, გადარეულივით ეცა:

– რა მოხდა, რა დაგემართათ!

ზღურბლზე გადმოაბიჯა თუ არა, ქალი იქვე უღონოდ ჩაჯდა, იატაკზე ხელებდაყრდნობილი კიკუჯისაკენ ოდნავ შეტრიალდა და თავი ძლივს დაუკრა.

მის ირგვლივ წყალი უცებ გუბესავით დადგა. ღაწვებზე კი

ცრემლი ისე სდიოდა, ისე უხვად მოედინებოდა – ნეტავი მართლა წვიმის წვეთები ხომ არ არისო, – ისევ ეჭვი შეეპარა კიკუჯის.

ქალბატონი ოოტა იჯდა და ვაჟს თვალს არ აცილებდა. ასე გეგონებოდა, ეს მზერა მისი ერთადერთი დასაყრდენია, ეს რომ არა, თავს ვერ შეიკავებს, პირდაპირ იატაკზე მოზვავდებაო. ამის გაფიქრებაზე კიკუჯი საშინელ გუნებაზე დადგა: – ახლა რომ ამდგარიყო და წასულიყო, ნეტავი რა მოუვიდოდა ქალბატონ ოოტას, რა დღეში ჩავარდებოდა?

ქალს ლოყები ჩასცვენოდა, ქუთუთოები ავადმყოფურად გასწითლებოდა, თვალის ჩაშავებულ უპეებთან ნაოჭი დასტყობოდა – საოცარი სევდა და ტკივილი იხატებოდა მის მზერაში. მიუხედავად ამისა, ტკივილს თვალთა ბრწყინვალება ვერ ჩაექრო – მისი სახე უსაზღვრო სითბოსა და სინაზეს ასხივებდა.

– მაპატიეთ! არ მეგონა, ოდესმე კიდევ განახავდით... იცით, ეს... ღმერთო, რა ბედნიერებაა... თავს ვეღარ მოვერიე და მოვედი... მაპატიეთ...

საოცრად ალერსიანი ხმა ჰქონდა, მხოლოდ თვალები კი არა, მთელი მისი სხეული, მისი არსება სინაზის ზღვად იყო ქცეული.

ეს სინაზე რომ არა, საცაა ალბათ თავადაც ატირდებოდა კიკუჯი, ისეთი ნატანჯი, ნაწამები სახე ჰქონდა ქალბატონ ოოტას.

გულში უცებ მწვავე ტკივილი იგრძნო, მაგრამ ტკივილი უმალვე მიყუჩდა, ახლა უკვე აშკარად მიხვდა, ვის გამო იტანჯებოდა ეს ქალი... მიხვდა, რომ მისი ტანჯვისა და მისი სიხარულის მიზეზიც თავად კიკუჯი იყო, და რომ თავის ამ ტანჯვას ქალბატონი ოოტა ახლა მასაც უნაწილებდა, მაგრამ ამ საოცარი სინაზის წყალობით თვითონვე ედებოდა მალამოდ.

– შემოდით, ოთახში შემოდით, ასე როგორ გაილუმპეთ!

ქალს ზურგიდან ორივე ხელი იღლიებქვეშ გაუყარა, მკერდზე მკლავები ღონივრად შემოაჭდო და თითქმის შემოათრია ოთახში. კიკუჯის ამ სიშმაგეში ვაი რომ რაღაც სიმკაცრის მაგვარიც იყო.

– გამიშვით!.. – უთხრა ქალბატონმა ოოტამ და ფეხზე

დადგომას შეეცადა, – ძალიან მსუბუქი ვარ, არა?

– კი, ძალიან.

– ამ ბოლო დროს... იცით, საშინლად გავხდი...

ხელი რომ გაუშვა, კიკუჯის მაშინღა გაუკვირდა: რა ქნა, როგორ ეცა, როგორ ასწია!..

– თქვენს ქალიშვილს ალბათ შეეშინდება.

– ფუმიკოს?

ქალმა ეს სიტყვა ისე წარმოთქვა, კიკუჯის ეჭვიც არ შეჰპარვია, ქალბატონ ოოტას ნამდვილად ფუმიკოც თან ახლავს, ახლა ალბათ სადღაც აქვე დგას და ელოდებაო.

– ფუმიკოც ფქვენთან ერთად მოვიდა?

– არა, რას ბრძანებთ! მე ხომ... მე ხომ მის უჩუმრად... – ქალბატონ ოოტას ხმა აუკანკალდა: – ის კი არა, თვალს არ მაცილებს, ღამითაც მდარაჯობს, საკმარისია, ოდნავ შევტოკდე, რომ მაშინვე თვალებს ახელს... საბრალო, ჩემ გამო, მე მგონი, მთლად ჭკუაზე ვეღარ არის... პირდაპირ მეშინია მისი ამ... სულ ამას მეკითხება, დედა, რატომ მეორე ბავშვი არ გააჩინე, ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც ბატონი მიტანისაგანო...

ქალბატონი ოოტა თანდათან დამშვიდდა, თავი მოიწესრიგა.

სამაგიეროდ, კიკუჯი კიდევ უფრო აღელდა, აფორიაქდა. ქალის სიტყვებიდან მისთვის აშკარა გახდა, როგორ იტანჯებოდა ფუმიკო – ხედავდა დედის ტანჯვას და იტანჯებოდა.

ისიც, რაც მან დედას ბავშვის თაობაზე უთხრა – თუნდაც ბატონი მიტანისაგანო – საშინელებაა!.. – და გული ისევ მტკივნეულად შეეკუმშა კიკუჯის.

ქალბატონი ოოტა კი იჯდა და თვალმოუცილებლად, დაჟინებით მისჩერებოდა სახეში.

– რა ვიცი, იქნებ მომაკითხოს კიდევაც... დღეს სადღაც წავიდა, ალბათ იფიქრა, ასეთ წვიმაში გარეთ გასვლას ვერ გავბედავდი... მე კი აი, გამოვედი – ვიხელთე დრო და გამოვიქეცი.

– ეგონა, წვიმა შეგაჩერებდათ?

– დიახ, ფუმიკოს ჰგონია, რომ ძალიან ცუდად ვარ და ასეთ წვიმაში გარეთ გამოსვლას ვერ გავბედავდი.

კიკუჯიმ თავი დაუქნია.

– ამ დღეებში, მგონი... თქვენთან იყო?

– დიახ, სულ მეხვეწებოდა, აპატიეთ დედასო, მე კი არ ვიცოდი, რა პასუხი გამეცა...

– მესმის... ყველაფერი მესმის... იმიტომ მოვედი... რომ... იცით, ძალიან მეშინია...

– გეშინიათ? რის, რატომ? მე თქვენი ისეთი მადლობელი ვარ!

– მართლა? რა შესანიშნავია! რომ იცოდეთ, თქვენმა ამ ნათქვამმა გული როგორ დამიმშვიდა... ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯებოდი... მაპატიეთ!..

– რა უნდა გაპატიოთ, რა გაქვთ საპატიებელი? თქვენ ხომ თავისუფალი ადამიანი ხართ, ხელს არაფერი გიშლით... ანდა იქნებ ჯერ ისევ მამაჩემის აჩრდილი არ გასვენებთ?

კიკუჯის სიტყვები მას კი არა, თითქოს ვიღაც სხვას შეეხებაო, ქალბატონ ოოტას სახეზე ნირი არ შესცვლია.

– რაც იყო, იყო, მოდი, ყველაფერი დავივიწყოთ... მაგრამ, იცით... ძალიან მრცხვენია... არა, ამიტომ კი არა... მრცხვენია... კურიმოტოს დარეკვაზე ასე რომ გადავირიე.

– რაო, რა? კურიმოტომ დაგირეკათ?

დიახ, დღეს დილას დამირეკა. მითხრა, თქვენ და იუკიკო, თურმე... მაგრამ... ჩემგან რა უნდოდა? რატომ, რატომ დამირეკა?

თვალები კვლავ ცრემლით აევსო ქალბატონ ოოტას, მაგრამ მოულოდნელად გაიღიმა და ეს ღიმილი ნაძალადევი და ცრემლნარევი კი არა, ნამდვილი, ნათელი, გულღია ღიმილი იყო.

– იუკიკო? არა, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია... მართლაცდა, რა უნდოდა, რატომ დაგირეკათ?.. ნეტავი ხომ არაფერი იყნოსა?.. მას მერე ხომ არსად შეხვედრიხართ, ხომ არსად გინახავთ?

– არა, არ მინახავს, მაგრამ ისეთი საშინელი ადამიანია, მისი უცოდინარი და გაუგებელი არაფერი დარჩება. ამ დილას რომ დამირეკა, ჩანს, რაღაც იეჭვა. რა ვიცი, იქნებ ჩემი ბრალიც კია... იმ ამბავს რომ მეუბნებოდა, კინაღამ გული წამივიდა, მგონი, ვიკივლე კიდევაც... მართალია, ტელეფონზე ვლაპარაკობდით, მაგრამ, აბა, იმას რას გამოაპარებ... ბოლოს ალბათ ამიტომაც მითხრა: – ოოტა-სან, თუ შეიძლება, თავი დაანებეთ, ხელს ნუ შეუშლითო...

კიკუჯი მოიღუშა. არ იცოდა, რა ეთქვა, სათქმელს თავი ვეღარ მოუყარა.

– აბა... აბა მე ხელს როგორ შეგიშლით!.. რომ იცოდეთ, იუკიკოს წინაშე თავს რა დამნაშავედ ვგრძნობ... მაგრამ ის დარეკვა, ის შემზარავი სიტყვები... დილას აქეთ ადგილს ვეღარ ვპოულობ, აღარ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე... ისე მეშინია მისი, ისე მეშინია... ისეთი აუტანელი, ისეთი საშინელი ქალია... ამიერიდან, ვიცი, მოსვენებას აღარ მომცემს... ახლაც სწორედ ამიტომ გამოვიქეცი სახლიდან.

ქალბატონ ოოტას ეტყობა შეაჟრჟოლა. მხრები უთრთოდა, პირი მოღრეცოდა, ტუჩები ისე უკანკალებდა, თითქოს საცაა გულყრა დაეწყებაო. ტუჩის კუთხეები დაშვებოდა და ერთბაშად ნათელი გახდა, რომ ეს ქალი უკვე აღარც ისე ახალგაზრდა იყო.

კიკუჯი წამოდგა, ხელი გაიწოდა, ქალს მხარზე შეეხო.

ქალი მის ხელს ისე ჩაეჭიდა, როგორც თავის ერთადერთ ხსნასა და ერთადერთ იმედს.

– მეშინია! ძალიან მეშინია!.. – ჩურჩულებდა ქალბატონი ოოტა და თვალებს აქეთ-იქით აფეთებდა. მერე უცებ მოეშვა, ჩაიღვენთა: – ეს ჩაის პავილიონია?

– დიახ.

– რა შესანიშნავია...

ნეტავი, ვინ გაახსენდა? კიკუჯის მამა თუ საკუთარი მეუღლე, რომელიც აგრეთვე აქაურობის ხშირი სტუმარი იყო?

– თქვენ აქ პირველად ხართ?

– დიახ.

– ასე რას უყურებთ?

– ისე, არაფერს...

– ეს მუნეიუკის ნახატია, ლექსის ილუსტრაცია...

ქალბატონმა ოოტამ თავი დაუქნია და მერე თავი ძირს უღონოდ ჩაჰკიდა.

– ნუთუ აქ მართლა არასდროს ყოფილხართ?

– არა, არასოდეს ვყოფილვარ.

– ნუთუ მართლა?

– თუმცა არა, ვიყავი... მამათქვენის გასვენების დღეს ვიყავი... – ხმა ჩაეფერფლა ქალბატონ ოოტას.

– წყალი უკვე დუღს. ჩაის ხომ არ დალევდით? დალიეთ და დაღლაც უმალ გაგივლით. აი, ერთ ფინჯანს მეც დავლევ თქვენთან ერთად.

– კი ბატონო... თუ ნებას მომცემთ, ჩაის მე თვითონ დავაყენებ...

თქვა და ძლივს, ბარბაცით წამოდგა.

კიკუჯიმ კუთხეში მიწყობილი კოლოფებიდან ჭურჭელი ამოალაგა – ეს ის ჭურჭელი და ის ფინჯანი იყო, რომელიც გუშინ იუკიკოს გაუწყვეს.

ქალბატონმა ოოტამ ხელი გაიწოდა, კარდალას სახურავი მოხადა, მაგრამ აკანკალებული ხელიდან სახურავი გაუვარდა და კარდალაზე ნაზად გაიწკრიალა.

ქალმა თავი ძირს დახარა, ციცხვი წყალში ჩადო და მისი თვალებიდან კვლავ ცრემლმა იწვიმა. ტიროდა ქალბატონი ოოტა, უხვად ჩამოსული ცრემლი ცვიოდა და ცვიოდა კარდალის გამობერილ გვერდებზე.

– ეს კარდალა... იცით, ეს კარდალა მამათქვენს მე ვაჩუქე.

– მართლა? პირველად მესმის.

ესე იგი, კარდალა ოდესღაც აწ განსვენებული ბატონი ოოტას საკუთრება იყო. რა გაეწყობა... – სულაც არ სწყენია კიკუჯის. არც ის სწყენია, ყველაფერ ამას ქალი ასე გულახდილად, დაუფარავად რომ ჰყვებოდა.

ქალბატონმა ოოტამ ჩაი დაასხა და კიკუჯის მიუტრიალდა:

– ბოდიშს ვიხდი, ძალა არა მაქვს, რომ ავდგე და ჩაი მოგიტანოთ, თუ შეიძლება, თავად მობრძანდით.

კიკუჯი კერიასთან გადაჯდა.

და ქალი ვაჟის მუხლებზე ისე მიესვენა, თითქოს სადაცაა გონებას დაკარგავსო.

კიკუჯიმ მხრებზე ხელი მოხვია. ქალი თითქმის არ სუნთქავდა, ხანდახან ზურგი თუ შეუთრთოლდებოდა და მხოლოდ ამით თუ შეიგრძნობდი, ამ სხეულში ჯერ ისევ სიცოცხლე რომ ფეთქავდა. ვაჟი ქალს ეხვეოდა, მის ბავშვივით უსუსურ, მსუბუქ, ძალაგამოლეულ სხეულს გულში მხურვალედ იკრავდა.

3.

– ქალბატონო!

კიკუჯიმ ქალბატონი ოოტა უხეშად შეანჯღრია. მკლავები კისერზე ისე შემოაჭდო, თითქოს სადაცაა უნდა დაახრჩოსო. ქალს ლავიწის ძვლები ამოსჩროდა და ვაჟმა შეამჩნია, რომ წინანდელთან შედარებით იგი გაცილებით გამხდარი იყო.

– ქალბატონო, მითხარით, მე და მამაჩემს შორის თქვენთვის რაიმე განსხვავება თუა?

– ღმერთო ჩემო, რა მკაცრი ხართ!

ქალბატონ ოოტას თვალი არ გაუხელია, ყრუდ, ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა.

ჩანს, ახლა იგი სადღაც ზეცაში დაფრინავდა, მიწაზე დაბრუნება არ ეწადა.

კაცმა რომ თქვას, ამ კითხვით კიკუჯი ახლა ქალბატონ ოოტას კი არა, საკუთარ თავს მიმართავდა. უფრო სწორად, იმ მღელვარე ფიქრებში გარკვევას ცდილობდა, სადღაც, მისი სულის სიღრმეში რომ ფუთფუთებდნენ.

ქალბატონმა ოოტამ იგი შორს, სხვა სამყაროში გაიტაცა... კიკუჯი არ შესწინააღმდეგებია ამ ცდუნებას, პირიქით,

სიხარულითაც დანებდა. იქ, იმ სხვა სამყაროში კი – დიახ, სხვა სამყაროში, ვინაიდან სხვა სახელს კაცი ამას ვერაფერს მოუძებნი – კიკუჯისა და მამამისს შორის ყოველგვარი ზღვარი წაშლილიყო, ყველაფერი უცხო, უცნაური და, ასე ვთქვათ, შემზარავიც კი იყო...

არც ქალბატონი ოოტა გახლდათ ჩვეულებრივი მიწიერი, იგი თითქოს სადღაც კაცთა მოდგმის გარეშე იდგა და ამ დედამიწას ყველა სხვა ქალის გაჩენამდე ან მათ შემდეგ მოვლენოდა. იქნებ, ამიტომაც იყო, რომელიღაც წამში კიკუჯისა და მამამისს ერთმანეთთან რომ აიგივებდა, მათ შორის განსხვავებას ვერ გრძნობდა.

– მამაჩემი ალბათ არასოდეს დაგავიწყდებათ? ანდა, საკმარისია გაგახსენდეთ, რომ ორივენი ერთმანეთს შევენივთოთ, თქვენთვის ერთ განუყოფელ არსებად ვიქცეთ!

– კმარა, გაჩუმდით, ოდნავ, სულ ოდნავ მაინც დამინდეთ! ეს ხომ... ღმერთო... ღმერთო, რა საშინელებაა, როგორ მეშინია... რა დამნაშავე ვარ!..

ქალბატონ ოოტას თვალის კუთხეებიდან ცრემლი ჩამოუგორდა და ცრემლის თეთრმა ნაკვალევმა სახე თეთრად ჩამოუსერა:

– ...ო-ო, ნეტავი მოვკვდებოდე!.. სიკვდილი მენატრება. ღმერთო, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ახლა, ამწუთას რომ მოვმკვდარიყავი!.. კიკუჯი-სან, თქვენ ხომ ეს-ესაა კინაღამ დამახრჩეთ... რატომ... რატომ არ დამახრჩეთ?

– ასეთი ხუმრობა როგორ შეიძლება!.. მგონია, მართლა გახრჩობდით.

– მართლა? გმადლობთ! – ქალბატონმა ოოტამ თავი უკან გადააგდო და მისმა მაღალმა, ნატიფმა ყელმა თეთრად გამოანათა, – ჩემი დახრჩობა ადვილია, იცით, ისე გავხდი...

– არა, თქვენი სიკვდილი არ შეიძლება. თქვენ ხომ ქალიშვილი გყავთ.

– ქალიშვილი... რა თქმა უნდა... ცოდოა... მიუხედავად ამისა, მე ალბათ მალე მოვკვდები. ძალიან, ძალიან დავიღალე, სიცოცხლის ძალა აღარა მაქვს... ფუმიკოს კი, კიკუჯი-სან, თქვენ უნდა მიმიხედოთ.

უნებურად წამოცდენილმა სიტყვამ კიკუჯი შეაძრწუნა.

– აი, ისიც რომ ისეთი იყოს, როგორიც თქვენა ხართ...

ქალბატონმა ოოტამ თავი ასწია და შეხედა.

მაგრამ რა, რა გაიფიქრა? რა გრძნობა დაეუფლა?

– აბა მომისმინეთ, როგორ სცემს ჩემი გული, რა ამოვარდნები მაქვს... ჩემი დღეები უკვე დათვლილია... სულ ცოტაღა დამრჩა... – თქვა ქალბატონმა ოოტამ და ვაჟის ხელი გულზე დაიდო.

იქნებ ეს გულისცემა ახლა კიკუჯის მიერ ნათქვამ ამ სიტყვებზე დაეწყო?

– კიკუჯი-სან, რამდენი წლის ხართ?

კიკუჯიმ პასუხი არ გასცა.

– ჯერ ხომ ოცდაათისაც არ გამხდარხართ... დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე... დიახ, ძალიან... ძალიან უნამუსო ქალი ვარ... არა, კიკუჯი-სან, თქვენ ამას ვერასოდეს გაიგებთ...

ქალბატონი ოოტა ხელებს დაეყრდნო, მუხლები მოხარა და ლოგინში წამოიწია.

– მე ხომ, კიკუჯი-სან, იმიტომ არ მოვედი, თქვენი და იუკიკოს შეუღლება შემებღალა... ახლა კი... მორჩა, ჩემი საქმე უკვე წასულია...

– რახან ასეა, რახან თქვენ თვითონ წამოიწყეთ ეს საუბარი, მართალია, ჯერ წარმოდგენაც არა მაქვს, ვითხოვ თუ არა იუკიკოს, მაგრამ, ჩავთვალოთ, რომ თქვენ განწმინდეთ ჩემი წარსული.

– განვწმინდე?

– კარგად მოგეხსენებათ, კურიმოტო, რომელიც ასე მოწადინებულია, ჩემი შუამავალი და მაჭანკალი გახდეს, ოდესღაც მამაჩემის საყვარელი იყო. ის წარსული დღესაც წამლავს ჩემს ცხოვრებას. თქვენ კი... თქვენ ის ქალი ხართ, რომელსაც მამაჩემი ბოლომდე ვერ მოსცილდა... დარწმუნებული ვარ, იგი თქვენთან ბედნიერი იყო.

– მალე, მალე დაქორწინდით, მალე ითხოვეთ იუკიკო...

– აი, ეგ უკვე ჩემი საქმეა.

ქალბატონი ოოტა ერთხანს დაფიქრებული შეჰყურებდა კიკუჯის, მერე უცებ ღაწვები გაუფითრდა, შუბლზე ხელი მიიდო:

– თვალთ დამიბნელდა... თავბრუ მესხმის...

დარჩენაზე ქალბატონმა ოოტამ სასტიკი უარი განაცხადა. კიკუჯიმ მანქანა გამოიძახა და სახლამდე მიაცილა, მაგრამ შინ არ შეჰყოლია. მანქანიდან რომ გადადიოდა, კიკუჯის ხელისგულში მომწყვდეული თითები ქალს ყინულივით ჰქონდა...

ღამის ორი საათი იქნებოდა, რომ უეცრად ტელეფონი აწკრიალდა.

– ბატონი მიტანი ბრძანდებით? – გაისმა ტელეფონში ფუმიკოს ხმა, – ეს-ეს არის, დედა... – თქვა და ყურმილში ხმა უცებ მიწყდა, მაგრამ მალე კიდევ უფრო მკაფიოდ გაისმა, – დედა გარდაიცვალა...

– რაო, რა თქვით? დედა?! რა მოხდა, რა მოუვიდა?

– დედა დაიღუპა, გულის დამბლა დაემართა... ამ ბოლო დროს ძალიან ბევრ ძილის წამალს სვამდა...

კიკუჯის თავზარი დაეცა, ხმა ვერ ამოიღო.

– კიკუჯი-სან, თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

– დიახ, დიახ, გისმენთ.

– იქნებ ვინმე ექიმი გყავდეთ ნაცნობი?

– ექიმი? კი მაგრამ...

კიკუჯი გაოცებული იყო, ნუთუ ფუმიკოს აქამდე არ გამოუძახებია ექიმი? მაგრამ აი, იგი მაშინვე მიხვდა საქმის ვითარებას: ქალბატონმა ოოტამ თავი მოიკლა, ფუმიკოს კი უნდა, დამალოს ეს ამბავი, ნაცნობი ექიმის მიყვანასაც იმიტომ სთხოვს...

– კი ბატონო, – თქვა ბოლოს კიკუჯიმ.

– გთხოვთ!

ქალიშვილმა, ჩანს, ჯერ საგულდაგულოდ აწონ-დაწონა ყველაფერი, მერეღა დაურეკა კიკუჯის; მაგრამ ახსნა-განმარტებას არ მოჰყოლია, მოკლედ, ორიოდე სიტყვით შეატყობინა, რაც მოხდა.

კიკუჯი იქვე, ტელეფონის აპარატთან ჩაჯდა და თვალები დახუჭა.

მეხსიერებას კი თავისი გზა ჰქონდა, თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. ახლა იგი ქალბატონ ოოტას კი არ წარმოუსახავდა, არამედ იმ მზის ჩასვლას, რომელიც კამაკურას სასტუმროში გატარებული ღამის შემდეგ შინ მიმავალმა ელექტრომატარებლის ფანჯრიდან იხილა – აი, იკეგამაში ჰომონჯის ტაძარმა ჩაიქროლა. ტაძრის თავზე მზე ნელა ეშვება დასალიერისაკენ, ბურთივით მრგვალი და მეწამული ნელა მიცურავს ხეების ტოტებს შორის. ხეთა შავად ჩაქუფრული კენწეროები მკვეთრად, რელიეფურად იხატება ჩამავალი მზით განათებული ცის ფონზე.

ტოტიდან ტოტზე აგორებული წითელი მზე კიკუჯის თვალებს სწვავს და თვალებს ხუჭავს... და აი, უცებ ეჩვენება, რომ იუკიკოს ვარდისფერი ფუროშიკიდან აფრთხიალებული, მეწამულ დაფიონს თავდაღწეული თეთრი, ათასფრთიანი წერო მისი მაგრად დახუჭული ქუთუთოების ქვეშ ნელა... ნელა შემოფარფატდა.

ჩრდილი შინოზე

[42]

1.

სულის მოხსენიების კვირა რომ ჩამთავრდა, მეორე დღეს კიკუჯი ქალბატონი ოოტას სახლს ეწვია.

უნდოდა სამსახურიდან ცოტა ადრე გამოსულიყო, სამსახურის შემდეგ სტუმრობა უხერხული იქნებაო, – ფიქრობდა. მთელი ის დღე სკამზე მოუსვენრად წრიალებდა, ღელავდა, ყოველ წუთს წამოდგომასა და წასვლას ლამობდა, მაგრამ აგერ სამუშაო დღე უკვე მთავრდებოდა, ის კი ისევ იჯდა და ადგომას ვერ ახერხებდა.

ფუმიკო წინკარში დაუხვდა.

– ღმერთო ჩემო, თქვენ ბრძანდებით?

მისალმების ნიშნად მუხლი მოიყარა და გაირინდა. თითის წვერებით იატაკს ისე ეხებოდა, გეგონებოდა, ეს რომ არა, მხრების ცახცახს ვერ შეიკავებსო. ბოლოს კიკუჯის შუბლსქვემოდან ამოხედა და უთხრა:

– გუშინდელი ყვავილებისათვის მადლობას მოგახსენებთ.

– რას ბრძანებთ!..

– ყვავილები რომ გამოაგზავნეთ, ვიფიქრე, ალბათ აღარ მოვა-მეთქი.

– რატომ? ხომ ხდება, ყვავილებს ზოგჯერ წინასწარ აგზავნიან?

– რა ვიცი, მაგაზე არ მიფიქრია...

– გუშინ აქვე, თქვენ გვერდით ვიყავი, ყვავილების მაღაზიაში, მაგრამ...

ფუმიკომ თავი დაუკრა:

– მართალია, ყვავილებს ბარათი არ ახლდა, მაგრამ მაშინვე მივხვდი, ვისი გამოგზავნილიც იქნებოდა.

კიკუჯის გასული დღე გაახსენდა. გუშინ იგი მაღაზიაში შევიდა. მაღაზია აუარებელი ყვავილით იყო სავსე და ამ ყვავილების ზღვაში კიკუჯი ქალბატონ ოოტაზე ფიქრებმა გაიტაცა.

მისი სიკვდილი გულზე უზარმაზარი ლოდივით აწვა, მაგრამ ყვავილები ირგვლივ ისე ნაზ, ისე ნატიფ სურნელს აფრქვევდა, საკუთარი ცოდვა ახლა თითქოს ისეთი მძიმე და აუტანელი აღარ ეჩვენებოდა.

აი, ფუმიკოც ისე თბილად, ისე გულღიად შეხვდა...

ტანზე თეთრი ჩითის კაბა ეცვა, სახე შეუპუდრავი ჰქონდა. მხოლოდ პომადის მკრთალი ნაკვალევი ეტყობოდა ნაქარევ ტუჩებზე.

– გუშინ აქვე ვიყავი, გვერდით... – გაიმეორა კიკუჯიმ, – ჯობია, ცოტას ვაცდი-მეთქი, ვიფიქრე.

ფუმიკომ ოდნავ უკან დაიწია და კიკუჯი შეიპატიჟა. ალბათ ცრემლს ძლივს იკავებდა, ამიტომ ელაპარაკებოდა ასე ერთ ადგილას გაშეშებული, მისალმების ნიშნად ლამის იატაკამდე თავწახრილი. მერე უცებ იგრძნო, საკმარისია, ერთი წუთით კიდევ დარჩენილიყო ამ მდგომარეობაში, რომ ხმამაღლა ატირებულიყო.

– თქვენმა ყვავილებმა ძალიან გამახარა, – თქვა ბოლოს ფუმიკომ და ოთახში შესულ კიკუჯის თვითონაც მიჰყვა, – შეგეძლოთ, გუშინაც მობრძანებულიყავით...

– გუშინ რომ მოვსულიყავი, თქვენს ნათესავებს ალბათ არ ესიამოვნებოდათ... ცუდ გუნებაზე რატომ დამეყენებინეთ?

ქალიშვილმა თავი გააქნია:

– რას ბრძანებთ! ასეთ რამეებს დიდი ხანია ყურადღებას აღარ ვაქცევ.

სასტუმრო ოთახში, ურნის წინ, ქალბატონი ოოტას სურათი იდო.

ყვავილები კი ცოტა იყო... მხოლოდ ის ვარდები და ვარდისფერი მიხაკები, გუშინ კიკუჯიმ რომ გამოგზავნა.

რა უცნაურია... ნუთუ ფუმიკომ მხოლოდ მისი ყვავილები დატოვა, დანარჩენი კი გადაყარა, ანდა ადგა და სადღაც მიმალა.

ვინ იცის, იქნებ სულის მოხსენიების ეს კვირა ასე მარტოდმარტომ გაატარა, ასე დარდსა და მწუხარებაში... იქნებ არც არავინ მოსულა, რათა მიცვალებულისათვის პატივი ეცა და ჭირისუფალი ენუგეშებინა.

– თუ არ ვცდები, ეს მგონი, მიძუსაშია?

ფუმიკო მიხვდა, კიკუჯი იმ ქოთანზე ლაპარაკობდა, რომელშიაც ყვავილები ელაგა.

– დიახ... მგონი, ძალიან უხდება ამ ყვავილებს.

– კარგი შინო უნდა იყოს.

ეს ნატიფი, ცილინდრული ფორმის ქოთანი მიძუსაშისათვის, მართალია, ოდნავ პატარა იყო, მაგრამ თეთრი ვარდებისა და ვარდისფერი მიხაკების თაიგულს მართლაც რომ ძალიან

შვენოდა.

– ამ ქოთანში ხანდახან დედაც აწყობდა ყვავილებს, ამიტომ არ გაყიდა, თავისთვის დაიტოვა.

კიკუჯი ურნის წინ ჩაჯდა, საკმევ ჩხირს მოუკიდა, ხელის გულები სალოცავად შეატყუპა და თვალები მილულა.

ახლა იგი ცოდვას ინანიებდა, მაგრამ საოცრად ტკბილი იყო ეს ცოდვა. მონანიებას ქალბატონი ოოტას მიმართ მადლიერების გრძნობა ერთვოდა და ეს მადლიერება ამშვიდებდა, გულზე მალამოსავით ედებოდა.

რატომ, რატომ მოიკლა თავი ქალბატონმა ოოტამ? მაინც რამ შეიყვანა იმ ჩიხში, საიდანაც გამოსვლა არ შეეძლო? რამ? სიყვარულმა თუ დანაშაულის განცდამ? რამ აიძულა, რამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი?.. ეს კითხვები აი, უკვე მთელი კვირაა, გონებიდან არ ამოსდის კიკუჯის.

აგერ ახლაც მიცვალებულის წინ თავდახრილი და თვალებდახუჭული, რა თქმა უნდა, ქალბატონ ოოტას ვერ ხედავდა, რომ ერთბაშად ქალის სხეულის სითბო შეიგრძნო... იგი თითქოს ყვავილების მოტკბო, მათრობელა სურნელიდან მოედინებოდა. ცხადია, ეს მეტად უცნაური რამ გახლდათ, მაგრამ კიკუჯის უცნაურად არ სჩვენებია – მიცვალებული უკვე ილეოდა, იშრიტებოდა, სახიერებას კარგავდა და მასში სითბოდ და უნაზეს მუსიკად შემოედინებოდა.

მას შემდეგ, რაც ოოტა-სანი გარდაიცვალა, ღამღამობით ცუდად ეძინა კიკუჯის. ძილის წამალიც კი, რომელსაც საკეში ურევდა, მის უძილობას ვერაფერს შველოდა. ჯერ იყო და, რა არ ესიზმრებოდა, მერე უცებ გაახელდა თვალს შუაღამისას და იწვა ასე თვალებგახელილი.

მაგრამ სიზმრები კოშმარული კი არა, პირიქით, ტკბილი და ნეტარების მომგვრელი ჰქონდა. ასეთი სიზმრის შემდეგ გაეღვიძებოდა აღგზნებულს და იყო ერთხანს ამ ნეტარ განცხრომაში.

უკვირდა, გარდაცვლილი ქალი ასე ხშირად და მუდამ ცოცხალივით რომ ესიზმრებოდა, მის ალერსს ასე ძლიერ, ასე ცხოვლად რომ შეიგრძნობდა.

ქალბატონმა ოოტამ ორჯერ უწოდა თავის თავს დამნაშავე.

ერთხელ – კამაკურას სასტუმროში, სადაც ღამე ერთად გაატარეს, მეორედ – კიკუჯისთან, ჩაის პავილიონში და ორივეჯერ ამ სიტყვებზე ქალს ყოვლად უცნაური განწყობა ეუფლებოდა – თან გულამოსკვნით ტიროდა, თან აღტაცებისაგან თრთოდა. და აი, ახლა კიკუჯი მისი ნეშტის წინ ზის და ქალბატონ ოოტასა და თავის თავზე ფიქრობს: თუ ამ ქალის სიკვდილის მიზეზი თვითონ არის, მაშასადამე, დამნაშავეა თვითონ და არა ქალბატონი ოოტა... მიუხედავად ამისა, «დამნაშავე ვარო» – ქალბატონ ოოტას ის პირველი ნათქვამი ყურიდან არ ამოსდის.

კიკუჯიმ თვალი გაახილა, ზურგსუკან ფუმიკომ ამოისლუკუნა. როგორც ჩანს, იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში ტიროდა, მაგრამ ცდილობდა, არ აქვითინებულიყო, ახლა კი თავი ვეღარ შეიკავა.

კიკუჯი თითქოს ადგილზე გაქვავდა.

– ეს სურათი როდის გადაიღო? – ისე იკითხა, თავი არ მიუბრუნებია.

– ამ ექვსიოდე წლის წინათ... პატარა სურათი იყო, მე გავადიდებინე.

– მართლა? ეტყობა, ჩაის ცერემონიალის დროს არის გადაღებული.

– ო-ო, როგორ მიხვდით?

გადიდებულ სურათზე ქალს მხოლოდ სახე და კისერი უჩანდა.

– კი მაგრამ... როგორ... როგორ მიხვდით? – იკითხა კვლავ ფუმიკომ.

– არ ვიცი, ეტყობა, ვიგრძენი... თვალები დახრილი აქვს, სახე დაძაბული. აშკარაა, ეს ადამიანი რაღაც საქმით არის დაკავებული.

– დედა აქ წინ კი არა, სადღაც გვერდით იყურება... ახლა ალბათ არც კი შეიძლებოდა ამ სურათის მიცვალებულთან დადება, მაგრამ თვითონ დედას ძალიან მოსწონდა...

– მეც ძალიან მომწონს, კარგი სახე აქვს, მშვიდი...

– დიახ. მიუხედავად ამისა, წინ კი არა, სადღაც გვერდით

იყურება... რას იზამ, აქ მას საკმეველს უკმევენ, მას კი ამ ადამიანისათვის შეხედვაც არ უნდა. სამწუხაროა... ძალიან, ძალიან სამწუხაროა...

– რა ვიცი, იქნებ მართალიც ხართ.

– რა თქმა უნდა! ის ხომ თითქოს თვალს გარიდებს, გარდა ამისა, თავიც დახრილი აქვს...

– დიახ...

და კიკუჯის ქალბატონი ოოტას სიკვდილის წინა დღე გაახსენდა, ის პატარა, მოკრძალებული ჩაის ცერემონიალი...

აი, ქალბატონმა ოოტამ ჩამჩა ხელში აიღო, ადუღებული წყალი ამოხაპა და თვალთაგან ერთბაშად მდუღარე ცრემლი წასკდა. ღაპაღუპით წამოსული ცრემლი კარდლის მრგვალ, დაქანებულ გვერდებზე ცვიოდა... კიკუჯი იძულებული გახდა, თვითონ მისულიყო, თვითონ აეღო ჩაით სავსე ფინჯანი. ჩაის სმა დამთავრებული არა ჰქონდა, კარდალაზე კი ცრემლი უკვე შემშრალი იყო. მერე – ის იყო, ცარიელი ჩაის ფინჯანი ძირს დადგა, რომ ქალბატონი ოოტა მის მუხლებზე გულწასული მიესვენა.

– იცით, ბოლო სურათებში დედა ძალიან გამხდარია, სულ მე მგავს... – უთხრა ფუმიკომ და ენა დაება. – ამიტომაც უკანასკნელად გადაღებული სურათის დადება რატომღაც შემრცხვა... აქ კი ცოტა უფრო მსუქნადაა...

კიკუჯი უცებ ფუმიკოსაკენ შემობრუნდა.

ფუმიკომ თვალები დახარა. ჩანს, მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ვაჟს ზურგის მხრიდან შეჰყურებდა.

უკვე დრო იყო, კიკუჯი მიცვალებულს მოსცილებოდა, ფუმიკოს პირდაპირ დამჯდარიყო.

დამჯდარიყოო – ადვილი სათქმელია. რა ექნა, სად ეპოვა ის საჭირო სიტყვები, რომლებითაც იგი მას ამ დიდ დანაშაულს შეუნდობდა?

და აი, ერთადერთი გამოსავალი მისთვის ახლა ეს ყვავილებით სავსე მიძუსაში აღმოჩნდა. ტატამზე ცალი ხელით დაყრდნობილი ქოთნისაკენ ოდნავ შებრუნდა და თვალიერება დაუწყო... ვითომ რატომ არ უნდა დაეთვალიერებინა? ეს ხომ

შინო იყო, დიდებული კერამიკა, ჩაის ცერემონიალისათვის საჭირო ერთ-ერთი ნივთთაგანი!

თეთრი მინანქრიდან ოდნავი მეწამული ატანდა. კიკუჯიმ ხელი გაიწოდა და ჭურჭლის კრიალა ზედაპირს შეეხო. ცივი იყო ქოთნის ზედაპირი, მაგრამ იმ შეფარული მეწამულიდან თითქოს რაღაცნაირ სითბოსაც აფრქვევდა.

– კარგი შინოა... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება. ისეთი ნაზი და ნატიფია... როგორიც... როგორიც სიზმარეული...

უნდოდა ეთქვა, როგორიც სიზმარეული ქალიო, მაგრამ აღარ დაასრულა.

– თუ თქვენ ნამდვილად მოგწონთ, ნება მომეცით, დედაჩემის სახსოვრად მოგართვათ.

– არა, რას ბრძანებთ! – კიკუჯიმ დარცხვენილმა შეხედა ფუმიკოს.

– გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით... მგონი, შესანიშნავი კერამიკაა, დედასაც ძალიან ესიამოვნება.

– კერამიკა, რა თქმა უნდა, შესანიშნავია, მაგრამ...

– დედაც სულ ამბობდა, ძალიან კარგი კერამიკააო. სწორედ ამიტომ ჩავაწყვე მასში თქვენი გამოგზავნილი ყვავილები.

უცებ თვალები ცრემლით აევსო კიკუჯის:

– გმადლობთ... ახლა კი ნამდვილად აღარ შემიძლია უარის თქმა.

– დედაც ალბათ ძალიან გაიხარებს...

– ოღონდ, ყვავილებს ჩავაწყობ, ამ ქოთანს ჩაის ცერემონიალისათვის არ გამოვიყენებ.

– დიახ... დედაც ხშირად აწყობდა ყვავილებს...

– ყვავილებსაც ჩაის ცერემონიალის დროს კი არა, ისე, უბრალოდ... იცით, რაც უნდა იყოს, გულსატკენია, როცა ჩაის ცერემონიალის ჭურჭელს რაღაც სხვა დანიშნულებისათვის იყენებ.

– შეიძლება... ისე, ვერც მე ვუდებ გულს ჩაის ცერემონიალებს,

ხელს ალბათ აღარასოდეს მოვკიდებ...

ახლა, როცა საუბარი, ასე თუ ისე, აეწყო, კიკუჯის შეეძლო, გამორიდებოდა მიცვალებულის ურნას. იგი ნიშასთან მივიდა, ძაბუტონი აიღო და გალერეაში გასასვლელი კარის წინ იმ ძაბუტონზე დაჯდა.

მაგრამ, თითქოს განგებო, ფუმიკო ახლაც კიკუჯის უკან აღმოჩნდა.

თანაც ამჯერად კიდევ უფრო შორს და, ვაჟმა თავი კვლავ უხერხულად იგრძნო.

ქალიშვილი შიშველ იატაკზე იჯდა. ხელები მუხლისთავებზე ელაგა... უცებ თითები ისე გამწარებით დამუჭა, ეტყობა შინაგანი თრთოლის დათრგუნვას შეეცადა.

– მიტანი-სან, აპატიეთ დედას! – უთხრა ვაჟს და თავი დახარა.

კიკუჯი შეკრთა, ასე ეგონა, ქალიშვილი საცაა პირქვე ჩაემხობოდა იატაკზე.

– ამას რატომ მეუბნებით?! საპატიებელი მე მაქვს, მე უნდა მაპატიოთ. მე კი თხოვნასაც ვერ ვბედავ, ვიცი, ჩემთვის ეს პატიებაც არ არსებობს. მრცხვენია, გული მეთანაღრება... წარმოდგენა არა მაქვს, როგორ გავბედე და აქ როგორ მოვედი.

– არა, არა, თქვენ კი არა, მე მრცხვენია! – ამ სიტყვებზე ფუმიკოს სახე ტკივილმა დაუღარა, – სულ იმას ვნატრობ, ნეტავი მიწა გამისკდებოდეს და თან ჩამიტანდეს-მეთქი.

თქვა და ფერმკრთალი, შეუპუდრავი სახე შუბლიდან ნატიფ კისრამდე წითლად შეეფერა. და აი, კიკუჯისათვის უცებ აშკარა გახდა, ამდენი განცდისა და მღელვარებისაგან როგორი ნატანჯი, როგორი ნაწამები იყო ფუმიკო. ეტყობა, არც ჯანმრთელობა ჰქონდა მთლად მაგარი – სირცხვილისაგან სახეშეფაკლულს ღაწვები წითლად კი არა, სისხლნაკლულ ადამიანთა მსგავსად, ვარდისფრად უკრთოდა.

კიკუჯის გული შეეკუმშა:

– გძულვართ, ფუმიკო?

– მძულხართ?! რასა ბრძანებთ! განა სძულდით ჩემს დედას?

– არა... მაგრამ, ხომ ჩემ გამო... გესმით, ჩემ გამო მოიკლა თავი!..

– დედას თვითონ უნდოდა სიკვდილი... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. მთელი კვირაა, სულ ამაზე ვფიქრობდი... ვიჯექი ჩემთვის მარტოდმარტო და ვფიქრობდი.

– ეს დღეები სულ ასე მარტო ხართ?

– დიახ, მაგრამ მე ამას მიჩვეული ვარ, მე და დედა ხომ მუდამ მარტონი ვცხოვრობდით... მაშინაც ხშირად ვრჩებოდი მარტოდმარტო.

– და... თქვენი ის ერთადერთი ახლობელი ადამიანიც ჩემ გამო წავიდა ამ ქვეყნიდან.

– არა, თქვენ გამო არა! თვითონ უნდოდა ასე, გესმით, თვითონ! რატომ ცდილობთ, მის სიკვდილში მაინცდამაინც თქვენს თავს თვლიდეთ დამნაშავედ? თუ ასეა, თუ ვინმეს დანაშაული მიუძღვის, მაშინ მე ვარ ყველაზე უფრო დამნაშავე და სიძულვილითაც ყველაზე მეტად ჩემი თავი უნდა მძულდეს. მაგრამ... იცით, მგონი, ამაზე ფიქრი საშინელებაა... განა შეიძლება, სულ იმის ფიქრში იყო, მის სიკვდილში ბრალი ვიღაც სხვას მიუძღვისო? ამით მხოლოდ ჩრდილს მივაყენებთ მის სახელს, ჩირქს მოვცხებთ მის ხსოვნას. სინდისის ქენჯნასა და დაგვიანებულ სინანულს ახლა აღარავითარი აზრი აღარა აქვს. ჩვენ ჯერ ისევ ცოცხლები ვართ, ის კი უკვე მკვდარია. რატომ უნდა დავუმძიმოთ ასეთი მძიმე ტვირთით სული მიცვალებულს?

– არ ვიცი, შეიძლება ასეცაა, მაგრამ... მე რომ არ შევხვედროდი... – სიტყვა ვეღარ გააგრძელა კიკუჯიმ.

– მე მგონი, მიცვალებულისათვის მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო – მიცვალებულს უნდა შეუნდო... იქნებ სიკვდილიც სწორედ იმიტომ გადაწყვიტა, თქვენგან ეს შენდობა მიეღო... ხომ შეუნდობთ, ხომ აპატიებთ დედას?

ამ სიტყვებზე ფუმიკო სწრაფად წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

კიკუჯიმ ყველაფერ ამას უცბად სულ სხვა თვალით შეხედა. «მოკვდა, რათა შენდობა მიეღო»... გამოდის, რომ ჩვენ, ცოცხლებმა, მწუხარება უნდა შევუმსუბუქოთ იმათ, ვინც უკვე ამქვეყანას აღარ არის...

მოკვდა ადამიანი.

ცოცხლად დარჩენილნი კი ზოგჯერ კიცხავენ, ზოგჯერ ინანიებენ და იტანჯებიან. ერთშიც და მეორეშიც არის რაღაც თვალთმაქცური, რაღაც ფარისევლური, ვინაიდან მიცვალებულს აღარც ჩვენთან ესაქმება არაფერი, აღარც ჩვენს მორალთან...

და კიკუჯიმ მზერა კვლავ ქალბატონ ოოტას სურათზე გადაიტანა.

2.

ფუმიკო ოთახში სინით ხელში შემობრუნდა.

ლანგარზე წითლად და შავად მოჭიქული ორი ცილინდრული ფინჯანი იდგა. ქალიშვილმა შავად მოჭიქული ფინჯანი კიკუჯის დაუდგა. ფინჯანი ჩვეულებრივი მწვანე ჩაით იყო სავსე და არა იმ დაფქული ჩაით, რომელსაც ცერემონიალების დროს ხმარობენ.

კიკუჯიმ ფინჯანი ასწია, ძირზე შეხედა და მკვახედ იკითხა:

– ვისი ნამუშევარია?

– მგონი, რიონიუსი უნდა იყოს.

– წითელიც?

– დიახ.

– ჯუფთები არიან... ერთმანეთის წყვილები... – თქვა და ახლა წითელი ფინჯანი შეათვალიერა.

ჩაით სავსე წითელი ფინჯანი ფუმიკოს წინ ხელუხლებელი იდგა.

კარგი ფინჯნები იყო, გემრიელად მოსახმარი, მაგრამ კიკუჯის ერთბაშად უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა:

ერთმანეთის ჯუფთი... «ცოლ-ქმარი» ფინჯნები... ხომ შეიძლება, ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქალბატონი ოოტა და მამამისი ჩაის სწორედ ამ ფინჯნებით სვამდნენ? ისხდნენ გვერდიგვერდ და შინაურულად, ერთი ოჯახის წევრებივით შეექცეოდნენ: ფუმიკოს დედა წითელი ფინჯნიდან სვამდა,

მამამისი – შავად მოჭიქული ფინჯნიდან...

თუ ეს ფინჯნები მართლაც რიონიუს ნამუშევარი იყო, ალბათ არც ისე ძალიან უფრთხილდებოდნენ, სხვა რიგით ჭურჭელთან ერთად მგზავრობაშიაც თან დაჰქონდათ...

მამამისი და ფუმიკოს დედა თუ ამ ფინჯნებიდან სვამდნენ... იცის კი ეს ამბავი ფუმიკომ? თუ იცის, გამოდის, რომ ბოროტად დასცინის...

მაგრამ კიკუჯის ეს დაცინვად არ აღუქვამს, მისთვის ეს ქალიშვილის ჩვეულებრივი გრძნობიერება იყო.

ის კი არა და, მისი ეს სანტიმენტალობა ლამის კიკუჯისაც გადაედო.

ქალბატონი ოოტას სიკვდილით ორივენი დათრგუნვილები და გულდამძიმებულები იყვნენ, არც ერთსა და არც მეორეს ძალა არ შესწევდა, რაიმეს შებრძოლებოდა, მათ შორის სანტიმენტალობასაც. აგერ ამ ჯუფთმა ფინჯანმა კი, ჩანს, კიდევ უფრო დააახლოვა ისინი, საერთო მწუხარება კიდევ უფრო დაუმძიმა.

ფუმიკომ ყველაფერი იცოდა – იცოდა, რა დამოკიდებულებაში იყვნენ კიკუჯის მამა, ქალბატონი ოოტა თუ თავად კიკუჯი, იცოდა, რატომ და რის გამო მოკვდა დედამისი.

ფუმიკო და კიკუჯი ერთგვარად თანამონაწილენიც იყვნენ – მხოლოდ მათ იცოდნენ ქალბატონი ოოტას თვითმკვლელობის ამბავი, ისინი ფარავდნენ, ისინი ინახავდნენ ამ ამბავს საიდუმლოდ.

ჩაის დაყენების დროს ფუმიკო, ეტყობა, ტიროდა, თვალები ჩაწითლებული ჰქონდა.

– მე მგონი, კარგად მოვიქეცი, რომ მოვედი, – თქვა კიკუჯიმ, – ფუმიკო-სან, თქვენ რაღაც პატიებაზე ლაპარაკობდით. თქვენი ეს სიტყვები კაცმა შეიძლება ასედაც გაიაზროს და ისედაც... იქნებ იმის თქმა გინდოდათ, ცოცხალსა და მიცვალებულს ერთმანეთისათვის აღარაფრის პატიება აღარ შეუძლიათო? მაგრამ მე მაინც შევეცდები, თავი დავირწმუნო, რომ დედათქვენმა ყველაფერი მაპატია.

ფუმიკომ თავი დაუქნია.

– დიახ, ეს რომ არა, მაშინ ვერც თქვენ შეძლებდით პატიებას. აი, თავის თავს კი, როგორც ჩანს, ვერ აპატია...

– და მე აგერ, თქვენ გვერდით ვზივარ... ვინ იცის, იქნებ ძალიან ურიგოდაც ვიქცევი...

– რატომ?! – ფუმიკომ კიკუჯის თვალებში შეხედა, – განა დედა დამნაშავეა, სიცოცხლე რომ ვეღარ შეძლო?.. ამაზე ხომ არ მიმანიშნებთ?.. დედა რომ გარდაიცვალა, თავდაპირველად მეც ძალიან ნაწყენი და შეშინებული ვიყავი. დავუშვათ, მისი არავის ესმოდა, ამტყუნებდნენ და საქციელს უწუნებდნენ, მიუხედავად ამისა, სიკვდილი მაინც გამართლება არ არის-მეთქი, – ვფიქრობდი, მაგრამ... სიკვდილი ყოველგვარ განსჯასა და გასამართლებას აბათილებს... იგი ყველაფერს უარყოფს და ჩვენც აღარავითარი უფლება აღარა გვაქვს, ვინმეს ვაპატიოთ ან არ ვაპატიოთ სიკვდილი.

კიკუჯის ხმა არ ამოუღია. აი, ფუმიკოც შეეხო იმ დიდ საიდუმლოს, რასაც სიკვდილი ჰქვიაო, გაიფიქრა...

«სიკვდილი ყოველგვარ განსჯასა და გასამართლებას აბათილებს»... – თქვა ფუმიკომ და კიკუჯი გაოცებული დარჩა – ფუმიკოსაგან ასეთ სიტყვებსა და მსჯელობას არ ელოდა.

აგერ, სხედან ისინი გვერდიგვერდ და ორივენი ერთ მიცვალებულზე ფიქრობენ... ფიქრობენ სრულიად განსხვავებულად, ვინაიდან ერთისთვის იგი ქალბატონი ოოტაა, მეორისთვის – მშობელი დედა.

ფუმიკო ქალბატონ ოოტას, როგორც ქალს, ცხადია, ვერასოდეს აღიქვამდა, როგორც ქალს ვერასოდეს შეიგრძნობდა.

კიკუჯი კი ახლა პატიებაზე ფიქრობდა, რათა შეენდო და თავადაც შენდობილი ყოფილიყო. ოცნებაში ჩაძირულს თვალები მიელულა და მისი ამ ოცნების საგანი მხოლოდ ერთი – ქალბატონი ოოტა იყო... მისი სითბო... მისგან წამოსული სიამის მომგვრელი ნეტარი ტალღები...

ასე ეგონა, ის ნეტარი ტალღები ამ წითელი და შავი ფინჯნებიდანაც მოედინებოდა.

განა შეეძლო, გაეგო ეს ფუმიკოს?

ქალიშვილს, რომელიც დედის ნაწილია, მისი ხორცი

ხორცთაგანი, დედის სხეულზე წარმოდგენაც არა აქვს, ის კი არა, დელიკატურად თვალსაც კი არიდებს, მაგრამ დედის სხეული საკუთარ ქალიშვილში ხშირად ასევე დელიკატურად, ზოგჯერ კი სრულიად შეუმჩნევლად განსხეულდება.

პირველად თავისი სახლის წინკარში შემოსული ფუმიკო რომ დაინახა, კიკუჯი უცებ ნაცნობმა სინაზემ მოიცვა, ვინაიდან ქალიშვილში რაღაც საოცრად დედისეული შეიგრძნო.

ქალბატონმა ოოტამ ალბათ გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა, როდესაც ვაჟიშვილი მამის ცოცხალ განსხეულებად მიიღო. მაგრამ თუ ეს მხოლოდ შეცდომა იყო, კიკუჯის დამოკიდებულება ფუმიკოსადმი შეიძლებოდა მისთვის საშვილიშვილო წყევლადაც ქცეულიყო, ვინაიდან ფუმიკოში იგი თავად ქალბატონ ოოტას ხედავდა. მიუხედავად ამისა, ქალიშვილი კიკუჯის უჩვეულო ძალით იზიდავდა, კიკუჯი კი თავის ამ განცდას არ ეწინააღმდეგებოდა.

ფუმიკოს სავსე, ქარდაკრული ბაგეების ყოველ შეხედვაზე გრძნობდა, როგორ მტკივნეულად ისწრაფოდა ამ გოგოსაკენ.

ფუმიკო ნაზია... კიკუჯიმ ალბათ რაღაც საშინელება უნდა ჩაიდინოს, რათა ფუმიკომ წინააღმდეგობა გაუწიოს.

იმის შიშით, რაიმე სისულელე არ მოვიმოქმედოო, შეეცადა მათ შორის ჩამოწოლილი მდუმარება სასწრაფოდ დაერღვია.

– დედათქვენი მეტად სათუთი და მგრძნობიარე ადამიანი იყო, ალბათ ამიტომაც ვერ გაძლო. მე კი, როგორც ახლა მეჩვენება, ზოგჯერ მეტად მკაცრი ვიყავი მის მიმართ, მაგრამ მეც აკი სულ სინდისი მქენჯნიდა! ჩანს, მეტისმეტად გუდახდილად და უხეშად ველაპარაკებოდი ჩემს განცდებზე. მე ხომ სულმოკლე კაცი ვარ, გარდა ამისა, მშიშარაც...

– რასა ბრძანებთ, ყველაფერი თავისივე ბრალია, თვითონვე გაიწამა თავი... მაშინაც... მამათქვენთანაც და თქვენთანაც... ძალიან უმძიმდა, ის ხომ ისეთი ქალი არ იყო... მას ხომ არ შეეძლო...

ფუმიკოს ენა დაება. გაწითლდა; ეტყობა, შერცხვა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება. ღაწვები ახლა უკვე ვარდისფრად კი არა, წითლად უგიზგიზებდა.

– მაგრამ დედა რომ გარდაიცვალა, – განაგრძო ფუმიკომ, –

მეორე დღესვე სულ სხვა თვალით შევხედე. მასზე ისე დავიწყე ფიქრი, როგორც უმშვენიერეს ადამიანზე და, იცით, იგი მართლაც მშვენიერზე მშვენიერი გახლდათ.

– როდესაც საქმე მიცვალებულს ეხება, ალბათ მუდამ ასეა...

– იცით, სულ ვფიქრობ... ვფიქრობ... დედა იქნებ იმის გამო მოკვდა, თავის საქციელს ვერ გაუძლო... და კიდევ იმის გამო, რომ...

– არა, ეს ასე არ არის!

– კიდევ იმის გამო, რომ საკუთარ თავს ვერ მოერია. იგი ხომ ლამის გიჟდებოდა...

თვალები ცრემლით აევსო ფუმიკოს. ალბათ უნდოდა ეთქვა – იგი ხომ ლამის გიჟდებოდა თქვენი სიყვარულითო.

– ჩვენგან წასული ადამიანები მუდამ ისეთები იქნებიან, როგორსაც ჩვენი გულები შემოინახავენ, ჩვენ კი არასდროს დავივიწყებთ, მუდამ სათუთად მოვეპყრობით მათ ხსოვნას! – თქვა კიკუჯიმ.

– მაინც რა მალე წავიდნენ ყველანი.

ფუმიკო, ჩანს, მიხვდა, კიკუჯის ახლა მხოლოდ დედამისი კი არა, თავისი მშობლებიც ჰყავდა მხედველობაში.

– და აი, ორივენი – თქვენცა და მეც მარტონი დავრჩით, – დასძინა კიკუჯიმ და გაიფიქრა: «ქალბატონ ოოტას ქალიშვილი რომ არ ჰყოლოდა, ჩემთვის ალბათ ქვეყანა ახლა გაცილებით პირქუში და უღიმღამო იქნებოდა, ქალბატონ ოოტასთან ჩემი დამოკიდებულება ხომ ყოვლად არაბუნებრივი იყო». მერე კი განაგრძო: – როგორც ჩანს, ფუმიკო-სან, თქვენ მარტო ჩემდამი როდი ხართ ასეთი კეთილი, თურმე მამაჩემის მიმართაც დიდ სიკეთეს იჩენდით... მე ხომ დედათქვენმა ყველაფერი მიამბო...

კიკუჯიმ, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, წარმოთქვა ის სიტყვები, რომლებიც კარგა ხანია ენის წვერზე უტრიალებდა. მისი ხმა ახლა თითქოს უფრო მშვიდი, უშუალო იყო. როგორც ჩანს, დადგა დრო, როდესაც შეეძლო წყნარად, გულღიად ესაუბრა ასეთ რამეებზე. ესაუბრა თავიანთ მშობლებზე, მათ ურთიერთობაზე.

მაგრამ ფუმიკო უცებ ტატამს ხელისგულებით დაეყრდნო და

თავი მდაბლად დაუკრა:

– მაპატიეთ! იცით, ისე მეცოდებოდა დედა, ისე, მეცოდებოდა!.. მაშინაც ხომ ლამის გაგიჟებას იყო... – ჩაილაპარაკა ფუმიკომ სწრაფად, ისე, რომ თავი არ აუწევია და ჩუმად, უხმოდ ატირდა, მხრები უღონოდ ჩამოუშვა.

კიკუჯი დღეს აქ მოულოდნელად მოვიდა. უწინდებოდ დარჩენილი ფუმიკო მთელი ამ ხნის განმავლობაში ისე უხერხულად, ისე მოკრუნჩხული იჯდა, თითქოს უნდა დამალოს, არ უნდა, შიშველი ფეხის ტერფები დაანახოსო. ისე მუშტივით იყო მოკუნტული, შეხედავდი და ცოდვით გული აგევსებოდა.

მისალმების ნიშნად თავი რომ დახარა და გაირინდა, მისი შავი, ტატამიმდე ჩამოშლილი თმის ფონზე ცილინდრული წითელი ფინჯანი კიდევ უფრო წითელი გამოჩნდა.

ბოლოს ფუმიკო წამოდგა, ცრემლით დანამულ სახეზე ხელისგულები აიფარა და ოთახიდან გავიდა.

კარგა ხანს უკან აღარ შემობრუნებულა.

კიკუჯიმ ხმამაღლა გასძახა:

– ფუმიკო-სან, ნება მომეცით, გამოგემშვიდობოთ.

წინკარში რომ გავიდა, ფუმიკო უკვე იქ ელოდა, ხელში რაღაც შეხვეული ეჭირა.

– თუ შეიძლება, გამომართვით. ოღონდ, არ ვიცი, მოსახერხებელია თუ არა სატარებლად.

– უკაცრავად, რა არის?

– ეს ის შინო გახლავთ.

კიკუჯი გაოცებული დარჩა – მაინც როდის მოასწრო, ყვავილები როდის ამოიღო ან წყალი როდის გადაღვარა, ან როდის გაწმინდა, ბუდეში როდის ჩადო და ფუროშიკიში როდის გაახვია?!

– იცით, ძალიან მეუხერხულება... ამ ქოთანში ხომ ყვავილები ელაგა... იქნებ სხვა დროს წამეღო?

– თუ შეიძლება, დღეს წაიღეთ.

«ეტყობა, უკვე უმძიმს ჩემთან ყოფნა, ალბათ ამიტომ გამიხვია ეს შინო ასე ჰაიჰარად», – გაიფიქრა კიკუჯიმ.

– კარგი, წავიღებ. დიდი მადლობელი ვარ.

– რა თქმა უნდა, სჯობდა, მე თვითონ მომეტანა, მაგრამ თქვენს სახლში შემოსვლა არ შემიძლია.

– რატომ?

ფუმიკომ არაფერი უპასუხა.

– რახან ასეა, მშვიდობით, კარგად ბრძანდებოდეთ... – უთხრა კიკუჯიმ უკვე კარის ზღურბლთან.

– მადლობელი ვარ, რომ მობრძანდით, იცით... ცოლი შეირთეთ, მალე დაქორწინდით, დედაზე ნუ იფიქრებთ...

– ამას რატომ მეუბნებით?

კიკუჯი ზღურბლს იყო გადაცილებული, რომ ისევ მოტრიალდა, მაგრამ გამომშვიდობების ნიშნად მდაბლად თავწახრილ ფუმიკოს თავი არ აუწევია.

3.

ფუმიკოს ნაჩუქარ შინოში კიკუჯიმ ყვავილები ჩაალაგა – თეთრი ვარდები და ღია ვარდისფერი მიხაკები...

ისეთი გრძნობა ჰქონდა, ქალბატონი ოოტა თითქოს მხოლოდ ახლა, სიკვდილის შემდეგ შეუყვარდა.

ისიც ეგონა, ფუმიკო რომ არა, ჩემს სიყვარულს ალბათ ვერასოდეს გავაცნობიერებდიო.

კვირადღეს ფუმიკოს დაურეკა:

– თქვენ ისევ მარტო ხართ?

– დიახ, მართალი გითხრათ, სევდა უფრო მომეძალა.

– ასე მარტო ყოფნა როგორ შეიძლება?

– რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ...

– თქვენთან, ეტყობა, ძალიან სიწყნარეა... ტელეფონშიაც კი

მესმის, მთელ სახლში რა საყდრული მდუმარეებაა.

ფუმიკომ წყნარად გაიცინა.

– რატომ არ შეიძლება, რომელიმე თქვენს მეგობარს სთხოვოთ, დროებით თქვენს სახლში გადმოვიდეს?

– რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ, იცით, ასე მგონია, ამ სახლში ვინმე უცხო რომ შემოვიდეს, დედაჩემის ამბავს მაშინვე ყველანი გაიგებენ.

კიკუჯიმ ვერაფერი უპასუხა.

– ქუჩაში ხომ გამოდიხართ? ან იქნებ სახლს ვერ ტოვებთ?

– სახლს? არა, რატომ?.. ჩავკეტავ კარს და მივდივარ.

– იქნებ ჩემთანაც შემოგევლოთ?

– გმადლობთ... როგორმე აუცილებლად შემოვივლი.

– თქვენი ჯანმრთელობის საქმე როგორაა?

– არა მიშავს, ოღონდ ცოტათი გავხდი.

– როგორ გძინავთ?

– ცუდად, უფრო სწორად, სულ არ მძინავს.

– აი, ეგ კი ძალიან ცუდია!

– დიახ... მალე ალბათ სახლის საქმეს მოვითავებ, მერე კი ერთ ჩემს ამხანაგთან ოთახს დავიქირავებ.

– როგორ თუ მოითავებთ?

– მე ხომ ვყიდი ამ სახლს.

– სახლს?

– დიახ.

– გადაწყვეტილი გაქვთ?

– დიახ... თქვენ ფიქრობთ, უმჯობესია არ გავყიდო?

– როგორ გითხრათ... ყოველ შემთხვევაში, ვიფიქრებ, იქნებ მეც გავყიდო ჩემი სახლი.

ფუმიკომ არაფერი უპასუხა.

– კაცმა რომ თქვას, ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ტელეფონით მსჯელობას რა აზრი აქვს? იქნებ ჯობდა, ჩემთან გამოგევლოთ... დღეს ხომ კვირაა, მთელ დღეს სახლში ვარ.

– დიახ, კვირაა.

– იცით, თქვენ მიერ ნაჩუქარ ქოთანში უკვე ყვავილები ალაგია. ბაღის ყვავილები ჩავაწყვე, ევროპულ ყაიდაზე, მაგრამ, თუ მოხვალთ, ამ შინოს თავისი დანიშნულებით, ესე იგი, მიძუსაშად გამოვიყენებთ...

– ჩაის ცერემონიალს გამართავთ?

– არა, ნამდვილს არა... უბრალოდ, ცოდოა ასეთი შინო ერთხელ მაინც არ გამოიყენო იმისთვის, რისთვისაცაა გამიზნული. ჩაის ჭურჭლის ჭეშმარიტი მშვენიერება ხომ მხოლოდ მაშინ გამოვლინდება, როცა ამ დანიშნულების სხვა ჭურჭელთანაა შეხამებული!

– მიუხედავად ამისა, დღეს ვერ მოვალ, არ შემიძლია... იცით, საშინლად გამოვიყურები, გაცილებით ცუდად, ვიდრე იმ დღეს, ჩემთან რომ იყავით.

– რა სისულელეა! მე ხომ თქვენ გარდა სტუმრად აქ არავინ მეყოლება?!

– ჰო, მაგრამ...

– ესე იგი, არ მოხვალთ?

– არა, ვერ მოვალ, ნახვამდის...

– კარგად იყავით. ოი, მგონი, ვიღაც მოვიდა... აბა, ჯერჯერობით...

ის ვიღაც კი ჩიკაკო კურიმოტო იყო.

კიკუჯი დაიძაბა – ნეტავი ჩიკაკომ იმათი საუბარი თუ გაიგონა?

– წარმოგიდგენია, რა დიდებული ამინდია! ძლივს არ გამოვედი სახლიდან! ვიფიქრე წავალ, მოვინახულებ-მეთქი... რა ხანია სულ წვიმს და წვიმს.

და, დაჯდა თუ არა, ცხადია, შინო მაშინვე შეამჩნია.

– კიკუჯი-სან, თქვენის ნებართვით, ცოტა ხანს ჩაის პავილიონში ვიქნები... ხომ იცით, ზაფხულია, გაკვეთილები შედარებით ნაკლები მაქვს, ისე დაკავებული აღარა ვარ, ავდექი და შემოგიარეთ...

თქვა და ერთი კოლოფი ნამცხვარი და მარაო კიკუჯისაკენ მიაცურა:

– ჩაის პავილიონში ალბათ ისევ ობის სუნია.

– ალბათ...

– ვხედავ, აგერ, ოოტა-სანის შინო გიდგათ, შეიძლება დავათვალიერო? – სხვათა შორის წარმოთქვა ჩიკაკომ. ქოთანთან ისე მიჩოჩდა, არც კი წამოუწევია.

ტატამზე ხელისგულებით დაბჯენილი შინოსაკენ დაიხარა, კაცივით ფართო, ძვლებამოჩრილი მხრები ასწია, თავი ძირს ჩაჰკიდა და ქოთანს ისე მიაჩერდა, თითქოს საცაა, პირიდან მომაკვდინებელ შხამს გადმოუშვებს, ყვავილებს შეანთხევსო.

– იყიდეთ?

– არა, საჩუქრად მომართვეს.

– ასეთი ძვირფასი ნივთი?! თქმა არ უნდა, ძვირფასი საჩუქარია. ა-ა, ესე იგი, სამარადისო მოსაგონებლად დაგიტოვეს.

ჩიკაკო წელში გაიმართა:

– დიახ, ნივთი მართლაც ძალიან ძვირფასია. ჯობდა, ფული გადაგეხადათ. ასეთმა საჩუქარმა კაცს შეიძლება გულიც კი გაგიხეთქოს. რა თქმა უნდა, იმისმა ქალიშვილმა მოგართვათ...

– ფული გადამეხადა? ვნახოთ, ვიფიქრებ.

– იფიქრეთ, ბატონო, ოოტასეული ჩაის ჭურჭელი თქვენს სახლში ისეც ბლომადაა, მაგრამ ის ყველაფერი მამათქვენის ნაყიდია, ყველაფერში ფული აქვს გადახდილი. რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც ქალბატონ ოოტას მფარველობა დაუწყო... და აი, გამოდის, რომ...

– კმარა, მორჩით ამ ლაპარაკს!

– კარგი, კარგი, აი, უკვე ჩუმადა ვარ.

ამ სიტყვებზე ჩიკაკო უცებ მსუბუქად წამოდგა და ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა.

მალე კიკუჯის გარედან მოსამსახურისა და ჩიკაკოს ხმა მოესმა. უკან რომ შემობრუნდა, ჩიკაკოს უკვე საშინაო ხალათი ეცვა.

– ოოტა-სანმა ხომ თავი მოიკლა!.. – თქვა ჩიკაკომ.

მისი სიტყვები თავზე მეხივით დაატყდა კიკუჯის.

– რა სისულელეა, ტყუილია!..

– თქვენ ასე გგონიათ?! ძალიანაც ცდებით! მე კი მაშინვე მივხვდი... დიდი ავბედითი და უკუღმართი ქალი იყო, – თქვა ჩიკაკომ და კიკუჯის შეხედა, – მამათქვენიც სულ იმას ამბობდა, გამოუცნობი ქალიაო. ცხადია, ჩვენ, ქალები, სულ სხვა თვალით ვუყურებთ ერთმანეთს, მაგრამ... მართლაც რომ უცნაური ქალი იყო, არ ვიცი, გულუბრყვილო და მიამიტი... არ ვიცი, უბოროტო... ერთი კია, ასეთები გულზე არ მეხატებიან... ისე, დიდი აბეზარი და მოუცილებელი რომ იყო, თქვენც კარგად მოგეხსენებათ...

– ძალიან გთხოვთ, მიცვალებულს აუგად ნუ ახსენებთ!

– მაპატიეთ, კიკუჯი-სან, მართალი ბრძანდებით, არ შეიძლება... მაგრამ, განა ის მიცვალებული არ არის, ახლაც ცხოვრებას რომ გირევთ, ცოლის შერთვაში ხელს გიშლით?! ისე, იმ ქალბატონისაგან არც მამათქვენს უნახავს ნაკლები უსიამოვნება.

«მამაჩემს კი არა, შენ არ გინახავს ნაკლები უსიამოვნება»... – გაიფიქრა კიკუჯიმ.

მამამისისა და ჩიკაკოს კავშირი, ჩანს, სრულიად შემთხვევითი და ხანმოკლე იყო. როგორც ჩანს, მამამ ქალბატონი ოოტას გამო კი არა, გაცილებით ადრე მიატოვა. მიუხედავად ამისა, ქალბატონი ოოტა ჩიკაკომ სასტიკად შეიძულა, ვინაიდან იცოდა, ბატონი მიტანისათვის ეს ქალი სიკვდილამდე განუშორებელი და სანუკვარი იქნებოდა.

– დიახ, მეტად რთული და გამოუცნობი ვინმე ბრძანდებოდა. თქვენ, კიკუჯი-სან, ახალგაზრდა კაცი ხართ, გამოუცდელი. თქვენთვის იმ ქალის ბუნებასა და ხასიათში გარკვევა არცთუ ადვილი საქმეა. მეტსაც გეტყვით, თქვენდა ბედად, კიდევ

კარგი, დროზე მიხვდა და დროზე მოიკლა თავი... სამუდამოდ დაიღუპებოდით. ჰო, ჰო, ნუ გიკვირთ, მართალს გეუბნებით!

კიკუჯიმ ჩიკაკოს ზურგი აქცია, მაგრამ ვითომ ვერც კი შევამჩნიეო, ქალმა ეს აინუნშიაც არ ჩააგდო.

– სხვათა შორის, ეგ კი არა, ვინც უნდა ყოფილიყო, თქვენი ქორწილის ჩაშლის უფლებას არავის მივცემდი. ვინ იცის, ეგებ გრძნობდა კიდეც დანაშაულს, მაგრამ თავის სატანურ ბუნებას რომ ვერაფერი მოუხერხა, ადგა და თავი მოიკლა... თან ალბათ იმის იმედიცა ჰქონდა, სიკვდილის შემდეგ იმქვეყნად მამათქვენს შეხვდებოდა. რას იზამ, ამნაირი ქალბატონი ბრძანდებოდა!..

ამ სიტყვებზე კიკუჯის ზურგზე ჭიანჭველებმა დაურბინეს.

– წავალ, ერთი-ორი წუთით ჩაის პავილიონში დავჯდები, იქნებ ცოტა დავმშვიდდე, – ჩიკაკო წამოდგა და ბაღში გავიდა.

კიკუჯი კი იჯდა ისევ ისე გახევებული და ქოთანში ჩალაგებულ ყვავილებს შეჰყურებდა.

თეთრი... თეთრი ვარდები და ღია ვარდისფერი მიხაკები... თეთრი... ვარდისფერსხივდაკრული შინო... ვარდი, მიხაკი და კერამიკა ერთმანეთს შენივთებოდა, ერთმანეთში განზავებულიყო... და აი, შინოს ფონზე თანდათან ნისლივით ლანდი აიშალა – დაცარიელებულ სახლში მარტოდმარტო შთენილი, ტატამზე საცოდავად მობუზული, სევდითა და მწუხარებით დაზაფრული ფუმიკოს ლანდი.

ქალბატონი ოოტას ტუჩსაცხი

1.

კიკუჯიმ კბილები გაიხეხა და, საძინებელ ოთახში რომ შებრუნდა, მოსამსახურე ქალი კედელზე ჩამოსაკიდ, გოგრის მოყვანილობის ლარნაკში აბრეშუმას ყვავილს დებდა.

– დღეს უსათუოდ ავდგები, ოღონდ მოგვიანებით, – თქვა კიკუჯიმ და ისევ ლოგინში ჩაწვა, ზურგზე ნებივრად გაიჭიმა, თავი ბალიშზე გადააგდო და ტოკონომას კუთხეში ჩამოკიდებულ ლარნაკში ჩადებულ ყვავილს მიაჩერდა.

– სამსახურში არც დღეს მიდიხართ? – გამოსძახა მოსამსახურე ქალმა ახლა უკვე მეორე ოთახიდან.

– არა, არ წავალ, ამ ერთ დღესაც დავისვენებ... ადგომით კი უსათუოდ ავდგები.

აგერ უკვე მეხუთე დღეა, კიკუჯი გაცივებულია და საშინელი თავის ტკივილი აწუხებს, ეს მეხუთე დღეა სამსახურში არ წასულა.

– ერთი მითხარი, აბრეშუმას ყვავილი სად იპოვე?

– ბაღში, ღობის ძირას, ჯანჯაფილის ყვავილებში იყო გარეული.

ბაღში, ღობის ძირას, თავისით ამოსული ველური აბრეშუმა – წვრილი, უნაზესი ღერო, წვრილი, პაწაწა ფოთლები და ერთადერთი სადა, მუქი იისფერი ყვავილი.

მაგრამ ეს პაწია ფოთლებიც, თითქოს ჟამთასვლისაგან ჩაშავებულ, წითელი ლაქით დაფარულ, გოგრისებურ ლარნაკზე გადმოკიდებული ეს პატარა იისფერი ყვავილიც, ასე გგონია, მინდვრის ამო სურნელსა და სიგრილეს აფრქვევდა.

მოხუცი მოსამსახურე ქალი კი, რომელიც მათ ოჯახს ჯერ კიდევ მამამისის სიცოცხლეში ემსახურებოდა, ზოგჯერ ნამდვილი შემოქმედი იყო.

კედელზე ჩამოკიდებულ ლარნაკს კიდევ შერჩენოდა აქა-იქ აქერცლილი ოსტატისეული ლაქის დამღა. გარდა ამისა, ძველ, გადაქექილ ფუტლარზეც ეწერა, რომ ლარნაკი სოტანის ნამუშევარს წარმოადგენდა. თუ ამ წარწერას დავუჯერებდით, გამოდიოდა, რომ ეს გოგრა სამასი წლისა მაინც იყო.

კიკუჯი, მართალია, დიდად ვერ ერკვეოდა ჩაის ცერემონიალისათვის ყვავილების შერჩევის ხელოვნებაში, მით უმეტეს, მოსამსახურე ქალს ალბათ სულაც არაფერი გაეგებოდა ამ საქმისა, მაგრამ კიკუჯის მაინც მოეჩვენა, რომ აბრეშუმას[43] ეს ყვავილი ზედგამოჭრილი იყო დილის ჩაის ცერემონიალისათვის.

უყურებდა ყვავილს და ფიქრობდა: «სამასწლიან გოგრაში აბრეშუმას უნაზესი ყვავილია ჩადებული, რომელიც მხოლოდ ერთ დღეს ცოცხლობს... იქნებ სწორედ ამ შეხამებაშია ყველაზე დიდი ჰარმონია, იქნებ ეს გაცილებით ლამაზი, ნაზი და

ნატიფია, ვიდრე სამასწლიან შინოში ჩაწყობილი ევროპული ბაღის ეს დიდრონი მიხაკები და ვარდები?»

მერე რატომღაც აფორიაქდა: მაინც რამდენ ხანს... რამდენ საათს ცოცხლობს აბრეშუმა?

მოსამახურემ საუზმე შემოიტანა.

– მეგონა, აბრეშუმას ყვავილს მოწყვეტდი თუ არა, ხელში შემოგაჭკნებოდა, ეს კი ჯერ ისევ ცოცხლადაა, – უთხრა მოსამსახურე ქალს კიკუჯიმ.

– დიახ, ჯერ ისევ ცოცხლად გამოიყურება.

გაახსენდა, ქალბატონი ოოტას სამახსოვრო შინოში იორდასალამების ჩაწყობა რომ უნდოდა – ქალბატონი ოოტას ხსოვნის აღსანიშნავი იორდასალამების... მაგრამ, ფუმიკომ შინო რომ აჩუქა, იორდასალამების ყვავილობა უკვე ჩათავებული იყო.

– ეს გოგრა სულ აღარ მახსოვდა, სად იყო, სად გამოძებნე?

– რა ვიცი, გამახსენდა...

– ამ ლარნაკში მამას თუ ჩაუდია ოდესმე აბრეშუმა?

– არ ვიცი... არა მგონია... ეს მე ისე, უბრალოდ... ჩემით გავაკეთე... გოგრაცა და აბრეშუმაც ხომ ხვიარა მცენარეებია, ჰოდა...

– რაო, ხვიარა მცენარეებიაო?!

კიკუჯიმ გაოგნებულმა გაიცინა.

ნასაუზმევს გაზეთის წაკითხვა დააპირა, მაგრამ ხელში აიღო თუ არა, თავი საშინლად დაუმძიმდა და იქვე, სასადილო ოთახში ტატამზე გაიჭიმა.

სასადილო ოთახში ხელების წმენდა-წმენდით მოსამსახურე ქალი შემოვიდა.

– ჩემი საწოლი ხომ არ აგილაგებია?

– თუ შეიძლება, ცოტა ხანს მოითმინეთ, ჯერ ამ ოთახს მივალაგ-მოვალაგებ.

საძინებელ ოთახში რომ შებრუნდა, ტოკონომაში აღარც ის

აბრეშუმა იყო, აღარც გოგრისებური ლარნაკი.

კიკუჯის გაეღიმა: გაუტანია... ალბათ არ უნდოდა, მჭკნობარე ყვავილისათვის შემეხედა, გული დამღონებოდა.

მოსამსახურე ქალის ნათქვამზე, აბრეშუმაცა და გოგრაც ხვიარა მცენარეებიაო, კიკუჯიმ გაიფიქრა: «ეტყობა, ამ მოხუც ქალს თავისებურად ყოფილი ბატონის ესთეტიკური ჩვევები გადმოეცა».

სინო კი ისევ ცარიელი იდგა ტოკონომაში.

ახლა უცებ ფუმიკო რომ შემოსულიყო, საჩუქრის მიმართ კიკუჯის ეს დაუდევარი დამოკიდებულება ალბათ გულს ატკენდა.

ქოთანი სახლში მოიტანა თუ არა, იმავე დღეს კიკუჯიმ შიგ თეთრი ვარდები და ვარდისფერი მიხაკები ჩააწყო.

განა ასეთი ყვავილები არ ელაგა სულის მოხსენიების მეშვიდე დღეს ქალბატონი ოოტას ურნის წინაც – კიკუჯის მიერ გაგზავნილი თეთრი ვარდები და ვარდისფერი მიხაკები.

იმ დღეს საჩუქრით ხელში ფუმიკოსაგან შინ რომ ბრუნდებოდა, ისევ იმ ყვავილების მაღაზიაში შევიდა და ზუსტად ისეთივე თეთრი ვარდები და ვარდისფერი მიხაკები იყიდა.

ეს იყო და ეს, მას შემდეგ ქოთანში ყვავილები აღარ ჩაუწყვია, ასე ეგონა, საკმარისია ამ შინოს ხელი შევახო, რომ ისე ავფორიაქდე, თავი ვერაფრით დავიოკოო.

ქუჩაში მიმავალი, ხანდახან შუახანს მიტანებულ ქალს დაინახავდა, თავისდა უნებურად უკან გაჰყვებოდა, მერე უცებ გონს მოეგებოდა და შუბლშეკრული აბუზღუნდებოდა:

– ქურდივით არ ავედევნე!..

ამ უცნობ ქალს კი სულაც არაფერი უგავდა ქალბატონ ოოტასი, მხოლოდ თეძოს მოყვანილობით თუ მიამსგავსებდი სულ ოდნავ.

მიუხედავად ამისა, კიკუჯის აუტანელი სურვილი ეუფლებოდა, დაუოკებელი გულისთქმა სუნთქვას უკრავდა... მაგრამ გაივლიდა ორიოდე წუთი და სურვილს გაოცება

სცვლიდა, ერთმანეთს ეწვნოდა, ერთმანეთზე შრევდებოდა. მერე იმ ადამიანივით, რომელსაც, ის-ის იყო, დანაშაული უნდა ჩაედინა, ერთბაშად გონს მოეგებოდა.

მაინც საიდან... საიდან ჩნდება ეს დანაშაულებრივი გულისთქმა?.. – ეკითხებოდა კიკუჯი თავის თავს. ცდილობდა, ძირშივე ჩაეხშო აჯანყებული წადილი, ქალი კი დღითი დღე სულ უფრო მეტად ენატრებოდა, გული სევდით ევსებოდა:

ზოგჯერ ისე ცხოვლად, ისეთი ძალით შეიგრძნობდა მის სხეულს, შიშიც კი იპყრობდა, ნეტავი რა მეშველება, ეს ამბავი ასე რომ გაგრძელდეს, სულ ასე რომ დავრჩეო?..

იქნებ სინდისი ქენჯნიდა, ხსოვნა გრძნობებისა მოსვენებას არ აძლევდა?

კიკუჯიმ შინო ბუდეში ჩადო და ისევ ლოგინში ჩაწვა. ერთხანს ბაღს დაბნეული გაჰყურებდა.

უცებ საშინლად იქუხა.

შორეული, მაგრამ ძლიერი ჭექა-ქუხილი სულ უფრო ახლოვდებოდა და ახლოვდებოდა.

ელვის ანარეკლი ყოველ წუთს ხეებს გადაურბენდა.

მალე თავსხმა წვიმა წამოვიდა და ჭექა-ქუხილი თანდათან მიწყდა.

მოდიოდა და მოდიოდა თქორი, ღვართქაფად წამოსულ წვიმას მოსილულ ბილიკზე სილა ჰაერში შადრევნად აჰქონდა.

კიკუჯი ლოგინიდან წამოდგა, ტელეფონთან მივიდა და ფუმიკოს ნომერი აკრიფა.

– ფუმიკო-სანი აქედან გადავიდა, – უპასუხა ვიღაცამ.

– რაო, რაო?! – კიკუჯი სახტად დარჩა, – უკაცრავად, რომ გაწუხებთ, მაგრამ...

ესე იგი, ფუმიკომ სახლი უკვე გაყიდა...

– ხომ ვერ მეტყვით, სად გადავიდა?

– კი, ბატონო, ახლავე... თუ შეიძლება, ერთ წუთს მოითმინეთ...

ტელეფონთან, ეტყობა, მოსამსახურე ქალი იყო. ერთი წუთის

შემდეგ ქალმა ყურმილი ისევ აიღო და ბატონი ტოძაკის სახლის მისამართი და ტელეფონის ნომერი უკარნახა. კიკუჯიმ მისამართი და ნომერი ჩაიწერა და მაშინვე დარეკა.

– დიახ, მე ვარ, ფუმიკო ვარ... უკაცრავად, რომ გალოდინეთ...

მოულოდნელად ხალისიანად უპასუხა ფუმიკომ.

– ფუმიკო-სან, მიცანით? მე ვარ, მიტანი ვარ... ეს-ეს არის, სახლში დაგირეკეთ...

– მართლა? ოი, ეს რა უხერხულად გამოვიდა... თუ შეიძლება, მაპატიეთ!

ლაპარაკის დროს ხმა ზუსტად ისე ჩაუქრებოდა, ისე ჩაეფერფლებოდა, როგორც დედამისს.

– კი მაგრამ, როდის გადახვედით?

– რა ვიცი, გადავედი.

– მე კი არაფერი მითხარით, არ შემატყობინეთ.

– სახლი უკვე გავყიდე... კარგა ხანია, ამხანაგთან ვცხოვრობ, მისი სტუმართმოყვარეობით ვსარგებლობ.

– მაშასადამე, გაყიდეთ?

– დიახ, სულ ვყოყმანობდი, არ ვიცოდი, შემეტყობინებინა თუ არა. ჯერ გადავწყვიტე, საჭირო არ არის-მეთქი. მერე კი, უბრალოდ, მომერიდა.

– კი მაგრამ, რატომ ყოყმანობდით?

– ალბათ არ ღირდა, არ უნდა მეყოყმანა... ნამდვილად ასე ფიქრობთ?

თითქოს გრილი წყალი გადაასხესო, კიკუჯიმ მთელ სხეულში ერთბაშად საოცარი სიგრილე და სიმსუბუქე იგრძნო და, ნუთუ შეიძლება ტელეფონზე საუბრით კაცს ასეთი რამ დაემართოსო – თვითონვე გაუკვირდა.

– იცით, თქვენს საჩუქარს თვალიდან არ ვიშორებ... შინოს შევხედავ თუ არა, მაშინვე თქვენი ნახვის სურვილი მეუფლება.

– მართლა? მე კიდევ ერთი ნივთიცა მაქვს – პატარა, ცილინდრული ფორმის ფინჯანი. მინდოდა მაშინ შინოსთან

ერთად მეჩუქებინა, მაგრამ... იცით, დედაჩემის ფინჯანია. ჩაის სულ იმ ფინჯნით სვამდა, ნაპირებზე პომადის ნაკვალევიც კი ატყვია... მე...

– რაო? პომადის ნაკვალევიო?

– დედა ასე ამბობდა...

– განა შეიძლება, კერამიკას პომადის ნაკვალევი დააჩნდეს?..

– არა, ნაკვალევი არა... იცით... ერთ ადგილას, კიდეზე, მოწითალო ფერი დაჰკრავს. დედა კი ამბობდა, ეს ჩემი პომადისაგან არისო. დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ ფინჯანი სულ საგულდაგულოდ გავსინჯე... იმ ადგილას, კიდეზე, რაღაც ჩაბინდული ლაქა აქვს, ფინჯნის პირი ცოტა უფრო ჩამუქებულია.

ნუთუ ფუმიკოს შეეძლო ასე მშვიდად, გულგრილად ელაპარაკა ამ ამბებზე? კიკუჯის ახლა ლაპარაკის გაგრძელება კი არა, მოსმენის ძალაც არ შესწევდა და საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა:

– იცით, აქ საშინელი თავსხმაა! მანდ? მანდაც ასე წვიმს?

– თქვენ რომ დარეკეთ, ისე იქუხა, შიშისაგან ლამის გავთავდი!

– ნაწვიმარზე ალბათ აგრილდება. ისეთი დახუთული ჰაერია... მე დღეს სულ სახლში ვარ. აი, უკვე მერამდენე დღეა, სამსახურში არ წავსულვარ... რას აკეთებთ? თუ რამე გადაუდებელი საქმე არაფერი გაქვთ, იქნებ გამოგევლოთ?

– გმადლობთ... მართალი გითხრათ, ვფიქრობდი კიდევაც, ოღონდ, თუ მოსვლას გადავწყვეტდი, მინდოდა ჯერ სამსახურში მოვწყობილიყავი.

და, სანამ კიკუჯი რაიმეს თქმას მოასწრებდა, ფუმიკომ დასძინა:

– იცით, თქვენი ზარი ისე გამიხარდა, ახლავე წამოვალ. თუმცა არა, არ ღირს... ალბათ აჯობებს, აღარასოდეს შევხვდეთ ერთმანეთს.

კიკუჯიმ წვიმის გადაღებას დაუცადა. მერე წამოდგა, ჩაიცვა და მოსამსახურეს ლოგინის ალაგება უბრძანა.

საოცარია, დღეს იგი თითქოს სულაც არ აპირებდა ფუმიკოს დაპატიჟებას, აი, გამოვიდა კი, რომ დაპატიჟა!

მაგრამ კიკუჯი ყველაზე უფრო იმ სიმსუბუქემ გააოცა, ფუმიკოსთან ტელეფონზე საუბრის დროს რომ დაეუფლა. დაელაპარაკა თუ არა, ქალბატონი ოოტასადმი დანაშაულის ის გრძნობა უმალვე მხრებიდან მძიმე ტვირთივით ჩამოეხსნა.

იქნებ ეს ფუმიკოს ხმის ბრალი იყო? ქალიშვილის ხმა ისე ჰგავდა დედის ხმას, ფუმიკო კი არა, თითქოს ქალბატონი ოოტა გაცოცხლებულიყოს, ქალბატონი ოოტა დალაპარაკებოდეს.

კიკუჯი პირს იპარსავდა და თან თავს იქცევდა – საპნიან ფუნჯს პირდაპირ ბუჩქებზე ფერთხავდა, მერე სახურავიდან წამოსულ წვიმის წყალს შეუშვერდა და დაასველებდა.

ნაშუადღევს ეზოში ვიღაც შემოვიდა. ეს ალბათ ფუმიკო იქნებაო, – კიკუჯი შესაგებებლად წინკარში გამოვარდა, მაგრამ ფუმიკოს ნაცვლად ხელში ჩიკაკო კურიმოტო შერჩა.

– ა-ა, თქვენა ხართ?

– რა ხანია, აქ აღარ ვყოფილვარ. წავალ, ვნახავ-მეთქი, დღეს, როგორც იქნა, გადავწყვიტე. როგორა ხართ? ამ საშინელ სიცხეში თავს როგორ გრძნობთ?

– ცუდად.

– აი, აი, აი! გეტყობათ კიდევაც, ისეთი ავადმყოფური ფერი გადევთ...

უთხრა ჩიკაკომ და შუბლშეჭმუხნილმა შეათვალიერა.

«ფუმიკოს ალბათ ევროპული ფეხსაცმელი ეცმევა, მე კი ამ გეტების[44] კაკუნი გავიგონე თუ არა, თავპირისმტვრევით გამოვვარდი»...

– თქვენც, აი, კბილები ჩაგისვამთ... – თავის მხრივ, ახლა კიკუჯიმ აათვალიერ-ჩაათვალიერა ჩიკაკო, – გაახალგაზრდავებულხართ.

– ჰო, ცოტა თავისუფალი დრო გამომიჩნდა... ძალიან თეთრი კი გამოვიდა, მაგრამ... ეჰ, რაც არის, არის, ალბათ ჩამუქდება.

საწოლი ოთახი რომ გაიარა, ჩიკაკომ ტოკონომას შეხედა.

– ხედავთ, შიგ არაფერია, სუფთაა და ცარიელი, – თქვა კიკუჯიმ.

– კი, ცარიელია. რას იზამ, აგერ უკვე რამდენი ხანია, სულ წვიმს და წვიმს... ხომ შეგეძლოთ, ყვავილები მაინც... ჰო, მართლა, რა ქენით, იმ შინოს თაობაზე რა გადაწყვიტეთ?

კიკუჯიმ არაფერი უპასუხა.

– მაინც, რას ფიქრობთ? ხომ არ ჯობდა, უკან დაგებრუნებინათ?

– ეს ჩემი საქმეა.

– რატომ, მთლად ასეც არ არის.

– ყოველ შემთხვევაში, რას ვიზამ და როგორ მოვიქცევი, თქვენ არ გეკითხებათ.

– აკი გითხარით, მთლად ასე არ არის-მეთქი, – თქვა ჩიკაკომ და ახლად ჩასმული კბილები გამოაბრწყინა, – აი, ახლაც სწორედ იმიტომ გეახელით, მინდა ერთი რჩევა მოგცეთ, – მერე ხელი განზე გასწია და ისე გაიქნია, თითქოს ოთახიდან ვიღაცას აძევებსო, – ამ სახლს ჯადო თუ არ მოვაშორე...

– თუ ღმერთი გწამთ, ნუ მაშინებთ!..

– მაგრამ მინდა, გარკვეული მოთხოვნები წამოგიყენოთ! რა თქმა უნდა, როგორც მაჭანკალმა!..

– თუ თქვენ ინამურა-სანის ქალიშვილი გყავთ მხედველობაში, დიდი მადლობელი ვარ, უარს გეუბნებით.

– უარი თქვათ ქალიშვილზე, რომელიც მოგწონთ და ჭკუაში გიჯდებათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მაჭანკალი არ გეპიტნავებათ, აბა, ეს სადაური ამბავია! მაშვალი, არც მეტი, არც ნაკლები, ხიდია და სხვა არაფერი. კი ბატონო, გადაქელეთ ეს ხიდი და გაიარეთ... როცა დასჭირდებოდა, მამათქვენიც მუდამ უბოდიშოდ მიმსახურებდა.

კიკუჯის სახეზე აშკარა უკმაყოფილება დაეტყო.

ჩიკაკოს კი გააფთრებას აღარაფერი უკლდა. ჩვეულებისამებრ მხრებწამოზიდული იგი უკვე საჩხუბრად იყო აქოჩრილი.

– აბა როგორ? მე ხომ ქალბატონი ოოტა არა ვარ, ჩემთან ხომ ბოდიშები არ გჭირდებათ!.. ისე, ჯობს, ყველაფერი გითხრათ...

ყველაფერს მოგიყვეთ ჩემი და მამათქვენის დამოკიდებულებაზე, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მოსაყოლიც არაფერია. მე ხომ მამათქვენისთვის ნამდვილი არარაობა ვიყავი. იმ წუთიერმა გატაცებამ ისე იფეთქა და ისე ჩაქრა, აზრზე მოსვლა ვერც კი მოვასწარი... – თქვა და თვალები დახარა, – არა, გულში წყენა არასოდეს ჩამიდია, მუდამ სიამოვნებით ვუწევდი სამსახურს... ისიც არხეინად სარგებლობდა ჩემი სამსახურით. როცა კი დასჭირდებოდა, უარს არასოდეს ამბობდა... კაცებს ხომ ეს ძალიან უყვართ, ისინი ხომ მუდამ სიამოვნებით იფერებენ იმ ქალის სამსახურს, რომელთანაც ოდესმე კავშირი ჰქონიათ. სხვათა შორის, არც მე დავრჩენილვარ წაგებული – ჩემს ცხოვრებისეულ სიბრძნესა და გამოცდილებას სწორედ მამათქვენს უნდა ვუმადლოდე...

– ჰმ...

– ასე რომ, ჩემი ეს ჯანსაღი ცხოვრებისეული სიბრძნე და გამოცდილება ახლა თქვენს განკარგულებაშია.

რა იცი, ეს ქალი თავისებურად იქნებ მართალიც იყოსო, – გაიფიქრა კიკუჯიმ.

და აი, ჩიკაკოს რისხვა და მჭმუნვარება ერთბაშად სადღაც გაქრა... ერთბაშად მისგან უდარდელობისა და უზრუნველობის სიომ დაქროლა:

– იცით, რას გეტყვით, კიკუჯი-სან, ის, ვის არსებაშიაც ქალური ან მამაკაცური საწყისი მეტისმეტადაა განვითარებული, ბრძენი და კეთილგონიერი ვერასოდეს იქნება.

– აჰ, ესე იგი, სიბრძნე მხოლოდ საშუალო სქესშია, არა?

– დამცინით? აბა, აბა!.. სამაგიეროდ, საშუალო სქესისა რომ გახდები, ქალსაც და კაცსაც მოხარშულს გამოიცნობ... არა, არ გიკვირთ, იმ თქვენმა ქალბატონმა ოოტამ როგორ გაბედა, თავი როგორ მოიკლა, ის ერთადერთი ქალიშვილი ასე ღვთის ანაბარა როგორ მიატოვა? ახალგაზრდა ოოტა-სანს ხომ მის მეტი ქვეყანაზე არავინ ჰყავდა! მაგრამ, ეტყობა, ვიღაცის იმედზე ბრძანდებოდა, აი, მაგალითად, თქვენს იმედზე, აქაოდა, ჩემი სიკვდილის შემდეგ ის გაუწევს ჩემს ქალიშვილს მზრუნველობასო.

– როგორ ბედავთ!

– ამაზე ბევრი ვიფიქრე, რომ იცოდეთ, ძალიან ბევრი და, იცით, რა ეჭვი გამიჩნდა? თქვენ თუ ხვდებით, ქალბატონმა ოოტამ იმ თავისი სიკვდილით თქვენს მომავალ ქორწილს ხელი რომ შეუშალა? არა, გესმით, რა ხდება? მოკლედ, თქვენ რომ გგონიათ, არც ისე უბრალო ამბავია! თავს რომ იკლავდა, იცოდა, რასაც სჩადიოდა – თავისი ანგარიში ჰქონდა.

– ეს რა შემზარავი ფანტაზია გაქვთ! – უთხრა კიკუჯიმ, რომელიც ახლა განადგურებული იყო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, მოწმენდილ ცაზე კაცს მეხი რომ გაუვარდება.

– კიკუჯი-სან, განა თქვენ არ უთხარით, ინამურა-სანის ქალიშვილს მირიგებენო?

კიკუჯის, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა, რაც უთხრა და როგორც უთხრა, მაგრამ სასტიკად იუარა.

– მე? მე კი არა, თქვენ დაურეკეთ, ასე და ასეაო...

– დიახ, დავურეკე და ვუთხარი, მოეშვი, ხელს ნუ უშლი-მეთქი, თავიც სწორედ იმ საღამოს მოიკლა.

ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა.

– არა, – დაიწყო ისევ ჩიკაკომ, – მაინც ვინ გითხრათ, საიდან გაიგეთ, რომ მე ვუთხარი? რაო, თვითონ მოვიდა და თვითონ მოგახარათ?

კიკუჯი დანაშაულზე წასწრებულივით შეცბა...

– ვიცი... ვიცი, რომ მოვიდა! მახსოვს, როგორ შეჰყვირა... როგორ შეიცხადა მაშინ ტელეფონში.

– ო-ო-ო, აი, ეს კი შესანიშნავია! ესე იგი, გამოდის, რომ თქვენ მოგიკლავთ.

– შეგიძლიათ, ასედაც ჩათვალოთ, ცოტა გულზე მოგეშვებათ. მე კი, მოგეხსენებათ, მიჩვეული ვარ ავკაცისა და უკეთურის როლში ყოფნას. მამათქვენიც ხომ სწორედ ამიტომ მაფასებდა – როცა კი დასჭირდებოდა, მუდამ შესანიშნავად ვასრულებდი ამ როლს. და აი, დღეს თქვენ სწორედ ამ როლში გამოგეცხადეთ. არა, მამათქვენის ხათრით არა, ისე, ჩემი ნებით...

«ამ ქალის თითოეული ნაბიჯის თავი და თავი სიძულვილი და დაუსრულებელი, ქრონიკული ეჭვიანობაა», – გაიფიქრა

კიკუჯიმ.

ჩიკაკომ კი, თითქოსდა საკუთარ ხელისგულზე მარჩიელობსო, აუღელვებლად განაგრძო:

– ნეტავი რაში გაინტერესებთ, უთქვენოდ ვინ რას სჩადის? თუ რამე არ მოგწონთ, ჩემი თუ რაიმე არ გეპიტნავებათ, ადექით და გუნებაში ერთი გვარიანად შეიკურთხეთ – ეს რა აუტანელი დედაკაცია, ყველაფერში ეჩრება, რაც არ ეკითხება, ყველაფერში ცხვირსა ჰყოფსო. მე კი ამასობაში ამ სახლიდან ავსულსა და ჯადოქარს გავდევნი, საქმეს ისე მოვაგვარებ, ამ კაი ქორწილს ხელი ვერავინ შეუშალოს.

– თუ შეიძლება, დამდეთ პატივი და ეს «კაი ქორწილი» აღარასოდეს ახსენოთ.

– კარგი, კარგი, რომ იცოდეთ, არც მე მინდა, ამ წმიდათაწმიდა საქმეში ქალბატონი ოოტას სახელი იყოს გარეული... – ჩიკაკო უცებ როგორღაც მოლბა, – სხვათა შორის, ოოტა-სანი არც ისე სულელი ადამიანი იყო... სიკვდილის წინ ალბათ ღმერთს ეხვეწებოდა, ნეტავი, ჩემი ქალიშვილი ცოლად ითხოვოსო, თქვენთან კი, დარწმუნებული ვარ, კრინტიც არ დაუძრავს...

– მაინც არ იშლით, არა, მაგ სისულელეებს?!..

– ტყუილს ხომ არ ვამბობ? ნუთუ მართლა გგონიათ, კიკუჯი-სან, ქალბატონ ოოტას თავში აზრადაც არასოდეს მოსვლია, ნეტავი ჩემს ქალიშვილს ითხოვდესო? თუ ასეა, ამქვეყნისა, ჩანს, არაფერი გაგეგებათ, ღრუბლებში დაფრინავთ... ის ხომ დღენიადაგ მხოლოდ ერთი აზრით იყო შეპყრობილი – სიზმარშიაც და ცხადშიაც მამათქვენის მეტი ამქვეყნად არაფერი ახსოვდა. ზოგიერთმა ეს შეიძლება ხასიათის სიმტკიცედაც ჩაუთვალოს... მაგრამ ნამდვილი შეშლილივით იქცეოდა, ის კი არა, საკუთარი ქალიშვილიც არ დაინდო, ისიც კი გარია ამ ამბავში. ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანა, ადგა და თავი მოიკლა... არ ვიცი, წერას იყო ატანილი... არ ვიცი, წყევლა ჰქონდა რაიმე... ნეტავი რა ჯანდაბად უნდოდა, ყველას იმ თავის ჯადოქრულ ბადეებში რად ახვევდა?!

კიკუჯიმ თვალი თვალში გაუყარა. ჩიკაკოს პატარა, თრითინას თვალები თრიაქნაწევივით მიენაბა და ასე თვალებმინაბული პირდაპირ სახეში შეჰყურებდა. კიკუჯიმ მის მზერას ვერ გაუძლო და პირი იბრუნა.

ახია! რატომ მისცა უფლება, რატომ მაშინვე არ შეაჩერა, ხმა არ ჩააკმენდინა. მარტო ამ გულისტკივილის კი არა, უფრო აი, ამ გაოგნების გამო, ჩიკაკოს შემზარავი სიტყვების შემდეგ რომ დაეუფლა და ამ წუთშიაც გონებაზე ვერ მოსულა?!

ნუთუ ქალბატონ ოოტას ნამდვილად ეწადა, ქალიშვილი მიეთხოვებინა?.. კიკუჯის ეს აზრადაც არასოდეს მოსვლია.

ეჭვი არ ეპარებოდა, ეს ჩიკაკოს ღვარძლით სავსე, ყოვლად უსაფუძვლო ვარაუდი უფრო იყო, ისეთივე აუტანელი და მოუცილებელი ღაზო, როგორიც ის გულის ამრევი, შავად შეჯაგრული ტყირპი!

მიუხედავად ამისა, ჩიკაკოს სიტყვები კიკუჯისათვის ნამდვილ მეხის გავარდნას ჰგავდა.

იგი შიშმა შეიპყრო.

იქნებ სადღაც გულის სიღრმეში თვითონაც ოცნებობდა ამაზე? რამდენია დედაზე შეყვარებული მამაკაცი, გავა დრო და ახლა ქალიშვილს შეიყვარებს... მაგრამ კიკუჯი ხომ ჯერ ისევ ქალბატონი ოოტას ბანგით იყო მთვრალი? მიუხედავად ამისა, ამ გოგოსკენ გული ისე მიუწევდა, მთელი თავისი სულითა და სხეულით ისე ესწრაფოდა, საკუთარი თავისა თავადაც ვერაფერი გაეგო... ნუთუ მართლა ჯადოთი იყო შეკრული და თავგზააბნეული?

ამწუთას ასე ეგონა, ქალბატონი ოოტას შემდეგ სრულიად შევიცვალე, სულ სხვა ადამიანი გავხდი, თითქოს რაღაც ჩაკვდა ჩემს სულში, სამუდამოდ დაყრუვდა, სამუდამოდ ჩაიკეტა ჩემი გულის კარიო.

ამ ფიქრებში იყო გართული, რომ მოსამსახურე ქალი შემოვიდა.

– ქალბატონი ოოტას ქალიშვილი გესტუმრათ. ასე ბრძანა, თუ ვინმე სტუმარი გყავთ, სხვა დროს გეახლებითო...

– რაო, რაო?! ხომ არ წასულა?

კიკუჯი წინკარში გავიდა.

– უკაცრავად, მე ვარ...

ფუმიკომ კიკუჯის სახეში შეხედა და, თავი რომ ასწია, ქალიშვილის ნატიფმა, მაღალმა კისერმა თეთრად გამოანათა.

მკერდისა და კისრის შესაყართან, პატარა ფოსოში, ძლივს შესამჩნევი ჩრდილი ჩაჰფენოდა.

გახდა თუ სინათლეა ასეთი?.. ამ ძლივს შესამჩნევი ჩრდილის დანახვაზე კიკუჯის სევდა შემოაწვა, თან გულიდან თითქოს მძიმე ლოდი მოეხსნა, სხეულში საოცარი სიმსუბუქე იგრძნო.

– იცით, ჩემთან კურიმოტოა, – უთხრა მშვიდად, ძალდაუტანებლად. დაძაბულობა, რომელსაც სულ რაღაც ერთი წუთის წინ მთელი მისი არსება მოეცვა, ფუმიკოს დანახვისთანავე ერთბაშად სადღაც გაქრა.

ფუმიკომ თავი დაუქნია.

– მივხვდი, აი, მისი სამზეური ქოლგაც აგერ დევს...

ოთახის კუთხეში რუხი, გრძელტარიანი ქოლგა იყო მიყუდებული.

– ხომ არ გეწყინათ? თუ გნებავთ, ცოტა ხანს ჩაის პავილიონში დაისვენეთ, კურიმოტოს კი ახლავე მივაბრძანებ.

თქვა კიკუჯიმ და თვითონვე გაუკვირდა – ხომ იცოდა, ფუმიკო უნდა მოსულიყო, რატომ მაშინვე არ გააბრუნა, რატომ მაშინვე არ მოიშორა ჩიკაკო?

– როგორც გენებოთ... – თქვა ფუმიკომ.

– მართლა? ძალიან კარგი! მობრძანდით.

შემოვიდა თუ არა, ფუმიკო ჩიკაკოს ისე მშვიდად, ისე გულითადად მიესალმა, თითქოს არ იცოდა, მის მიმართ ამ ქალს გული რა ბოღმითა და სიძულვილით ჰქონდა სავსე.

მერე სამძიმრის ტრადიციულ სიტყვებს მადლობის ტრადიციული სიტყვები მოჰყვა.

ჩიკაკო ისე გვერდზე გადახრილი იჯდა, მარცხენა მხარი თავისებურად ისე წამოექორა, თითქოს ჩაის ცერემონიალზეა, თავისი შეგირდის მოქმედებას თვალყურს ყურადღებით ადევნებსო.

– ეჰ, რას იზამ... ახლანდელ ცხოვრებაში ნაზ, სათუთ სულს სულ არ გაეძლება... აი, დედათქვენიც აღარ არის, დაჭკნა უკანასკნელი აზიზი ყვავილი...

– არა, დედა არც ისე აზიზი იყო...

– ალბათ როგორ იტანჯებოდა, ამქვეყნად ასე ეულად და მარტოდმარტო რომ გტოვებდათ.

ფუმიკოს თავი არ აუწევია. სავსე, ფუნჩულა ტუჩები მოეკუმა.

– მგონი, თავს მართლაც ძალიან მარტოდ გრძნობთ, – განაგრძო ჩიკაკომ, – ჩემი აზრით, ზუსტად ის დროა, ხელი ისევ ჩაის ცერემონიალს მოჰკიდოთ.

– იცით, მე უკვე...

– დამიჯერეთ, გაერთობით, გულს გადააყოლებთ.

– დიახ, მაგრამ ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ... ჩაის ცერემონიალს ჩემთვის აზრი აღარა აქვს.

– რაო, ასე რატომ ლაპარაკობთ?! თავს ასე რად იმდაბლებთ?! – ჩიკაკომ მუხლებზე მისვენებული ხელები არტისტულად გაშალა, – წვიმიანმა ამინდებმა ჩაიარა თუ არა, მაშინვე აქეთ წამოვედი, იცით, რატომ? გულახდილად რომ გითხრათ, მინდოდა მენახა, ჩაის პავილიონი რა დღეში იყო, – თქვა და კიკუჯის ჩუმად გადახედა, – ფუმიკო-სან, რას იტყვით, თქვენ ხომ არ შემომიამხანაგდებოდით?

– რა ვიცი...

– დედათქვენის ხსოვნის აღსანიშნავად, თქვენის ნებართვით, ცერემონიალისათვის შინოსაც გამოვიყენებ, კარგი?

ბოლოს, როგორც იქნა, ფუმიკომ თავი ასწია და ჩიკაკოს სახეში შეხედა.

– ვილაპარაკებთ, ვისაუბრებთ, დედას გავიხსენებთ...

– არა, გმადლობთ, არ ღირს, თორემ თავს ვერ შევიკავებ და აქაც ავტირდები.

– რატომაც არა! დავსხდეთ და ერთად ვიტიროთ. მალე კიკუჯი-სანი ამ სახლში თავის ახალგაზრდა ცოლს შემოიყვანს, რა იცი, იქნებ სწორედ მე დამავალოს ჩაის ცერემონიალის მოთავეობა... მე ხომ ამ პავილიონთან მრავალი კეთილი მოგონება მაკავშირებს, – თქვა ღიმილით ჩიკაკომ და მაშინვე მკაცრად დასძინა: – ცხადია, მოლაპარაკება თუ ძალაში დარჩა და

კიკუჯი-სანისა და იუკიკოს ქორწილი არ ჩაიშალა.

ფუმიკომ თავი მშვიდად დაუქნია, წარბი არ შეუხრია, ეგ არის, სახეზე უკიდურესი დაღლილობა აღბეჭდვოდა – სახეზე, რომელიც ასე საოცრად მიუგავდა დედისას.

– აბა, რას ამბობთ, რაებს ლაპარაკობთ?! ბატონმა ინამურამ რომ გაიგოს, რას იტყვის, ჯერ ხომ გადაწყვეტილი არაფერი არ არის! – სიტყვა არ დაამთავრებინა კიკუჯიმ.

– მერედა, მეც ის არა ვთქვი, მოლაპარაკება ძალაში თუ დარჩა, ქორწილი თუ არ ჩაიშალა-მეთქი?! – უკან არ დაიხია ჩიკაკომ, – ნათქვამია, კარგ საქმეს ბევრი ხელის შემშლელი ჰყავსო... ჯერჯერობით კი, ფუმიკო-სან, სანამ ყველაფერი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, ჩათვალეთ, რომ პირადად მე არაფერი მითქვამს.

– დიახ! – თავი კვლავ მშვიდად დაუქნია ფუმიკომ.

ჩიკაკო წამოდგა, მოსამსახურე ქალს დაუძახა და მასთან ერთად პავილიონის დასალაგებლად გასწია.

– ფრთხილად, ფოთლების ჩრდილქვეშ მიწა ჯერ ისევ სველია, – უკვე ბაღიდან მოისმა მისი ხმა.

2.

– ამ დილას ტელეფონით რომ გელაპარაკებოდით, ყურმილში ალბათ გესმოდათ, როგორ წვიმდა, – უთხრა კიკუჯიმ.

– ნუთუ მართლა შეიძლება ტელეფონში წვიმის ხმის გაგონება? არ ვიცი, ამისთვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია... განა შეიძლება, თქვენი ბაღიდან ყურმილში წვიმის ხმა გამეგო?

ფუმიკომ კიკუჯის შეხედა და მზერა ახლა ბაღზე გადაიტანა.

ბუჩქებსა და ხეებს იქით ცოცხის ფხაკაფხუკი ისმოდა – ჩიკაკო ჩაის პავილიონს გვიდა.

ბაღს კიკუჯიმაც გახედა.

– ალბათ არც გამიგია, – განაგრძო ფუმიკომ, – მაგრამ ისეთი ძლიერი წვიმა იყო, ბოლოს უკვე მეჩვენებოდა, ყურმილში წვიმის ხმაური მესმის-მეთქი.

– ჰო, ძალიან წვიმდა, თანაც ქუხდა კიდევაც.

– დიახ, ტელეფონშიაც მითხარით, საშინლად იქუხაო.

– რა უცნაურია... შვილები მშობლებს ზოგჯერ თურმე მცირეოდენ წვრილმანებშიაც ემსგავსებიან. მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, როგორც კი წამოიქუხებდა, დედა თავზე კიმონოს სახელოს წამომაფარებდა, ის კი არა, ზაფხულობით, სახლიდან რომ გამოდიოდა, სულ ცაში იყურებოდა, ხომ არ იღრუბლება, წვიმას ხომ არ აპირებსო. მეც ზუსტად ასე ვარ... იქუხებს თუ არა, მინდა მაშინვე თავზე სახელო წავიფარო.

ფუმიკომ უცებ დაიმორცხვა, მხრებში აიწურა.

– იცით, შინოს ფინჯანი მოგიტანეთ, – თქვა და წინკარში გავიდა.

მალე უკან შემობრუნდა და კიკუჯის წინ ფინჯანი ისევე შეფუთული დაუდო.

მაგრამ, როცა დაინახა, კიკუჯი ხელის მიკარებას ვერ ბედავდა, ფუმიკომ ფუთა თავისკენ მისწია, ქაღალდი გახსნა და ფინჯანი ბუდიდან ამოიღო.

– მგონი, დედათქვენს რიონიოს ნახელავი ის ფინჯანი უფრო უყვარდა... ჩაისაც ყოველდღე იმ ფინჯნიდან სვამდა, – თქვა კიკუჯიმ.

– დიახ, მაგრამ უფრო ხშირად ამ ფინჯანს ხმარობდა. ამბობდა, შავსა და წითელ ფინჯნებში მწვანე ჩაის ფერი ეკარგებაო.

– მართალია... შავსა და წითელ ფონზე მწვანეს თავისი ფერი და მომხიბვლელობა აღარა აქვს...

კიკუჯი ფინჯნის ბუდიდან ამოღებას ვერა და ვერ ბედავდა.

– ალბათ არც ისე კარგი შინოა? – თქვა ფუმიკომ.

– არა, რას ბრძანებთ!.. – კიკუჯი კვლავ გახევებულივით იჯდა.

თეთრ ჭიქურს კი მართლაც მეწამული გადაჰკრავდა და ასე გეგონებოდა, სიწითლე თითქოს სადღაც შიგნიდან გამოსჭვიოდა.

ფინჯნის ნაპირებს ირგვლივ მოყავისფრო ნადები აჩნდა – ნადები ერთ ადგილას ჩამუქებულივით იყო.

ჩაის სმისას ტუჩები, ჩანს, მუდამ ამ ადგილს ეხებოდა, რის გამოც დროთა განმავლობაში ჭიქური, ეტყობა, ოდნავ შეილახა, ჩაის ფერით გაიჟღინთა.

კიკუჯი ჩამუქებულ ადგილს უყურებდა და თანდათან ეჩვენებოდა, რომ იგი ნამდვილად მოწითალო იყო.

– ნუთუ მართლა პომადის ნაკვალევია?

მოყავისფრო ნადები ფინჯანს შიგნიდანაც აჩნდა.

ფერი ფერგადასული პომადის... უკვე დამჭკნარი, ფერშეცვლილი წითელი ვარდის... თეთრ, ქათქათა ზედაპირზე ოდესღაც წვეთად დაცემული სისხლის ფერი... კიდევ უფრო ძალუმად აუძგერდა გული კიკუჯის.

და აი, მთელი მისი არსება კვლავ დაუოკებელმა, ავადმყოფურად მძაფრმა სურვილმა მოიცვა...

რა საშინელებაა, რა სიბინძურეა!

ფინჯანზე რომელიღაც ბალახის ფართო, მოლურჯო-მოშავო ფოთლები იყო გამოხატული. ადგილ-ადგილ ნახატს ოდნავ წაბლისფერი დასდებოდა.

ფინჯნის მკაცრმა ფორმამ და სადა, რეალისტურმა ნახატმა არაჯანსაღი გრძნობა თანდათან ჩაახშო, თანდათან დაამშვიდა კიკუჯი.

– რა მშვენიერია! – თქვა ბოლოს და ფინჯანი ხელში აიღო.

– ჰო, ალბათ არ ვიცი... მე ხომ არც ისე კარგად ვერკვევი ამ ამბებში... მაგრამ დედას ძალიან უყვარდა, ჩაის სულ ამ ფინჯნით სვამდა.

– ქალისთვის მართლაც საუკეთესო ფინჯანია.

ქალისთვისო...

თქვა კიკუჯიმ და კვლავ მთელი სიცხადით შეიგრძნო, როგორი ქალური ქალი იყო ქალბატონი ოოტა...

მაინც, რატომ მოიტანა ფუმიკომ ეს ფინჯანი? ფინჯანი, რომელზეც დედამისის პომადის ნაკვალევი იყო აღბეჭდილი?

რა იყო ეს – გულუბრყვილობა თუ უგულობა?

კიკუჯის ფინჯანი ხელისგულზე ედგა, მაგრამ თითებს არიდებდა, ცდილობდა, არ შეჰხებოდა იმ უცნაურ ლაქას.

– ფუმიკო, თუ შეიძლება, შეინახეთ! კურიმუტომ რომ ნახოს, ენას აღარ გააჩერებს!

– კი, ბატონო.

ფუმიკომ ფინჯანი ბუდეში ჩადო, გაახვია და წინკარში გავიდა.

ფინჯანი, რა თქმა უნდა, კიკუჯის მოართვა საჩუქრად! ამიტომაც მოიტანა, მაგრამ ხელსაყრელი წუთი ხელიდან გაუშვა.

ამ დროს ჩიკაკო შემოვიდა.

– კიკუჯი-სან, ქალბატონი ოოტას შინოს ხომ არ მომცემდით?

– იქნებ ჩვენით გავსულიყავით იოლად? მით უმეტეს, ჩვენთან ფუმიკო-სანია სტუმრად.

– აი, საოცრება! მეც სწორედ ამიტომ არ მინდა, ფუმიკო-სანი რომ არის! აკი გადავწყვიტეთ, დავსხდეთ, წავისაუბროთ, ქალბატონი ოოტა გავიხსენოთო... ეს შინო ხომ საჩუქარია... განსვენებულის სამახსოვრო საჩუქარი...

– კი მაგრამ, თქვენ ხომ გძულთ ქალბატონი ოოტა?! – თქვა მოულოდნელად კიკუჯიმ.

– მძულს? აი, ეგ კი ნამდვილად არ არის მართალი! უბრალოდ, ხასიათებით ვერ შევეწყვეთ. ეგეც რომ არა, აბა, მიცვალებულის სიძულვილი ვის გაუგონია?! რა თქმა უნდა, ერთმანეთი მაინცდამაინც დიდად არ გვეხატებოდა გულზე, რაც მართალია, მართალია, მაგრამ ესეც მხოლოდ ჩვენი განსხვავებული ხასიათების გამო. გარდა ამისა, მე ხომ მას მოხარშულს ვიცნობდი!..

– აი, ადამიანის «მოხარშული ცნობა» კი ნამდვილად თქვენი ხელობაა, ამის დიდოსტატი ბრძანდებით.

– თუ ასე გეშინიათ, ეცადეთ, სულში არასოდეს ჩამახედოთ.

ოთახში შემობრუნებული ფუმიკო იქვე, ზღურბლთან ჩაჯდა. ჩიკაკო მისკენ მიტრიალდა და მარცხენა მხარი შეათამაშა.

– ფუმიკო-სან, ძვირფასო, მოდი, სახლის პატრონს ვთხოვოთ,

ჩაის ცერემონიალისათვის დედათქვენის შინო გვათხოვოს.

– დიახ... კიკუჯი-სან, თუ შეიძლება...

კიკუჯიმ კედლის კარადიდან ქოთანი გამოიღო.

ჩიკაკომ დაკეცილი მარაო ობიში ჩაიცურა, ქოთანი აიღო და ჩაის პავილიონისაკენ გასწია.

– ამ დილას ტელეფონზე რომ მითხარით, სხვაგან გადავედიო, მართალი გითხრათ, შემეშინდა, ნუთუ მარტოდმარტომ შეძელით სახლის გაყიდვაცა და სხვა დანარჩენი საქმეების მოგვარებაც?

– დიახ... მაგრამ ბედმა გამიღიმა, სახლი ერთმა ჩვენმა ნაცნობმა იყიდა. იმ კაცს ოოისოში პატარა სახლი ჰქონდა. უნდოდა, გაგვეცვალა, მაგრამ მე მაინც გაყიდვა ვარჩიე. მარტო ცხოვრება, თუნდაც პატარა სახლში, რაც უნდა იყოს, ძნელი და მოუხერხებელია. ნაქირავებ ოთახში კი გაცილებით იოლია, მით უმეტეს, თუ მუშაობ და მთელ დღეს სამსახურში გიწევს ყოფნა. ჯერჯერობით კი ერთ ჩემს ამხანაგთან ვცხოვრობ.

– სამსახურში უკვე მოეწყვეთ?

– არა, ჯერ არა, სამსახურის დაწყება რომ დავაპირე, აღმოჩნდა, რომ არაფერი ვიცი, წესიერად არაფრის გაკეთება არ შემიძლია, – გაიღიმა ფუმიკომ, – ვამბობდი, კიკუჯი-სანთან მანამდე არ წავალ, სანამ სამსახურს არ დავიწყებ-მეთქი, თორემ, აბა რა გამოვიდა: არც სახლი გაქვს, არც სამსახური, არც არაფერს აკეთებ და დადიხარ ასე უსაქმურად. ამ დროს კაცი თავს როგორღაც დაჩაგრულად გრძნობ.

კიკუჯის უნდოდა ეთქვა, სწორედ ამ ვითარებაშია საჭირო სტუმრად წასვლა და გართობაო, ვინაიდან, წარმოიდგინა, როგორ იჯდებოდა ფუმიკო უცხო სახლში მარტოდმარტო და მოწყენილი. თუმცა მოწყენილობისა ქალიშვილს ახლა აღარაფერი ეტყობოდა.

– სახლის გაყიდვას მეც ვაპირებ. კარგა ხანია, ვფიქრობ, მაგრამ თავი ვერ მოვაბი. საითაც გაიხედავ, ყველაფერი ფუჭდება, ყველაფერს მიხედვა და პატრონი სჭირდება, მე კი ამის არც შნო მაქვს და არც ხალისი.

– რატომ უნდა გაყიდოთ, თქვენ ხომ სადაცაა ცოლს შეირთავთ?

– ხმამაღლა წარმოთქვა ფუმიკომ.

კიკუჯიმ ქალიშვილს შეხედა:

– მაშასადამე, კურიმოტოს სიტყვებს იმეორებთ... ნუთუ მართლა დარწმუნებული ხართ, რომ მე ახლა ცოლის შერთვის ან გული მაქვს, ან განწყობა?

– თქვენ ამას დედაჩემის გამო ამბობთ? ესე იგი, სულ დარდობდით, იტანჯებოდით... მაგრამ ეს ხომ უკვე ჩავლილი ამბავია... ჰოდა, თქვენც უნდა ჩათვალოთ, რომ ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა...

3.

მალე ჩიკაკომ პავილიონი მიალაგ-მოალაგა, ეტყობოდა, ამ საქმეში მეტად მარჯვე და გაწაფული იყო.

– რას იტყვით, ჭურჭელი როგორ შევარჩიე, ქოთანს თუ უხდება?

კიკუჯიმ არაფერი უპასუხა – ამ საქმისა არაფერი გაეგებოდა. ხმა არც ფუმიკოს ამოუღია. ისხდნენ ორივენი გაჩუმებულები და შინოს შეჰყურებდნენ.

ნივთს, რომელიც ქალბატონი ოოტას ურნის წინ იდგა და ყვავილების ლარნაკად იყო გამოყენებული, ახლა პირდაპირი დანიშნულებისამებრ იყენებდნენ. ვისი ხელი არ შეჰხებია ამ ქოთანს... ქალბატონი ოოტა... ფუმიკო... ფუმიკოს ხელიდან იგი კიკუჯის ხელში გადავიდა... აი, ახლა კი მასზე ჩიკაკოს უხეში ხელები ჯადოქრობდნენ.

უცნაური, საბედისწერო ხვედრი დაჰყოლოდა ამ ქოთანს... კაცმა რომ თქვას, ყოველ ნივთს თავისი ბედი აქვს, ჩაის ცერემონიალის ჭურჭელს კი – მით უმეტეს...

აი, უკვე სამასი წელიწადია, რაც ქოთანი თავისი ოსტატის ხელიდან გამოვიდა, სამასი კი არა, იქნებ მთელი ოთხასი წელიწადიც... ვის ხელში იყო, ვინ ხმარობდა ქალბატონ ოოტამდე, ვისმა ბედმა გაავლო მასზე თავისი უხილავი ხაზები?

– კერის პირას, თუჯის კარდლის გვერდით, შინო კიდევ უფრო მშვენიერია, – თქვა კიკუჯიმ და ფუმიკოს შეხედა, – თან, არ

იტყვით, რა ნატიფი, რა დიდებული ფორმა აქვს! კარდალა კიდევ უფრო ხაზს უსამს მის ამ სინატიფეს.

ღია ფერის ჭიქურიდან თითქოს რაღაც ნათელი მოედინებოდა.

სინოს შევხედავ თუ არა, მაშინვე შენი ნახვა მომენატრებაო, – უთხრა ამას წინათ ტელეფონზე ფუმიკოს.

იქნებ დედამისის სხეულიც ამ რაღაც სიღრმისეულ შუქს გამოასხივებდა – შუქს ქალისას?

ცხელოდა, ამიტომაც პავილიონის შიოჯი კიკუჯიმ გახსნილი დატოვა.

ფუმიკოს ზურგს უკან, კარის ღიობში, მწვანედ შეფოთლილი ნეკერჩხალი მოჩანდა. ახალგაზრდა ქალის თმას ხის ხშირი ფოთლების ჩრდილი დაჰფენოდა.

ნეკერჩხლის მწვანე ფოთლების ფონზე ფუმიკოს თავისა და მაღალი, ნატიფი კისრის კონტური იხატებოდა. იდაყვებზემოთ გაშიშვლებულ მის თეთრ, კრიალა მკლავებს (ეტყობოდა, მოკლე სახელოიანი კაბა ამ წელიწადს დღეს პირველად ეცვა) მეტისმეტი სითეთრისაგან მჭრქალი ცისფერი დაჰკრავდა. მიუხედავად სიგამხდრისა, მხრები და მკლავები სავსე და გატკიცინებული ჰქონდა.

ჩიკაკოც იქვე იჯდა და შინოს ცქერით ტკბებოდა.

– რაც უნდა იყოს, ასეთი შინო მხოლოდ ჩაის ცერემონიალის დროს გამოხალისდება, მხოლოდ ამ დროს გამოავლენს მთელ თავის მშვენიერებას. ყვავილების ლარნაკად ხმარება, უბრალოდ, ცოდვაც კია.

– მაგრამ დედაც ხომ ხმარობდა ლარნაკად, – თქვა ფუმიკომ.

– დედათქვენის მოსაგონარი ნივთი ამ პავილიონში... განა სასწაული არ არის?! თავად ქალბატონ ოოტას კი ალბათ ძალიან გაუხარდებოდა.

ამ სიტყვებით ჩიკაკოს, ეტყობა, ფუმიკოს გამწარება უნდოდა, მაგრამ ფუმიკომ სრულიად დამშვიდებულმა გაიმეორა:

– ამ შინოს დედაც ხშირად ხმარობდა ლარნაკად... მე კი... მე უკვე სამუდამოდ მოვეშვი ჩაის ცერემონიალებს, ასე რომ...

– აბა, ამას რატომ ამბობთ! – ჩიკაკომ მიიხედ-მოიხედა, – ჩაის ცერემონიალი კარგი და კეთილი საქმეა. ეს პავილიონი ხომ... როცა კი ამ კარის ზღურბლზე გადმობიჯების უფლებას მომცემენ, ისეთ შვებასა და სულიერ სიმშვიდეს ვერსად ვპოულობ, როგორსაც აქ, აი, ამ პავილიონში... ვინ მოთვლის, რამდენი პავილიონი მინახავს, მაგრამ ამისთანას – აი ამ პავილიონის მსგავსს, ჯერ არსად შევხვედრივარ... – ჩიკაკომ მზერა ახლა კიკუჯიზე გადაიტანა, – აი, მომავალ წელს უკვე ხუთი წელიწადი გახდება, რაც მამათქვენი გარდაიცვალა... კიკუჯი-სან, რაც არის, არის, მოდი, მამათქვენის ამ წლისთავზე ჩაის ცერემონიალი მოაწყვეთ, კარგი?

– მართლაც რომ! განა სასაცილო არ იქნება, იმ საზეიმო ჩაის ცერემონიალზე სტუმრებს, ავდგეთ და, ყალბი ჭურჭლით გავუმასპინძლდეთ!

– ამას როგორ ამბობთ?! ესეც რომ არა, განსვენებული ბატონი მიტანის ჭურჭელში ერთი ყალბი ნივთიც არ ურევია.

– ჰოო? სულერთია, მაინც ძალიან სასაცილო იქნება! აბა, წარმოიდგინეთ, ჩაის ცერემონიალი და ნაყალბევი! – თქვა კიკუჯიმ და ახლა ფუმიკოს მიუბრუნდა, – იცით, ვერ იქნა, თავიდან ვერ მოვიშორე ეს გრძნობა... სულ ასე მგონია, პავილიონში, არ ვიცი ობის, არ ვიცი რაღაც შხამიანი ამონაბოლქვის სუნი ტრიალებს... ალბათ ამიტომაც მომივიდა აზრად, მამაჩემის სულის მოხსენიების დღეს, წირვის ნაცვლად, ავდგები და პავილიონში ნაყალბევ ჭურჭელს შემოვიტან – შხამიანი აირები ნაყალბევს ვერ გაუძლებს და აორთქლდება, მე კი სამუდამოდ დავემშვიდობები ყოველგვარ ჩაის ცერემონიალს-მეთქი... თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც აქამდე ვყოფილვარ ამ საქმის დიდი მოტრფიალე...

– თქვენ გინდათ, სამუდამოდ გააძევოთ, არა, აქედან ეს აბეზარი დედაბერი, ყველაფერში ცხვირს რომ ყოფს და თავიდან ვერ მოგიშორებიათ. ამ პავილიონში სუფთა ჰაერი რომ დატრიალდეს, აქ იმისი ჭაჭანებაც არ უნდა იყოს... – ჩიკაკომ ჩუმად ჩაიცინა და ბამბუკის ფუნჯით ჩაის გამალებული მორევა დაიწყო.

– რა თქმა უნდა.

– ჰოდა, ტყუილად იმედოვნებთ, სულერთია, არაფერი გამოგივათ! აი, ახალ ნათესაურ კავშირებს რომ გააბამთ, კი

ბატონო, როგორც გენებოთ, ძველ ნაცნობებს სულ ნუღარ მიიკარებთ.

ჩიკაკომ თვალით ანიშნა, ყველაფერი მზად არისო და კიკუჯის წინ ფინჯანი დაუდგა.

– ფუმიკო-სან, ამ სახლის პატრონის ხუმრობას რომ უსმენთ, ალბათ ფიქრობთ, ჩემი დედიკოს მოსაგონარი საჩუქარი არცთუ ისე საიმედო ხელში მოხვდაო. მე კი, აი, შევყურებ ამ შინოს და ასე მგონია, ჭიქურიდან ქალბატონი ოოტას სახე შემომცქერის...

კიკუჯიმ ცარიელი ფინჯანი სადგარზე დადგა და იმანაც ქოთანს შეხედა.

მაინც რას ხედავდა იქ ჩიკაკო? ქოთნის შავად გალაქულ სახურავზე მხოლოდ მისი არცთუ მიმზიდველი ცხვირ-პირის ანარეკლი ჩანდა.

ფუმიკო დაბნეული იყო.

კიკუჯის კი ვერა და ვერ გაეგო, ქალიშვილი თავს იკატუნებდა თუ ნამდვილად ვერ ხვდებოდა ჩიკაკოს გესლიან ლაპარაკს.

უკვირდა, მის გვერდით ასე უდრტვინველად როგორ იჯდა.

ნუთუ მას არც კიკუჯის მომავალ ქორწილზე საუბარი აღელვებდა?!

ჩიკაკო, რომელსაც ასე სძულდა ქალბატონი ოოტაცა და, ცხადია, მისი ქალიშვილიც, სიტყვის სათქმელად პირს ისე არ გააღებდა, ფუმიკო არ გაეკენწლა, რაიმე მწარე და შეურაცხმყოფელი არ ეთქვა. ქალიშვილი კი, არათუ გარეგნულად არ გამოხატავდა, ასე გეგონებოდა, მის მიმართ წყენასა და გულისტკივილს გულის გულშიაც არა გრძნობსო.

ნუთუ ისე დიდი, ისე ღრმა იყო მისი მწუხარება, მასთან შედარებით სხვა ყველაფერი არარად მიაჩნდა? ანდა იქნებ დედის სიკვდილით თავზარდაცემულმა შეძლო, ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებზე მაღლა დამდგარიყო?.. იქნებ ამასაც დედის ხასიათი გამოჰყვა, ვერც თავს შეეწინააღმდეგებოდა, ვერც სხვას, ვინაიდან მისი სიწმინდე ყველასა და ყველაფერზე მაღალი და შეუბღალავი იყო...

სხვათა შორის, მას, კიკუჯის, ერთხელაც არ უცდია, ქალიშვილი

ჩიკაკოს თავდასხმებისაგან დაეცვა. გამოდის, რომ თვითონაც უცნაური ვინმეა; რბილად რომ ვთქვათ, დიდი ბედენა არც თვითონ ბრძანდება.

მაგრამ ყველაზე შემზარავი და უცნაური მაინც ჩიკაკოს ამ პავილიონში ყოფნა გახლდათ. აგერ, ზის ახლა თავისთვის არხეინად და თავისავე დაყენებულ ჩაის ხრაპაბრუპით შეექცევა.

– ნეტავი ჩემისთანა ბეცს ასეთი ციცქნა საათი რაში გამოადგება?! ზედ ვერაფერს ვარჩევ – ვერც ისრებსა და ვერც ციფრებს... რა იქნებოდა, მამათქვენის ის ჯიბის საათი ჩემთვის გეჩუქებინათ, ა, კიკუჯი-სან?

– არავითარი ჯიბის საათი მამაჩემს არ ჰქონია! – მოუჭრა სიტყვა კიკუჯიმ.

– როგორ თუ არ ჰქონია?! – გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა ჩიკაკოს, – ის საათი ხომ სულ თან დაჰქონდა, ჯიბიდან არასოდეს იცილებდა... ფუმიკო-სან, განა თქვენ კი არ გახსოვთ აწ განსვენებული ბატონი მიტანის ის საათი? აი, თქვენთან რომ დადიოდა, განა მაშინაც სულ თან არა ჰქონდა? ხომ გახსოვთ? ხომ ასეა?

ფუმიკომ თვალები დახარა.

– მგონი, სამის ათი წუთი უნდა იყოს. თვალში სინათლე ისე დამაკლდა, ვერაფერს ვხედავ, თითო ისარი ორად მეჩვენება. ინამურა-სანმა ჩემთვის საგანგებო ჯგუფი ჩამოაყალიბა. დღეს სამ საათზე გაკვეთილი მაქვს. სანამ წავალ, კიკუჯი-სან, მინდა ვიცოდე, რა პასუხი წავუღო. მე ხომ დღეს ამ საქმის გამო შემოგიარეთ.

– გთხოვთ, გადასცეთ ინამურა-სანს, რომ უარს ვამბობ.

ჩიკაკო შეეცადა, კიკუჯის ნათქვამი ხუმრობაში გაეტარებინა.

– კარგი, კარგი, ასე ვეტყვი, უარს ამბობს, გადაწყვეტილ უარს-მეთქი! – თქვა ჩიკაკომ და გაიცინა, – მთავარია, რაც შეიძლება დროზე მოგვარდეს ეს ამბავი, აი, მაშინ ნახავ, ამ პავილიონში, თქვენის ნებართვით, გაკვეთილებსაც რომ გავმართავ...

– თუ ასეა, ინამურა-სანს ურჩიეთ, ჩემი სახლი იყიდოს! დღეს იქნება თუ ხვალ, სულერთია, უნდა გავყიდო...

კიკუჯის სიტყვებისათვის ჩიკაკოს ყურადღება აღარ მიუქცევია, იგი ახლა ფუმიკოს მიუტრიალდა:

– ფუმიკო-სან, შინ წასვლას ხომ არ აპირებთ? იქნებ ერთად გავსულიყავით, ცოტა ერთად გაგვევლო.

– კი ბატონო.

– აი, აქაურობას ხელდახელ მივალაგ-მოვალაგებ და...

– ნება მომეცით, მეც მოგეხმაროთ.

– როგორც გენებოთ...

მაგრამ ჩიკაკოს ფუმიკოსათვის აღარ დაუცდია, მაშინვე მიძუიასკენ გასწია.

მალე იქიდან წყლის ჩხრიალი მოისმა.

– თქვენ დარჩით, ფუმიკო-სან! მასთან ერთად რატომ უნდა წახვიდეთ? – ჩუმად ჩაულაპარაკა კიკუჯიმ.

– არა, მეშინია.

– კი მაგრამ, რის გეშინიათ?

– რა ვიცი, მეშინია.

– რახან ასეა, თვალის ასახვევად ცოტაზე გაჰყევით და უკანვე შემობრუნდით.

უარის ნიშნად ფუმიკომ ისევ თავი გააქნია და ზაფხულის თხელი, სიფრიფანა კაბის სწორებით ფეხზე წამოდგა.

კიკუჯის მოეჩვენა, ქალიშვილი წასაქცევად შეტორტმანდაო და წამოდგომაც ვერ მოასწრო, ხელი დამჯდარმავე შეაშველა.

ფუმიკოს სახე წითლად წამოენთო.

წეღან ჩიკაკომ ჯიბის საათი რომ უხსენა, მხოლოდ ქუთუთოები შეუვარდისფრდა, ახლა კი მთელ სახეზე ალმური მოედო – სირცხვილი, რომელიც წეღან ყვავილის პაწაწა კოკორივით შეუმჩნეველი იყო, ფუმიკოს სახეზე ახლა მთელი სისავსით ყვაოდა.

ქალიშვილმა ქოთანი აიღო და მანაც მიძუიასაკენ გასწია.

– ა-ა, გადაწყვიტეთ, საკუთარი ხელით გარეცხოთ, არა? – მოისმა

იქიდან ჩიკაკოს ხრინწიანი ხმა.

ორმაგი ვარსკვლავი

1.

– წარმოგიდგენიათ, ორივენი გათხოვდნენ, ორივენი, ფუმიკოც და ინამურას ქალიშვილიც, – ერთ მშვენიერ დღეს ისევ გამოეცხადა ჩიკაკო კიკუჯის.

ცხრის ნახევარზე ზაფხულობით ჯერ ისევ სინათლეა. ვახშმის შემდეგ კიკუჯი გალერეაში გაშხლართული წევს და მოსამსახურე ქალის მიერ ნაყიდ, ბადეზე მიმსხდარ ციცინათელებს დაჟინებით მისჩერებია... აი, ოდნავ მბჟუტავი ციცინათელები თანდათან ყვითლად აციმციმდნენ – დღე თანდათან მიილია. კიკუჯი კი ისევ სიბნელეში წევს და სინათლეს არ ანთებს.

თავისი ხანმოკლე ზაფხულის შვებულება ერთ-ერთი მეგობრის აგარაკზე, ნოჯირიკოს ტბის შემოგარენში გაატარა და პირველი დღეა, რაც აგარაკიდან დაბრუნდა.

მის დაცოლშვილებულ მეგობარს აგარაკზე ძუძუთა ბავშვი ჰყავდა. ბავშვებს შეუჩვეველ კიკუჯის წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხნისა იყო, რამდენი დღე იცხოვრა ამ პატარა არსებამ ამქვეყნად. ვერც იმას ხვდებოდა, თავის ასაკთან შედარებით დიდი ტანისა იყო თუ პატარა, მაგრამ, ხომ უნდა მოჰფერებოდა, რაღაც ყურადღება ხომ უნდა გამოეჩინა ყმაწვილისადმი?

– ერთი ამას უყურეთ, რა ჯანსაღი, რამოდენა ბიჭია?

– არა, რას ბრძანებთ! ახლა ცოტა მოიმატა, ნორმალურ წონას მიუახლოვდა, ისეთი ციცქნა და უსუსური იყო, ტირილი მოგინდებოდა, – უთხრა მეგობრის მეუღლემ.

კიკუჯიმ ბავშვს სახესთან ხელი აუქნია.

– თვალს რატომ არ ახამხამებს?

– ჯერ ძალიან პატარაა, თვალის ხამხამს ბავშვები მოგვიანებით იწყებენ...

კიკუჯის ასე ეგონა, ბავშვი ალბათ ექვსი თვისა მაინც იქნებოდა, ის კი თურმე ჯერ სამი თვისაც არ ყოფილა, ბავშვის ახალგაზრდა დედაც ალბათ ამიტომ გამოიყურებოდა ასე ცუდად – ლოყებჩაცვენილსა და ფერმიხდილს თმა მუდამ დაუდევრად ჰქონდა ჩამოშლილი. როგორც ჩანს, მშობიარობის შემდეგ ჯერ კიდევ რიგიანად არ გამოკეთებულიყო.

იმ თავიანთი სიყრმის შვილის მეტი ცოლ-ქმარს არაფერი ახსოვდა, დღედაღამ თავს დასტრიალებდნენ, თვალს არ აცილებდნენ, ამიტომ კიკუჯი თავს მარტოდ და მოწყენილად გრძნობდა, მაგრამ ჩაჯდა თუ არა მატარებელში, თვალწინ მაშინვე ქალის ნაზი, გაოცებული, წყნარი სიხარულით განათებული სახე წარმოუდგა. ისეთი ნაზი და სიფრიფანა იყო, იფიქრებდი, ნეტავი სული რაში უდგასო. ცოლ-ქმარი მთელი ამ ხნის განმავლობაში მშობლებთან ცხოვრობდა. და აი, ბავშვის შეძენის შემდეგ ახალგაზრდა დედას, როგორც იქნა, ეღირსა მეუღლესთან გარმარტოება, ამიტომაც ეს აგარაკი ახლა მას ალბათ ნამდვილ სამოთხედ ეჩვენებოდა, სახეზე ერთთავად ნეტარი ღიმილი უკრთოდა. იჯდა კიკუჯი მატარებელში და თვალწინ იმ ქალის მშვიდი, თვინიერი სახე ედგა.

აი, ახლაც იწვა თავის ამ ნახევრად ჩაბნელებულ გალერეაში და საოცარი სევდითა და სინაზით გულაჩუყებულს ისევ თავისი მეგობრის მეუღლე ახსენდებოდა.

ამ ფიქრებში გართულს თავზე უცებ ჩიკაკო წამოადგა – როგორც ყოველთვის, ცხადია, ახლაც გაუფრთხილებლად.

ოთახში ენერგიულად შემოაბიჯა და მაშინვე ხმამაღლა არახრახდა:

– კი მაგრამ, რა მოხდა?! ამ სიბნელეში რას აკეთებთ?! – მერე კიკუჯის ფერხთით ჩამოუჯდა და განაგრძო: – ო, რა ხართ ეს უცოლო კაცები!.. სინათლის ამნთებიც კი არავინა გყავთ!

კიკუჯიმ მუხლები მოხარა, ერთხანს ასე მუხლებაკეცილი იწვა. ბოლოს უხალისოდ წამოჯდა.

– იწექით, იწექით, რატომ დგებით?! – ჩიკაკომ მარჯვენა ხელი ისე გაიწოდა, თითქოს უნდა შეაჩეროსო, მერე მთელი წესისა და რიგის დაცვით მიესალმა და მაშინვე ამბის მოყოლა დაიწყო:

– კიოტოში ვიყავი. უკან რომ ვბრუნდებოდი, ჰაკონეში გზად იმ

სკოლის მეთაურს შევუარე, რომელ სკოლასაც მე ვეკუთვნი. იქ ერთი ჩემი ძველი ნაცნობი დამხვდა – ჩაის ჭურჭლით მოვაჭრე ოოძუმი. კარგა ხანია, ერთმანეთი არ გვენახა... ცხადია, მამათქვენიც გავიხსენეთ... ასე მითხრა, იმ სასტუმროს გაჩვენებ, სადაც ხანდახან მიტანი-სანი გაჩერდებოდა ხოლმეო. მართლაც, კიმ-ჩანის ქუჩის ერთ მოფარებულ კუთხეში რაღაც პატარა სახლი დგას. ეტყობა, მამათქვენი იქ ქალბატონ ოოტასთან ერთად დადიოდა, ალბათ ხალხის თვალს თუ ერიდებოდა. ოოძუმიმ სწორედ იმ სასტუმროში არ შემომთავაზა ნომერი? ხომ წარმოგიდგენიათ?! თანაც ვის! ნამდვილი ხეთაგანი არ არის?! მარტო იქ რა გამაძლებინებდა? ერთიც ვნახოთ, გამომღვიძებოდა შუაღამისას და გამხსენებოდა, ქალბატონ ოოტა-სანსა და მიტანი-სანს შეიძლება აქ, აი ამ ოთახშიაც ეძინათ-მეთქი, გული არ გამისკდებოდა?!. ერთიც მკვდარია და მეორეც!

«ხეთაგანი ის კი არა, შენა ხარ, აბა, რაებს მიედ-მოედები!» – გაიფიქრა კიკუჯიმ გუნებაში.

– კიკუჯი-სან, მგონი, თქვენც წასული იყავით, ნოჯირიკოზე ისვენებდით? – ჰკითხა ჩიკაკომ ყოვლისმცოდნე ადამიანის კილოთი.

ახლა იგი თავის ამპლუაში იყო – მოვიდა, მოსამსახურე ქალს ყველაფერი გამოჰკითხა და კიკუჯის თავზე ქორივით დააცხრა.

– ჰო, დღეს დავბრუნდი, – ჩაიბურდღუნა კიკუჯიმ.

– მე კი სამი-ოთხი დღეა, აქა ვარ, – შეათამაშა მარცხენა მხარი ჩიკაკომ, – ჩამოსვლით კი ჩამოვედი, მაგრამ ისეთი უსიამოვნო ამბები დამხვდა, ისეთი უსიამოვნო, რომ... პირდაპირ მეხივით დამატყდა. კიკუჯი-სან, არ ვიცი, თვალებში როგორ უნდა შემოგხედოთ... საშინელი წინდაუხედაობა გამოვიჩინე... თავი შევირცხვინე!.. იცით, იუკიკო ინამურა გათხოვდა, – როგორც იქნა, ამოღერღა ჩიკაკომ.

გალერეაში უკვე ბნელოდა, ამიტომაც კიკუჯის სახეზე აღბეჭდილი გაოცების დამალვა არ დასჭირვებია, ხმამაღლა კი სრულიად დამშვიდებით იკითხა:

– მართლა? როდის?

– ისე მშვიდად მეკითხებით, ეს ამბავი თითქოს თქვენ

სრულიადაც არ შეგეხებოდეთ...

– მე ხომ გითხარით, თანაც არაერთხელ, იუკიკო ინამურას ცოლად არ შევირთავ-მეთქი.

– ეჰ, ეგ მხოლოდ ლიტონი სიტყვებია! უბრალოდ, გინდოდათ, მე მოგეცილებინეთ – ეს აბეზარი დედაკაცი რას გადამეკიდა, რა ამისი საქმეა, ვინ მომეწონება და ვინ – არა, რა უნდა, სხვის საქმეში რატომ ეჩრებაო! ჩემი მხრივ, იქნებ ეს მართლაც ცუდი საქციელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იუკიკოს დასაწუნი არაფერი აქვს, გოგოც შესანიშნავია და საქმროც – შესაფერისი.

– კმარა, გეყოფათ ლაყბობა! – და კიკუჯიმ ისე მოკლედ, ისე უკმეხად ჩაიცინა, თითქოს გადმოაფურთხაო.

– კი მაგრამ, ხომ მოგეწონათ?

– კი, კარგი გოგოა...

– აი, ხომ ხედავთ! ჰოდა, მეც მაშინვე მივხვდი, რომ მოგეწონათ...

– კარგი გოგოაო, თუ იტყვი, ესე იგი, აუცილებლად ცოლად უნდა ითხოვო?

ასე იყო თუ ისე, იუკიკოს გათხოვების ამბავმა კიკუჯი ძალიან გააოცა. ამაოდ შეეცადა, გონებაში როგორმე მისი სახე წარმოედგინა, მაგრამ ვერა და ვერ იხსენებდა – კიკუჯის ის ხომ მხოლოდ ორჯერ ჰყავდა ნანახი.

პირველად ჩაის ცერემონიალზე, ენკაკუჯიში... კიკუჯისათვის მისი შეთვალიერების საშუალება რომ მიეცა, ჩიკაკომ ქალიშვილს ჩაის ცერემონიალის შესრულება შესთავაზა. და აი, კიკუჯის გონებაში ერთბაშად ქალიშვილის გრაციოზული ფიგურა ამოტივტივდა, ყოველგვარ მანერულობას მოკლებული მისი მიხრა-მოხრა, მის ზურგს უკან, შიოჯიზე, მწვანედ დაფენილი ხეების მუქი ჩრდილი და მზის სხივებში ნაზად მოკიაფე ფუროსიდე[45]. ყოველივე ამას კიკუჯი ახლა თითქმის თვალნათლივ ხედავდა, სახეს კი ვერა და ვერ იხსენებდა. კიდევ ერთი რამეც ჩარჩა მეხსიერებაში. წითელი, ძალიან წითელი ხელსახოცი და ვარდისფერი ფუროშიკი – ეს მაშინ, ტაძრის პავილიონისაკენ რომ მიაბიჯებდა იუკიკო. და კიდევ, ათასფრთიანი, ვარდისფერ კრეპდეშინზე ამოქარგული თეთრი წერო... ყველაფერი შესანიშნავად ახსოვდა კიკუჯის,

ყველაფერი – გარდა სახისა.

როდესაც იუკიკო კიკუჯის სტუმრად ეწვია – ეს მხოლოდ ერთადერთხელ იყო – ჩიკაკომ მაშინაც უმალ ჩაის ცერემონიალი წამოიწყო და კიკუჯი ამჯერადაც მოჯადოებული დარჩა ქალიშვილით. მეორე დღეს სულ ასე ეგონა, მთელ პავილიონში ჯერ ისევ მისი სუნამოს სურნელი ტრიალებდა... წითელზამბახებამოქარგული ობი თუ მრავალი სხვა წვრილმანი კიკუჯის ამ წუთშიაც ცხადლივ ედგა თვალწინ, იუკიკოს სახე კი ვერა და ვერ აღედგინა მეხსიერებაში.

სხვათა შორის, მარტო იუკიკოს კი არა, სულ ახლახან გარდაცვლილი მშობლების სახეებსაც ძლივს იხსენებდა კიკუჯი. ფოტოებს რომ დახედავდა, მაშინ თუ გაახსენდებოდა – ასეთები იყვნენ, ნამდვილად ასე გამოიყურებოდნენო... ვინ იცის, ადამიანი რაც უფრო ახლობელი და ძვირფასია, იქნებ მისი სახის გახსენება და წარმოდგენაა უფრო ძნელი?.. იქნებ ადამიანის გონება უჩვეულოსა და მახინჯს უფრო ადვილად იმახსოვრებს, კიდევ უფრო ადვილად და მთელი სიცხადით აღიდგენს გონებაში?

მართლაც, აი, იუკიკოს სახეს, თითქოს ეს მისი სიმბოლური გამოსახულებაა, კიკუჯი მუდამ გაურკვეველ, ერთ ნათელ ლაქად წარმოიდგენს, ჩიკაკოს მარცხენა ძუძუზე შავი, უშველებელი ტყირპი კი მუდამ ცხადლივ უდგას თვალწინ და გომბეშოს აგონებს.

ახლა ალბათ ჩიკაკოს გრძელი, მტკიცე აბრეშუმის შიდა კიმონო აცვია და გალერეაშიაც ისე ბნელა, იმ აბრეშუმის ქსოვილქვეშ შავი ხალის დანახვა, ცხადია, შეუძლებელია. თუმცა მთელი სახლი გაჩახჩახებულიც რომ იყოს, გამოჩენით, რა თქმა უნდა, მტკიცე აბრეშუმის ტანსაცმელქვეშ არც მაშინ გამოჩნდება არაფერი, მაგრამ კიკუჯი ტყირპს მაინც თვალნათლივ ხედავს! ის კი არადა, სიბნელეში – უკეთესადაც კი.

– უცნაური კაცი ხართ, კიკუჯი-სან, ძალიან უცნაური! ხომ წარმოგიდგენია, ქალიშვილს შეხვდე, მოგეწონოს, ყოველმხრივ ლამაზი და მომხიბვლელი გეჩვენოს და, ვითომც არაფერიაო, ხელიდან გაუშვა!.. ქალიშვილი, რომელსაც სახელად იუკიკო ინამურა ჰქვია, ერთადერთია, მეორე იმისთანა არ არსებობს... მერე მთელ დუნიაზე ძებნას დაუწყებთ, მაგრამ მსგავსსაც ვერავის იპოვით... მიკვირს, მართალი გითხრათ, ძალიან

მიკვირს, კიკუჯი-სან, ამდენ ხანს ასეთ უბრალო ამბავს როგორ ვერ უნდა მიხვედრილიყავით, – მოძღვრავდა ჩიკაკო ნამდვილი ზნეობრივი მოძღვარივით, ოღონდ მეტისმეტად თავაზიანად, ხაზგასმული სიდარბაისლით, – თქვენ თვითონ, კიკუჯი-სან, ცხოვრებისეული გამოცდილება გაკლიათ, გამოცდილი ადამიანების რჩევას კი ყურს არ უგდებთ. აბა, ასეთი ფუფუნების უფლებას თავს ვინ მისცემს?! ამ ერთი მცდარი ნაბიჯის გამო ორ კარგ ადამიანს მომავალი უნდა გაგიმრუდდეთ. ვინ იცის, ამიერიდან იუკიკოს ცხოვრება როგორ აეწყობა, ვთქვათ, იღბლიანად ვერ გათხოვდა, მაშინ? მის ამ უიღბლობაში განა გარკვეულწილად თქვენ არ იქნებით დამნაშავე? დიახ, დიახ! იგი ხომ ისე თბილად, ისე კეთილად არის თქვენ მიმართ განწყობილი...

კიკუჯის ხმა არ გაუღია.

– ქალი ისე შესანიშნავად გეპყრობოდათ, დავიჯერო, გული არ გეტკინებათ, ვთქვათ, რამდენიმე წელიწადში იუკიკომ სინანულით რომ გაგიხსენოთ, რატომ არ მითხოვაო?

ახლა უკვე შხამს ანთხევდა ჩიკაკო.

«ნეტავი რა თავს იკლავს, თუ უკვე გათხოვდა და თავის გზას დაადგა?..» – გაიფიქრა გუნებაში კიკუჯიმ.

– ოი, ციცინათელები? საიდან? რა უნდათ, რაღა დროს ციცინათელაა? – წაიგრძელა კისერი ჩიკაკომ, – საცაა შემოდგომის მწერები აირევიან... ფუი, რა საშინელებაა! ცდომილი ალი გეგონება!

– რა ვიცი, მოსამსახურე ქალმა იყიდა, – თავი იმართლასავით კიკუჯიმ.

– რა თქმა უნდა!.. აბა, მოსამსახურეს სხვა რა მოეთხოვება! აი, ჩაის ცერემონიალს რომ მიჰყოლოდით, ასეთ შეცდომას არასოდეს დაუშვებდით. ჩვენში ხომ არსებობს ჩვენი – იაპონური წელიწადის დროები.

და კიკუჯის მოეჩვენა, რომ ციცინათელები მართლაც უსიამოვნოდ ანათებდნენ, როგორიღაც არამიწიერ შუქს ასხივებდნენ. ნეტავი, როგორ შემორჩნენ აქამდე? აგერ ახლა, ნოჯირიკოს ტბის პირას, მეგობრის აგარაკზე, რა ჯურის მწერი არ დაფარფატ-დაჭრიჭინებდა, ციცინათელასთვის კი თვალი

ერთხელაც არ მოუკრავს.

– დიახ, კიკუჯი-სან, დიახ! ცოლი რომ გყოლოდათ, ასეთ დაგვიანებულსა და სევდის მომგვრელ დროის სიმბოლოს სახლში არ შემოაჭაჭანებდა, – უცებ გულღიად, გულითადად წარმოთქვა ჩიკაკომ, – მე კი ვფიქრობდი, კიკუჯის ინამურა-სანის ქალიშვილს გავურიგებ, აწ განსვენებული მამამისის წინაშე ჩემს ვალს პირნათლად მოვიხდი-მეთქი...

– ვალს?

– დიახ, ვალს... არა, კიკუჯი-სან, თქვენ ამას ვერ გაიგებთ... მაგრამ, აი, სანამ აქ იწექით, ამ სიბნელეში გორაობდით და ციცინათელების ცქერით ტკბებოდით, ფუმიკომაც მოასწრო და ისიც გათხოვდა.

– ფუმიკო?! კი მაგრამ, როდის?

ამჯერად კიკუჯი მხოლოდ გაოცებული კი არა, გაოგნებული იყო; იუკიკოს ამბავი რომ გაიგო, უბრალოდ, გაუკვირდა, ეს გაკვირვება იოლად დამალა. ჩიკაკოს ამ ახალი მზაკვრული დარტყმის მოგერიება კი არც ისე იოლი გამოდგა. ჩიკაკომ, რა თქმა უნდა, მაშინვე იგრძნო მის ხმაში გამჟღავნებული ეს ეჭვი და შეშფოთება.

– მართლაც, რა სასწაულია, არა?! გაოცებისაგან გონს ჯერაც ვერ მოვსულვარ. წარმოგიდგენია, ასე ერთმანეთს როგორ მიჰყვნენ?! – ვითომ დანანებით წარმოთქვა ჩიკაკომ, – ფუმიკოს გათხოვება, მართალი გითხრათ, გამიხარდა კიდევაც, ხელს ვეღარავინ შეუშლის-მეთქი... თურმე, რად გინდა, რა აზრი აქვს?! იუკიკოს ამბავი რომ გავიგე, ლამის გადავირიე, თავლაფდასხმულივით დავდიოდი, სულ კი ამ თქვენი მერყეობის გამო...

მაგრამ ფუმიკოს გათხოვების ამბავი კიკუჯის რატომღაც ვერა და ვერ დაეჯერებინა.

– ჯერ იყო, ქალბატონმა ოოტამ აგირიათ თავგზა, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ თავისი სიკვდილითაც კი, – განაგრძო ჩიკაკომ, – მაგრამ, აი, მისი ქალიშვილიც გათხოვდა და ჯადო, რომელიც ამ ოჯახს, რა ხანია, მძიმე ტვირთად აწევს, უნდა გაქარწყლდეს... – ჩიკაკომ მზერა ახლა ბაღზე გადაიტანა, – რაც იყო-იყო, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. თქვენც უკვე

განიწმინდეთ... დროა, შინაურ საქმეებზეც იფიქროთ, ბაღს მიხედოთ, ხეები წესრიგში მოიყვანოთ. კაცი სიბნელეშიაც კი შეამჩნევს, აქაურობა როგორი ხელმიშვებულია, მთელი ბაღი ჩახუთული და ჩაბნელე-ბულია, არც ჰაერია, არც სინათლე, ხეების ტოტები ულაზათოდაა აქეთ-იქით გაფარჩხული.

მამის გარდაცვალების შემდეგ, ეს ოთხი წელიწადია, კიკუჯის ბაღისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მებაღისათვის არ დაუძახია. ტოტები კი მართლაც ისე იყო გაბარჯღული, მწვანედ შებორბლილი ხეების ქვეშ საღამოობითაც ისეთი უჰაერობა და ბუღი იდგა, როგორიც გაგანია შუადღისას.

– ეს თქვენი მოსამსახურე ბაღს, ეტყობა, სულ არ რწყავს. ნუთუ არ შეგიძლიათ, ეს პატარ-პატარა საქმეები მაინც დაავალოთ?!

– თავი დამანებეთ!

კიკუჯის ჩიკაკოს ყოველი სიტყვა, ყოველი მოქმედება აღიზიანებდა, მაგრამ იმის უფლებასაც აძლევდა, რამდენიც და რაზედაც უნდოდა, ელაქლაქა. ასე იყო ყოველთვის.

ამ უსიამოვნო ამბებზე საუბარი იმიტომ გაუბა, ჩანს, გარკვეული მიზანი ამოძრავებდა – უნდოდა, გულღია საუბარში გამოეწვია, თავისივე პირით ეთქმევინებინა, რას ფიქრობდა; მაგრამ კიკუჯი აშკარად უჯანყდებოდა მის ამ განზრახვას. თუმცა, არაფერი წამომცდესო, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდევაც. ცხადია, ჩიკაკო ამას შესანიშნავად ხვდებოდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, ვითომ ვერაფერს ამჩნევდა, ხანდახან სხვათა შორის თუ აგრძნობინებდა, აბა, რა უნდა გამომაპარო, მოხარშულს გიცნობო.

ჩიკაკოს ისეთი თითქმის არასოდეს არაფერი უთქვამს, კიკუჯისათვის ახალი და მოულოდნელი ყოფილიყო. ჩიკაკოს სიტყვების მთელი ეს სისაძაგლე და გესლი უკვე ჩადებული იყო მისი ტვინის რომელიღაც შორეულ კუნჭულში. როცა კი ამას გაიფიქრებდა, კიკუჯის საკუთარი თავი სძულდა.

ამ საღამოსაც, იუკიკოსა და ფუმიკოს გათხოვებაზე რომ ელაპარაკებოდა, თან ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდა, რას იზამს, ეს ამბავი როგორ იმოქმედებსო. რატომ, რა უნდოდა? რას ესწრაფოდა?.. – კიკუჯის ვერაფერი გაეგო. მიუხედავად ამისა, სულ ფხიზლად იყო. უწინ, ვთქვათ, იუკიკოს გამო სჩადიოდა ყველაფერს, ცდილობდა დაემცირებინა ფუმიკო,

ჩამოეშორებინა... ახლა? ახლა რაღაში სჭირდებოდა ეს ათასნაირი ხრიკი და ოინი, როცა ორივე ქალიშვილი უკვე გათხოვილი იყო? ახლა რატომღა იყო ასე ჩადარაჯებული, ასე რატომ აინტერესებდა, რა გუნებაზე დადგებოდა კიკუჯი?

«ავდგები, ოთახსა და გალერეაში სინათლეს ავანთებ, – გაიფიქრა ვაჟმა, – ჩემთვის სულერთია, ჩიკაკო რას იტყვის და რას იფიქრებს, მაგრამ მასთან ერთად ამ სიბნელეში მარტოდმარტო ჯდომა, რაც უნდა იყოს, უხერხულია, ვითომ რა ისეთი ახლობლები ვართ!.. მართალია, ყველაფერში ცხვირს ჰყოფს, ბაღის ამბებშიაც კი ეჩრება, მაგრამ მისი ეს ხასიათი ჩემთვის ხომ დიდი ხანია, ცნობილია, მახლობლობასა და შინაურობაზე კი, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტია...» მაგრამ არათუ ადგომა და სინათლის ანთება, კიკუჯის ამწუთას თავის წამოწევა და განძრევაც ეზარება.

სინათლის ასანთებად არც ჩიკაკო დაძრულა ადგილიდან, თუმცა, შემოვიდა თუ არა, რა არის, რა სიბნელეაო, მაშინვე ეს წაიბუზღუნა. სხვა დროს, როგორც წესი, მუდამ სიამოვნებით ასრულებდა ყველა ამგვარ წვრილმანს. გარდა იმისა, რომ ხასიათი ჰქონდა ასეთი, მათ ოჯახში საქმეზე ხელის წაშველება ჩიკაკოს თავის მოვალეობად მიაჩნდა. ახლა კი აზრადაც არ მოსვლია, ამდგარიყო და კიკუჯის მომსახურებოდა. იქნებ, ასაკმა იჩინა თავი, წლებმა თავისი გაიტანა, იქნებ გაყოყოჩდა კიდევაც – ახლა ხომ იგი ცნობილი ქალი იყო, ჩაის ცერემონიალის დიდოსტატი!

– კიოტოდან რომ მოვდიოდი, ოოიძუმიმ მთხოვა... – ოღონდ, მე აქ არაფერ შუაში ვარ, უბრალოდ დანაბარებს გეუბნებით, – მოკლედ, თქვენთან ასე დამაბარა, ჩაის ცერემონიალის ჭურჭლისა და ნივთების გაყიდვას თუ დააპირებს, ამ საქმეს მე მოვკიდებ ხელს სიამოვნებითო, – დაიწყო დინჯად ჩიკაკომ, – სხვათა შორის, კიკუჯი-სან, რაც იუკიკო ხელიდან გაუშვით, დარწმუნებული ვარ, სულ აღარ გეჩაისჭურჭლებათ. მართალი გითხრათ, გულს მაკლია... მამათქვენის სიკვდილის შემდეგ ჩაის ცერემონიალი სამუდამოდ ჩაკვდა თქვენს სახლში, მე კი ჩემს საყვარელ საქმეს გამოვაკლდი... პავილიონსაც ალბათ მე თუ მოვალ და მე თუ გავანიავებ... თორემ არის ასე მოუვლელი და კარგამოკეტილი.

აი, თურმე რა ყოფილა! როგორც ჩანს, ჩიკაკო შორს უმიზნებს. ჯერ იყო, გინდა თუ არა, იუკიკო უნდა შეირთოო, მერე იყო და,

ამ სახლში ჩაის ცერემონიალის მოთავეობა მოუნდომა, მაგრამ, რომ არ გამოუვიდა, იფიქრა, ჩაის ჭურჭელსა და ნივთებს მაინც გამოსტყუებდა. ჭურჭლის ვაჭარს კი, რა თქმა უნდა, ყველაფერზე წინასწარ მოელაპარაკა, წინასწარ გაურიგდა.

სხვათა შორის, კიკუჯი არათუ არ გაბრაზებულა, პირიქით, გულში შვებაც კი იგრძნო.

– აბა, შენ იცი, ამ მოკლე ხანში სახლის გაყიდვასაც ვაპირებ, ისე რომ, სულ მალე ამ საქმეშიც დამჭირდება ოოიძუმის დახმარება.

– რა თქმა უნდა, – თავი დაუქნია ჩიკაკომ, – არ ჯობია, საქმე იმ კაცთან იქონიოთ, რომელმაც ერთხელ უკვე შესანიშნავად შეასრულა მამათქვენის დავალება?!

ჩიკაკოს, ცხადია, ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გაანგარიშებული – იცოდა, კიკუჯის არც ჩაის ცერემონიალისა გაეგებოდა რაიმე, არც ამ ჩაის ცერემონიალისათვის საჭირო ჭურჭლისა. ხეირიანად ისიც არ იცოდა, რა ჰქონდათ და რა არ ჰქონდათ... სამაგიეროდ, თვითონ არ გამოეპარებოდა არაფერი.

კიკუჯიმ ჩაის პავილიონისაკენ გაიხედა. პავილიონის წინ უშველებელი ოლეანდრის ხე იდგა. ახლა იგი თეთრად იყო გადაპენტილი. მისი თეთრი ყვავილები თეთრ ლაქებად ილანდებოდა შავად ჩამოწოლილი ღამის მრუმე სიბნელეში.

ისეთი ბნელი ღამე იდგა, ხის კენწეროები ლამის ცას შეზრდოდნენ, ხეებსა და ცას შორის სიბნელეს ზღვარი თითქმის სრულიად წაეშალა.

2.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ კიკუჯი ის-ის არის, სამსახურიდან გამოსვლას აპირებდა, რომ ტელეფონზე დაურეკეს.

– იცით, მე ვარ, ფუმიკო ვარ, – მოესმა ყურმილში ფუმიკოს წყნარი ხმა.

– ალო... გისმენთ...

– მე ვარ, ფუმიკო ვარ...

– დიახ, დიახ, მესმის.

– უკაცრავად, სამსახურში გაწუხებთ... იცით, სამსახურში რომ არ დამერეკა, ბოდიშის მოხდას ვეღარ მოვასწრებდი...

– რა იყო, რა მოხდა?

– დღეს თქვენთან წერილი გამოვაგზავნე, მგონი, მარკის დაკვრა დამავიწყდა.

– მართლა? მე კი ჯერ არ მქონია ბედნიერება, წერილი ჯერ არ მიმიღია.

– ფოსტაში საგანგებოდ ათი მარკა ვიყიდე, მაგრამ წერილი რომ გამოვაგზავნე და შინ მოვედი, მარკები ისევ იმდენი აღმომაჩნდა... განა შეიძლება, ადამიანი ასე დაბნეული იყოს!.. სანამ წერილს მიიღებდეთ, მინდა ბოდიში მოგიხადოთ, ახლა სწორედ ამიტომ დაგირეკეთ.

– ასეთი უმნიშვნელო ამბისთვის რატომ შეწუხდით?.. სასიხარულოს ხომ არაფერს მწერთ, ახალს ხომ არაფერს მატყობინებთ? – უთხრა კიკუჯიმ და გუნებაში გაიფიქრა, როგორც ჩანს, გათხოვების ამბავს იწერებაო.

– დიახ, ალბათ ამიტომ ვიყავი ასეთი დაბნეული, სულ ვყოყმანობდი, არ ვიცოდი, გამომეგზავნა თუ არა, მე ხომ თქვენთვის არასოდეს არაფერი მომიწერია... ამ ყოყმანსა და ორჭოფობაში, ეტყობა, მარკის დაკვრა დამავიწყდა...

– უკაცრავად, ახლა საიდან რეკავთ?

– ტოკიოს სადგურში ვარ, ავტომატიდან გირეკავთ, იცით, იმოდენა რიგია.

– ავტომატიდან? – კიკუჯი ჯერ ცოტათი გაოცდა, მაგრამ მაშინვე მოულოდნელად მიაყოლა, – მომილოცავს!

– გმადლობთ, მართლაც რომ მოსალოცი საქმე მაქვს... კი მაგრამ, ვინ გითხრათ, როგორ გაიგეთ?

– ვინ და, კურიმოტომ...

– კურიმოტო-სანმა?! საიდან გაიგო? ღმერთო, რა საშინელი ქალია!

– იმედია, ამიერიდან აღარასოდეს მოგიწევთ იმასთან

შეხვედრა, – თქვა კიკუჯიმ და ერთხანს შეყოყმანდა, – გახსოვთ, უკანასკნელად ტელეფონზე რომ ვილაპარაკეთ, ყურმილში წვიმის ხმაური ისმოდა?

– დიახ, თქვენ ამბობდით... საცხოვრებლად ამხანაგთან რომ გადავედი, მაშინაც სულ ვყოყმანობდი, არ ვიცოდი, შემეტყობინებინა თუ არა... ახლაც დიდხანს ვიორჭოფე... და აი, ბოლოს მაინც თქმა ვარჩიე...

– მიხარია, თქვენს ამბებს თვითონვე რომ მეუბნებით. კურიმოტოსაგან ეს ახალი ამბავი რომ შევიტყვე, მეც თქვენსავით კარგა ხანს ვიყოყმანე, არ ვიცოდი, მომელოცა თუ არა...

– იცით, საშინელებაა, როცა კაცს უგზო-უკვლოდ დაკარგულად ჩაგთვლიან, – ნაზი, მილეული ხმა ფუმიკოს ზუსტად დედამისს უგავდა.

კიკუჯის სუნთქვა შეეკრა.

– რა ვიცი, ალბათ ჯობდა, სულ გადავკარგულიყავი, – ქალიშვილი წუთით შეჩერდა და მცირეოდენი პაუზის შემდეგ განაგრძო, – ახლა მე ერთ პატარა, მოუწყობელ ოთახში ვცხოვრობ, სამსახურიცა და ეს ოთახიც ერთდროულად ვიშოვე.

– მართლა?

– აი, საშინელი სიცხე და პაპანაქება რომ იყო, სწორედ მაშინ დავიწყე სამსახური, მართალი გითხრათ, ძალიან ვიღლები...

– აბა რა იქნება, თან სამსახური, თან გათხოვება...

– რაო, რა თქვით? რა გათხოვება?

– კიდევ ერთხელ გილოცავთ!

– როგორ არ გრცხვენიათ, აბა ეგ რა ხუმრობაა?!

– კი მაგრამ, ხომ გათხოვდით?

– გავთხოვდი? მე?!

– ასე არ არის?

– რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ! განა შემეძლო, ახლა, ასეთ მდგომარეობაში გათხოვებაზე მეფიქრა? აბა, რა ხანი

გავიდა, რაც დედა გარდამეცვალა!..

– ჰო, რა ვიცი...

– თქვენ ეს ალბათ კურიმოტო-სანმა გითხრათ?

– დიახ...

– კი მაგრამ, რატომ, რისთვის? ვერაფერი გამიგია!.. მიტანისან, თქვენც ადექით და მაშინვე დაიჯერეთ, არა?

თითქოს საკუთარ თავს ეკითხებოდა ფუმიკო.

კიკუჯის ერთბაშად გულზე მოეშვა, ის კი არა, მხიარულ გუნებაზეც კი დადგა.

– აბა, ეს რა ტელეფონზე სალაპარაკო ამბავია? ფუმიკო-სან, მოდი, შევხვდეთ ერთმანეთს, კარგი?

– კი ბატონო!

– ახლავე ტოკიოს სადგურში გავჩნდები, თუ შეიძლება, მომიცადეთ.

– ჰო, მაგრამ...

– ან იქნებ სხვაგან გირჩევნიათ? სხვაგან ხომ არ შევხვედროდით ერთმანეთს?

– იცით, არ მინდა, ქუჩაში დავდგე, ხომ არ აჯობებდა, პირდაპირ სახლში მოვსულიყავი?

– რა თქმა უნდა... მაგრამ, მოდი, შევხვდეთ სადმე და შინ ერთად წავიდეთ.

– ერთად რომ წავიდეთ, სულერთია, სადღაც უნდა დავდგე და დაგელოდოთ.

– იქნებ სამსახურში მოსულიყავით?

– არა, მირჩევნია, შენთან სახლში მარტო წამოვიდე.

– კარგი, ახლავე გამოვდივარ, ჩემზე ადრე თუ მიხვალთ, ძალიან გთხოვთ, შინ შეხვიდეთ და თქვენს ნებაზე მოისვენოთ.

ფუმიკო ალბათ ელმავალში ჩაჯდებოდა, ტოკიოს სადგურიდან ელმავლით წამოვიდოდა და, ცხადია, მიასწრებდა კიკუჯის. კიკუჯის კი რატომღაც ეჭვი არ ეპარებოდა, ფუმიკოც სწორედ

ამ მატარებლით მოდის, რომლითაც მე მივდივარო და ვაგონიდან გადმოსულმა ბაქანს თვალიერება დაუწყო.

ფუმიკო შინ მართლაც პირველი მივიდა.

მოსამსახურისაგან რომ გაიგო, უკვე ბაღში მელოდებაო, კიკუჯიმ წინკარიდან პირდაპირ ბაღისაკენ გასწია.

ქალიშვილი თეთრი ოლეანდრის ჩრდილში ქვაზე იყო ჩამომჯდარი.

ჩიკაკოს უკანასკნელი ვიზიტის შემდეგ მოსამსახურემ საღამოობით ხეებს, ეტყობა, რწყვა დაუწყო – ბაღის ძველი ავზი, როგორც ჩანს, ჯერ ისევ წესრიგში იყო.

ქვას, რომელზეც ფუმიკო იჯდა, ნესტისაგან ქვედა მხარე ჩაშავებული ჰქონდა.

ოლეანდრი თეთრი... ოლეანდრი წითელი... წითელი ოლეანდრის ალისფერი ყვავილები ფოთლების მუქ სიმწვანეში შუადღის თაკარა მზესავით ენთო. თეთრი ოლეანდრი ირგვლივ სიგრილეს აფრქვევდა. ნაზად მობიბინე ყვავილები ჩარჩოსავით შემოსდგომოდა ქალიშვილს და ისიც იმ ყვავილებივით თეთრი და ქათქათა იყო. ტანთ თეთრი კაბა ემოსა, გადაკეცილ საყელოსა და ჯიბეებზე ვიწრო ლურჯქობამოვლებული.

მწვანე ფოთლებს შორის შემოპარული ჩამავალი მზის სხივები ფუმიკოს ზურგს უკან – კიკუჯის ფეხებთან ეფინა.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

კიკუჯის სიარულზეც კი ეტყობოდა, ფუმიკოს მოსვლით რა გახარებული იყო.

ჩანს, ქალიშვილს სურდა, პირველი მისალმებოდა კიკუჯის.

მაგრამ – «მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ, სამსახურში დაგირეკეთ», – თქვა და ისეთი მობუზული წამოდგა, თითქოს სადღაც უნდა შეძვრეს, უნდა დაიმალოსო. იქნებ ისიც მოეჩვენა, ახლავე თუ არ ადგებოდა, კიკუჯი მივიდოდა, ხელს მოჰკიდებდა და ძალით წამოაყენებდა.

– ტელეფონით ისეთი შემაძრწუნებელი ამბავი მითხარით... აი, მოვედი, რათა დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერი ტყუილია.

– თქვენ ამას გათხოვებაზე ამბობთ? გულახდილად გითხრათ, მეც ძალიან გამიკვირდა...

– რა?

– რა და, ერთიცა და მეორეც. ერთი ის, რომ გათხოვდით, მეორე კი ის, რომ გათხოვება თურმე აზრადაც არ მოგსვლიათ. მოკლედ, ერთზეც და მეორეზეც გაშტერებული დავრჩი.

– ერთზეც და მეორეზეც?

– რა თქმა უნდა!

კიკუჯიმ ქვის ფილებით მოკირწყლულ ბილიკზე შეაბიჯა.

– ოთახში შემობრძანდით, – უთხრა ფუმიკოს და გალერეის კიდეში ჩამოჯდა, – აქ რატომ დამელოდეთ, სახლში რატომ არ შეხვედით? ამას წინათ აი, აგერ, გალერეაში ვისვენებდი, სწორედ იმ დღეების დაბრუნებული ვიყავი ნოჯირიკოს ტბიდან. რომ გავიხედე, კურიმოტო გამომეცხადა.

ამ დროს რომელიღაც ოთახიდან მოსამსახურის ძახილი მოესმა, ალბათ ვახშმის ამბავი უნდა მკითხოსო, – გაიფიქრა, თუმცა სამსახურიდან წამოსვლისას წინასწარ დაურეკა, ვახშმის თადარიგი წინასწარვე დაიჭირა. კიკუჯი სახლში შევიდა და მალე იქიდან თეთრი ტილოს კიმონოში გამოწყობილი დაბრუნდა.

ფუმიკომ მანამდე კოსმეტიკა გაიახლა, სახე მოიწესრიგა, სანამ კიკუჯი დაჯდებოდა, ერთხანს შეიცადა და ბოლოს ჰკითხა:

– მაინც რაო, რა გითხრათ კურიმოტო-სანმა?

– რა უნდა ეთქვა, გათხოვდაო, ეგრევე მომახალა...

– თქვენც ადექით და დაიჯერეთ, არა, მიტანი-სან?

– აბა, რა უნდა მექნა? ამისთანა ტყუილს კაცი, უბრალოდ, ვერც კი წარმოიდგენ!

– და ეჭვიც არ შეგპარვიათ, არა? – ფუმიკოს დიდი, ნათელი თვალები ცრემლით აევსო, – ნუთუ ახლა მე გათხოვება შემიძლია? ან თავი მაქვს და ან გული? ალბათ ვერც ვერავინ წარმოიდგენს, რამდენი ტანჯვა, რამდენი მწუხარება გამოვიარეთ მე და დედამ. არც მე, – ფუმიკო დედაზე ისე

ლაპარაკობდა, როგორც ცოცხალზე, – და არც დედას ის ტანჯვა და მწუხარება ჯერ ოდნავადაც არ გაგვნელებია... ბევრი თანაგვიგრძნობდა, კეთილად გვეკიდებოდა, მაგრამ ისეთებიც საკმარისად იყვნენ, ბოროტად რომ გვექცეოდნენ, ჩვენ კი მაინც იმედს არ ვკარგავდით, ასე გვეგონა, ბოლოს და ბოლოს, უსათუოდ გაგვიგებდნენ. ან იქნებ ეს ილუზია უფრო იყო, საკუთარი თავის ანარეკლი საკუთარი სულის სარკეში?

საცაა, თითქოს ხმამაღლა ატირდებოდა ფუმიკო.

კიკუჯი ერთხანს მდუმარედ უსმენდა და ბოლოს უთხრა:

– ფუმიკო-სან, გახსოვთ, ერთხელ რომ გკითხეთ, როგორ ფიქრობთ, განა შემიძლია, ახლა ცოლი ვითხოვო-მეთქი? თავსხმა წვიმა რომ მოდიოდა, ხომ გახსოვთ? აი, იმ დღეს...

– დიახ... საშინლად ქუხდა და ელავდა...

– თქვენც დღეს სწორედ ანალოგიურ კითხვას მისვამთ, – თქვა კიკუჯიმ.

– არა, ეს სულ სხვაა...

– თქვენ მაშინ ასჯერ მაინც მითხარით, ცოლს თხოულობთო.

– მაგრამ... ჩემსა და თქვენ შორის ხომ, მიტანი-სან, ძალზე დიდი განსხვავებაა, – ეუბნება ფუმიკო და ცრემლით სავსე თვალებს არ აცილებს, – დიახ, ძალზე დიდი განსხვავებაა.

– მაინც?

– ჯერ ერთი, ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობა სულ სხვაა, თქვენი – სულ სხვა.

– საზოგადოებრივი მდგომარეობა?

– რა თქმა უნდა... მაგრამ არა მარტო ეს... საზოგადოებრივი მდგომარეობა, ვთქვათ, სულაც არ ვახსენე. მთავარი ისაა, მე და თქვენ სრულიად განსხვავებული ბედისანი ვართ. მთელი ჩემი ცხოვრება უსაზღვრო ტანჯვით არის სავსე, ჩემთვის ყველაფერი სიბნელით არის მოცული.

– თუ თქვენ ცოდვის სიღრმესა და სიმძიმეზე მიმანიშნებთ, მაშინ, უწინარეს ყოვლისა, ჩემზე უნდა ვილაპარაკოთ.

– არა! – ფუმიკომ თავი მტკიცედ გადააქნია და თვალზე

ცრემლი მოადგა. ცრემლი ნელა მოწანწკარებდა მის ღაწვებზე, მკერდზე ტკაპატკუპით ეყრებოდა, – დედამ მთელი ის ცოდვა თავის თავზე აიღო და სიკვდილი არჩია. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მე ეს ცოდვად სულაც არ მიმაჩნდა. ცოდვა კი არა, ეს მისი ტკივილი და უბედურება იყო. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება... ცოდვა ხომ სამუდამოა, ადამიანი მას ვერასოდეს მოიშორებს, ტკივილს კი თავისი დრო და დასასრული აქვს...

კიკუჯიმ თვალები დახარა.

– მაინც, რატომ მიგაჩნიათ, რომ მთელი თქვენი ცხოვრება ტკივილით არის სავსე? ამით ხომ ჩრდილს აყენებთ დედათქვენის სიკვდილს?

– ეტყობა, კარგად ვერ გითხარით – მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რაოდენ ტრაგიკული და უსაზღვროა ჩემი მწუხარება.

– თუმცა, მწუხარება ხომ...

უნდოდა ეთქვა, მწუხარება ხომ სიყვარულსაც ახლავსო, მაგრამ აღარაფერი უთქვამს.

– ასე რომ, ჩვენ შორის დიდი განსხვავებაა... თქვენ, მიტანი-სან, უკვე საცოლეც გყავთ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იუკიკო-სანი თანახმაა ცოლად გამოგყვეთ, – განაგრძო ფუმიკომ, – კურიმოტო-სანს ჯერ დედა მიაჩნდა თქვენი ქორწინების ხელის შემშლელად, ახლა მე მთვლის დაბრკოლებად... ჩემი გათხოვების ამბავიც, მგონი, სწორედ ამიტომ მოიგონა. აბა, მაგ ტყუილს სხვაგვარად რით ახსნი?

– იმან ისიც მითხრა, ინამურა-სანი გათხოვდაო.

ფუმიკოს სახეზე წუთით უკიდურესი გაოცება აღებეჭდა.

– შეუძლებელია!.. არა, რა თქმა უნდა, არ მჯერა... ეგ ხომ მტკნარი სიცრუეა!.. – ჯიუტად გადააქნია თავი ფუმიკომ, – როდის, მაინც როდის იყო ეს ამბავი?

– ინამურა-სანის ქორწილი? ალბათ სულ ახლახან.

– ტყუილია!

– ასე თქვა, ორივენი გათხოვდნენო. თქვენი ამბავიც ამიტომ

დავიჯერე... რა იცი, იუკიკო იქნებ გათხოვდა კიდევაც.

– არა-მეთქი, ხომ გეუბნებით, ტყუის!.. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ამ პაპანაქება სიცხეში ქორწილს ვინ გადაიხდის, საქორწილო ტანისამოსს ვინ ჩაიცვამს?

– თქვენი აზრით, ზაფხულში ქორწილს არავინ იხდის?

– მე მგონი, არავინ, რაიმე გამონაკლისი თუ არ მოხდა, თორემ... ისე, ხომ შეიძლება, ქორწილი შემოდგომისთვისაც გადაიდოს...

ფუმიკოს ცრემლი ღაპაღუპით სცვიოდა მუხლებზე, იჯდა თავდახრილი და ცრემლით დასველებულ კაბის კალთას თვალმოუცილებლად დასცქეროდა:

– რატომ, რატომ იცრუა ასე კურიმოტო-სანმა?

– თან, წარმოგიდგენია, რა მარჯვედ, რა მოხერხებულად მომატყუა!

ცხადია, ტყუილია, მაგრამ, ტყუილი ასე რატომ ატირებს ფუმიკოს?

მართალი კი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამ არის... მართალია მხოლოდ ის, რომ ჩიკაკომ ფუმიკოზე მტკნარი სიცრუე თქვა.

იუკიკო, ეტყობა, ნამდვილად გათხოვდა. და აი, თავისი გაცრუებული მაჭანკლობით გაბოროტებულმა ჩიკაკომ, ეტყობა, გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ფუმიკო კიკუჯისათვის ჩამოეშორებინა. ეს ტყუილიც, როგორც ჩანს, ამიტომ მოიგონა...

მაგრამ ვერც ამ განმარტებამ დააკმაყოფილა კიკუჯი. ის კი არა, ახლა აღარც იუკიკოს გათხოვების ამბავი ეჩვენებოდა სარწმუნოდ.

– ასეა თუ ისე, სანამ არ დავრწმუნდებით, იუკიკო-სანი მართლა გათხოვდა თუ არა, კურიმოტოს ეს ხუმრობა ასედაც შეიძლება აიხსნას და ისედაც.

– ხუმრობა?!

– მოდი, ჩავთვალოთ, რომ ეს უბრალო ხუმრობა იყო და მეტი არაფერი.

– მე რომ დღეს თქვენთვის არ დამერეკა, განა დარწმუნებული არ იყავით, ნამდვილად გათხოვდაო? აბა, ეს რა ხუმრობაა...

ამ დროს ისევ დაუძახა მოსამსახურემ კიკუჯის.

უკან რომ მობრუნდა, ხელში კონვერტი ეკავა.

– აი, ესეც თქვენი წერილი, ფუმიკო-სან! თქვენი უმარკო წერილი, – თქვა ღიმილით და კონვერტს გახსნა დაუპირა.

– არა, არ გახსნათ!

– რატომ?

– არა, არ მინდა. თუ შეიძლება, დამიბრუნეთ! – ფუმიკო არ ამდგარა, კიკუჯისაკენ დამჯდარი მიჩოჩდა და ხელი წერილისაკენ გაიწოდა, – მომეცით!

კიკუჯიმ კონვერტი სასწრაფოდ ზურგს უკან დამალა.

ქალიშვილმა მარჯვენა ხელი კონვერტს წაატანა და მარცხენით ინსტინქტურად ვაჟის მუხლს დაეყრდნო. აი, ხელები სხეულს თითქოს აქეთ-იქით ეწევიან, სხეული წუთით თითქოს წონასწორობას კარგავს... მაგრამ ხელები მალე ისევ შეთანხმებულად იწყებენ მოქმედებას – მარჯვენა კვლავ წერილისაკენ მიიწევს, მარცხენა კვლავ სხეულის შეკავებას ცდილობს. თუმცა თავი თითქმის ვაჟის მკერდზე აქვს მიდებული, სხეული, გრაციოზულად გადახრილი, თითქოს ჰა და ჰა, საცაა დაეცემა, მაგრამ სხეულს ისე მსუბუქად, ისე მოხდენილად აკავებს, კიკუჯი გაოცებული რჩება... და აი, მარცხენა, რომლითაც ქალიშვილი საკუთარი სიმძიმის შეკავებას ცდილობდა, კიკუჯის მუხლზე ახლა ნიავივით მსუბუქად ასვენია.

რა მოქნილი, რა მარჯვე, რა გრაციოზულია! აკი ასე ეგონა, საცაა, მის მუხლებზე მოზვავდებოდა, მისი სხეულის სიმძიმეს შეიგრძნობდა. ის კი, არა თუ არ დაცემულა, წესიერად არც კი შეხებია. მიუხედავად ამისა, ისეთი ძალით, ისეთი სიძლიერით შეიგრძნო ქალი – ქალბატონი ოოტა, რომ კიკუჯი თრთოლამ აიტანა.

მაინც როგორ... როგორ შეიკავა თავი ფუმიკომ? როდის მოადუნა მის მუხლზე დაბჯენილი მარცხენა? დიახ, ეს იყო ახალგაზრდა ქალის წარმოუდგენელი სიმარჯვე, საოცარი

წინდახედულება, ქალური სიფრთხილის იდუმალი გამოვლენა...

კიკუჯის ასე ეგონა, მძიმე ტვირთად ჩამოაწვებოდა მუხლებზე, მაგრამ, მძიმე ტვირთი კი არა, მთელი მისი არსება ქალის საოცარმა სითბომ და სურნელმა აავსო.

დავბრუდამხვევმა, დამბანგავმა, მათრობელა სურნელმა, რომელშიაც ყველაფერი იყო – გრძელი, უსასრულო დღეც, ზაფხულის თაკარა მზეც და მთელი ეს ცხოვრებაც. სწორედ ასეთი სურნელი უდიოდა ქალბატონი ოოტას ალერსსაც...

– მომეცით! ძალიან გთხოვთ, მომეცით!..

კიკუჯის წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, წერილი პატრონს დაუბრუნა.

– ახლავე დავხევ.

ფუმიკო შეტრიალდა და წერილი ნაფლეთებად აქცია. თეთრ, მაღალ კისერსა და თეთრ, შიშველ მკლავებზე ოფლი ცვარივით ეყარა.

წელან, ლამის რომ დაეცა, თავი ძლივს რომ შეიკავა, ჯერ საშინლად გაფითრდა, მერე, ეტყობა, დასცხა, გაწითლდა, სახე ცეცხლივით წამოენთო.

3.

ჩვეულებრივი ვახშამი, რომელიც მახლობელი რესტორნიდან მოიტანეს, არაჩვეულებრივად უგემური გამოდგა.

კიკუჯის ჩაის სხვა ჭურჭელთან ერთად წინ ცილინდრული ფორმის ფინჯანიც ედგა – მოსამსახურე ქალმა ჩვეულებისამებრ ჩაი ახლაც ამ ცილინდრული ფორმის ფინჯნით მიუტანა და კიკუჯიმ უცებ მთელი თავისი ყურადღება ფინჯანზე გადაიტანა.

ფინჯანს ფუმიკომაც მიაქცია ყურადღება.

– ჩაის თქვენ თურმე ამ ფინჯნით მიირთმევთ?

– დიახ...

– რა უხერხულია, – თქვა ფუმიკომ, თუმცა მის ხმაში ამწუთას

გაცილებით ნაკლები უხერხულობა იგრძნობოდა, ვიდრე ამას თავად კიკუჯი განიცდიდა ამჯერად, – ჯერ გაჩუქეთ, აი, ახლა კი ვნანობ... წერილშიაც სწორედ ამის თაობაზე გწერდით.

– რის თაობაზე?

– რისა და ფინჯნის... ასეთი უმნიშვნელო საჩუქრის გამო დიდ ბოდიშს გიხდიდით.

– უმნიშვნელო? რას ბრძანებთ, შესანიშნავი ფინჯანია!

– მე მაინც მგონია, რომ არც ისე კარგი შინოა. ეს რომ არა, დედა ყოველდღიურად არ იხმარდა.

– მართალი გითხრათ, დიდად ვერც მე ვერკვევი. მიუხედავად ამისა, მე მგონი, კარგი შინოა, – კიკუჯიმ ფინჯანი ხელში აიღო და შეატრიალ-შემოატრიალა.

– მაგრამ ამაზე გაცილებით უკეთესიც ხომ ბევრია! ფინჯანს ხელში აიღებთ, უკეთესი გაგახსენდებათ, შეადარებთ და გული დაგწყდებათ.

– რას უნდა შევადარო, სახლში მხოლოდ ეს ერთი შინო მაქვს!

– ვთქვათ, სადმე სხვაგან ნახეთ... შეხედავთ და ჩემსას სჯობსო, გული შეგეცვლებათ, ეს კი მეც და დედასაც გულს გვატკენს.

კიკუჯის ყელში რაღაც მოაწვა.

– ნეტავი, სად რა უნდა ვნახო! მე ხომ ჩაის ცერემონიალებზე არ დავდივარ! მე ხომ სამუდამოდ ჩავიქნიე ხელი ამ საქმეზე.

– ხომ შეიძლება, შემთხვევით ნახოთ სადმე. ესეც რომ არა, აქამდეც ალბათ არაერთხელ გინახავთ.

– იცით რა, ისე გამოდის, თუ ყველაზე უკეთესი და გამორჩეული არ არის, ვერავის ვერაფერს აჩუქებ.

– დიახ, – თქვა ფუმიკომ, თავი ასწია და კიკუჯის თვალებში შეხედა, – ნამდვილად ასე ვფიქრობ... წერილშიაც სწორედ ამას გთხოვდით: ფინჯანი გატეხეთ, ნამტვრევები სადღაც შორს გადაყარეთ-მეთქი.

– გავტეხო? ასეთი ფინჯანი როგორ უნდა გავტეხო? ოთხასის თუ არა, სამასი წლის ხომ იქნება? ავდგე და გავტეხო ასეთი ნახელავი?! რა იცი, ოდესღაც იქნებ სხვა დანიშნულებისთვისაც

იყენებდნენ, ჩაის დალევა ამით აზრადაც არ მოსდიოდათ... გადიოდა წლები, ვიღაცები უვლიდნენ, ელოლიავებოდნენ, ფრთხილად, სათუთად გადასცემდნენ ხელიდან ხელში. ბუდეში სათუთად და საიმედოდ შენახული, მავანსა და მავანს იქნებ მგზავრობაშიაც თან დაჰქონდა... ასე გადადიოდა თაობიდან თაობაში, ახლა კი, თქვენი ჭირვეულობის გამო, ავდგე და გავტეხო ეს საუკუნეებგამოვლილი ფინჯანი? თან, როგორც ამბობთ, ერთ ადგილას, კიდეში, თურმე, ქალბატონი ოოტას ტუჩის პომადის ნაკვალევიც ატყვია...

დედა ამბობდა, კერამიკა ტუჩის საცხს ისე იწოვს, ასჯერაც რომ გარეცხო, ვერაფრით მოაცილებო, – თქვა ერთხელ ფუმიკომ. კიკუჯიმ, მართლაც, რამდენი არ ხეხა და რეცხა, ამ ჩამუქებულ ადგილს ვერაფერი მოუხერხა. მართალია, ლაქა წითელი კი არა, ღია ყავისფერია, მაგრამ ერთგვარი მოწითალო ფერი მაინც დაჰკრავს. მოკლედ, კაცი თუ მოისურვებს, შეუძლია პომადის ფერგახუნებულ ნაკვალევადაც მიიღოს. ისე, ხომ შეიძლება, თვითონ შინოსაც ჰქონოდა ეს მოწითალო ფერი? გარდა ამისა, აბა, რა აუცილებელია, ეს ნაკვალევი უსათუოდ ქალბატონი ოოტას ტუჩის ნაკვალევი იყოს? ამ ფინჯნით მანამდეც, ვინ იცის, რამდენი ქალი სვამდა ჩაის, იქნებ ეს ნაკვალევი მისმა ადრინდელმა მფლობელებმა დატოვეს? ჩაის დალევის დროს ბაგე ხომ მუდამ ერთ გარკვეულ ადგილს ეხება... და მაინც, ქალბატონ ოოტას იგი ალბათ სხვაზე ხშირად მიჰქონდა ბაგესთან, რაკიღა ამ ფინჯანს ყოველდღე ხმარობდა...

ნეტავი, თვითონ მოუვიდა ქალბატონ ოოტას აზრად, ყოველდღე ესვა ამ ფინჯნით ჩაი, ყოველდღიურ სახმარად გაეხადა თუ მამამ ურჩია?

ამის გარდა, მამამისსა და ფუმიკოს დედას რიონიოს ნახელავი ის ორი ცილინდრული ფორმის წითელი და შავი ფინჯანიც ალბათ ხშირად ეჭირათ ხელში. ერთმანეთის ჯუფთი, ცოლ-ქმარი ფინჯანი... იმ ფინჯნებითაც ჩაის ისინი ალბათ ყოველდღიურად სვამდნენ.

ქალბატონ ოოტას ხანდახან მამა იმასაც კი სთხოვდა, შინოს ქოთანში ვარდები ან მიხაკები ჩაელაგებინა. ანდა იქნებ მიაწვდიდა ქალს ფინჯანს და უძველესი შინოთი ხელდამშვენებული ქალის მზერით ტკბებოდა...

და აი, მათი გარდაცვალების შემდეგ ქოთანიც და ეს ფინჯანიც

კიკუჯისთან აღმოჩნდა. ახლა კი, აგერ, ქალბატონი ოოტას ქალიშვილი – ფუმიკოც მასთანაა.

– არა, ეს ჭირვეულობა არ არის, ამას სრულიად სერიოზულად გეუბნებით: ფინჯანი უსათუოდ უნდა გატყდეს, – თქვა ფუმიკომ, – როდესაც მე ის ქოთანი გაჩუქეთ, ისე გაგიხარდათ, გამახსენდა, რომ კიდევ ერთი შინოს ნივთი მქონდა და მაშინვე გავიფიქრე, იმ შინოსაც კიკუჯის ვაჩუქებ-მეთქი. მინდოდა, ყოველდღიურ სახმარად გქონოდათ, ახლა კი ვუყურებ და ასეთი უმნიშვნელო საჩუქრის გამო სირცხვილით ვიწვები.

– რას ბრძანებთ! ჩინებული შინოა! ისე, თუკი რამ სამარცხვინოდ, უფრო მეტიც, ცოდვადაც შეიძლება ჩაითვალოს, ასეთი ფინჯნის ყოველდღიური ხმარებაა!

– მიუხედავად ამისა, ცუდი ფინჯანია!.. რამდენიც გნებავთ, იმდენია უკეთესი. იმის უბრალო გაფიქრებაც კი, შეიძლება ხელში ეს შინო ეჭიროს, გუნებაში სხვა, უკეთეს შინოს ადარებდეს-მეთქი, ჩემთვის მართლაც აუტანელია.

– ესე იგი, თქვენი აზრით, მხოლოდ იმის გაჩუქება შეიძლება, რაც საუკეთესოა?

– ეს იმაზეა დამოკიდებული, ვის უძღვნი და რა ვითარებაში აჩუქებ...

ფუმიკოს სიტყვები კიკუჯის გულში ჩასწვდა.

ესე იგი, ნივთი, რომელსაც კიკუჯი მისგან ქალბატონი ოოტას სამახსოვროდ მიიღებს, უსათუოდ შედევრი უნდა იყოს... რომ ეს თვითონ კიკუჯისათვისაც იქნება უკეთესი, და რომ იგი, კიკუჯი, ქალბატონი ოოტას და ფუმიკოს გახსენებაზე რაღაც უსაზღვროდ კარგსა და მშვენიერს უნდა შეეხოს...

ეს ალბათ ფუმიკოს ყველაზე სანუკვარი სურვილი იყო, ამის დამამტკიცებელი კი ის შინო, ანუ შინოს ის ქოთანი გახლდათ.

მისი ცივი, ამავე დროს შინაგანი მხურვალებით აღსავსე ელვარება კიკუჯის ქალბატონი ოოტას სხეულს აგონებდა. ამ მოგონებაში არ იყო უხამსობა, არ იყო სიმწრის, არ იყო სირცხვილის ნატამალიც კი, ვინაიდან ყოველი მშვენიერი ყველაფერ ამაზე მაღლა დგას... ბუნებას სურდა, შეექმნა ქალი და შექმნა ქალბატონი ოოტა – იგი ბუნების ჭეშმარიტად სრულყოფილი ქმნილება გახლდათ, სრულყოფილების განსჯა

კი არავის ხელეწიფება, ვინაიდან სრულყოფილებას არც წუნი აქვს, არც ხინჯი...

როცა კი ამ ქოთანს უყურებდა, თავში მუდამ ასეთი აზრები უტრიალებდა კიკუჯის.

გარდა ამისა, შინოს ყოველ შეხედვაზე ფუმიკო აგონდებოდა. იმ დღეს, იმ წვიმიან დღეს, აკი უთხრა კიდეც ტელეფონით – მხოლოდ ტელეფონით შეჰბედა... და აი, ფუმიკოსაც სწორედ იმ დღეს გაახსენდა, შინ კიდევ ერთი შინოს ფინჯანიც რომ ჰქონდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ფუმიკო არ ცდებოდა – ფინჯანი ნამდვილად ვერ შეედრებოდა ამ ქოთანს.

– მამაჩემს ერთი სამგზავრო ზარდახშა აქვს, – თქვა ბოლოს კიკუჯიმ, – იმ ზარდახშაში ერთი ფინჯანია და ის ალბათ ნამდვილად ჩამოუვარდება ამ შინოს.

– მაინც, როგორი ფინჯანია?

– არ ვიცი, მე ის თვალითაც არასოდეს მინახავს.

– ხომ ვერ მაჩვენებთ?.. დარწმუნებული ვარ, მამათქვენის ფინჯანი გაცილებით უკეთესი იქნება. თუ ეს ასე აღმოჩნდა, ამ ფინჯანს მაშინვე გავტეხ, კარგი?

– არა, ვერ გაჩვენებთ, თქვენთვის იმის ჩვენება საშიშია...

ჩაროზად მორთმეულ საზამთროს კურკას მარჯვედ და ლაზათიანად რომ აცლიდა, ფუმიკომ ერთხელ კიდევ სთხოვა:

– იმ ფინჯანს ხომ ვერ მაჩვენებდით?

კიკუჯიმ მოსამსახურე ქალს ჩაის პავილიონის გახსნა დაავალა, ვინაიდან, დარწმუნებული იყო, ზარდახშა სწორედ პავილიონში იქნებოდა. მერე წამოდგა და ბაღში გავიდა:

«მე წარმოდგენა არა მაქვს, ზარდახშა სად არის, კურიმოტო კი მაშინვე მოიტანდა – იმან ხომ აქ ყოველი კუთხე-კუნჭული იცის!»

კიკუჯიმ უკან მოიხედა, ფუმიკო თეთრი ოლეანდრის ჩრდილში იყო გახვეული, ფეხზე წინდები და ბაღის გეტები ეცვა და ნელა მოაბიჯებდა ხის ფესვებზე.

ზარდახშა მიძუიას გვერდითა თაროზე აღმოჩნდა.

კიკუჯიმ იგი პავილიონში შემოიტანა და ფუმიკოს წინ დაუდო. ქალიშვილი დარბაისლურად, წელგამართული იჯდა, შეფუთული ზარდახშის გახსნას მშვიდად ელოდა.

– შეიძლება? – უთხრა ბოლოს ფუმიკომ და ზარდახშისკენ ხელი გაიწოდა.

– სიამოვნებით, ოღონდ ძალიანაა დამტვერილი.

ამ სიტყვებით კიკუჯიმ ზარდახშა ბაღში გაიტანა და მტვერი გადაფერთხა.

– იცით, მიძუიაში, თაროზე, მკვდარი ჭრიჭინობელა ეგდო, უკვე მატლიც კი დასეოდა...

– პავილიონში სისუფთავეა.

– დიდი ხანი არ არის, რაც კურიმოტომ დაასუფთავა. აი, იმ დღეს, თქვენი და იუკიკოს გათხოვების ამბავი რომ მახარა. უკვე საღამოხანი იყო, ის კი არა, ბნელოდა კიდევაც. ალბათ ეს მკვდარი ჭრიჭინობელაც იმიტომ ვერ შეამჩნია.

ფუმიკომ ზარდახშა გახსნა და რაღაც შეხვეული, როგორც ჩანს, ფინჯანი ამოიღო. ფუთაზე თავწახრილი აბრეშუმის ზონარს ხსნიდა და თითები ოდნავ უთრთოდა.

როგორღაც მხრებჩამოშვებული იჯდა. კიკუჯიმ გვერდიდან შეხედა და მისი ყურადღება კვლავ ქალიშვილის მაღალმა, ნატიფმა კისერმა მიიპყრო...

ჯიუტად ტუჩებმოკუმულ ფუმიკოს ქვედა ბაგე ოდნავ წინ ჰქონდა წამოწეული, საოცრად საყვარელი და გულის ამაჩუყებელი იყო მისი ეს ლამაზი ბაგეცა და ყურის სავსე ბიბილოც.

– კარაცუ[46]... – თქვა ფუმიკომ და კიკუჯის შეხედა.

კიკუჯიმ ახლოს მიიწია.

ქალიშვილმა ფინჯანი ტატამზე დადგა.

ცილინდრული ფორმის ეს პატარა ჭურჭელი, როგორც ჩანს, ყოველდღიური ხმარებისათვის იყო განკუთვნილი.

– რა სადა, როგორი მკაცრი ხაზები აქვს! სად ეს და სად ის შინო!

– განა შეიძლება კარაცუსა და შინოს შედარება? ეს ხომ სხვადასხვაა, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული კერამიკა?

– რატომაც არა! საკმარისია, ეს ორი ფინჯანი გვერდიგვერდ დააწყო, მაშინვე ყველაფერი აშკარა გახდება.

კარაცუს სიწმინდითა და მკაცრი ფორმით მოხიბლულმა კიკუჯიმ ფინჯანი ხელში აიღო:

– ის შინოც ხომ არ მოვიტანო?

– მე თვითონ მოვიტან, – ამ სიტყვებით ფუმიკო წამოდგა და პავილიონიდან გავიდა.

როგორც კი ის ორი ფინჯანი გვერდიგვერდ დადგეს, კიკუჯიმ და ფუმიკომ ერთმანეთს ერთდროულად შეხედეს.

და ორივემ ასევე ერთდროულად, შეთქმულებივით მზერა კვლავ ფინჯნებზე გადაიტანა.

– ეს ხომ კაცისა და ქალის ფინჯნებია. ერთად დააწყობ თუ არა, მაშინვე აშკარა ხდება, რომ ასეა, – თქვა ოდნავ შეცბუნებულმა კიკუჯიმ.

ფუმიკომ თავი დაუქნია. ასე გეგონებოდა, ლაპარაკის ღონე აღარ ჰქონდა. კიკუჯის კი, ჩანს, თავისი ნათქვამი თვითონვე ეუცნაურა – იგი შემკრთალი და დაბნეული ჩანდა.

მკვეთრი, მამაკაცური ხაზებით გამორჩეული, სადა, მოუხატავი კარაცუს გარგარისფერი ნაფიფქმოდებული ლაჟვარდიდან მეწამული ატანდა.

– ეს ფინჯანი ალბათ მამათქვენის საყვარელი სამგზავრო ფინჯანია, ზუსტად მისი გემოვნების შესაფერი.

ფუმიკოს, ჩანს, აზრადაც არ მოსვლია, რა საშიშროება იმალებოდა მის სიტყვებში.

კიკუჯიმ კი ვერ გაბედა და ვერ უთხრა, შინოს ეს ფინჯანი ქალბატონ ოოტას მაგონებსო. მიუხედავად ამისა, ფინჯნები ახლა გვერდიგვერდ ისე ეწყო, როგორც ფუმიკოს დედისა და კიკუჯის მამის ორი გული.

ორი ძველთაძველი ფინჯანი, სამასი თუ ოთხასი წლის წინანდელი ოსტატის ნახელავი, ყოველგვარ ღვლარჭნილობას მოკლებული, მკაცრი, სადა ხაზები... თუმცა ამ სიმკაცრესა და სისადავეში იყო რაღაც თავისებური მგრძნობელობა, იყო ძალა... არაჩვეულებრივი სიმყარე.

გვერდიგვერდ დადგმული ორი ფინჯანი... ორი მშვენიერი სული... კიკუჯი ამწუთას თითქმის ცხადლივ ხედავდა მამამისს, ხედავდა ფუმიკოს დედას – ქალბატონ ოოტას.

ორი ფინჯანი... ორი რეალური ნივთი. რეალური და უნაკლო... ახლა ეს ორი მშვენიერი ფინჯანი ფუმიკოსა და კიკუჯის შუა დგას. ისინი კი სხედან, ამ უზადო ნივთებს შეჰყურებენ და არც ამ ნივთებსა და არც ამ ადამიანებში არ არის არავითარი ბიწიერება, ყოველივე არის სუფთა, სპეტაკი. ახლა მათ უკვე უფლება აქვთ, ისხდნენ ასე გვერდიგვერდ და...

ნუთუ ამ მკაცრმა ხაზებმა, ამ მოელვარე ზედაპირმა განუქარვა კიკუჯის შეცოდებისა და დანაშაულის გრძნობა? სულის მოხსენიების კვირამ ჩაიარა თუ არა, განა მაშინვე არ უთხრა ფუმიკოს, აი, ვზივარ ახლა აქ, თქვენ გვერდით და იქნებ ამით ძალიან... ძალიან ცუდ საქმესაც ჩავდივარო.

– რა სილამაზეა... – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა კიკუჯიმ, – ვინ იცის, მამა იქნებ ხშირად უტრიალებდა ამ ფინჯნებს, ხშირად ათვალიერებდა... თუმცკი, მამაჩემისთანა კაცისათვის ეს არცთუ ისე ჩვეულებრივი საქციელი იყო. უყურებდა და აღარც დანაშაული იქნებოდა მის გულში, აღარც – ცოდვა...

– ცოდვა?.. ო, ღმერთო!

– ასეა... ამ ფინჯნების შემხედვარეს, ეჭვი არ შეგეპარება, ამათ პატრონს ან ცოდვა ჰქონოდა, ან რაიმე უგვანი საქმის ჩადენა შესძლებოდა. მამაჩემის სიცოცხლე კი მეტისმეტად ხანმოკლე იყო...

– სიკვდილი ყველას ფეხდაფეხ დაგვყვება... ღმერთო, რა საშინელებაა... – წაიჩურჩულა ფუმიკომ, – სულ იმას ვცდილობ, მასზე... დედაზე არ ვიდარდო... განა შეიძლება, ადამიანმა ყოველ წუთს სიკვდილზე იფიქრო, როცა ის, სიკვდილი, თავზე შენც აჩრდილივით გადგას?

– დიახ, ასეა... მართალი ხართ... არ შეიძლება კაცი სულ

სიკვდილსა და მიცვალებულზე ფიქრობდე. ასე გგონია, მაშინ შენც უკვე ამქვეყანას აღარა ხარ.

მოსამსახურემ ჩაიდანი შემოიტანა, ალბათ იფიქრა, ჩაის ცერემონიალისათვის მდუღარე ენდომებათო, ვინაიდან ფუმიკო და კიკუჯი, კარგა ხანია, ჩაის პავილიონში ისხდნენ.

– ამ ფინჯნებით ხომ არ გვესარგებლა, ჩაის პატარა ცერემონიალი ხომ არ მოგვეწყო? ვითომ გზაში ვართ... – შესთავაზა კიკუჯიმ.

ფუმიკომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ესე იგი, სანამ გავტეხდე, თქვენ გინდათ, დედაჩემის შინო უკანასკნელად ერთხელ კიდევ მოგვემსახუროს, – თქვა ფუმიკომ, ზარდახშიდან ბამბუკის ქუჯით ამოიღო და გასარეცხად გავიდა.

ცაზე ჯერ ისევ ზაფხულის მზე ანათებდა.

– ვითომ გზაში ვართ... – ჩაილაპარაკა ფუმიკომ და პატარა ფინჯანში მდგარ სითხეს ბამბუკის პატარა ქუჯით მოურია.

– სასტუმროში, არა?

– სასტუმროში? რატომ, ვთქვათ, მდინარის ნაპირას ანდა სადმე მთაში? ეჰ, მდუღარე კი არა, ცივი წყალი უნდა აგვეღო, ვითომ მთიდან მოჩუხჩუხე წყაროს წყალია...

ფუმიკომ ფინჯნიდან ქუჯი ამოიღო, თავი ასწია და ვაჟს წუთით თავისი შავი თვალები შეანათა, მაგრამ იმავე წუთს თვალები ძირს დახარა და მზერა ახლა ფინჯანზე გადაიტანა. მერე ჩაით სავსე ფინჯანი ხელისგულზე დაიდგა, კიკუჯის გაუწოდა და ფინჯანიცა და ფუმიკოს მზერაც მის მუხლებთან გაიყინა. და აი, კიკუჯი ერთბაშად ისეთმა გრძნობამ მოიცვა, ფუმიკო თითქოს ტალღებად ეღვრებოდა, მთელ მის სხეულს ეუფლებოდა.

მერე ქალიშვილმა დედამისის შინო წინ დაიდგა. იჯდა, ჩაის ურევდა და ბამბუკის ქუჯს ფინჯანში რაკარუკი გაჰქონდა.

– რა ძნელია! – თქვა ფუმიკომ და მორევას თავი ანება.

– დიახ, პატარა ფინჯანია, ძნელი მოსარევია.

მაგრამ ფინჯანი არაფერ შუაში იყო – ქალიშვილს, უბრალოდ, ხელები უკანკალებდა.

ფუმიკომ თავი ძირს დახარა. ახლა იგი, ეტყობა, საკუთარ თითებს დაჰყურებდა.

– დედა ჩაის დაყენების უფლებას არ მაძლევს...

– რაო, რაო?

კიკუჯი წელში გაიმართა, მერე წამოდგა და ფუმიკოს მხრებში ხელი ისე ჩაავლო, თითქოს ამ ადგილას რაღაც ჯადოსნური ძალით მიჯაჭვულ ქალიშვილს წამოდგომაში უნდა მიეხმაროსო.

ფუმიკოს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

4.

კიკუჯის მთელი ის ღამე თვალი არ მოუხუჭავს, მეორე დილას კი, გალერეის დარაბის ღრიჭოში მზის პირველმა სხივმა შემოანათა თუ არა, მაშინვე წამოდგა და ჩაის პავილიონისაკენ გასწია.

ბაღში, ქვის პირსაბანი თასის წინ, ქვის ფილაქანზე, გუშინ საღამოს აქეთ შინოს ნამტვრევებია მიბნეულ-მობნეული.

კიკუჯიმ ოთხი მოზრდილი ნატეხი აიღო და ერთმანეთს მოარგო – ფინჯანს ერთი პატარა ნატეხიღა აკლდა.

დაკარგული ნაწილი ქვებში ერთხანს დაჟინებით ეძება, მაგრამ ძებნას მალე თავი მიანება.

მერე მაღლა აიხედა. აღმოსავლეთით, ხის შავ შტოებს შორის, ცაზე ერთადერთი უშველებელი ვარსკვლავი კაშკაშებდა.

«რამდენი წელიწადია ალიონზე ცისათვის აღარ შემიხედავს, ცისკრის ვარსკვლავი აღარ დამინახავს», – გაიფიქრა კიკუჯიმ.

ცას ღრუბლის ქარავანი მოსდებოდა. ვარსკვლავი ღრუბელსა და ღრუბელს შორის ჭიატებდა, რის გამოც კიდევ უფრო დიდი და ბრდღვიალა ჩანდა, მკრთალ, მოციმციმე შარავანდში იყო გახვეული...

– განა საცოდაობა არ არის, იდგე და ნამსხვრევებს აგროვებდე,

როცა თავს ზემოთ ასეთი შუქმფინარი ვარსკვლავი დაგკაშკაშებს!

თქვა კიკუჯიმ და ნამტვრევები ისევ ძირს დაყარა.

გუშინ ფუმიკომ ფინჯანი ქვის პირსაბან თასს სთხლიშა და ნამსხვრევებად აქცია – კიკუჯიმ ქალიშვილის შეჩერება ვერ მოასწრო. ჩაის პავილიონიდან ისე გამოვარდა, თითქოს უნდა გაქრეს, უნდა გაუჩინარდესო, კიკუჯიმ ისიც კი ვერ დაინახა, ფინჯანი როდის აიღო.

– ეს რა ქენი! – ერთი კი წამოიძახა და მეტი ვერაფერი მოასწრო.

გარეთ უკვე ბნელოდა. ქვებს შორის ნამტვრევების ძებნას აღარ მოჰყოლია, მაშინვე ფუმიკოს ეცა და არ წაიქცესო, შეშინებულმა იღლიებში ხელები გაუყარა.

მაგრამ ფუმიკო ქვის თასის ძირში ისე ჩაჯდა, ისე თანდათან ჩაიშალა, თითქოს ფინჯანი კი არა, თვითონ იყო ნაწილ-ნაწილ დაშლილ-დარღვეული.

– აი, ხომ არის უკეთესი შინო... – წაიჩურჩულა ძლივს გასაგონად.

ჩანს, მარტო იმის გაფიქრებაც კი, კიკუჯის შეუძლია, ფინჯანი სხვა, უკეთეს შინოს შეადაროსო, მისთვის აუტანელი იყო.

კიკუჯიმ ის ღამე ისე გაათენა, თვალზე რული არ მიჰკარებია.

ფუმიკოს მართალი, სიმწრით სავსე სიტყვები გონებიდან არ ამოსდიოდა.

მეორე დღეს, ინათა თუ არა, გატეხილი ფინჯნის სანახავად ბაღში რომ გამოვიდა, ცაზე უცბად უშველებელი, ბრდღვიალა ვარსკვლავი დაინახა და ნამტვრევების ძებნას თავი მიანება.

მერე ისევ ცას შეხედა და გაოცდა:

სადღა იყო ის შუქმფინარი ვარსკვლავი – იმ ერთ წუთში, სანამ იგი მიწაზე დაყრილ ნამტვრევებს დასცქეროდა, ვარსკვლავი უკვე ღრუბლებს მიჰფარებოდა.

კიკუჯი კი იდგა და ისევ აღმოსავლეთს გაჰყურებდა; თითქოს რაღაც განსაკუთრებულად ძვირფასი რამ დაჰკარგვიაო, ცაზე იმ ვარსკვლავს დაჟინებით ეძებდა.

აკი არც ისეთი სქელი და გაუვალი იყო ღრუბელი! მაშ, რა იქნა, რატომ არ ჩანდა ვარსკვლავი? ღრუბელი ძირს, ჰორიზონტამდე იყო ჩამოწოლილი, იქ, სადაც სახურავებს ზემოთ ცა ვიწრო, მოვარდისფრო ზოლად იყო გაჭიმული.

– ბაღში ხომ არ დავტოვებ... – ჩაიბურდღუნა კიკუჯიმ, მიწაზე დაყრილი ნამტვრევები წამოკრიფა და ღამის კიმონოს უბეში ჩაიყარა:

«ამ ქვებში დამტვრეული ფინჯნის მიტოვება მეტად მწარეა და გულსატკენი. ესეც რომ არა, ჩიკაკო რომ მოვიდეს, რომ ნახოს, ენას აღარ გააჩერებს!»

ერთი პირობა ისიც გაიფიქრა, ნამტვრევები იქვე, პირსაბანის ძირას ჩაეფლო. ფუმიკომ ხომ ასე უყოყმანოდ დაამსხვრია ფინჯანი, მეც ავდგები და სამუდამოდ მივაბარებ ამ მიწასო, მაგრამ გადაიფიქრა, ნამტვრევები ქაღალდში გაახვია და კედლის კარადაში შეინახა.

მერე შებრუნდა და ისევ ლოგინში ჩაწვა.

რატომ ეშინოდა ფუმიკოს შედარების? როდის, რატომ ან რისთვის უნდა შეედარებინა ეს შინო? კიკუჯი საგონებელში იყო ჩავარდნილი – რატომ, რატომ იფიქრა ასეთი რამ ფუმიკომ?

არა, არავითარი შედარების სურვილი არა აქვს კიკუჯის... გუშინ საღამოს მერე ფუმიკოს ვერავის და ვეღარაფერს შეადარებს. იგი მისთვის ახლა ყველაფერია, თავად მისი არსების ნაწილიც კი.

გუშინდლამდე კიკუჯის წუთითაც არ ავიწყდებოდა, ფუმიკო ქალბატონი ოოტას ქალიშვილი რომ იყო. მხოლოდ გუშინდლამდე...

გუშინდლამდე კიკუჯის მხოლოდ დედისა და ქალიშვილის მსგავსება ხიბლავდა, ვინაიდან ქალიშვილში ქალბატონ ოოტას ხედავდა, ახლა კი ფუმიკო მხოლოდ ფუმიკოა... მხოლოდ ფუმიკო...

კიკუჯი ერთბაშად თითქოს სიბნელიდან გამოვიდა. იქნება ხსნა ფუმიკოს შეუბღალავ სიწმინდეში იყო? თავად ფუმიკო კი არა, იქნებ მისი სიწმინდე ეწინააღმდეგებოდა კიკუჯის?

უწინ თითქოს რაღაც საშინელი წყევლა აწვა, ბოჭავდა, მარწუხს

უჭერდა. და აი, როდესაც ეგონა, კიდევ უფრო მძიმე წყევლა უფსკრულში გადაჩეხვით ემუქრებოდა, ერთბაშად სრულიად განთავისუფლდა. ეს კი იმ სასწაულს ჰგავდა, საწამლავის უმაღლეს დოზას რომ მიიღებ, წამი წამზე სიკვდილს ელოდები, სიკვდილის მაგიერ კი თურმე განკურნებულხარ, ყოველგვარი სენისა და ტკივილისაგან განთავისუფლებულხარ.

სამსახურში მივიდა თუ არა, კიკუჯიმ კანდას რაიონში, შალის ქსოვილების საბითუმო მაღაზიაში დარეკა.

მაგრამ ფუმიკო სამსახურში არ აღმოჩნდა. იგი ჯერ მოსული არ იყო. კიკუჯიც დღეს მთელი ღამის უძილო წამოვიდა. იქნებ, ფუმიკოსაც მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა, ანდა იქნებ შერცხვა, შინიდან გამოსვლა ვერ გაბედა და გადაწყვიტა, დღევანდელი დღე მარტოდმარტო, ოთახში გამოკეტილს გაეტარებინა?

ნასადილევს ერთხელ კიდევ დარეკა კიკუჯიმ, მაგრამ ფუმიკო არც ამჯერად აღმოჩნდა სამსახურში და ნოქარს მისამართი ჰკითხა.

ფუმიკოს გუშინდელ ბარათში ალბათ მისამართიც ეწერა. მან კი წერილი კონვერტიანად დახია, ნაგლეჯები ჯიბეში ჩაიყარა. ვახშმად რომ ისხდნენ, საუბარი ფუმიკოს ახალ სამსახურზე ჩამოვარდა, ისე რომ, იმ საბითუმო მაღაზიის სახელიც კიკუჯიმ შემთხვევით დაიხსომა. ბინის მისამართი კი არ უკითხავს – აბა, მისამართს რას დაეძებდა, როდესაც ფუმიკომ თავად მის გულში დაიმკვიდრა სამარადისო ადგილი.

სამსახურის შემდეგ კიკუჯი შინ მანამდე არ წავიდა, სანამ უენოს პარკს გაღმა ის სახლი არ მოძებნა, სადაც ფუმიკოს ოთახი ჰქონდა დაქირავებული.

მაგრამ ფუმიკო არც სახლში აღმოჩნდა.

წინკარში სკოლის ფორმაში გამოწყობილი თორმეტიოდე წლის გოგონა გამოვიდა. ეტყობოდა, სკოლიდან ახალი მოსული იყო, ტანსაცმლის გამოცვლა ვერ მოესწრო. გოგონამ კიკუჯის მოუსმინა, ოთახში შევიდა და მალე ისევ უკანვე გამობრუნდა.

– ოოტა-სანი შინ არ გახლავთ. ამ დილას, სახლიდან რომ გადიოდა, დაიბარა, ამხანაგთან ერთად სხვა ქალაქში მივემგზავრებიო.

– სხვა ქალაქში? კი მაგრამ, სად? რომელ საათზე?

გოგონა შინ შებრუნდა, მალე ისევ გამოვიდა და შეშინებული უკან გადგა.

– არ ვიცი, ვერ გეტყვით... არც დედაა ახლა სახლში.

გოგონას სასაცილო, თხელი, მეჩხერი წარბები ჰქონდა.

ჭიშკრიდან რომ გადიოდა, კიკუჯი მიბრუნდა და ნაგებობას შეხედა. საკმაოდ რიგიანი სახლი იყო, წინ რაღაც პატარა ბაღიც ჰქონდა, მაგრამ, აბა, რა გაეგო, ამ ორსართულიან სახლში რომელი ოთახი ეკავა ფუმიკოს?

უცებ ფუმიკოს სიტყვები გაახსენდა, – სიკვდილი ყველას ფეხდაფეხ დაგვყვებაო, და ტანში გასცრა.

მერე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო. ოფლით გახვითქული, გაფითრებული სახე მანამდე იწმინდა, სანამ ცხვირსახოცი ერთიანად არ დასველდა.

ცივმა ოფლმა ახლა ბეჭები და ზურგი დაუსველა.

– არა, არ შეიძლება... არ შეიძლება მისი სიკვდილი! – თქვა ხმამაღლა.

განა ფუმიკომ არ აღადგინა იგი მკვდრეთით, განა იმან არ დაუბრუნა ამ ცხოვრებას... არა, ახლა მას სიკვდილის უფლება აღარა აქვს...

მაგრამ მისი გუშინდელი გულახდილობა, მისი სიწრფელე... იქნებ სასიკვდილოდ განწირული ადამიანის გულახდილობა იყო?

ან იქნებ დედამისივით ფუმიკოც თავისმა სიალალემ, ცოდვის სიცხადემ შეაშინა?

«ცოცხალი კი მხოლოდ კურიმოტო დადის!» – თითქოს ვიღაც უხილავ მტერს მიახალა სახეში, თითქოს დაგროვილი ბოღმა და შხამი ამოანთხიაო, კვლავ ხმამაღლა წარმოთქვა კიკუჯიმ და წავიდა, უენოს პარკში ხეების ჩრდილს შეერია.

მექვიშიები ტალღებზე

1.

მანქანამ, რომელიც სადგურში დაუხვდათ, იზდუს მთას შემოუარა, ზღვისკენ დაეშვა, წრე მოხაზა და სასტუმროს ეზოში შესრიალდა. საქარე მინას სინათლის სხივთა კონა დაეცა, მანქანა სადარბაზოს სწრაფად მიუახლოვდა და გაჩერდა.

მათ შესახვედრად სასტუმროს ეზოში გამოსულმა პორტიემ მანქანის კარი გამოაღო.

– თქვენ ალბათ მიტანი-სანი ბრძანდებით?

– დიახ, – გაუბედავად უპასუხა იუკიკომ.

იგი სწორედ იმ კართან იჯდა, რომელიც პორტიემ გააღო და სულ რაღაც ორიოდე საათის გათხოვილ ქალს ქმრის გვარზე გამოხმაურება, ჩანს, როგორღაც ეუხერხულა.

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ იუკიკო მანქანიდან პირველი გადმოვიდა და მანქანისაკენ ნახევრად შებრუნებული, კიკუჯის მოლოდინში იქვე მოკრძალებულად გაჩერდა.

სასტუმროს წინკარში შესულმა კიკუჯიმ ის-ის იყო, ფეხსაცმლის გახდა დააპირა, რომ პორტიეს სიტყვები შემოესმა:

– თქვენთვის ჩაის პავილიონია გამზადებული, კურიმოტო-სენსეიმ ასე გასცა განკარგულება ტელეფონით.

– რაო?!

მოულოდნელობისაგან გაოგნებული კიკუჯი წინკარში იატაკზე ჩაჯდა. ეს რომ დაინახა, მოახლემ სასწრაფოდ ძაბუტონი მოურბენინა.

და აი, თვალწინ კვლავ ჩიკაკოს მარცხენა ძუძუს ნახევარზე გადღაბნილი, მის სხეულზე ეშმაკის ხელით დადებული დამღა – გულისამრევი ტყირპი წარმოუდგა. ასე ეგონა, საკმარისია, ფეხსაცმელს თვალი მოვარიდო, თავი მაღლა ავწიო, რომ უწმინდურის შავ, ზეაღმართულ ხელს დავინახავო.

შარშანდელს აქეთ, მას შემდეგ, რაც სახლი, მთელი თავისი ჩაის ჭურჭელი და ნივთები გაყიდა, კიკუჯის ჩიკაკოსათვის თვალი არ მოუკრავს, მათ შორის ურთიერთობა თავისთავად გაწყდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა კიკუჯის. მიუხედავად ამისა, ნუთუ იუკიკოსა და კიკუჯის შეუღლებაში სწორედ ჩიკაკოს

ხელი ერია? და აი, გამოდიოდა, რომ ასე იყო – ჩიკაკომ მათი საქორწინო მოგზაურობის ამბავიც იცოდა და სასტუმროს ეს ნომერიც, როგორც ჩანს, მის მიერ იყო შეკვეთილი. ამას კი ნამდვილად არ მოელოდა კიკუჯი.

მერე გაოგნებულმა ცოლს შეხედა, მაგრამ პორტიეს სიტყვებისათვის იუკიკოს, ჩანს, ყურადღება არ მიუქცევია.

რა ხანია, ისინი გრძელ, ზღვისაკენ დაქანებულ, გვირაბის მაგვარ დერეფანში შეიყვანეს. რა ხანია ამ დერეფანში მოაბიჯებენ. გზადაგზა გვერდითი ნომრებია, ყოველ ნომერს წინ რამდენიმე საფეხურიანი კიბე აქვს... ის ნომერი კი, რომელსაც «ჩაის პავილიონი» ერქვა, ზუსტად დერეფნის ბოლოში აღმოჩნდა.

ოთახი, სადაც ისინი შევიდნენ, საკმაოდ მოზრდილი, დაახლოებით რვა ტატამის მოცულობისა იყო. კიკუჯიმ პალტო გაიხადა. იუკიკო ქმარს მიეახლა და პალტო ჩამოართვა.

კიკუჯი სწრაფად შემობრუნდა იუკიკოსაკენ – ეტყობა, მეტისმეტად მალე შევიდა მეუღლის როლშიო, გაიფიქრა. მაგიდის გვერდით, კოტაცუზე, ოთხკუთხედი ტატამი იყო გადაფარებული.

– ჩაის ცერემონიალის მთავარი დარბაზი გვერდითაა, – თქვა პორტიემ, რომელმაც ეს-ესაა, ოთახში ჩემოდნები შემოიტანა, – კარდალა კერიის თავზე ჩამოვკიდე... მართალია, მაინცდამაინც ისეთი ვერ არის, მაგრამ...

– როგორ? – გაიოცა ისევ კიკუჯიმ, – გვერდითა ოთახიც ჩაის პავილიონია?

– დიახ, ამ ოთახის, აი, ამ ყველაზე დიდი ოთახის ჩათვლით, თქვენს ნომერში სულ ოთხი ოთახია და ოთხივე ჩაის პავილიონია. ამ ნომრების გეგმა ქალაქ იოკაგამიდან – «სანკეიენის» ნომრებიდან გადმოვიღეთ.

– ჰოო... – თქვა კიკუჯიმ, თუმცკი გაგებით ვერაფერი გაიგო.

– ქალბატონო, – მიმართა პორტიემ ახლა იუკიკოს და თავი მდაბლად დაუკრა, – მეზობელ ოთახში ყველაფერი მზადაა. ისე რომ, როცა კი მოისურვებთ...

– კი, ბატონო... იმ ოთახში ცოტა მოგვიანებით შევიხედავ, –

უპასუხა იუკიკომ, მერე პალტო დაკეცა, ფანჯარასთან მივიდა და ზღვას გახედა, – რა ლამაზი ზღვაა, გემებზე სინათლეები ციმციმებს... ეს ხომ ამერიკის სამხედრო ხომალდებია.

– რაო? ამერიკის სამხედრო ხომალდები ატამშიაც შემოდიან?! – ამ სიტყვებით კიკუჯიც წამოდგა, – რაღაც მეტისმეტად პატარა გემები ჩანს...

– სამაგიეროდ, ბევრია. მგონი, ხუთი უნდა იყოს...

გემბანზე, დაახლოებით შუა ადგილას, წითელი სინათლეები ენთო.

ქალაქის ჩირაღდნები კი არ ჩანდა – რაღაც კონცხი ეფარებოდა. მხოლოდ ნასიკე ურას უბის რაიონი იყო მათ თვალწინ ხელისგულივით გადაშლილი.

ამ დროს მოსამსახურე ქალი შემოვიდა და ჩაი შემოიტანა. მერე ორივემ – პორტიემაც და მოსამსახურე ქალმაც ახალდაქორწინებულები დალოცეს და გამოემშვიდობნენ.

კიკუჯი და იუკიკო დიდხანს ტკბებოდნენ ღამის სიბნელეში ჩაზვინული ზღვის ცქერით. ბოლოს ფანჯრიდან გამობრუნდნენ და მაყალს მიუსხდნენ.

იუკიკომ თავისი ჩანთა გახსნა და დამჭკნარი ვარდი ამოიღო.

– საბრალო ყვავილი, როგორ მეცოდება.

იუკიკოს გუშინ იმ უშველებელი თაიგულით ვაგონში შესვლა ეუხერხულა, ტოკიოს სადგურზე თაიგული ერთ-ერთ გამცილებელს აჩუქა და თვითონ ერთი ვარდი დაიტოვა.

ყვავილს მაგიდაზე რომ დებდა, ძვირფასი ნივთების შესანახი პარკი დაინახა. პარკი შემნახველ საკანში ჩასაბარებლად იყო გამზადებული.

– მაგ პარკში რა გიდევთ?

– ეს პარკი ძვირფასი ნივთების პარკია, – თქვა კიკუჯიმ და ვარდი ხელში აიღო.

იუკიკომ კიკუჯის შეხედა:

– ვარდის?

– არა, ჩემი ძვირფასი ნივთი ამ პარკში არ ჩაეტევა... ესეც რომ არა, შესანახავად მე მას ვერავის ვანდობ.

– რატომ? – მაშინვე მიუხვდა ქარაგმულს იუკიკო, – სხვათა შორის, ჩემს განძს ვერც მე ვანდობ ვერავის.

– მერედა, სად არის ის შენი განძი?

იუკიკოს, ეტყობა, მოერიდა, კიკუჯისათვის ეთქვა, ჩემი განძი შენა ხარო, და თავი მორცხვად დახარა:

– სად უნდა იყოს, აქ არის...

გვერდითა ოთახიდან კარდლის თუხთუხის ხმა ისმოდა.

– ჩაის პავილიონი ხომ არ დაგვეთვალიერებინა?

იუკიკომ თავი დაუქნია.

– მართალია, არც ისე დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ... – დასძინა კიკუჯიმ.

– რატომ, იგი ხომ ჩვენთვის საგანგებოდ მოაწყვეს.

კიკუჯიმ და იუკიკომ ჩაის პავილიონისკენ მიმავალი პატარა დერეფანი გაიარეს. იუკიკომ, უწინარეს ყოვლისა, ტოკონომა დაათვალიერა საგულდაგულოდ. კიკუჯი პავილიონში არ შესულა, კარებწინ დაფენილ ტატამზე გაჩერდა და დაელოდა.

– თქვენ ამბობთ, საგანგებოდ ჩვენთვისაო, არა? როგორ გგონიათ, აქაც კურიმოტოს ხელი ხომ არ ურევია? – ხმაში გესლი გაერია კიკუჯის.

ქალმა ქმარს უსიტყვოდ შეხედა, მერე კერის პირას ისე ჩაჯდა, თითქოს ჩაის დაყენებას უნდა შეუდგესო, მაგრამ ხელი არ გაუნძრევია, როგორც ჩანს, ელოდა, კიდევ რას ეტყოდა მეუღლე.

ბოლოს კიკუჯიც მივიდა და ცოლს გვერდით მიუჯდა.

– მართალი გითხრა, ამაზე საუბრის ჩამოგდება სულაც არ მინდოდა, მაგრამ... რახან სიტყვამ მოიტანა... წეღან ვესტიბიულში მისი სახელი რომ გავიგონე, ტანში გამცრა. სადაც კი წავედი, ყველგან ავ ბედისწერასავით თან დამყვება; ჩემს ცხოვრებაში თუ რამ დანაშაული და სანანებელი ჩამიდენია, ყველაფერი ამ ქალთან... მის სახელთან არის

დაკავშირებული.

იუკიკომ თავი ოდნავ დაუქნია.

– კურიმოტო ახლაც დადის თქვენს სახლში? – იკითხა კიკუჯიმ.

– გასულ ზაფხულს მამა ძალიან გაუბრაზდა. მას შემდეგ ერთხანს ფეხი არ მოუდგამს.

– სწორედ გასულ ზაფხულს არ მითხრა, იუკიკო-სანი გათხოვდაო?..

– ღმერთო ჩემო! – წამოიძახა გაოცებისაგან თვალებგაფართოებულმა იუკიკომ, – ალბათ მაშინ, ჩვენთან რომ მოვიდა და წინადადება მომცა, ოღონდ თქვენი კი არა, ვიღაც სხვა კაცის სახელით. სწორედ მაშინ იყო, მამა რომ გადაირია – რა უფლება აქვს, ერთმა მაჭანკალმა ჩემს ქალიშვილს ხან ერთი კაცი გაურიგოს, ხან მეორე, დამცინის თუ რა! აქაოდა, ერთთან არაფერი გამომივიდა, ახლა ავდგები და ბედს მეორესთან ვცდიო... ისეთი მადლობელი ვიყავი მამაჩემის, ისეთი მადლობელი... ის რომ არა, თქვენი ცოლი ალბათ ვერასოდეს გავხდებოდი...

კიკუჯის ხმა არ ამოუღია.

– მაგრამ არც ქალბატონი კურიმოტო დარჩენილა ვალში, – განაგრძო იუკიკომ, – ასე თქვა, მიტანი-სანს ჯადო აქვსო და, თქვენი და ქალბატონი ოოტას ამბავს თავიდან ბოლომდე დაწვრილებით მოჰყვა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შემეზიზღა! არ ვიცი, ზიზღმა ამიტანა თუ რა იყო, თავს ვერ ვიკავებდი, მთელი სხეული მითრთოდა... მაგრამ მე ხომ მხოლოდ თქვენს ცოლობაზე ვოცნებობდი! ის ჩემი ნერვიულობა და კანკალიც, მგონი, მხოლოდ ამის ბრალი იყო. ცხადია, მამა მაშინვე მიმიხვდა, რაც მჭირდა – ეტყობა, ისეთი გაუბედურებული სახე მქონდა, შემომხედა თუ არა, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. ქალბატონი კურიმოტო ერთი გვარიანად შეახურა, ასე უთხრა, სასმელი ან ცხელი უნდა იყოს, ან ცივი, აბა, ნელთბილს რა გემო აქვს! ჩემი ქალიშვილი მიტანი-სანს უკვე იცნობს, თქვენ თვითონ გააცანით, ისე რომ, მის შესახებ ალბათ თავისი გარკვეული აზრიცა აქვს, დაე, თვითონ გადაწყვიტოს, ვის გაჰყვეს და როგორ მოიქცესო. ამის შემდეგ კურიმოტო, რა თქმა უნდა, იძულებული გახდა, უკან დაეხია...

ეტყობა, აუზის ასავსებად ამ დროს მეაბანოვე მოვიდა – ოთახში წყლის ჩხრიალი გაისმა.

– მაშინ ძალიან შეწუხებული ვიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც მე თვითონ გადავწყვიტე ჩემი საქმე. ასე რომ, კურიმოტო აქ არაფერ შუაშია. ძალიან გთხოვთ, ნუ ღელავთ. რაც შეეხება ჩაის ცერემონიალს... რა უჭირს, მისი შესრულება მე აქაც თავისუფლად შემიძლია...

თქვა იუკიკომ და თავი ასწია. თვალებში ელექტრონის შუქი არეკვლოდა, მღელვარებისაგან ავარდისფრებული სახე უბრწყინავდა, მისი წითელი, სხივიანი ტუჩებიდანაც კი თითქოს რაღაც ნათელი მოედინებოდა... კიკუჯის ამ ქალის მიმართ გული არაჩვეულებრივი მადლიერებით აევსო. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მისგან წამოსული ეს თვალისმომჭრელი სინათლე სხეულში სითბოდ ეღვრებოდა, მთელ მის არსებას ავსებდა.

– დიახ, ეს ამბავი გასულ წელს მოხდა... მგონი, მაისი იდგა, გახსოვთ, ჩაის პავილიონში რომ მეწვიეთ, ზამბახებიანი ობი რომ გეკეთათ? სწორედ მაშინ გავიფიქრე, ეს გოგო ჩემთვის სრულიად მიუწვდომელია-მეთქი.

– ეს იმიტომ, რომ თან იტანჯებოდით და თან თავი მედიდურად გეჭირათ... – გაიღიმა იუკიკომ, – ის ზამბახებიანი ობიც გახსოვთ? იცით, ჩემს ბარგთან ერთად ისიც გამოვაგზავნე, ახლა ალბათ ჩამოსულიცაა.

იტანჯებოდითო... თქვა იუკიკომ. თავის ამბავს რომ ჰყვებოდა, თავის თავზედაც სწორედ ასე და სწორედ ეს სიტყვა წარმოთქვა. კი მაგრამ, კიკუჯი სადღა იყო, როცა თურმე ასე იტანჯებოდა იუკიკო? სად იყო და უგზო-უკვლოდ დაკარგულ ფუმიკოს თავქაჯშეყრილივით ეძებდა... მერე, ერთ მშვენიერ დღესაც, კიუსიუს პატარა ქალაქ ტაკედადან მოულოდნელად ფუმიკოს წერილი რომ მიიღო, დაადო თავი და იმავე დღეს ტაკედაში გაიქცა. მას შემდეგ კიკუჯიმ კიდევ კარგა ხანს ეძება იგი ამაოდ. აგერ უკვე წელიწად-ნახევარმა გაიარა, მაგრამ მისი ასავალ-დასავალისა დღესაც არაფერი იცის.

წერილი, რომელშიაც ფუმიკო ისე მხურვალედ ემუდარებოდა, სამუდამოდ დაგვივიწყე მეცა და დედაც, ცოლად იუკიკო ინამურა ითხოვეო, ჩანს, გამოსათხოვარი წერილი იყო. იმ დღიდან იუკიკომა და ფუმიკომ თითქოს ადგილები გაცვალეს

– «სრულიად მიუწვდომელი» ახლა იუკიკო კი არა, უკვე ფუმიკო გამხდარიყო.

ჩანს, კაცმა არასოდეს უნდა თქვას, ესა და ეს ადამიანი ჩემთვის სრულიად მიუწვდომელიაო, გამოდის, «სრულიად მიუწვდომელი» არავინ არის. ჰოდა, რახან არავინ არის, ესე იგი, არც ამ სიტყვების ტყუილუბრალოდ რახარუხია საჭირო, – გაიფიქრა კიკუჯიმ გუნებაში.

2.

უკან, დიდ ოთახში რომ შებრუნდნენ, მაგიდაზე რაღაც ალბომი დაუხვდათ.

კიკუჯიმ ალბომი გადაშალა.

– ა-ა, ამ პავილიონის ფოტოები ყოფილა! მე კი შემეშინდა, ვიფიქრე, ყველა იმ ახალდაქორწინებულთა სურათები თუა, ვინც კი ოდესმე ამ ნომერში გაჩერებულა-მეთქი.

თქვა და ალბომი იუკიკოს მიუცურა.

ალბომის პირველ, ჩაწებებულ ფურცელზე, პავილიონის ისტორია იყო მოთხრობილი. «კენგეცუს სენაკი», როგორც თავის დროზე ამ პავილიონს ეძახდნენ, ოდესღაც თურმე ედოელი სამურაის – კავამურა უსოს საკუთრება იყო. ედოდან იგი იოკაგამაში, «სანკეი-ენის» პარკში გადაუტანიათ, მაგრამ ომის დროს საშინლად დაუბომბავთ, რის შედეგადაც შენობა ძალიან დაზიანებულა, სახურავი ჩანგრეულა, კედლები დამსკდარა და ჩამოწოლილა. ისედაც დანგრეული და ჩაოხრებული შენობა წლითიწლობით, თურმე, სულ უფრო ინგრეოდა და ნადგურდებოდა, ამიტომაც ამდგარან და ბოლოს ამ სასტუმროს ბაღში გადმოუტანიათ. აღდგენის დროს საამშენებლო მასალაც იგივე გამოუყენებიათ და გეგმაც უცვლელად დაუტოვებიათ. ახალი მხოლოდ საბანაო მიუშენებიათ, ესეც იმის გამო, რომ სასტუმრო სამკურნალო ცხელ წყლებზე იყო აგებული... შიგადაშიგ დედაბოძს თურმე ცულის ნაკვალევი ატყვია. როგორც ჩანს, ომის დროს, იმ გაჭირვებასა და სათბობის ნაკლებობაში, იოკაგამელებს ხის მასალის შეშად გამოყენება მოუნდომებიათ.

– აი, აქ წერია, სენაკში თავად ოოისი კურანოსუკეა[47]

ნამყოფიო, – ამბობდა იუკიკო და ალბომს ფურცლავდა.

მართალია. კავამურა უსო ხომ აკაოს კლანის შინაური კაცი იყო. მისეული კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნივთიც არის შემორჩენილი: წიწიბურას ატრიის ფიალა – «კავამურა-სობა», რომლისთვისაც პატრონს «ძანგეცუ», ანუ «გამთენიის მთვარე» დაურქმევია, ვინაიდან ღია ლურჯი ფერის ჭიქურს ერთ ადგილას მკრთალი მოყვითალო ფერი დაჰკრავს, რაც მნახველზე გამთენიის ხანს მთვარით განათებული ცის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ალბომში კიდევ რამდენიმე ფოტოსურათიც იყო. მაგალითად, პავილიონი დაბომბვამდე... პავილიონი დაბომბვის შემდეგ... მოსამზადებელი და აღდგენითი სამუშაოები... პავილიონის გახსნა და პავილიონის გახსნასთან დაკავშირებული ჩაის საზეიმო ცერემონიალი...

თუ «კენგეცუს სენაკში» ნამდვილად ოოსი კურანოსუკეა ნამყოფი, ესე იგი, გამოდის, რომ სენაკი არაუგვიანეს გენროკუს პერიოდშია აგებული. ტოკონომას შეყენებული ბოძი კი, როგორც ჩანს, ძალიან ძველია.

ალბომი მოსამსახურე ქალმა, ეტყობა, მაშინ შემოიტანა, როდესაც კიკუჯი და იუკიკო მეორე, პატარა ოთახში იყვნენ გასულები – შემოვიდა დარაბების დასახურავად და ალბომიც შემოაყოლა.

– ტანისამოსს ხომ არ გამოიცვლიდით? – ჰკითხა იუკიკომ და ალბომს ერთხელ კიდევ გადახედა.

– თქვენ?

– მე ხომ კიმონო მაცვია. სანამ თქვენ დაიბანთ, ბარგს გავხსნი, საჩუქრებს, ნამცხვარსა და კანფეტებს ამოვაწყობ.

მთელ საბანაოში ახლად დამუშავებული ხის სუნი ტრიალებდა.

აუზი, სამრეცხაო, კედლები, იატაკი – ყველაფერი მოყვითალო ფერის ხით იყო მოპირკეთებული.

გრძელ დერეფანში მოსამსახურე ქალების ხმა გაისმა.

აბაზანიდან დაბრუნებულ კიკუჯის იუკიკო ოთახში არ დაუხვდა.

მაგიდა ახლა კედელთან იყო მიდგმული, ლოგინები – გაშლილი. სანამ მოსამსახურე ქალი ოთახს ალაგებდა და ლოგინებს შლიდა, იუკიკო, ეტყობა, მეორე ოთახში გაერიდა.

– შეიძლება, მაყალში ცეცხლი ანთებული დავტოვო? – გაისმა იუკიკოს ხმა მეზობელი ოთახიდან.

– მგონი, შეიძლება...

კიკუჯის სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ იუკიკო შემოვიდა. მოდიოდა და კიკუჯის ისე დაჟინებით მისჩერებოდა, თითქოს გვერდზე გახედვა არ შეეძლო.

– გემრიელი სახმარია?

– რა? კიმონო? – კიკუჯიმ სასტუმროს თბილ, დალიანდაგებულ კიმონოზე დაიხედა, – ძალიან კარგი წყალია, არ გინდათ, იბანაოთ? – ჰკითხა ბოლოს იუკიკოს.

– კი, როგორ არა...

იუკიკო გვერდითა ოთახში გავიდა, ჩემოდანი გახსნა და ნივთების ამოლაგებას შეუდგა. მერე შიოჯი გასწია, ამავე ოთახში გამოვიდა, ნესესერი უკან დაიდო, დაჯდა, მისალმების ნიშნად თავი მდაბლად დახარა, თითებით ტატამს ოდნავ შეეხო, მაგრამ წამოდგა, ბეჭდები წაიძრო, ტრიუმოზე დაალაგა და ღაწვებწამოწითლებული ოთახიდან გავიდა.

ეს თავის დაკვრა და მისალმება კიკუჯისთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, გაოცებისაგან ჯერ კინაღამ შეჰყვირა, მერე კი გული ისე აუჩუყდა, ლამის ატირებულიყო.

ბოლოს ისიც წამოდგა, ტრიუმოსთან მივიდა და ბეჭდების თვალიერება დაიწყო. ნიშნობის ბეჭდისთვის ხელი არ უხლია, მექსიკური ოპალისთვლიანი ბეჭედი აიღო და ჰიბაჩისთან ისევ თავის ადგილას დაჯდა. გაბრდღვიალებულ სინათლეში ხელისგულზე დადებული ბეჭედი ათასფრად ციმციმებდა. თითქოს რაღაც შუქმომფინარე პაწაწა ცოცხალი არსებები არიანო, მოციმციმე წერტილები ირგვლივ სიხარულის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ. კიკუჯი იჯდა და ბეჭედს მოჯადოებულივით შეჰყურებდა.

საბაზანოდან დაბრუნებული იუკიკო კვლავ პატარა, მთავარი ოთახის მარჯვნივ მდებარე ოთახში შევიდა, მარცხნივ კიდევ

ორი ოთახი იყო, თითოეული დაახლოებით სამი-ოთხი ტატამის სიდიდისა და ის ორი ოთახიც – ჩაის ცერემონიალის ყაიდაზე გაწყობილი. მოსამსახურე ქალმა მათი ჩემოდნები წეღან სწორედ იმ მარჯვენა პატარა ოთახში შეიტანა.

იუკიკოც, ჩანს, ახლა იმ ჩემოდნებთან ტრიალებდა.

– შეიძლება შიოჯი გავწიო? იცით, მეშინია, – თქვა იუკიკომ და დიდსა და პატარა ოთახებს შორის შიოჯი გასწია.

«მთავარი შენობიდან მოშორებულ მთელ ამ ოთხოთახიან ნომერში მხოლოდ ჩვენ ორნი ვართ, ეტყობა, მართლა ეშინია», – გაიფიქრა კიკუჯიმ, შიოჯისა და კედელს შორის დარჩენილ ღიობში გაიხედა და იკითხა:

– ეგეც ჩაის პავილიონია?

– დიახ... იცით, ხის ჩარჩოში ჩასმული მრგვალი მაყალი დგას... ხომ წარმოგიდგენიათ, თუჯის მრგვალი მაყალი!

გაისმა მეორე ოთახიდან და ღიობში ქვედა კიმონოს კალთამ გაიფრიალა – იუკიკო კიმონოს კეცავდა.

– მექვიშიებია?..

– დიახ... მექვიშიები ხომ ზამთრის ჩიტები არიან, ასეთი კიმონოც ამიტომ ავირჩიე...

– მექვიშიები ზღვის ტალღებში...

– ტალღებში?.. არა, უბრალოდ, ტალღების ფონზე.

– «მექვიშიები მწუხრის ზღვის ტალღებში»... მე მგონი სწორედ ასე ეძახიან მაგ ნახატს. გახსოვთ ეს ლექსი: «მწუხრის ბინდბუნდში ტალღებს ზემოთ ფრთებგაშლილი მექვიშიები»...

– «მწუხრის ზღვის ტალღებში?» ნუთუ ასე ჰქვია ამ ნახატს?! – წყნარად ჩაილაპარაკა იუკიკომ.

ღიობში კიმონომ კიდევ ერთხელ გაიფრიალა და გაქრა.

3.

კიკუჯის შუაღამისას გაეღვიძა. იქნებ სადღაც სასტუმროს ზემოთ, რელსებზე, გრუხუნით ჩავლილი მატარებლის გრიალმა

გააღვიძა?

გუშინ საღამოსთან შედარებით ყოველი ბგერა ისე გარკვევით და ახლოს ისმოდა, მიხვდა, ჯერ შუაღამე არ იყო გადასული. მატარებლის ბორბლებმა თითქოს აქვე, ყურისძირას ჩაუქროლა, საყვირმა ლამის ყურის ბარაბნები დაუხეთქა.

საოცარია... სინამდვილეში ხმაური თითქოს არც ისეთი ძლიერი იყო, კიკუჯის კი ხელნაკრავივით გაეღვიძა. მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, წუხელ ასე მკვდარივით რომ ეძინა... რაც მთავარია, იუკიკოზე ადრე დაიძინა...

მაგრამ, აი, იუკიკოსაც დაუძინია და ძილში მშვიდად ფშვინავს.

გულზე მოეშვა კიკუჯის.

ამ საქორწილო მზადებამ და ფაციფუცმა, ამ ქორწილმა და მგზავრობამ იუკიკო, ეტყობა, საშინლად დაღალა. თვითონ ხომ ამ ბოლო დროს პირდაპირ დაიტანჯა, მთელ ღამეებს თეთრად ათენებდა, სულ რაღაცას ფიქრობდა, გული ეთანაღრებოდა, ყოყმანობდა, მაგრამ, აშკარაა, არც იუკიკო იყო დამშვიდებული – იუკიკოსაც რაღაცა აწუხებდა, რაღაცა არ ასვენებდა.

კიკუჯიმ არ იცოდა, რომელ სუნამოს ხმარობდა იუკიკო. მაგრამ მისი ეს სურნელი, მისი მშვიდი სუნთქვა, ეს ბეჭდები და ცოლის კიმონოზე ამოქარგული ფრთაგაშლილი მექვიშიებიც კი მისთვის საოცრად ახლობელი და გრძნობისამშლელი იყო – ეს ყველაფერი მას, კიკუჯის ეკუთვნოდა. ახლობლობის ეს გრძნობა შუაღამისას ანაზდეულად გამოღვიძებულსაც არ ტოვებდა. უწინ კი ამის მსგავსიც არაფერი განუცდია.

სულითა და გულით ეწადა, მძინარე იუკიკოსთვის დაეხედა, მაგრამ სინათლის ანთებას ვერ ბედავდა. მერე საათს გადასწვდა, ხელში აიღო და თვალებთან ახლოს მიიტანა.

უკვე მეექვსე საათი იყო დაწყებული...

დიახ, იუკიკოსთან ყველაფერი სულ სხვაგვარად აეწყო. ის, რაც ქალბატონ ოოტასა და ფუმიკოსთან ბუნებრივად მიაჩნდა, იუკიკოსთან ყოვლად წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. რატომ?.. იმ ორი ქალის მიმართ ხომ იოტისოდენა შინაგანი წინააღმდეგობაც არასოდეს უგრძნია?! ახლა იქნებ საკუთარი სინდისი ეწინააღმდეგებოდა, ყურში ჩასჩურჩულებდა: არა, შენ იუკიკოს ტოლი და ღირსი არა ხარო... ანდა იქნებ ჯერ ისევ

ქალბატონ ოოტასა და ფუმიკოს ჰყავდათ ტყვეობაში?

კიკუჯის სხვაც მრავალი რამ ეჩვენებოდა ავბედითად. განსაკუთრებით სასტუმროს ეს ნომერი, რომელიც ჩიკაკო კურიმოტოს განკარგულებით იქნა შეკვეთილი და სადაც მან თავისი პირველი ღამე უნდა გაატაროს; მაგრამ ჩიკაკო ხომ ავსული და კუდიანი არ არის. ჩიკაკოს რომ ჰკითხო, ავსული და კუდიანი მხოლოდ ქალბატონი ოოტაა.

იუკიკოს ჩაცმულობაშიაც კი კიკუჯი კურიმოტოს გავლენას ხედავდა. ჩვეულებისამებრ, იუკიკოს მუდამ ევროპული ტანსაცმელი ეცვა, საქორწილო მოგზაურობაში კი რატომღაც კიმონოში გამოწყობილი წამოვიდა. ამიტომაცაა, დაწოლის წინ იუკიკოს, ვითომ ისე, სხვათა შორის რომ ჰკითხა:

– გზაში ის ევროპული ტანისამოსი რატომ არ ჩაიცვით?

კიმონო მხოლოდ ამ ერთ დღეს მეცმევა... აკი ასე ამბობენ, ევროპული ტანისამოსი ქალს ოფიციალურ შესახედაობას აძლევსო. თან როგორღაც მოუხერხებელიცაა... გარდა ამისა, პირველად, ჩაის პავილიონში რომ შეგხვდით, მაშინაც კიმონო მეცვა. მეორედ, თქვენს სახლში რომ მოვედი, მაშინაც...

კიკუჯის გამოძიება არ დაუწყია, რახან კიმონო უნდა, კი ბატონო, კიმონო იყოსო, – გაიფიქრა. ბოლოს და ბოლოს, მისთვის სასიამოვნოც იყო იმის დაჯერება, რომ ეს თოლიებამოქარგული კიმონო იუკიკომ საკუთარი გემოვნებითა და სურვილით შეარჩია.

საუბარი ერთბაშად სხვა თემაზე გადაიტანა.

– «მწუხრის ბინდბუნდში ტალღებს ზემოთ ფრთებგაშლილი მექვიშიები»... იცით, ძალიან მიყვარს ეს ლექსი. მგონი წეღანაც გითხარით...

– მე კი არ ვიცი ეგ ლექსი...

კიკუჯიმ ჰიტომაროს[48] ლექსი ბოლომდე სხაპასხუპით ჩაიკითხა.

მერე ქალის ზურგს ნაზად შეეხო და – რა ბედნიერებააო, თავისდა უნებურად წამოსცდა.

იუკიკომ ვაჟს გაოცებულმა შეხედა.

კიკუჯის მის მიმართ მხოლოდ სინაზის გამოჩენა შეეძლო – მხოლოდ სინაზის...

და აი, ალიონზე გაღვიძებული კიკუჯი მძინარე ქალის მშვიდ სუნთქვას უსმენს, მის სურნელს იყნოსავს და მშფოთვარე, შეურვებული გული ახლა ზეგარდმო ნეტარებითა და ბედნიერებით აქვს სავსე. ისეთი წმინდა და აუმღვრეველია ეს განცდა, თითქოს განიწმინდა, ყველა მისი ცოდვა მიტევებულია. ქალს... მხოლოდ ქალს შეუძლია, ამგვარი პოეტური აღფრთოვანებით აავსოს მამაკაცის გული... მხოლოდ ქალსა აქვს უნარი, თვით ყველაზე გამოუსწორებელ ცოდვილსაც კი ყოვლის მიტევების სიამე მიანიჭოს; დაე, თუნდაც წუთიერი, მაგრამ შეუდარებელი.

ვინ იცის, იქნებ იუკიკოსთან განშორებაც უწერია, იქნებ ერთ მშვენიერ დღესაც გაახილოს თვალი და იუკიკო გვერდით ვეღარ იხილოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასე იქნება თუ ისე, მთელი თავისი სიცოცხლე იგი მაინც მადლობელი იქნება ამ ქალისა.

კიკუჯის თანდათან მღელვარებამ გაუარა, მაგრამ ენით აუწერელმა სევდამ მოიცვა. იუკიკო ალბათ ღელავდა, ელოდა, ეშინოდა. მას კი... არა, კიკუჯი ვერ გაბედავს, მძინარე იუკიკოს ვერ გააღვიძებს და გულში ვერ ჩაიკრავს...

სადღაც, სულ ახლოს, ტალღების მწყობრი ხმაური ისმოდა. კიკუჯი ტალღების ხმაურს ყურს უგდებდა და უკვე ვეღარ დავიძინებო, ფიქრობდა, მაგრამ მალე იგი ღრმა ძილმა მოიცვა.

თვალი რომ გაახილა, მზის სხივებს შიოჯიზე ჩახჩახი გაჰქონდა.

მაგრამ იუკიკო? იუკიკო რაღა იქნა?! ნუთუ მიატოვა?! ნუთუ წავიდა?!

კიკუჯი წამოდგა და შიოჯი გაწია.

იუკიკო პავილიონის წინ, გაზონზე იჯდა. მუხლებზე მკლავები შემოეჭდო და ზღვას გასცქეროდა.

– როგორ ჩამძინებია... დიდი ხანია, ადექი? – ჰკითხა კიკუჯიმ.

– ალბათ შვიდი საათი იქნებოდა. მსახურმა აუზი აავსო, წყლის ხმაურზე გამეღვიძა.

იუკიკო მისკენ შემობრუნდა და გაწითლდა. დღეს იგი

ევროპულ ყაიდაზე იყო ჩაცმული, მკერდზე გუშინდელი წითელი ვარდი ჰქონდა დაბნეული.

გულიდან თითქოს ლოდი მოეხსნა კიკუჯის:

– აი, ვარდი კი არ დამჭკნარა!

– დიახ, გუშინ რომ ვიბანდი, წყლით სავსე ჭიქაში ჩავდე, პირსაბანის თავზე. ნუთუ ვერ შეამჩნიეთ?

– არა, არ შემიმჩნევია... რაო, დღეს უკვე იბანავე?

– დიახ. ძალიან ადრე გამეღვიძა, საქმე არაფერი მქონდა, რა უნდა მექნა? შიოჯი ჩუმად გავწიე და ბაღში გამოვედი. ის იყო, ყურედან სწორედ ამერიკული ხომალდები გადიოდნენ. ამბობენ, საღამოობით სასეირნოდ მოდიან და დილით უკან ბრუნდებიანო.

– ამერიკული ხომალდები სასეირნოდ? საოცარია!

– რა ვიცი, აქაურმა მებაღემ ასე მითხრა.

კიკუჯიმ კანტორაში დარეკა და შეატყობინა, ავდექითო, მერე იბანავა და ისიც ბაღში გავიდა. გარეთ უჩვეულოდ თბილოდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ უკვე დეკემბრის შუა რიცხვები იდგა.

ნასაუზმევს ორივენი მზით გაბრდღვიალებულ გალერეაში ისხდნენ.

ზღვა ვერცხლისფრად ელავდა. კიკუჯი გაოცებული შეჰყურებდა, ზღვის ვერცხლისებური კრთომა მზის სხივებს როგორ მიჰყვებოდა, წინ როგორ მიიწევდა... იბუსიდან ატამამდე მთელი სანაპირო დაკბილული იყო. ზღვის ტალღებში განბანილი პატარ-პატარა კონცხებიც ისე ერთმანეთის მიყოლებით ელავდნენ, გეგონებოდა, ციდან ჩანჩქერივით წამოსულ სხივებს რიგ-რიგად იჭერენ, გულში იხუტებენო.

– შეხედეთ, შეხედეთ, აგერ, ჩვენ დასწვრივ რაღაც ნაპერწკლები იფრქვევა! – თქვა იუკიკომ და ხელი ქვევით, ზღვისაკენ გაიშვირა.

ზღვიდან თითქოს უამრავმა ცისკრის ვარსკვლავმა ამოანათაო, ათასობით პაწაწა ნაპერწკალი ვარსკვლავებით გაბრწყინებულ

ლურჯ საფირონს შეეფრქვია...

წყალში უცბად თვალისმომჭრელი, ვარსკვლავებივით მოციმციმე უამრავი ნაპერწკალი ამოიშლებოდა, იფეთქებდა და უმალ ჩაქრებოდა, რათა იმავე წუთს სადღაც იქვე, გვერდით აფეთქებულიყო... თითოეული ტალღა ცალ-ცალკე ბზინავდა, ელვარებდა, ბოლოს ათასობით პაწაწა, მბზინვარე ვარსკვლავი ერთ უწყვეტ ციაგად ერთიანდებოდა და ალბათ სწორედ ის ციაგი იყო, ჰორიზონტამდე გაჭიმულ ზღვის ზედაპირს, საოცრად გლუვსა და ვარსკვლავთა ჭავლით ათრთოლებულს, ვერცხლისფერ სარკედ რომ ეფინებოდა.

ჩაის პავილიონს წინ ვიწრო გაზონი გასდევდა. ჩინური ლიმონის ყვითელი ნაყოფით დახუნძლული ტოტები გაზონს ზევიდან ქოლგასავით ადგა.

წყლის პირას, ზღვისაკენ ირიბად დაშვებული ბაღის დასწვრივ, სანაპიროზე, ფიჭვის ხეები იყო ჩამწკრივებული.

– წუხელ საღამოს შენს ბეჭედს ვათვალიერებდი. არაჩვეულებრივად ლამაზი ქვა უზის...

– დიახ, ეს მანათობელი ოპალია. ზღვა კი ახლა ისე ბრწყინავს, საფირონი ან ბადახში გეგონება... ბადახში კი არა, ნამდვილი ბრილიანტი! ასე მხოლოდ ბრილიანტი ელვარებს.

იუკიკომ ბეჭედზე დაიხედა და ისევ ზღვას გახედა.

ეს მბზინვარე სინათლე და მოელვარე ტალღები ძვირფას ქვებზე ფიქრისათვის განგაწყობდა. ბუნებაცა და მოახლოებული შუადღეც სულში მსგავს ხატებას აღძრავდა, მაგრამ კიკუჯიმ უცებ უხერხულობა იგრძნო, თითქოს რაღაც ბორკავდა, რაღაც ხელს უშლიდა, რათა მთელი სულითა და გულით უზრუნველ ბედნიერებას მისცემოდა.

სახლი უკვე გაყიდა. საქორწინო მოგზაურობა რომ დამთავრდება, თავის ახალშერთულ მეუღლეს დაქირავებულ ბინაში მიიყვანს. ცხადია, ეს არც ისე დიდი უბედურებაა. მაგრამ რა უთხრას, რა ელაპარაკოს თავიანთ მომავალ ცხოვრებაზე, თავიანთ მომავალ ოჯახზე?.. უჭირს, მეუღლის როლში ჯერ კიდევ ვერ შესულა. წარსულის გახსენება და მასზე საუბარი კი... აბა, წარსულზე ისე როგორ ისაუბროს, ქალბატონი ოოტა, ფუმიკო ან ჩიკაკო არ ახსენოს? ეს ხომ მოტყუება იქნება!

მაშასადამე, არც წარსულს უნდა შეეხოს, არც მომავალს. იმაზე საუბარი კი, რაც ახლაა...

ნეტავი იუკიკო რაღას ფიქრობს? მის გაბრწყინებულ, მზის შუქით განათებულ სახეზე უკმაყოფილების ნასახიც არ არის. იქნებ ზოგავს, უფრთხილდება? ანდა იქნებ ასე ჰგონია, სწორედ კიკუჯიმ დაზოგა ქორწილის პირველ ღამეს?

შფოთავდა, ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდა კიკუჯი.

სასტუმროში ნომერი ორი დღით ჰქონდათ ნაქირავები. სადღაც ხომ უნდა ესადილათ? და სადილად სასტუმრო «ატამში» წავიდნენ.

რესტორნის ერთ-ერთი ფანჯრის გასწვრივ, ბაღში, ფოთლებგანიერი, კიდეებში ფოთლებდაძენძილი ბანანის ხე იდგა. მოპირდაპირე მხარეს ჯგუფ-ჯგუფად გაზრდილი საგის პალმები მოჩანდა.

– შევხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი, – იუკიკომ ხელით საგის პალმებზე მიუთითა და ზღვისაკენ დაქანებულ ბაღს მზერა მოავლო, – ზუსტად ისეთივეა, როგორიც მრავალი, მრავალი წლის წინათ იყო... მაშინ მე ჯერ ისევ პატარა გოგონა ვიყავი, მშობლებთან ერთად ახალ წელს ამ რესტორანში შევხვდი.

– მამაჩემიც, მე მგონი, ხშირი სტუმარი იყო აქაურობის. რა სამწუხაროა, რომ არასოდეს წამოვუყვანივარ. ხომ შეიძლებოდა, როდესმე აქ პატარა იუკიკო-სანს შევხვედროდი? – თქვა კიკუჯიმ.

– ოი, არა!

– რატომ? ხომ წარმოგიდგენია, რა შესანიშნავი იქნებოდა, ბავშვობაში რომ გაგვეცნო ერთმანეთი.

– ბავშვობაში რომ გაგვეცნო, იქნებ სულაც არ შევუღლებულიყავით.

– რატომ?

– რატომ და იმიტომ, რომ საშინლად ჭკვიანი გოგო ვიყავი!

კიკუჯიმ გადაიხარხარა.

– მართლა, მართლა. მამა სულ იმას მეუბნება, ბავშვობაში

ნამდვილი ჭკუის კოლოფი იყავი, ახლა კი დღითი დღე ჭკუა სულ გაკლდება და გაკლდებაო...

იუკიკოს, მართალია, ბევრი არაფერი მოუყოლია მამამისის შესახებ, მაგრამ, რაც მოჰყვა, იქიდანაც აშკარა იყო, როგორ უყვარდათ ოჯახში ქალიშვილი. თავის ოთხ შვილს შორის მამამისს, ჩანს, იგი გამორჩეული ჰყავდა, მთელ თავის იმედებს სწორედ მასზე ამყარებდა. იუკიკო... იუკიკო ინამურა... თავისი გაბრწყინებული სახითა და გასხივოსნებული თვალებით ამ წუთშიაც ისევ იმ პატარა, საშინლად ჭკვიან გოგონას ჰგავდა.

4.

რესტორნიდან სასტუმროში რომ დაბრუნდნენ, იუკიკომ შინ, დედასთან დარეკა.

– დედა რატომღაც ღელავს, ხომ კარგად ხართ, ხომ ყველაფერი რიგზეაო... ხომ არ დაელაპარაკებოდით? – მიუბრუნდა იუკიკო კიკუჯის.

– არა, არა მგონია... ჩემ მაგივრად გულითადი მოკითხვა გადაეცი...

კიკუჯის რატომღაც მოერიდა დედამისთან საუბარი.

– დედამაც დიდი მოკითხვა შემოგითვალათ, ყოველივე კარგსა და ბედნიერებას გისურვებთ.

ტელეფონი, აგერ, ნომერში დგას. იუკიკოც ახლა სწორედ ამ ნომრიდან რეკავს. ესე იგი, შინ ჩუმად დარეკვა და დედასთან დაჩივლება აზრადაც არ მოსვლია... კაცმა რომ თქვას, ამგვარი რამ არც კიკუჯის გაუვლია გუნებაში.

მიუხედავად ამისა, ქალბატონი ინამურა, ჩანს, ქალური ინტუიციით, დედური გუმანით მიხვდა, რომ მისი ქალიშვილის მდგომარეობა მთლად ნორმალური ვერ იყო.

კიკუჯის წარმოდგენა არა ჰქონდა, როგორ იქცეოდნენ საქორწილო მოგზაურობის მეორე დღეს ბედნიერი ცოლები, ურეკავდნენ თუ არ ურეკავდნენ დედებს? იქნებ ეს დარეკვა იმდენად უჩვეულო იყო, დედა თავისდა უნებურად ეჭვში ჩავარდა, მღელვარებამ მოიცვა. დიახ, ქალიშვილს, რომელიც ეს-ეს არის ქალი გახდა, ალბათ შერცხვებოდა და ქორწილის მეორე

დღეს მშობლების სახლში ვერ დარეკავდა...

ხუთ საათზე ზღვაში სამი პატარა ამერიკული სამხედრო ხომალდი გამოჩნდა. აძიროს რაიონის თავზე მიმობნეული შორეული მსუბუქი ღრუბლები თანდათან გაიფანტა, ზღვა მწუხრის ბურუსში გაინაბა. და ისე, როგორც გაზაფხულზე საღამოობით სჩვევია, რულმორეულივით მიიმდორა... ნელა, წყნარად მიცურავდნენ ხომალდები. ნეტავი რა მიჰქონდათ თავიანთი სტომაქით? იქნებ, მძვინვარე ჟინი? იქნებ... გარედან კი შეხედავდი და ბავშვების სათამაშო ხომალდები გეგონებოდა.

– ნახე, ნახე, მართლა არ გამობრძანდნენ სასეირნოდ!

– ხომ გითხარით! დილას რომ ავდექი, წუხანდელი ხომალდები უკვე უკან ბრუნდებოდნენ. სხვა რა საქმე მქონდა, ვიჯექი და მიმავალ ხომალდებს გავცქეროდი, – თქვა იუკიკომ.

– მთელი ის ორი საათი იჯექი და ჩემს გაღვიძებას ელოდი?

– ალბათ მეტიც. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია... ისეთი უცნაური, ისეთი საუცხოო იყო ყოველივე... ისიც არ მჯეროდა, რომ აქ, თქვენ გვერდით ვიყავი... როცა იქნება, ხომ გაიღვიძებს, მერე კი დავსხდებით და ვილაპარაკებთ და ვილაპარაკებთ-მეთქი...

– ვილაპარაკებთ? რაზე?

– ისე, არაფერზე...

მართალია, უკვე გათენებული იყო, მაგრამ ხომალდებზე ჯერ ისევ ელექტრონათურები ჟიკჟიკებდა.

– იცით, საინტერესოა, ჩემზე რას ფიქრობთ. მაგალითად, როგორ გგონიათ, ცოლად რატომ გამოგყევით... ამ დილასაც ამაზე მინდოდა თქვენთან საუბარი.

– «როგორ გგონიათო!» უცნაური მსჯელობაა.

– რა თქმა უნდა, უცნაურია! მიუხედავად ამისა, საინტერესოა, რას ფიქრობს მამაკაცი იმ ქალიშვილზე, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მისი ცოლი ხდება. ჩემთვის მეტად სასიამოვნოა ამგვარ რამეებზე ფიქრი. ოღონდ არ მესმის, რატომ გგონიათ, რომ თქვენთვის მიუწვდომელი ვიყავი?

– ახლაც ის სუნამო გასხია, შარშან ჩემთან სტუმრობისას რომ გესხა?

– დიახ.

– პირველად სწორედ იმ დღეს ვიფიქრე, ეს გოგო ჩემთვის მიუწვდომელია-მეთქი.

– ჰო-ო? ამ სუნამოს გამო? რატომ? არ მოგწონთ თუ რა?

– პირიქით! მეორე დღეს, ინათა თუ არა, ჩაის პავილიონში გავიქეცი. ასე მეგონა, იქ ისევ შენი სუნამოს სურნელი დამხვდებოდა.

იუკიკომ გაოცებულმა შეხედა.

– გესმის, – განაგრძო კიკუჯიმ, – პავილიონში ფეხი შევდგი თუ არა, ამ ქალიშვილზე უარი უნდა ვთქვა-მეთქი, მაშინვე თავში გამიელვა, ვინაიდან ვიგრძენი, შენ ჩემთვის სრულიად მიუწვდომელი იყავი.

– ძალიან გთხოვთ, ასე ნუ ლაპარაკობთ, თქვენი ასეთი ლაპარაკი გულს მტკენს. არა, შეგიძლიათ, ილაპარაკოთ კიდევაც, ოღონდ... ოღონდ, არა ჩემთან... თუკი ოდესმე სადმე ჩემზე ლაპარაკი მოგიწევთ, დაე, ეს სიტყვები ისევ სხვას უთხრათ... მე კი... კი ბატონო, მესმის, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ... მე დღეს მხოლოდ ისეთი სიტყვები მინდა მოვისმინო, რომლებიც მხოლოდ ჩემთვის იქნება განკუთვნილი...

– არ ვიცი, სხვაგვარად როგორ გითხრა... შენ მუდამ მხოლოდ ოცნება იყავი ჩემი...

– ოცნება?

– დიახ! მაგრამ ოცნება ხომ მხოლოდ ოცნებაა... ოცნება მუდამ მიუწვდომელია... და აი, მეც შევეგუე ამ მიუწვდომლობას.

– «ოცნება»... ამ სიტყვამ, მართალი გითხრათ, გამაოცა... მე კი, ჩანს, სინამდვილეს უნდა შევგუებოდი და მაშინ... მაშინ, ცხადია, მეც მხოლოდ უნდა მეოცნება თქვენზე... მაგრამ «ოცნება», «შეგუება»... ეს სიტყვები თავში არასოდეს მომსვლია.

– იცი, ეს სიტყვები, როგორც ჩანს, მხოლოდ ცოდვილთა ლექსიკონიდანაა, შენ კი...

– კარგი, ერთი! თქვენ ახლა ჩემთვის კი არა, სხვისთვის ლაპარაკობთ.

– სხვისთვის? რატომ?

– ძალიან გთხოვთ, არ გინდათ!.. სხვათა შორის, იმასაც კი ვფიქრობდი, ცოლიანიც რომ იყოს, მაშინაც ასე მეყვარებოდა-მეთქი, – თქვა იუკიკომ და მოელვარე თვალები შეანათა, – მართლა! მართლა!.. მაგრამ ის, რაზედაც შეიძლება მხოლოდ იოცნებო, საშინელებაა!.. იცით რა, მოდი, ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, კარგი?

– კი ბატონო... წუხელ კი საოცარი გრძნობა დამეუფლა – ამიერიდან მხოლოდ იუკიკო კი არა, მისი სუნამოს სურნელიც მე მეკუთვნის-მეთქი.

– ???

– მიუხედავად ამისა, შენ მაინც ჩემი ოცნება ხარ! ჩემი მარადიული ოცნება...

– ვთქვათ და, ერთ მშვენიერ დღესაც იმედი გაგიცრუვდეთ, მაშინ?

– არსად, არასდროს და არავითარ შემთხვევაში!

კიკუჯიმ ეს სიტყვები მტკიცედ, თავდაჯერებით წარმოთქვა, ვინაიდან იუკიკოს მიმართ გული საოცარი მადლიერებით ჰქონდა სავსე.

იუკიკოს ჯერ შეეშინდა, მერე მანაც ასევე მტკიცედ და უყოყმანოდ გაიმეორა:

– არც მე... ვფიცავ, არსად, არასოდეს და არავითარ შემთხვევაში!

მაგრამ რამდენი... მაინც რამდენი დრო დარჩა იუკიკოს იმედის გაცრუებამდე? ბევრი-ბევრი – ხუთი ან ექვსი საათი... ვთქვათ, იმედი ჯერ მთლად არ გასცრუებია, გული ჯერ მხოლოდ ეჭვებითა აქვს სავსე, მერე? მერე თავად კიკუჯის ხომ არ დაეუფლებოდა ეს იმედგაცრუება, დიდი, ყოვლის მომცველი და გულის გამყინავი... თავადვე ხომ არ აუცრუვდებოდა გული საკუთარ თავზე?

კიკუჯი დაწოლას აჭიანურებდა, ეშინოდა... მაგრამ საქმე მხოლოდ შიში როდი იყო! კიკუჯის იუკიკოს გვერდით ჯდომა

და საუბარი მოსწონდა. გუშინდელთან შედარებით ქალს თავი გაცილებით თავისუფლად, ძალდაუტანებლად ეჭირა. ისხდნენ ასე გვიანობამდე და საუბრობდნენ. იუკიკოს არც ხმასა და არც მოძრაობაში შებოჭილობის ნატამალიც აღარ იყო. მერე იუკიკომ ჩაი დიდი ხალისით მოამზადა და ფინჯნებში ჩაასხა.

კიკუჯიმ იბანავა, პირი გაიპარსა, სახეზე კრემი რომ წაისვა, იუკიკო მივიდა და კრემი თითით მოსინჯა.

– მამაჩემისთვის კრემს მუდამ მე ვყიდულობდი. ოღონდ არა ასეთს, სხვანაირს...

– ხომ არ შევცვალო, მეც ის კრემი ხომ არ ვიხმარო?

– არა, რატომ...

და გუშინდელივით იუკიკომ ისევ აიღო ის ხალათი და საბანაოდ წასვლამდე კიკუჯის წინ ჩაიმუხლა.

– ღამე მშვიდობისა! – უთხრა ახლა უკვე საბანაოდან დაბრუნებულმა.

გამომშვიდობებისას მის წინ ერთხელ კიდევ ჩაიმუხლა, ტატამს თითებით ოდნავ შეეხო და თავის ლოგინში შესრიალდა. მისმა ქალწულებრივმა სიწმინდემ კიკუჯის გული აუძგერა.

მალე ირგვლივ ზღვის ფსკერივით ღრმა, გაუვალი წყვდიადი ჩამოწვა. კიკუჯის ქუთუთოები უთრთოდა. თვალები მაგრად დახუჭა და შეეცადა, ფუმიკოს სახე წარმოედგინა. დიახ, კიკუჯის მაშინ ფუმიკო არ ეწინააღმდეგებოდა. ეწინააღმდეგებოდა მხოლოდ მისი უმანკოება... ეწინააღმდეგებოდა სიმდაბლეს, გარყვნილებას, უზნეობას. მიუხედავად ამისა, კიკუჯიმ მაინც გათელა მისი ქალწულებრივი სიწმინდე... და, ყოველივე ამის შემდეგ, განა შეეძლო, წაებილწა და შეებღალა იუკიკოც, ისეთივე სუფთა და უმანკო, როგორიც ის მეორე? ეს აზრები გულში ნაღველივით ეღვრებოდა, სულს უწამლავდა... რა უნდა ექნა? იუკიკო, ასეთი სუფთა და ასეთი ნათელი, მის გულში ფუმიკოს სახეს აცოცხლებდა. იქნებ, უბრალოდ, სასო ჰქონდა წარკვეთილი?

ხსოვნა ხორცისა – საშინელებაა. აი, კიკუჯის ახლა ფუმიკო აგონდება, მაგრამ ამ მოგონებაში თანდათან ვნების სხვა ტალღები იჭრება, ტალღები ქალისა – ქალბატონი ოოტასი...

მაინც რა არის ეს? წყევლა ეშმაკეული თუ ბუნება კაცისა, არსი ადამიანური? ქალბატონი ოოტა უკვე ამქვეყნად აღარ არის, ფუმიკო სამუდამოდ გადაიკარგა... თუკი მათ – ქალბატონ ოოტასა და ფუმიკოს, არათუ არ სძულდათ, პირიქით, უყვარდათ კიდევაც, მაშ, ახლა თვითონ რატომ ეშინია, ასე უბადრუკ სიმხდალეს რატომ იჩენს?

ქალბატონი ოოტას სხეულით დამარცხებული, ყველა სხვა გრძნობის მიმართ გულგრილი, ოდესღაც მწარე სინანულს მოეცვა კიკუჯი. ახლა კი გული შიშით ჰქონდა სავსე – იქნებ, აღარაფრის უნარი აღარა აქვს? იქნებ, სამუდამოდ ჩაკვდა მასში ყველაფერი და არასოდეს აღარაფერი ეშველება?

უცებ იუკიკო შეიშმუშნა:

– მომიყევით რამე...

კიკუჯი შეკრთა.

აი, უკეთურმა ხელი გაიწოდა... რატომ? რათა ოდენ გულში ჩაიკრას ეს უბიწო უმანკოება? და კიკუჯიმ იგრძნო, ცხარე ცრემლმა ქუთუთოები როგორ დაუმდუღრა.

იუკიკომ სახე ვაჟის მკერდში ნაზად წარგო და წამოისლუკუნა.

ვაჟმა აკანკალებული ხმა დაიოკა:

– რა იყო?.. მოგეწყინა? – წასჩურჩულა ქალს წყნარად.

– არა, – თავი გადააქნია იუკიკომ, – მაგრამ... იცით, ისე ძალიან მიყვარდა მიტანი-სანი, აღარ ვიცოდი, რა მექნა, რა მომეხერხებინა ჩემი თავისათვის. გუშინდელს აქეთ კი... გუშინდელს აქეთ კიდევ უფრო ძალიან შემიყვარდა... ამიტომაც ვიტირე.

ვაჟმა ქალს ნიკაპში ხელი მოჰკიდა და ბაგე ბაგესთან მიუტანა. კიკუჯი უკვე აღარ მალავდა ცრემლებს. ქალბატონი ოოტასა და ფუმიკოს ხატება ერთბაშად სადღაც გაქრა.

მაინც, რატომ... რატომ არ შეიძლება, უბიწო ცოლთან კაცმა რამდენიმე დღე უბიწოდ გაატარო?

5.

მესამე დღესაც სანაპიროზე კვლავ თბილი ამინდი დაიჭირა. ამ დღესაც იუკიკო პირველი წამოდგა ლოგინიდან და კიკუჯის გამოღვიძებას ახლაც ისევ ჩაცმული დაელოდა.

– მოსამსახურემ თქვა, სასტუმროში გუშინ ექვსი ახალდაქორწინებული წყვილი ჩამოვიდაო, – მოახსენა ქმარს ამ დილის ახალი ამბები; მაგრამ ჩაის პავილიონი მთავარი შენობიდან საკმაოდ შორს, თითქმის ზღვის ნაპირას იყო, ამიტომაც აქამდე არაფერი აღწევდა. არც მოხეტიალე მომღერალ-მევიოლინეს შემოუხედავს მათთან არც ერთხელ.

ზღვა კი დღეს სრულიად სხვანაირი იყო: მოციმციმე ვარსკვლავები ტალღებზე არც დილით გამოჩენილა, არც ნაშუადღევს. როგორც ჩანს, მზის სხივები დღეს უკვე სხვაგვარად ეცემოდა ზღვის ზედაპირს. სამაგიეროდ, ზღვაში დღეს მეთევზეთა ნავების პატარა ფლოტილია გამოჩნდა. მწკრივად დაწყობილნი პირდაპირ ნაპირის გასწვრივ მიცურავდნენ – მწკრივს წინ ყველაზე დიდი ნავი მიუძღვოდა, დანარჩენებს ბუქსირით ეწეოდა, ქარავანს ყველაზე პატარა ნავი აბოლოებდა.

– შეხედე, შეხედე, ოჯახივით არ არის? – გაიღიმა კიკუჯიმ.

ახალშეუღლებულებს ადმინისტრაციამ სასტუმროს სუვენირი – «ცოლ-ქმარი» ჰაში[49] მიართვა. იგი ვარდისფერ, წეროებით მოხატულ ბრინჯის ქაღალდში იყო გახვეული.

და კიკუჯის იუკიკოს ვარდისფერი ფუროშიკი გაახსენდა.

– ის შენი ათასფრთაწეროიანი ფუროშიკი თუ წამოიღე?

– არა, ნახმარი არაფერი წამომიღია. ცოტა არ იყოს, მრცხვენია კიდევაც, – იუკიკოს არაჩვეულებრივად ლამაზი ქუთუთოები ვარდისფრად შეეფერა, – თმაც კი ახლებურადა მაქვს დავარცხნილი... მაგრამ ჩემს საჩუქრებს შორის მრავალი წეროიანი ნივთია.

ატამიდან რომ წამოვიდნენ, დაახლოებით დღის სამი საათი იქნებოდა. მანქანას ისინი კავანამდე უნდა ჩაეყვანა. ნავსადგური «აძირი» მეთევზეების ნავებით იყო გაჭედილი, რომელთა შორის ლამაზი, თეთრად შეღებილი ნავებიც მოჩანდა.

იუკიკო დიდხანს იყურებოდა უკან, ატამისაკენ.

– რა ზღვაა! – თქვა მან ბოლოს, – ჩემი მარგალიტებივით ვარდისფერი.

– ვარდისფერი მარგალიტები?

– დიახ, საყურეებიც მაქვს და ყელსაბამიც, გაჩვენოთ?

– სასტუმროში რომ მივალთ, მერე.

თანდათან ბინდში ეხვეოდა ატამის მთის ფერდობები. მწუხრში კიდევ უფრო ღრმა და უნაპირო ჩანდა ფერდობებს ჩაყოლებული ხევხუვი.

გზად ვიღაც ცოლ-ქმარი შემოხვდათ. ველოსიპედზე მჯდარი კაცი წინ ფიჩხით სავსე ველოსიპედის ეტლს მიაგორებდა.

– რა შესანიშნავია! – წამოიძახა იუკიკომ, – ნეტავი ჩვენც ასე ვცხოვრობდეთ.

იმის გაფიქრებაზე, ჩემთან ერთად მზადაა, ქოხშიაც კი იცხოვროსო, კიკუჯიმ თავი ოდნავ უხერხულად იგრძნო, მაგრამ გულში მეტად ნასიამოვნები დარჩა.

ზღვის პირას, ფიჭვის ხეივნის თავზე, რომელიღაც პატარა ჩიტების გუნდი მიფრინავდა. ციცქნა, პაწაწინა ჩიტუნები ისე სწრაფად მიფრინავდნენ, ლამის მანქანას უსწრებდნენ.

მერე იუკიკომ მეთევზეთა ნავების ის პატარა ფლოტილია დაინახა, ნაშუადღევს ღუზა მათი სასტუმროს მახლობლად, იზდუს მთის ძირას რომ მოხსნა და ზღვაში გავიდა. ის შვიდი ნავი ისევ ისე რიგში ჩაწყობილი მიუყვებოდა ზღვის ნაპირს, წინ ყველაზე დიდი, უკან – ყველაზე პატარა...

– რა შესანიშნავია! – კვლავ წამოიძახა იუკიკომ, – ხედავთ, ჩვენს შესახვედრად მოდიან!..

ბავშვივით ხარობდა – ყველაფერი უხაროდა, უხაროდა ეს პატარა ნავებიც კი, რომლებიც მათი ბედნიერების მოწმენი გამხდარიყვნენ. მისმა ამ ბავშვურმა აღტაცებამ კიკუჯის გული აუჩუყა – ეს დღე მე არასოდეს დამავიწყდება, იგი ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეაო, – გაიფიქრა.

გასული წლის შემოდგომაზე, მთელ ზაფხულს ფუმიკოს ძებნით გაწამებულ კიკუჯის ნერვები უკვე დაწყვეტაზე ჰქონდა, შეშლილივით დადიოდა, აღარ იცოდა, რა ექნა, რა გზას

დასდგომოდა, რომ მოულოდნელად იუკიკო ესტუმრა. იგი მარტოდმარტო მოვიდა. არაჩვეულებრივად მშვიდი, თვინიერი, მაგრამ ისეთი სხივნათელი და თვალისმომჭრელი, როგორიც ცუდ ამინდში უეცრად გამოკაშკაშებული მზე. კიკუჯი ისე იყო გაოცებული, ამ უსაშველოდ ნათელი, ჩახჩახა შუქით შეშინებულმა ლამის თვალებიც კი დახუჭა. მიუხედავად ამისა, ქალიშვილთან თავი კვლავ ცივად და გულგრილად ეჭირა, იუკიკო კი მაინც მოდიოდა და მოდიოდა...

არ გაუვლია დიდ დროს, რომ მამამისისაგან წერილი მიიღო:

– როგორც ჩანს, ჩემს ქალიშვილს დიდ სიამოვნებას ჰგვრის თქვენს საზოგადოებაში ყოფნა, ამიტომ ნება მომეცით, გკითხოთ, გადაწყვეტილება ხომ არ შეიცვალეთ? თქვენ ხომ ცოლობა სთხოვეთ ჩიკაკო კურიმოტოს პირით თავის დროზე? რაც შეგვეხება ჩვენ, მის მშობლებს, ცხადია, გვირჩევნია, იმ კაცს გაჰყვეს ცოლად და მასთან იყოს ბედნიერი, ვისზედაც პირველი ნახვისთანავე გული შეუვარდაო, – სწერდა ბატონი ინამურა...

ეს წერილი შეიძლებოდა მამის იმ ნახევრად ოფიციალურ წინადადებადაც ჩაგეთვალა, რომელიც ქალიშვილის ვაჟთან დაახლოებით არის შეშფოთებული. სინამდვილეში კი საქმე გაცილებით უბრალოდ იყო, მამას უნდოდა დახმარებოდა ქალიშვილს, რომელიც თავისი სანუკვარი ოცნების ხმამაღლა გამოთქმას ვერ ბედავდა.

მას შემდეგ ერთმა წელიწადმა გაიარა. ეს წელიწადი კიკუჯისათვის უმძიმესი იყო. ვერა და ვერ გარკვეულიყო თავის თავში, ვერ გაეგო, რა უფრო მეტად ეწადა – ფუმიკოს პოვნა თუ იუკიკოს ცოლად შერთვა და მისი დაპატრონება... ძებნას ისევ და ისევ ჯიუტად განაგრძობდა, ფუმიკოსადმი სევდა, ტკივილი და სინანული ისევ ძველებურად ცოცხლობდა მის გულში. სადღაც სულის შორეულ კუნჭულში კი ჯერ ისევ ბჟუტავდა ქალბატონი ოოტას ხატებაც... მთელი თავისი არსებით იგი უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული ფუმიკოსაკენ მიისწრაფოდა, მიუხედავად ამისა, ყველაზე მწარე წუთებშიაც კი, მწუხრის ჟამი იქნებოდა თუ ალიონი, ცაზე უცბად თოვლივით ქათქათა, ათასფრთიანი წერო გადაიელვებდა და ეს თეთრი, ათასფრთიანი წერო იუკიკო ინამურა იყო.

მწკრივად მომავალი მეთევზეების ნავებისთვის რომ უკეთ შეეხედა, იუკიკომ კიკუჯისაკენ მიიწია.

სასტუმრო «კავანაში», მესამე სართულზე, მათ კუთხის ნომერი ეკავათ – გარემოს დასათვალიერებლად ნომერს ორი კედელი მინისა ჰქონდა.

– ნახეთ, რა მრგვალია ზღვა! – მხიარულად წამოიძახა იუკიკომ.

მართლაც, ჰორიზონტი ირგვლივ ნახევარწრედ შემოსდგომოდა ზღვას.

ფანჯრის ქვემოთ რაღაც პატარა მწვანე მდელო და საბანაო აუზი მოჩანდა. მდელოზე ორი სიფრიფანა, სკოლის ფორმის ცისფერქურთუკიანი, ზურგზე ჩანთამოკიდებული გოგონა დარბოდა. გოგონები გოლფის მოთამაშეებს ეხმარებოდნენ, ჩანთებიდან ყვანჭის თავები ჰქონდათ ამოჩრილი.

ნომრის დასავლეთი ფანჯრიდან ფუძიამას ხედი იშლებოდა.

კიკუჯი და იუკიკო ეზოში, მწვანედ მობიბინე მდელოზე გამოვიდნენ.

– რა საშინელი ქარია! – თქვა კიკუჯიმ და ქარისგან ზურგით შებრუნდა.

– აი, ამბავი! წამოდით, წამოდით! – იუკიკომ ხელში ხელი ჩაავლო და მოქაჩა.

ნომერში რომ დაბრუნდნენ, კიკუჯიმ მაშინვე აბაზანისაკენ გასწია. სანამ იგი აბაზანიდან გამოვიდოდა, იუკიკომ თმა მოიწესრიგა და რესტორანში წასასვლელად ტანსაცმელი გამოიცვალა.

– გავიკეთო? – ჰკითხა იუკიკომ და ვარდისფერი მარგალიტის საყურეებსა და ყელსაბამზე მიუთითა.

ვახშმის შემდეგ ერთხანს სოლარიუმში დასხდნენ, ქარიანი დღე იდგა. პარკში გამავალ უზარმაზარ, მინის ნახევარწრედ დარბაზში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. იყო მხოლოდ მინა, მხოლოდ ფარდები... ქოთნებში მოყვავილე კამელიები და სიჩუმე.

მერე ჰოლში გავიდნენ და ბუხრის წინ, რომელშიც უზარმაზარი მუგუზლები გუზგუზებდა, დივანზე ჩამოსხდნენ. ბუხრის თავზე, ქოთნებში, აფრიკული შროშანა ყვაოდა. დივნის უკან, დიდ ლარნაკში, ნაადრევად მოყვავილე წითელი ქლიავის ნაზად გადმოხრილი ტოტი იდო. ჰოლს ინგლისური ტიპის

მსუბუქი, ნატიფად ნაკვეთი ხის წნული ჭერი დასდგომოდა და ყოველივე ეს აქაურობას სიმშვიდის სავანედ აქცევდა.

კიკუჯი ტყავგადაკრული დივნის ზურგს მიყრდნობილი იჯდა, ცეცხლს მდუმარედ ჩაჰყურებდა. სითბოზე ლოყებაწითლებული იუკიკოც ჩუმად გაყუჩებულიყო მის გვერდით.

ნომერში რომ დაბრუნდნენ, მინის კედლებს უკვე სქელი ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული.

ნომერი საკმაოდ დიდი, მაგრამ ერთოთახიანი იყო, ამიტომაც ტანსაცმლის გამოსაცვლელად იუკიკო აბაზანაში გავიდა. მერე სასტუმროს ხალათში ჩაცმულ, სკამზე მჯდარ კიკუჯის მიუახლოვდა.

ტანთ როგორიღაც განსაკუთრებული, მოდური ქსოვილის ღამის კიმონო ემოსა. მოჟღალო-ალისფერ ქსოვილზე, რომელიც საკაბედაც გამოდგებოდა, პატარა ღერბები იყო გაბნეული, მოკლე სახელოები – გენრიკუს ყაიდაზე აჭრილი, კალთები – მსუბუქად, თავისუფლად დაშვებული, განსაკუთრებულად დახვეწილი, ხალასი ხაზებით გამორჩეული. წელზე მწვანე ატლასის რბილი, ვიწრო ობი ჰქონდა შემორტყმული და ღამის ამ კიმონოში იუკიკო ევროპაში გაკეთებულ იაპონურ თოჯინას უფრო ჰგავდა. ალისფერი კალთებიდან ქვედა თეთრი კიმონოს ქობა მოუჩანდა.

– რა მშვენიერი კიმონოა. ფასონი, ეტყობა, შენ თვითონ მოიგონე? სახელოები გენრიკუს ყაიდაზეა, არა, აჭრილი?

– გენრიკუს? არა, იგი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი უფროა, – თქვა იუკიკომ და ტრიუმოს მიუჯდა.

იმ ღამით მაგიდაზე ნათურა ანთებული დატოვეს.

შუაღამისას კიკუჯი უცბად საშინელმა ხმაურმა გააღვიძა. გარეთ ძლიერი ქარი ბობოქრობდა. პარკის ბოლოს ზღვის ნაპირი ჩაფლატული იყო. ტალღები ალბათ ფლატე ნაპირს ეხლება, ალბათ კლდეებს შეხეთქებული ტალღების ხმაურიაო, – გაიფიქრა და ფანჯრისაკენ გაიხედა.

იუკიკო უკვე ფანჯარასთან იდგა.

– რა მოხდა? – კიკუჯი ლოგინიდან სწრაფად წამოდგა და ისიც

ფანჯარასთან მივიდა.

– რა ვიცი, რაღაც გრუხუნებს და გრუხუნებს... ისეთი საშინელი გრიალია! ზღვის თავზე კი, აი, შეხედეთ! ვარდისფერი ბურთი ხან გამოჩნდება, ხან ქრება...

– ალბათ შუქურაა.

– გამეღვიძა და ვერა და ვერ დავიძინე... რა ხანია, ვდგავარ და ვუყურებ... ისე მეშინია!

– როგორ არ გრცხვენია, აბა, აქ საშიში რა არის?! ალბათ ტალღების ხმაურია, სხვა რა უნდა იყოს? – კიკუჯიმ მხარზე ხელი მოჰხვია, – სულელო, რატომ არ გამაღვიძე?

იუკიკო კი იდგა და ზღვას თვალს არ აშორებდა.

– აგერ, ხედავთ, როგორი ვარდისფერი ანარეკლია?

– კი, როგორ არა, რა თქმა უნდა, შუქურაა...

– შეიძლება შუქურაც არის, მაგრამ... კიდევ რაღაც სხვაა, რომელიც შუქურაზე გაცილებით ძლიერად ანათებს. ეს ხომ ნამდვილი ცეცხლის ანარეკლია!

– ხომ გეუბნები, შუქურაა... შუქურა ანათებს და ტალღები კლდეებს ასკდება...

– არა!..

მართლაც, ხმა, რომელმაც კიკუჯი გააღვიძა, აღელვებული ტალღების ხმაური არ იყო – მიმცხრალი მთვარით ოდნავ განათებული ზღვა მშვიდად ირწეოდა.

იგი ერთხანს განაბული უსმენდა, ჩუმად მისჩერებოდა ღამის სიბნელეში შავად ჩაზვინული ზღვის ზედაპირს. არა, ის ვარდისფერი შუქი, ხანგამოშვებით რომ წამოიფეთქებდა და ღამის წყვდიადს ანათებდა, შუქურას არ ჰგავდა – აფეთქებებს შორის შუალედები არათანაბარი იყო.

– ქვემეხების ცეცხლია... ისიც კი ვიფიქრე, საზღვაო ომი ხომ არ დაიწყო-მეთქი...

– ა-ა, მართალია! ჩანს, ამერიკულ სამხედრო ხომალდებს მანევრები აქვთ.

– რა საშინელებაა!..

როგორც იქნა, სული მოითქვა იუკიკომ, დაძაბული მხრები ჩამოუშვა და კიკუჯიმ მხრებზე ხელი მოჰხვია.

მთვარის შუქით განათებული, შავად ჩაწოლილი ზღვის თავზე ქარი ხმაურით დათარეშობდა. ინათებდა და ქრებოდა ვარდისფერი სინათლე – შორეული სროლის ანაშუქი.

ახლა უკვე ვეღარც კიკუჯი იყო გუნებაზე:

– მთელი ღამე ასე ხომ არ იდგები? თანაც მარტო.

მერე ცოლი ხელში აიტაცა, მანაც ქმარს კისერზე ხელები მორცხვად შემოაჭდო და მძაფრი, გულისგამგმირავი სევდით შეპყრობილმა კიკუჯიმ ძლივს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა:

– არა... ხეიბარი არა ვარ... მაგრამ ჩემი წარსული... ის სიბინძურე და გარყვნილება... ყოველივე ეს უფლებას არ მაძლევს, მოგეკარო, ხელი შეგახო.

ვაჟის მკლავებში ატატებული იუკიკო ერთბაშად დამძიმდა და, თითქოს გონებაწართმეული ყოფილიყო, მთელი სხეულით მოეშვა.

გზაში... მარტოობაში...

1.

საქორწილო მოგზაურობიდან შინ დაბრუნებულმა კიკუჯიმ დასაწვავად გამზადებული ფუმიკოს შარშანდელი წერილები ერთხელ კიდევ გადაიკითხა:

1. «დაწერილია 18 ნოემბერს, ბეპუსაკენ მიმავალი «კოგამე-მარუს» ბორტზე...

არ ვიცი, მეძებთ თუ არა? გთხოვთ, მაპატიოთ ეს მოულოდნელი გაქცევა.

გადავწყვიტე, არასოდეს შეგხვედროდით. ამიტომაც ამ წერილს ალბათ არასოდეს გამოგიგზავნით. მაგრამ თუკი ოდესმე მაინც გადავწყვიტე, ეს იქნება არც დღეს, არც ხვალ და... მართალი გითხრათ, მე თვითონაც არ ვიცი, როდის... ახლა მამაჩემის

მშობლიურ ქალაქ ტაკედაში მივდივარ. როდესაც თქვენ ამ წერილს მიიღებთ (მიიღებთ კი როდესმე?), მე უკვე აღარც ტაკედაში ვიქნები.

მამაჩემმა თავისი მშობლიური ტაკედა ოცი წლის წინ მიატოვა. მე იქ არასოდეს ვყოფილვარ.

ამ პატარა ქალაქს მხოლოდ მისი მონაყოლითა და ჰიროშისა და აკიკო იოსაის იმ ლექსებიდან ვიცნობ, რომლებიც კრებულ «კუჯის მთების სიმღერებშია» შეტანილი:

ოთხსავე კუთხით – ქვეყნიერების ოთხსავე კუთხით,

ველური მთების მთაგრეხილი,

შემოდგომის წყალთა ხმაური

გარს შემორტყმია პატარა ქალაქს –

ბეჭდის თვალივით გულში ჩაუსვამს...

მიუვალია, როგორც ციხე,

კლდეში ნაკვეთი,

რომელსაც სხვა გზა,

სხვა კარიბჭე არ გააჩნია,

კლდეში გაჭრილი გვირაბის გარდა...

და ამ გვირაბის ორსავე მხარეს,

ჭალად გაზრდილი მისკანტების

ირხევა ტალღა,

ვერცხლისფერი ლივლივი გააქვს

და დარაჯად უდგას კარიბჭეს.

დიახ, ახლა მე მამაჩემის სამშობლოში ვბრუნდები, სამშობლოში, რომელიც დღემდე თვალითაც არასოდეს მინახავს.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიმიწევს გული ამ ქალაქისაკენ! აქეთ მე იმ აქაური პოეტების ლექსებიც მიზიდავს, რომლებსაც მამა ბავშვობიდან იცნობდა.

მაგალითად, ეს ლექსი:
ხმაურობს წყალი –
წყაროს წყალი უკვდავებისა,
მთებს გადუხსნიათ თითქოს გულმკერდი,
თითქოს სინაზეს, მკერდში ჩამარხულს,
გრანიტს აფრქვევენ...
თითქოს შერწყმულა
ფერი ცის და ფერი მიწისა...
დაუფლებია ჩემს არსებას სიყრმის წლებიდან
და ამ ჩემს სულში
მოუხელთებელ მელოდიად ამღერებულა!
და განა მხოლოდ ჩემი გული მოუცავს სევდას,
განა მხოლოდ ჩემი სულია ტკივილით სავსე,
განა მხოლოდ მე ვიტანჯები?
აი, გავყურებ
სევდად დამდგარ თეთრ მწვერვალებზე
როგორ ჩამოწვნენ
თეთრ ჭაღარად თეთრი ღრუბლები.
და ჩემმა გულმა,
ოდესღაც ასე ამაყმა და ქედმოუხრელმა
ყველაფერი გადაივიწყა,
ახლა ჩუმად ძგერს,
ახლა იგი მორჩილი და თვინიერია
და მხოლოდ ამ ერთს შესთხოვს ზეციერს –
სულის სიმშვიდე მოუვლინოს

სანატრელს და ნანდაურს

ჩემსას...

იოსაის ამ ლექსებმა კი ჩემი გული კუჯის მთების მოხილვის სურვილით აღავსო:

მთას კუჯისას როდესაც ვუცქერ,

ჩემს გულს ისეთი სინაზე იპყრობს,

ისე ვივსები ნეტარი შუქით,

განსასვენებელს მაზიარეს თითქოს თავისას

ჩემმა დიდმა მასწავლებლებმა.

უპოვარია ღარიბი კაცი,

მაგრამ თუ ახსოვს,

ვერ ივიწყებს ამ სიღარიბეს,

გული მთებისკენ მიახედებს

და აღავსებენ

მთებიც თავიანთ დიადი სიბრძნით,

დაამშვიდებენ.

ცას, ლაჟვარდოვანს,

შეეფინა ლილისფერი ღრუბლის ნახირი

და ღრუბლის ფარდას

მიეფარა მთა კუჯისა –

უგზო-უკვლოდ დაკარგული მგზავრივით გაქრა.

ეს ლექსი დაუმორჩილებელ გულზეა, მაგრამ ჩემი გული არასოდეს ყოფილა თქვენი ურჩი. და თუ მას ოდესმე ვინმესთვის ურჩობა გაუწევია, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისათვის. კაცმა რომ თქვას, ეს რაღაც უფრო დიდი, სევდიანი რამ არის, ვიდრე ის, რასაც, უბრალოდ, ურჩობას ეძახიან.

მას შემდეგ აგერ სამი თვე გავიდა, მე კი სულ «თქვენს

სიმშვიდეზე ვლოცულობ»... მართლაცდა, განა შეიძლება ასეთი წერილის მოწერა?

მაგრამ, ჩანს, იმას გწერთ, რაც საკუთარ თავს მინდა ვუთხრა. არ ვიცი, შეიძლება დაუმთავრებელიც დავტოვო ეს წერილი... იქნებ, დავამთავრო კიდევაც, მაგრამ, ნაცვლად გამოგზავნისა, ავდგე და ზღვაში გადავისროლო.

ამ წერილს ჰოლში გწერთ. სადღაც ახლოს დიდი სროლა და ბათქაბუთქი იყო. წამოვდექი და ფარდა გავაფარე. ჰოლში, ჩემ გარდა, ორი წყვილი – ორი უცხოელი ცოლ-ქმარია.

პირველი კლასის კაიუტა მხოლოდ იმიტომ ავირჩიე, ბევრ ხალხში ყოფნა არ შემეძლო. ორადგილიან კაიუტაში ორნი ვართ – მე და კანკაიძის ცხელი წყლების სასტუმროს დიასახლისი. იგი ოსაკიდან შინ, ბეპუში, ბრუნდება. ოსაკაში თავის გათხოვილ, ახალნამშობიარებ ქალიშვილთან იყო. ასე ამბობს, საშინლად გავწამდი, დღედაღამ მუხლჩაუხრელად ვტრიალებდი, ქალიშვილს ვეხმარებოდი, მთელი ღამეები თვალი არ მომიხუჭავს. გემით იმიტომ წამოვედი, ცოტას გამოვიძინებო... მართლაც, სასადილოდან მოვიდა თუ არა, მიდო ბალიშზე თავი და დაიძინა.

ჩვენი გემით «კოგამე-მარუს» ყურედან რომ გამოვდიოდით, ნავსადგურში ირანის გემი – «სუეცის ვარსკვლავი» შემოვიდა. უცნაური გემი იყო, ისეთი გემი ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მენახა.

ეს სატვირთო-სამგზავრო გემიაო, – განმანათლა ჩემმა თანამგზავრმა.

მე კი გავიფიქრე – ხედავ, რა დროში ვცხოვრობთ, იაპონიაში ირანული გემებიც კი შემოდიან-მეთქი...

სულ უფრო ვშორდებით სანაპიროს, ვშორდებით კობეს... ნავსადგურს უკან აღმართული მთები თანდათან მუქდება, თანდათან სივრცეში იკარგება. ახლა შემოდგომაა, დღე ისე მოკლეა, გახედვას ვერ მოასწრებ, რომ მთებზე უკვე ბინდია ჩამოწოლილი... ეს-ესაა, რეპროდუქტორში გამოაცხადეს, გემის ბორტზე აზარტული თამაშები ხეირს არავის მოუტანს, წაგებულიც და მოგებულიც, ორივე პასუხისგებაში მიეცემაო.

ეტყობა, მაგარი თამაში იქნება, მესამე კლასის კაიუტით ვიღაც

პროფესიონალი მოთამაშეები მგზავრობენ.

ჩემს მეზობელს ჩაეძინა და ჰოლში გავედი. ჰოლში სწორედ ის ორი წყვილი უცხოელი ცოლ-ქმარი დამიხვდა. სხვათა შორის, ერთ-ერთი ქალი იაპონელი გახლდათ. ქმარი ამერიკელი კი არა, მგონი, ევროპელი უნდა იყოს.

უცებ გავიფიქრე – ავდგები და მეც ვინმე უცხოელს გავყვები, იაპონიიდან სამუდამოდ გადავიხვეწები-მეთქი.

გაფიქრებით კი გავიფიქრე, მაგრამ თვითონვე გავოცდი: რა უხიაკი, რა ახირებული აზრია! და ეს ახირებული, უხიაკი აზრი მხოლოდ ამ მგზავრობამ შთამაგონა. მიუხედავად ამისა, გათხოვებაზე ეს წუთიერი გაფიქრებაც ჩემთვის მეტიმეტად მოულოდნელი და უცნაური აღმოჩნდა.

ახალგაზრდა იაპონელი ქალი კი, როგორც ჩანს, კარგი ოჯახის შვილი უნდა იყოს, თავიც მეტად ღირსეულად უჭირავს, ოღონდ, საქციელით, მიმიკითა და მანერით სულ ევროპელებს ჰბაძავს. კაცმა რომ თქვას, ახერხებს კიდევაც, მაგრამ, ვფიქრობ, მთლად ბუნებრივად მაინც ვერ გამოსდის. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება... აქაოდა, ევროპელის ცოლი ვარო, თავი მეტად ამაყად უჭირავს. საქციელიც ალბათ ამიტომ აქვს ასეთი...

ადამიანს ზოგჯერ უჭირს საკუთარი სულის მოძრაობაში გარკვევა. აი, თუნდაც მე... დღემდე ვერ გამიგია, ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში რა მინდა, რა მამოძრავებს? როგორც კი ის შინოს ფინჯანი გამახსენდება, სირცხვილით ვიწვები – რა ვქენი, რატომ მივათხლიშე ქვის ბაკს ასე გაგულისებულმა თქვენს ბაღში?!

– აი, ხომ არის ამაზე უკეთესი შინო?! – ვთქვი მაშინ. ვთქვი სრულიად გულწრფელად, ვინაიდან ასე მიმაჩნდა და ასე ვფიქრობდი იმ წუთებში.

დედაჩემის სამახსოვროდ შინოს ქოთანი რომ გაჩუქეთ, ისე გაგიხარდათ, ვიფიქრე, ავდგები და იმ ფინჯანსაც ვაჩუქებ-მეთქი. ჩემი მხრივ, ცხადია, ეს მეტად წინდაუხედავი საქციელი იყო... მერე ის აზრი ამეკვიატა, ამქვეყნად, ვინ იცის, რამდენი ამაზე უკეთესი შინოა-მეთქი. ჩემი ტანჯვა-წამებაც სწორედ იმ წუთიდან დაიწყო. აღარ ვიცოდი, რა მექნა, ადგილს ვერ ვპოულობდი.

«თქვენ რომ გკითხოთ, გამოდის, რომ შედევრი თუ არ არის, არავის არაფერი უნდა აჩუქოო». გახსოვთ, ასე რომ მითხარით?

მე კი მართლაც ასე ვფიქრობდი – თუ რაიმეს გაჩუქებდით, უსათუოდ შედევრი უნდა ყოფილიყო. და იცით, რატომ? მინდოდა დედაჩემი თქვენთვის ყველაზე მშვენიერი, ერთადერთი და განუმეორებელი ყოფილიყო.

დიახ, დედა თქვენთვის ყველაზე მშვენიერი და განუმეორებელი უნდა ყოფილიყო! მე მხოლოდ ამაში ვხედავდი ხსნას დედისთვისაც, რომელმაც სამუდამოდ მიგვატოვა და ჩემთვისაც – მიტოვებულისათვისაც. ჯავრით გულჩამკვდარი, ერთადერთი მწველი სურვილით შეპყრობილი, იმ ფინჯნის გამო, რომელიც სრულებითაც არ იყო შედევრი, საშინლად ვიტანჯებოდი. ფინჯანი რომ გავტეხე, ერთბაშად თითქოს სიზმრიდან გამოვფხიზლდი, ოღონდ, ვერ გავრკვეულიყავი, ტკბილი და მომაჯადოებელი იყო ის სიზმარი თუ კოშმარებით სავსე. ასეა თუ ისე, მე და დედა მხოლოდ ამის შემდეგ გამოგეთხოვეთ საბოლოოდ. მართალია, მაშინდელი ჩემი საქციელის გამო ახლა სირცხვილით ვიწვი, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ, სწორად მოვიქეცი, და რომ ეს გარდაუვალი იყო.

გახსოვთ, ასე გითხარით, ფინჯანს დედაჩემის პომადის ნაკვალევი ატყვია-მეთქი. ახლა კი ამაში უკვე დარწმუნებული აღარა ვარ. ეტყობა, ამ სიტყვებს მე კი არ ვამბობდი, ის ჩემი აკვიატებული აზრი მალაპარაკებდა.

ამასთან დაკავშირებით ამწუთას ერთი, ჩემი აზრით, მეტად ამაზრზენი შემთხვევა გამახსენდა.

მამაჩემი მაშინ ჯერ ისევ ცოცხალი იყო, მე კი ჯერ ისევ პატარა გოგონა ვიყავი. ერთხელაც კურიმოტო გვესტუმრა. კურიმოტოს რაღაც შავად მოჭიქული – მართალი გითხრათ, კარგად აღარ მახსოვს – მგონი, ჩიოჯიროს ნამუშევარი ფინჯანი აჩვენეს.

– ღმერთო ჩემო, სულ ობისაგან არ არის შეჭმული!.. ასეთს რას უშვრებოდით, ასე როგორ ხმარობდით? ნუთუ ხმარების შემდეგ წესიერად არ რეცხავდით? – თქვა ქალბატონმა ჩიკაკომ და სახეზე ზიზღი აესახა.

ფინჯანი მართლაც ობისმაგვარი მოთეთრო ლაქებით იყო

დაფარული.

მერე ფინჯანს მდუღარე გადაავლო, მუხლებზე დაიდგა და კარგა ხანს დაჟინებით უყურა.

– რა უცნაურია, მდუღარემაც კი ვერაფერი უშველა!

ამ სიტყვებით თითები თმაში შეიყო, თავი ენერგიულად მოიქექა და გაქონილი თითებით ფინჯანი დიდხანს წმინდა.

მალე ჭიქურზე ლაქების ნაკვალევიც აღარ იყო.

– აი, ხომ ხედავთ? – გახარებულმა წამოიძახა ოსტატმა.

მაგრამ მამა ფინჯანს აღარ გაჰკარებია.

– რა საშინელებაა! რა სიბინძურეა! ლამის გული ამერიოს...

– ახლავე გავრეცხავ!

– სულერთია, ამაზე გული აღარასოდეს მიმივა... ამ ფინჯნით ჩაის ალბათ აღარასოდეს დავლევ. თუ გნებავთ, წაიღეთ, თქვენი იყოს...

მაშინ მე ჯერ ისევ პატარა გოგონა ვიყავი, ვიჯექი მამაჩემის გვერდით, ამ ამბავს თვალებგაფართოებული შევცქეროდი და მეც ლამის გული ამრეოდა.

შემდეგში, როგორც ამბობენ, კურიმოტოს თურმე გაუყიდია ის ფინჯანი.

და აი, ახლა, როდესაც იმ შინოზე... ტუჩის პომადის იმ ნაკვალევზე ვფიქრობ... ვინ იცის, იგი იქნებ თქვენთვისაც ისეთივე არასასიამოვნო და გულისამრევი იყო...

გთხოვთ, სამუდამოდ დაგვივიწყოთ... დაგვივიწყოთ მეც და დედაც... და, რაც შეიძლება მალე ითხოვოთ იუკიკო ინამურა»...

2. «ბეპუს ცხელი წყლები, 20 ოქტომბერი

ბეპუდან ტაკედამდე ყველაზე მოკლე და პირდაპირი გზა მატარებლისაა. იგი ოიტაზე გადის. გზა მოკლე, მაგრამ მეტად მოსაწყენია. მე კი მინდა, კუჯის მთებს გავეცნო, ამიტომაც შორი გზა ვარჩიე: იუფე-დაკეს მთის ძირს გადავსერავ, იუფუინიდან მატარებლით ბუნგო-ნაკამურამდე მივალ, მერე ჰანდის ტაფობს სამხრეთის მიმართულებით გადავჭრი, ქალაქ

კუჯისაც ჩამოვიტოვებ და მალე უკვე ტაკედაში ვიქნები.

მართალია, ტაკედა მამაჩემის მშობლიური ქალაქია, მაგრამ ჩემთვის იგი სრულიად უცნობია. წარმოდგენა არა მაქვს, როგორ შემხვდებიან ამ ქალაქში, ანდა შემხვდება კი ვინმე, როცა აღარც მამაა ცოცხალი, აღარც დედა?

მამას ხშირად უთქვამს, ტაკედაში ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს საკუთარი სულის საუფლოში იმყოფებიო...

იქნებ ამის მიზეზი ის არის, ქალაქი ოთხსავე კუთხით მიუვალი, კლდოვანი მთებით რომაა შემორტყმული და მთელ ქვეყანასთან ერთადერთი გვირაბი აკავშირებს. აკი ცოლ-ქმარი იოსაებიც წერენ ამაზე თავიანთ ლექსებში!

ალბათ დედასაც შეეძლო მოეთხრო რაიმე ტაკედას თაობაზე. ამ ქალაქში იგი მამასთან ერთად იყო, თანაც მხოლოდ ერთადერთხელ. მაშინ მე დაბადებულიც არ ვყოფილვარ...

დედაჩემისა და მამათქვენის ურთიერთობა გულთან რომ მიმქონდა, ის, რომ დედას ამ ამბავს ვპატიობდი, ის კი არა, თანავუგრძნობდი კიდევაც, ასე მგონია, ამით საკუთარ მამას ვღალატობდი... არ ვიცი, რატომ მიმიწევს გული მამაჩემისთვის ასე მშობლიურ, ჩემთვის კი სრულიად უცხო და უცნობი ქალაქისაკენ? იქნებ ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში ყველაზე უკეთესი სწორედ ასეთი გარემოა, გარემო, რომელიც ერთდროულად მშობლიურიც არის და უცხოც! ან იქნებ აქ, აი ამ მთებს შორის, რომელიც მამაჩემის ამქვეყანაზე მოვლინების მომსწრენი და მოწმენი არიან, სულში ერთბაშად მაცოცხლებელი წყარო ამოდუღდეს და ამ ცხოველმყოფელმა წყალმა დედაცა და მეც ყოველგვარი ცოდვებისაგან განგვწმინდოს?!

«კუჯის მთების სიმღერებში» ერთი ასეთი ბრწყინვალე ლექსია:

უცხოობაში გადახვეწილი,

მშობლიურ კერას დავუბრუნდები,

მუხლს მოვიყრი,

თვალებს დავხრი

მამაჩემის თვალთა წინაშე,

განვერთხმები დედამიწაზე –

მარად ძვირფას, მშობლიურ მთებს

მზერას აღვაპყრობ.

ვინ იცის, როცა დედას მამათქვენთან ურთიერთობა ვაპატიე, იქნებ სწორედ მაშინ ამოიზარდა ჩვენ მიერ – დედაჩემის და ჩემ მიერ ჩადენილი გამოუსწორებელი შეცდომის ის პირველი მორჩი? იქნებ იმ მორჩმა მერე თქვენს სულშიაც გაიდგა ფესვები, რათა ტკივილი და მწუხარება მოეყენებინა, მძიმე წყევლასავით აგყოლოდათ?.. მაგრამ ყოველგვარ წყევლას თავისი ყავლი და დრო-ჟამი აქვს! ასე მგონია, ჩვენს თავზე დატრიალებულ წყევლასაც დრო-ჟამი იმ დღეს გაუვიდა, ძალა იმ დღეს დაეკარგა, როდესაც მე ის ფინჯანი გავტეხე.

ამქვეყნად ყველაზე მეტად ორი ადამიანი მიყვარდა – ჩემი საბრალო დედა და თქვენ... თქვენ, დიახ, თქვენ, კიკუჯი-სან! ალბათ ახირებულად მოგეჩვენებათ ჩემი ეს დაგვიანებული აღსარება... თქვენ კი არა, ამ ჩემი სიყვარულის გამო დღემდე მეც გაოგნებული დავდივარ. მიუხედავად ამისა, არ მინდა, დაგიმალოთ ჩემი ეს სიყვარული, ვინაიდან სწორედ ეს განდობა, ეს აღსარება იქნება ის სიმშვიდე, რომელზედაც მე თქვენთვის «დღედაღამ ვლოცულობ». თქვენ მე ახლაც ისევე არ გადანაშაულებთ და არ გწყევლით, როგორც მაშინ არ გწყევლიდით და არ გადანაშაულებდით. ჩემმა სიყვარულმა მიიღო უმაღლესი მისაგებელიცა და უმაღლესი სასჯელიც. ორივე ჩემს სიყვარულს ლოგიკური დასასრული ჰქონდა: ერთი სიკვდილით დამთავრდა, მეორე – უმკაცრესი სასჯელით... იქნებ, ასეთია ჩემი ბედისწერა?.. დედამ სიკვდილით გაასწორა ბედთან ანგარიში, მე კი – გაქცევით: თავი უმძიმესი ცოდვით დავიმძიმე და გავიქეცი.

ო, როგორ მენატრება სიკვდილიო, ხშირად იტყოდა ხოლმე დედა.

მაშინ კი, როდესაც თქვენ შესახვედრად არ გამოვუშვი, ასე მითხრა:

– აჰა, ესე იგი, ჩემი სიკვდილი გინდა!

ზუსტად იმ დღეს, შინო რომ გავტეხე, ერთბაშად თვალი ამეხილა. მხოლოდ მაშინ მივხვდი, თურმე რა დღეში იყო

დედა... დაგინახათ თუ არა, იმ წუთიდან საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი თვითმკვლელობისთვის არის განწირული... თქვენთან შეხვედრამ, კიკუჯი-სან, თვითმკვლელობის გზაზე დააყენა, ამავე დროს კი მხოლოდ თქვენ იყავით ამ ცხოვრებაში მისი ერთადერთი ხელის მოსაჭიდი, ვინაიდან მისი სიცოცხლის აზრი მხოლოდ თქვენ გვერდით ყოფნა იყო, მხოლოდ ეს აზრი ასულდგმულებდა. მე კი ხელი შევუშალე, ამის საშუალება არ მივეცი... და აი, წავიდა კიდევაც ამქვეყნიდან... იმ დროს, ფინჯანი რომ გავტეხე, მეც სწორედ იმ მდგომარეობაში აღმოვჩნდი – თავის მოკვლას არაფერი მაკლდა... მაინც რამ შემიშალა ხელი? მხოლოდ და მხოლოდ დედაჩემის სიკვდილმა... დღეს თუ ისევ ცოცხალი ვარ, მხოლოდ იმიტომ, რომ დედაჩემი აღარ არის ამქვეყანას...

იმ დღეს, ქვის ბაკს ფინჯანი რომ მივამსხვრიე, ცნობამიხდილი ბილიკზე რომ ჩავიკეცე, თქვენ შემაშველეთ ხელი. არ ვიცი, გაიგონეთ თუ არა, «დედა-მეთქი» – იმ წუთშიაც დედაჩემს როგორ ვუხმე? არა, ალბათ ვერ გაიგონებდით... ვერ გაიგონებდით, ვინაიდან ენა კი არა, ჩემი გული... მხოლოდ ჩემი გული ეძახდა დედაჩემს.

გახსოვთ, ასე მითხარით, არა, ვერ გაგიშვებ, შენი წასვლა არ შეიძლებაო? გინდოდათ, გაგეცილებინეთ, მე კი უარის ნიშნად მხოლოდ თავს ვაქნევდი.

ერთმანეთს ჩვენ უკვე ვეღარასოდეს ვნახავთ-მეთქი, გითხარით ბოლოს და გავიქეცი. ოფლში გახვითქულმა მთელი გზა სირბილით გავიარე, გადაწყვეტილი მქონდა, თავი მომეკლა. არა, მე თქვენზე ნაწყენი და გულნატკენი სულაც არ ვიყავი. უბრალოდ, მივხვდი, ჩემი ცხოვრება უკვე დასრულებული იყო, მე უკვე იმ ბოლოში ვიყავი გასული, რომლის იქითაც აღარაფერია. განა ჩემი სიკვდილი პირდაპირი გაგრძელება არ იქნებოდა დედაჩემის სიკვდილისა? დედამ თავის შერცხვენა ვერ აიტანა და მოკვდა, მე კი... განა მთელი ჩემი საქციელიც ისეთივე თავისმომჭრელი და სამარცხვინო არ იყო? მაგრამ სინანულის იმ მწველი, გაუნელებელი ცეცხლის ალიდან, რომელმაც მთელი ჩემი არსება მოიცვა, ამოიზარდა ზღაპრულად მშვენიერი ყვავილი – მე ხომ თქვენ უსაზღვროდ... უსაზღვროდ მიყვარდით! როგორადაც უნდა მომქცეოდით, რაც უნდა გექნათ, შეუძლებელია იგი ჩემთვის საწყენი და

სამარცხვინო ყოფილიყო, რადგან მე თვითონ მივიწევდი ფარვანასავით ცეცხლისაკენ! დედამ ვერ აიტანა თავისი დაცემა და მოკვდა, მე კი იგი მუდამ უმშვენიერეს არსებად მიმაჩნდა; მაგრამ განა იყო კი რაიმე სამარცხვინო ჩემს ამ დაუოკებელ ლტოლვაში?!

მიუხედავად ამისა, ჩვენ შორის – ჩემსა და დედას შორის – მაინც უდიდესი განსხვავებაა: მისთვის ის ერთადერთი შეხვედრაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა ამიერიდან მხოლოდ მომავალი შეხვედრის ოცნებით ეცოცხლა. ჩემთვისაც მხოლოდ ის ერთი შეხვედრა იყო საკმარისი, მაგრამ ჩემი ოცნება ჩასახვისთანავე განქარდა. თავზარდაცემული ერთბაშად გამოვფხიზლდი. თვალი ავახილე და მივხვდი, ჩემი სიყვარულის დასაბამი უკვე მისი დასასრულიც იყო. არა, შუა გზაზე არ შევჩერებულვარ – ჩემი დიდი სიყვარული მე უმალ მოვიწყვიტე და უძირო უფსკრულში გადავისროლე.

არ შეიძლება... არა, არ შეიძლება! დედა გარდაიცვალა, ჩემს სიცოცხლეს სამუდამოდ დაესვა წერტილი. რაღა დამრჩენია? დაე, იუკიკო-სანი ითხოვოს, ახლა მხოლოდ ეს არის ჩემი ხსნა, მხოლოდ ეს... ეს თუ გადამარჩენს-მეთქი.

რა თქმა უნდა, შემეძლო პირდაპირ მეთქვა – დევნას ნუ დამიწყებთ, ნუ მეძებთ, თორემ ავდგები და დედაჩემივით თავს მოვიკლავ-მეთქი. მაგრამ, ჩემი მხრივ, ეს მეტად ეგოისტური საქციელი იქნებოდა; მე თქვენ ამას ვერასოდეს გეტყოდით... მე, ვისაც თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა, დღენიადაგ მხოლოდ იმ ერთადერთი აზრით ვიყავი შეპყრობილი – დედა მუდამ ყველაზე მომხიბვლელი და მშვენიერი გხსომებოდათ! –ისღა დამრჩენოდა, ისე წავსულიყავი, ისე გადავკარგულიყავი თქვენი თვალსაწიერიდან, ჩემი ასავალ-დასავალიც ვერასოდეს გაგეგოთ.

ქალბატონი კურიმოტო ამბობდა, რომ ჩვენ, ორივენი – მეცა და დედაჩემიც – დაქორწინებაში ხელს გიშლიდით; და რომ დედაჩემის გაცნობის შემდეგ ხასიათი შეიცვალეთ... გონს რომ მოვედი, მე მას მშვენივრად გავუგე.

იმ საღამოს, ფინჯანი რომ გავტეხე, ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელ მდგომარეობაში ვიყავი. მთელი ღამე ტირილში გავატარე. მეორე დღეს კი, ჯერ ხეირიანად გათენებულიც არ

იყო, ამხანაგთან წავედი და ვთხოვე, სამოგზაუროდ გამყოლოდა.

ჩემს დანახვაზე ამხანაგს ლამის გული წაუვიდა: რა იყო, რა დაგემართა?! ტირილისაგან თვალები ისე გაქვს დასივებული, დედაშენი რომ გარდაიცვალა, ამდენი, მგონი, მაშინაც არ გიტირიაო.

მართლაც, მე და ჩემი ამხანაგი ერთად გავემგზავრეთ ჰაკონეში.

რა თქმა უნდა, დედაჩემის სიკვდილი ჩემთვის უზარმაზარი, გაუნელებელი დარდი და მწუხარება იყო, მაგრამ, ვაი, რომ ჩემი ბავშვობიდან ამაზე მწარე წუთებიც მახსენდება – ეს მაშინ, ქალბატონი კურიმოტო ჩვენთან რომ მოვიდა და მამათქვენის გამო, გინდა თუ არა, თავი უნდა დაანებოო, დედა ლანძღვა-გინებით აიკლო. მე გვერდითა ოთახში ვიყავი, ყველაფერი მესმოდა და ცხარე ცრემლით ვტიროდი. ამ დროს დედა შემოვიდა, ხელი მომხვია და იმ ოთახში გამიყვანა. მინდოდა, დავსხლტომოდი, გავქცეულიყავი, მაგრამ დედამ მუხლებზე დამისვა და შემეხვეწა:

– იჯექი, არ წახვიდე! ძალიან გთხოვ, არ წახვიდე! აი, გულში ჩაგიკრავ და ასე გულში ჩაკრული მეყოლები... ჰო, შვილო, ჰო, დედაშენს ჩაგრავენ... შენ კი ჩემს ზურგს უკან ასე აბუზულსა და ნამტირალევს რომ გხედავ, ლამის გული გამისკდეს... იყავი, არ წახვიდე!

ქალბატონი მასწავლებლისათვის არც კი შემიხედავს, ცრემლით დასველებული სახე დედაჩემის მკერდში წავრგე.

ის კი ისევ თავისას განაგრძობდა, აზრადაც არ მოსვლია, თავი დაენებებინა. თან ისეთი საშინელი, ისეთი გესლიანი ხმა ჰქონდა:

– ეს რაღა ამბავია?! აა, ეტყობა სცენაზე ახლა ბავშვთა როლის შემსრულებლის გამოსვლაა!.. შენ, ჩემო კარგო, უკვე დიდი გოგო ხარ, ალბათ ძალიან კარგად იცი, ძია მიტანი თქვენს სახლში რისთვისაც დადის.

– არა, არა, არა! არ ვიცი, არაფერი არ ვიცი! – თავი გადავაქნიე და კიდევ უფრო მწარედ ავტირდი.

– იცი, ძალიან კარგად იცი! იმ ძიას კი, სხვათა შორის, თავისი კანონიერი ცოლიც ჰყავს და შვილიც – შენზე ოდნავ უფროსი

ბიჭუნა... ჰოდა, გახსოვდეს, რომ იმ ბიჭუნას მთელი თავისი სიცოცხლე თვალის დასანახავად შესძულდება დედაშენი, დიახ, დიახ! სკოლაში შენმა მასწავლებლებმა და ამხანაგებმა რომ გაიგონ, მაშინ? მაშინ რა უნდა ქნა? რომ იცოდე, როგორ შეგრცხვება დედაშენის საქციელის გამო!

– აბა, ასე რატომ ელაპარაკებით? ბავშვი რა შუაშია, ის ხომ სრულიად უცოდველია! – უთხრა დედამ.

ქალბატონი მასწავლებელი კი მაინც არ ცხრებოდა:

– უცოდველი? საქმეც ეგ არის, რომ უცოდველია! სამაგიეროდ, თქვენ არ ერიდებით არაფერს, ყველანაირად ცდილობთ, ბავშვი ცოდვაში ჩააგდოთ. ჰმ, უცოდველი... რა ვიცი, ძალიან ოსტატურად კი ტირის.

მაშინ ასე, თერთმეტი-თორმეტი წლისა თუ ვიქნებოდი.

– ბევრი რომ არ გავაგრძელო, – თქვა ბოლოს ქალბატონმა მასწავლებელმა, – ბავშვს საშვილიშვილოდ ამახინჯებთ, ცხოვრებაში მაგას კარგი არაფერი ელის, საბრალო გოგონა... ლაფში ისე ჩაფალით, მაგ წუმპიდან ვერასოდეს ამოვა.

ახლა, როცა ამ ამბავს ვიგონებ, ასე მგონია, ის სიმწარე, რომელმაც მაშინ ლამის გახეთქა ჩემი ბავშვური გული, გაცილებით დიდი და ძლიერი იყო, ვიდრე დედის სიკვდილითა და თქვენთან განშორებით გამოწვეული გულისტკივილი.

დღეს დილას ჩემმა გემმა იიო-ნადის სრუტეში გაიარა. ზღვაზე საოცარი სიმშვიდე სუფევდა. ილუმინატორიდან შემოსული მზის სხივები კაიუტას ისე აცხუნებდა, ჟაკეტი გავიხადე და ბლუზის ამარა დავჯექი. მიუხედავად ამისა, მაინც საშინლად მცხელოდა. ნაშუადღევს უკვე ბეპუს ნავსადგურში ვიყავით... რომ იცოდეთ, რა განსაცვიფრებელი სანახაობაა! ნავსადგური მთებით არის გარშემორტყმული, მანჯვნიდან მარცხნივ ჩამწკრივებული მთები ზღვას თითქოს გულში იკრავს. შუაში წყალი ლივლივებს. ცადაზიდული მწვერვალები ჰაერში გაქვავებული უზარმაზარი ტალღები გეგონება. ასეთი რამ მხოლოდ დეკორატიულ პანოზე თუ მინახავს.

ჩემს თანამგზავრ ქალს თავაზიან წინადადებაზე უარი ვეღარ ვუთხარი და ბინად კანკაიძის ცხელი წყლების სასტუმროში გავჩერდი. კანკაიძის ცხელი წყლები მთაში საკმაოდ მაღალზეა.

საბანაოს ფანჯრებიდან ნავსადგური და ქალაქის დიდებული პანორამაა გადაშლილი. აქ ყველაფერი საოცარია. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, კანკაიძის ცხელი წყლები მიწაზე კი არა, საოცრად ნათელი სივრცის ზემოთ, ჰაერში ლივლივებს... ასეთი რამ არათუ გამეგონა, მსგავსსაც კი ალბათ ვერასოდეს წარმოვიდგენდი.

ავტობუსით «ჯოჯოხეთის» შემოგარენი შემოვიარე. ავტობუსის ბილეთი აქ ასი იენი ღირს, ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებაც – ასი იენი. «ჯოჯოხეთში» თექვსმეტამდე კერძო ადგილ-მამულია. მამულები კოოპერატივშია გაერთიანებული და მასაც «ჯოჯოხეთის კოოპერატივი» ეწოდება.

«ჯოჯოხეთში» ორი ტბაა: სისხლის ტბა და ზღვის ჯოჯოხეთი. აჰ, რომ იცოდეთ, რა განსაცვიფრებელი წყალია ამ ტბებში! წყალს როგორღაც განსაკუთრებული, მომაჯადოებელი და, როგორც მე მომეჩვენა, მისტიკური ბრწყინვალება აქვს. ფერზე ხომ, ნუღარ იტყვით! სისხლის ტბაში წყალი მართლაც წითელია, ასე გეგონება, ქვემოდან სისხლის შადრევანი ამოჩქეფს – ძირში მუქი ალისფერია, ზევით და ზევით კი თანდათან ღიავდება და წყალში გაზავებული სისხლის ფერს ღებულობს. ტბის თავზე მოვარდისფრო ოხშივარი ტრიალებს... თავისებური და საოცარია ზღვის ჯოჯოხეთიც. თავისი მოცისფრო-მომწვანო ფერით იგი ზუსტად ზღვის წყალსა ჰგავს, მაგრამ, მისგან განსხვავებით, არაჩვეულებრივად ანკარაა და გამჭვირვალე. და აი, ქალაქიდან შორს, სასტუმროში, შუაღამე უკვე გადასული იყო, რომ უცებ ის ტბები გამახსენდა... «ჯოჯოხეთის» ცეცხლოვანი ტბები... თითქოს ოცნებათა სამეფოს წყაროს წყლით ნაკვები, როგორიღაც არამიწიერი და არაამქვეყნიური... მე და დედა კი სიყვარულის ჯოჯოხეთში დავეხეტებოდით... ნეტავ, იქაც თუა ასეთი მშვენიერი წყაროები? წყაროები, რომელთა ზღაპრული მშვენიერებით მე ასე მოხიბლული და აღტაცებული დავრჩი...

ძალიან გთხოვთ, მაპატიოთ...»

3. «ჰანდას პლატო – სუჯის ცხელი წყლები. 21 ოქტომბერი

ამ წერილს ახლა სასტუმროდან გწერთ. სასტუმრო მაღალ მთებში, შუა პლატოზეა გაშენებული. მართალია, კიმონოს ქვეშ თბილი სვიტრიც მაცვია, მაგრამ ღამღამობით ისეთი სიცივეა,

სასტუმროს კიმონოშიაც კი ვიყინები. ვზივარ მობუზული მაყალთან და ვკანკალებ. სასტუმრო ხანძრის შემდეგაა სახელდახელოდ აგებული, ამიტომაც არც ფუსუმა და არც შიოჯი ხეირიანად არ იკეტება. ვიცოდი, მთებში მომიხდებოდა ყოფნა, ეს ტოკიოშიც გავითვალისწინე და თბილი ტანსაცმელი კარგა ბლომად წამოვიღე. მართლაც, სუძიუს ცხელი წყლები ზღვის დონიდან, მთაში, ათასი მეტრის სიმაღლეზეა. ხვალ ალბათ კიდევ უფრო ზევით მომიწევს ასვლა – ათას ხუთასი მეტრი სიმაღლის უღელტეხილი უნდა გადავიარო, სხვა ცხელ წყლებზე უნდა გავჩერდე, მაგრამ, ხომ წარმოგიდგენიათ, ბეპუს სითბოს მერე, საიდანაც დღეს დილას გამოვედი, ტემპერატურის რა მკვეთრი სხვაობაა...

ხვალ თუ კუჯის მთებში ასვლა მოვასწარი, ზეგ უკვე ტაკედაში ვიქნები. ამ გრძელ წერილს ალბათ ხვალინდელ სასტუმროშიაც ვერ დავამთავრებ, ალბათ ტაკედაშიც მომიწევს მისი გაგრძელება. რა მინდა, რატომ გწერთ ამ წერილს? ცხადია, არა იმიტომ, რომ ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ. მაგრამ, ჯერ არც ის ვიცი, რა სიტყვებს შთამაგონებს კუჯის მთა – მამაჩემის მშობლიური მხარე?

ვერ გეტყვით, იქნებ გამოსამშვიდობებელი სიტყვების თქმაც მომესურვოს, თუმცა, შესანიშნავად ვიცი, აჯობებს ჩუმად, უსიტყვოდ გამოგემშვიდობოთ. მე და თქვენ არცთუ ისე ბევრი გვისაუბრია. მიუხედავად ამისა, მე მგონი, ბევრი რამ ვუთხარით ერთმანეთს.

«გთხოვთ, შეუნდოთ ჩემს დედას!» – გახსოვთ? ყოველ შეხვედრაზე ამ ფრაზას გიმეორებდით, ყოველ შეხვედრაზე დედაჩემის შენდობას გემუდარებოდით.

როდესაც თქვენთან ამ შენდობის სათხოვნელად პირველად მოვედი, თქვენ, რომელმაც, ეჭვი არ არის, უკვე კარგა ხანია იცოდით ჩემი არსებობის შესახებ, ასე მითხარით: ...და აი, სულ ვოცნებობდი, რას ვიტყოდით, როგორ ვილაპარაკებდით მე და ის გოგო მამაჩემის შესახებ...

და კიდევ:

რა კარგი იქნებოდა, ოდესმე ისეთი დრო დადგებოდეს, როდესაც მე და თქვენ მშვიდად შეგვეძლებოდა დედათქვენისა და მამაჩემის კეთილშობილებაზე საუბარი...

ასეთი დრო დადგა და... ასეთი დრო სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას... რომ მოხდეს, ოდესმე რომ შევხვდეთ კიდევაც ერთმანეთს, მონანიე და სირცხვილისაგან ათრთოლებული, მე, ალბათ სიტყვის თქმასაც ვერ შევძლებდი... ჩვენს მშობლებზე საუბარი ჩვენთვის – ჩემთვისაც და თქვენთვისაც – აკრძალული, ხელშეუხებელი თემაა. განა ისეთ შვილებს, როგორებიც ჩვენ ვართ, უფლება აქვთ, ერთმანეთი უყვარდეთ? ამ სიტყვებს რომ გწერთ, თვალები ცრემლითა მაქვს სავსე.

მას შემდეგ, რაც თერთმეტი თუ თორმეტი წლის გოგონას ქალბატონმა კურიმოტომ ასეთი ტკივილი და ტანჯვა მომაყენა, სულში სამუდამოდ ჩამრჩა მისი სიტყვები – ბიძია მიტანის პატარა ბიჭუნა ჰყავსო. იმ პატარა ბიჭუნას შესახებ «ბიძია მიტანისათვის» არასოდეს არაფერი მიკითხავს – ასე მეგონა, ამაზე, უბრალოდ, ხმის ამოღებაც დიდი დანაშაული იყო. პატარა გიმნაზიელ გოგონას კი ძალიან აინტერესებდა, რამდენი წლისა იყო ის ბიჭი, ომში ხომ არ წაიყვანეს? მაგრამ ერთხელაც არ გაუბედავს და ამის შესახებ ერთხელაც არაფერი უკითხავს.

საჰაერო თავდასხმების იმ ყველაზე საშინელ დღეებში მამათქვენი ხშირად მოდიოდა ჩვენს სახლში და შინ მუდამ მე ვაცილებდი. ვერ წარმოიდგენთ, რა შიშში ვიყავი. სულ იმას ვფიქრობდი, ერთიც ვნახოთ, ძია მიტანის რაღაც დაემართოს, მისი ის პატარა ბიჭიც ჩემსავით უმამოდ დარჩეს-მეთქი... კაცმა რომ თქვას, განა სასაცილო არ არის? მე უკვე გავიზარდე, აგერ უკვე ამხელა გოგო ვიყავი, ბიჭზე კი, რომელიც ჩემზე უფროსი იყო და რომელიც შეიძლება უკვე ჯარშიაც წაიყვანეს, ისევე ვფიქრობდი, როგორც მაშინ იმ პატარა ბიჭუნაზე. რატომ? მიზეზი ალბათ ის პირველი შთაბეჭდილება, ქალბატონ კურიმოტოს ის სიტყვები გახლდათ, ასე სამუდამოდ რომ ჩაიბეჭდა ჩემს გონებაში.

დედას არაფრის გაკეთება არ შეეძლო. ამიტომაც სურსათის საშოვნელად მე მიწევდა ახლომახლო სოფლებში სიარული. მახსოვს, ერთხელ ჩვენს მატარებელს თავს დაესხნენ. აქოთქოთებულ ხალხში ვიღაც ლამაზი ქალი დავინახე და, ერთი რომ მივეწებე, გვერდიდან აღარ მოვცილებივარ. ცოტა რომ დავმშვიდდით, ხალხმა საუბარი გააბა – ვინ სად მიდიოდა, ვის რა სურსათის შოვნა უნდოდა...

– მე ხარჭა ვარ... – დაიწყო თავისი ამბის მოყოლა იმ ლამაზმა

ქალმა, რომელიც საოცრად გულახდილი იყო სრულიად შემთხვევით გაცნობილ თავის პატარა გიმნაზიელ თანამგზავრთან. და აი, გიმნაზიელმა გოგონამაც გადაწყვიტა, გულახდილობაზე გულახდილობით ეპასუხა:

– მე კი... მე მისი ქალიშვილი ვარ.

ქალს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა:

– მართლა? რას ბრძანებთ? რა კარგია, რომ უკვე ასე დიდი გოგონა ხართ.

მისი ქალიშვილი ვარ-მეთქი, რომ ვუთხარი, იმ ქალმა, ჩანს, მამაჩემთან მიმართებით არასწორად გაიგო ჩემი ნათქვამი. მართალია, ახსნა-განმარტება აღარ დამიწყია, მაგრამ სირცხვილისაგან ლამის თმის ძირებიც კი გამიწითლდა.

ჩემს ახალ ნაცნობს ძალიან ვეცოდებოდი. მას მერე უკვე ხშირად ვხვდებოდით მე და ის ქალი ერთმანეთს – დავთქვამდით სად და როდის შევხვედროდით ერთმანეთს, ჩავსხდებოდით მატარებელში და მივდიოდით სურსათის საშოვნელად. ზოგჯერ ძალიან შორსაც კი გვიწევდა წასვლა. ერთხელ ბრინჯისათვის მის მშობლიურ სოფელში – ნიიგატას პრეფექტურაშიაც კი ვიყავით... ის ქალი მე ალბათ არასოდეს დამავიწყდება.

დიდი გოგო ხარო... და აი, გოგო კი არა, უკვე ქალი ვარ. მერედა რა? კარგი არაფერი! ჩვენ ახლა ჩვენს მშობლებზე – მამათქვენსა და დედაჩემზე, უბრალოდ, დალაპარაკებასაც კი ვეღარ ვბედავთ.

სასტუმროში შორიდან ჩანჩქერის ხმა ისმის. მობანავეები შეუდგებიან დგაფუნით წამოსული ცხელი წყლის ნაკადს და ამას «დაჟეჟვას» უწოდებენ. ეს ცხელი წყალი სახსრებისა და კუნთების სამკურნალო წყალია, ალბათ ამიტომაც ჰქვია «სიძიუ», ანუ «კუნთისა».

სასტუმროს საკუთარი საბანაო არა აქვს. აბაზანებს ხალხი ვაიტაიამასა და კუროივასანის მთებს შორის, ხეობაში გაშენებულ საერთო საბანაოში იღებს.

მთებიდან წამოსული ცივი ჰაერის გამო საღამოობით აქ გვარიანი სიცივეა. დღეს დიდხანს, დიდხანს ვტკბებოდი შემოდგომის მეწამული ფოთლების ცქერით. ისეთი მსუყე,

ხასხასა ფერებია, მასთან ოცნების სამეფოს ტბების ის ზღაპრული ფერებიც კი ვერ მოვა. იუფუ-გატაკეს მთები, რომლებიც ხელისგულივით მოჩანს ძიოსიმას მაღალი ფერდობიდან, არაჩვეულებრივია, თუმცა, ჰანდას პლატოს იმ შეუდარებელ სურათს, რომელიც ნაკამურას გზაზე მიმავალს გადაეშლება ხოლმე თვალწინ, ტოლს ვერაფერი დაუდებს. ცამეტივე მოსახვევი რომ გავიარეთ, პლატოზე რომ ავედით, უკან მოვიხედე და ოქროსფერ ფოთლებში ჩაფლული კუსუის ხეობა დავინახე. ხეობას მთის ფხაზე შემომდგარი მზის სხივები დაჰფენოდა. მეტისმეტად ნათელი და ჩახჩახა კი არა, მთის ფერდობთა ნაკეცებში ჩაწოლილი მოლურჯო ჩრდილით ოდნავ შერბილებული... ლბილად მოალერსე მზის სხივებში ფოთლების ოქრო ჩამუქებულიყო, მეწამულს კი ბრდღვიალი გაჰქონდა. ღმერთო, რა საოცარი, რა მომხიბვლელი იყო მთის მხარზე გადმომდგარი ჩამავალი მზის სხივებით განათებული წითელ-ყვითელი ფოთლები!

ვფიქრობ, პლატოზეც და მთაშიაც, საითაც ხვალ წასვლას ვაპირებ, კარგი ამინდი იქნება. მშვიდობის ღამეს გისურვებთ მთის ხეობის ამ შორეული სასტუმროდან... აგერ უკვე სამი დღეა, გზაში ვარ და ერთხელაც არაფერი დამსიზმრებია.

სინოს ფინჯანი რომ გავტეხე, მას შემდეგ სამი თვე ამხანაგთან ვცხოვრობდი. მთელი ის სამი თვე საშინელი უძილობით ვიტანჯებოდი, ჩემს უძილო ღამეებს ამ მთებივით ბოლო არ უჩანდა. ამხანაგს იმდენი საზრუნავი და საფიქრალი გავუჩინე, ალბათ საშინლად დავღალე. უენოს პარკთან ოთახი რომ მქონდა დაქირავებული, იმ ოთახიდანაც სწორედ იმან გადმოიტანა ჩემი ბარგი.

მეორე დღეს თქვენ, თურმე – რა თქმა უნდა, თქვენ იყავით, აბა სხვა ვინ უნდა ყოფილიყო! – იმ სახლში მისულხართ და ჩემი ამბავი გიკითხავთ (ესეც სწორედ იმ ჩემმა ამხანაგმა მითხრა). მიუხედავად ამისა, მე მაინც ვერ გავბედე და ვერ ავუხსენი, რატომ გამოგექეცით, ანდა რატომ გემალებოდით ასე გულმოდგინედ. მე ამ კაცის სიყვარულის უფლება არა მაქვს-მეთქი, ამის მეტი ვერაფერი ვუთხარი.

– კი მაგრამ, იმას ხომ უყვარხარ?! უფლება არა მაქვსო! ვიცი, მე ეგ შენი «უფლება არა მაქვს» რაც არის! კარგი, ჩავთვალოთ, რომ არ ცრუობ...

ალბათ ჩემს ამხანაგს იმისი თქმა უნდოდა, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, ვინც უნდა, ის უყვარდესო. რა ვიცი, შეიძლება ასედაც არის, ოღონდ... ოღონდ, თუ გაბედავ და შენც ისევე მოკვდები, როგორც დედაჩემი მოკვდა...

სხვამ თუ არა, თქვენ მაინც იცით, რა უკიდურესობამდე მიმიყვანეს (ანდა, თუ გნებავთ, მე თვითონ მივედი), ალბათ ისიც გახსოვთ, როგორ გულითა და სულით მეწადა, სიკვდილის შემდეგ დედაჩემი თქვენთვის მშვენიერების განსახიერება ყოფილიყო! დღესაც არ ვიცი, რატომ ვიქცეოდი ასე და არა სხვაგვარად. რა იყო ეს? მხოლოდ შემთხვევითობა? ძნელია განსაჯო საკუთარი საქციელი, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია, იმ ადამიანისათვის, ვინც შორიდან უყურებს შენს საქციელს. შემთხვევითობა... იქნებ, ეს სიტყვა მაშინ აღმოცენდება, როდესაც ადამიანი ბოლომდე ვერ აცნობიერებს რაიმეს? არა, იქნებ შემთხვევითობაზე მაშინ ლაპარაკობენ, როდესაც კაცი ღვთისა თუ ბედისწერისაგან შენდობას ღებულობს?

ვიცი, ცუდია, როცა ასეთ რამეზე ლაპარაკობ, მაგრამ, სანამ მე ის ამბავი დამემართებოდა, ჩემს ამხანაგს ეს ყველაფერი უკვე გადატანილი ჰქონდა. მეც ალბათ სწორედ იმიტომ მივმართე მას დახმარებისათვის, იმანაც ალბათ იმიტომ გამიგო, ესე იგი, მაშინვე მიხვდა ჩემს მდგომარეობას. მაგრამ ის სასოწარკვეთილება და სინანულის ის მორევი, რომელიც ჩალასავით მატრიალებდა, მის ყოველგვარ მიხვედრილობას, ყოველგვარი გაგების უნარს აღემატებოდა.

მერე თანდათან გონს მოვედი, ის კი არადა, ცოტათი გავმხიარულდი კიდევაც. არ ვიცი, იქნებ დედაჩემის ხასიათი დამყვა, იქნებ ეს ქარაფშუტობა, უბრალოდ, სისხლშიაც მაქვს... ჩემმა ამხანაგმაც ალბათ ამიტომ გაბედა, სამოგზაუროდ მარტო ამიტომ გამომიშვა.

იმასთან შედარებით, როცა მე და დედა, ანდა მისი სიკვდილის შემდეგ, როცა სულ მარტოდმარტო ვცხოვრობდი, ეს ნაირ-ნაირი სასტუმროები მე ახლა განცხრომისა და უზრუნველობის სავანედ მეჩვენება. მიუხედავად ამისა, ღამღამობით ენითაუწერელ მოწყენილობასა და სიცარიელეს განვიცდი. ამ წერილის წერაც ალბათ სწორედ ამან განაპირობა. იმ ამბის შემდეგ აგერ უკვე სამი თვე გავიდა! და აი, უცბად ენა ამოვიდგი, რატომ?”

4. «ჰოკეინის ცხელი წყლები. 22 ოქტომბერი

დღეს სუგამორის უღელტეხილი გადავიარე, რომლის სიმაღლე ათას ხუთას ორმოცი მეტრია, ახლა ჰოკეინის ცხელი წყლების სასტუმროში ვარ – ზღვის დონიდან ათას სამას სამ მეტრზე. თითქმის ნახევარზე მეტი გზა უკვე უკან დამრჩა. ხვალ აქედან ქალაქ კუჯიში წავალ, კუჯიდან კი სულ მალე ქალაქ ტაკედაში ვიქნები.

გუშინ საღამოს საშინელი დაღლილობა ვიგრძენი, რაც ალბათ მთის მცხუნვარე მზისა და გოგირდის ბრალია! ამბობენ, აქაური ცხელი წყლები გოგირდით არის გაჯერებულიო, სუგამორის უღელტეხილთან კი ერთ-ერთი მთა პირდაპირ გოგირდს აფრქვევს, ამ დროს ქარი თუ უბერავს და ეს ქარი სახეში გცემს, გოგირდის ორთქლი ფილტვებამდე აღწევსო. იმასაც ამბობენ, ვერცხლის საათი თუ გიკეთია, ერთ დღეში ნახშირივით შავი ხდებაო.

გუშინ სითბო სულ რაღაც ხუთი გრადუსი იყო, დღეს – კიდევ უფრო ნაკლები. სასტუმროში მითხრეს, რომ ტემპერატურა ამაღამ კიდევ უფრო დაეცემა. არ ვიცი, ესენი ტემპერატურას როდის ზომავენ, მაგრამ გამთენიისას ალბათ ნული გრადუსიც არ ყოფილა.

საბედნიეროდ, მეორე სართულის ფლიგელში შესანიშნავი ნომერი მომცეს. ფანჯრებს ორმაგი ჩარჩოები აქვს, სასტუმროს დაბამბული კიმონო საკმაოდ თბილია, ჰიბაჩი კი სულ გაღუღუნებული ნაღვერდლით არის სავსე. ასე რომ, გუშინდელთან შედარებით თავს აქ გაცილებით ხალისიანად და მხიარულად ვგრძნობ.

სასტუმრო ჰოკეინის შენობა მთაში განმარტოებით დგას. არც წერილი... არც გაზეთი... უახლოეს სოფლამდე აქედან სამი რი მაინც იქნება, უახლოეს სახლამდე – არანაკლებ ერთ-ნახევრისა... სწავლის პერიოდში ბავშვები სოფელში ჩაჰყავთ, ვინაიდან დაწყებით სკოლამდე საკმაოდ დიდი გზაა. სასტუმროს პატრონს ორი ბავშვი ჰყავს – ექვსი წლის ბიჭი და ოთხი წლის გოგონა. ამ ბავშვების ბებია დღეს ჩემთან ნომერში შემოვიდა, ცოტა ხანს დაჯდა, გამომესაუბრა, ალბათ გაუკვირდა, ამხელა გზაზე ქალი ასე მარტო რამ წამომიყვანა. ბებიას თან ბავშვებიც შემოჰყვნენ და ლამის დახოცეს ერთმანეთი – არა მე უნდა ჩავუჯდე ბებიას კალთაში, არა მეო.

ჯერ გოგონა შეახტა მუხლებზე, ცხენივით გადააჯდა და თავისი პატარა მკლავები კისერზე შემოაჭდო. ამის დანახვაზე ბიჭი გოგონას ეცა, ჭყიოდნენ, დარბოდნენ, ერთმანეთს დასდევდნენ. მოკლედ, დიდებული ბავშვები არიან. ბიჭს ისეთი თვალები აქვს, ვერ წარმოიდგენ, გოგონას კიდევ უკეთესი – დიდი, უშველებელი თვალები და თამამი გამოხედვა. ისეთი გასხივოსნებული და შუქით სავსე, აღწერაც კი შეუძლებელია. ყველაფერია ამ თვალებში – ენერგია, სითამამე, მოზიდული მშვილდის შემართება...

– როგორც ვხედავ, ახლომახლო მეზობელი არავინ გყავთ, ბავშვებმა ვისთან უნდა ითამაშონ? – ვუთხარი სახლის პატრონს.

– ჰო, არავინ გვყავს... ერთი-ორი ბავშვია და ისინიც ძალიან შორს ცხოვრობენ, – მიპასუხა ბებიამ.

გოგონა რომ დაბადებულა, ბიჭს თურმე ასე უთქვამს, აქამდე სულ მე მეძინა დედასთან, ახლა მოვიდა ეს გოგო და ჩემი დედიკო წამართვაო... ადრე კი, თურმე, სულ იმას ამბობდა, მალე პატარა ბაია გაგვიჩნდება, მე და ჩემი დაიკო ერთად დავიძინებთო.

მაგრამ მას შემდეგ, რაც პატარა დაიკო გაუჩნდა, თურმე სულ ბებიასთან უწევს წოლა.

ასე იზრდებიან განმარტოებით მდგარ ამ სახლში შუქით სავსე, დიდრონთვალებიანი ბავშვები. მართალი გითხრათ, არ ვიცი, ადვილი შესაძლებელია, სახლის პატრონები აჭედავენ ზამთრობით სასტუმროს კარს და საცხოვრებლად ქვევით, სოფელში ჩადიან. ბავშვები კი მართლაც შესანიშნავები არიან, ლამაზები, სიცოცხლით სავსენი.

მე კი არც და მყოლია არასოდეს, არც – ძმა.

ბავშვობაში, მართალი გითხრათ, არასოდეს მიფიქრია ამაზე. ის კი არა, სულაც ვერ ვამჩნევდი – უბრალოდ, მიჩვეული ვიყავი მარტოობას. სულ უფრო გვიან, გიმნაზიაში რომ ვსწავლობდი, ხანდახან სევდიანი განწყობა დამეუფლებოდა – რა იქნება, ერთი უფროსი და ან უმცროსი ძმა მაინც მყავდეს-მეთქი, მაგრამ ამაზე ფიქრით თავს მაინცდამაინც დიდად არ ვიტკივებდი. დედა რომ გარდაიცვალა, მაშინვე თქვენ დაგირეკეთ და თქვენ გაგიხადეთ თანამონაწილედ, რათა მისი

სიკვდილის ნამდვილი მიზეზი ჩვენ ორს შორის დარჩენილიყო სამუდამოდ. რა თქმა უნდა, ცუდად მოვიქეცი, ისე გამომივიდა, თითქოს მართლა თქვენ მიგიძღვოდათ ბრალი დედაჩემის სიკვდილში. ამაზე მხოლოდ ახლა დავფიქრდი. უფროსი ძმა რომ მყოლოდა, ალბათ თქვენ არ დაგირეკავდით, ის კი არა, დედა იქნებ ახლაც ცოცხალი ყოფილიყო, იქნებ არც მე გავწამებულიყავი ასე უსაშველოდ, მხრებზე ასე მძიმედ არ ჩამომწოლოდა ის ცოდვა... ისე გამაოცა, ისე გამაოგნა ჩემს გულში ერთბაშად ამოხეთქილმა ამ აზრებმა, ახლაც გონებაზე ვერ მოვსულვარ. მე, დედისერთა ოჯახში მარტოდმარტო გაზრდილი ბავშვი, სულ იმას ვოცნებობდი, ერთი მეგობარი, ერთი მახლობელი ადამიანი მაინც მყოლოდა! ამიტომ გამომიწია გულმა თქვენკენ, ამიტომ მოგეტკბეთ და მოგეალერსეთ ასე სულითა და გულით... თქვენ, ვისი სიყვარულისა და მოფერების უფლება სრულებითაც არა მქონდა.

აი, ვზივარ ამ განმარტოებულ მთის სასტუმროში და ჩემს არარსებულ უფროს ძმაზე ვნაღვლობ. დაე, უფროსი ძმა თუ არა, და იყოს, ისიც სულერთია, უფროსი იქნება თუ უმცროსი... მთავარია, ჩემი ღვიძლი, ჩემი სისხლი სისხლთაგანი, ჩემი მახლობელი ადამიანი იყოს... ალბათ რა სასაცილო, რა უცნაური გეჩვენებათ, ქვეყნად არდაბადებულ ჩემს დებსა და ძმებს რომ ვნატრობ და ვსაკლისობ.

დედისერთა... თქვენც ხომ დედისერთა ხართ! უწინ ამაზე არასოდეს მიფიქრია. როდესაც მამათქვენი ჩვენს ოჯახში დადიოდა, ერთხელაც არ უხსენებიხართ – თქვენს ოჯახზე საუბარს ჩვენთან ტაბუ ჰქონდა დადებული, მაგრამ...

– რა კარგი იქნებოდა, პატარა დაიკო ან ძამიკო გყოლოდა, მაშინ ხომ ასეთი მოწყენილი აღარ იქნებოდიო? – მითხრა ერთხელ მამათქვენმა.

სახეზე მკვდრისფერი დამედო.

– აბაა... ოოტა რომ კვდებოდა, ისიც სულ იმას ამბობდა, ნეტავი რა ეშველება, გოგო მაინც არ იყოს, ძალიან გაუჭირდებაო. ისე ეცოდებოდა, პირდაპირ გული ეტანჯებოდა, – მხარი აუბა დედამაც.

ო, ჩემი მიამიტი, ჩემი გულუბრყვილო დედიკო! მაგრამ როცა დამინახა, რა დღეში ვიყავი, სუნთქვა შეეკრა.

მე კი იმ წუთებში ენით გამოუთქმელმა შიშმა და სიძულვილმა შემიპყრო. მე ხომ მაშინ უკვე თხუთმეტი წლის გოგო ვიყავი, ყველაფერი შესანიშნავად მესმოდა. ასე მეგონა, მამათქვენი თავის მომავალ შვილზე, ჩემს იმ დაზე ან ძმაზე ლაპარაკობდა, რომელიც დედაჩემს მისგან უნდა ჰყოლოდა. იმ ბავშვს ჩემი კი არა, სხვა მამა ეყოლება-მეთქი, – ამის გაფიქრებაზე ლამის შევიშალე. ახლა, როცა ამ ამბავს ვიხსენებ, ვხვდები, რომ მაშინ ამის მსგავსიც არაფერი ყოფილა, უბრალოდ, გადაჭარბებულმა ეჭვებმა შემიპყრო. მამათქვენს კი ჩემზე მეტად, ჩანს, თავისი ერთადერთი ვაჟიშვილის მდგომარეობა აფიქრებდა...

ალბათ ჩვენც ვეცოდებოდით – მე და ჩემი დედა, ეს ორი მარტოხელა ადამიანი, რომელთაც ამქვეყნად, ერთმანეთის გარდა, არავინ ჰყოლიათ. მე კი მართლაც საშინელ მდგომარეობაში ვიყავი – დედაჩემს ბავშვი თუ გაუჩნდება, უსათუოდ მოვკლავ-მეთქი. კაცის მოკვლა, რა თქმა უნდა, არც მანამდე და არც მას შემდეგ თავში აზრადაც არასოდეს მომსვლია. არ ვიცი, რა იყო და რა ერქვა ჩემს ამ განცდას – ეჭვიანობა, ბრაზი თუ სიძულვილი? ანდა იქნებ ეს ბავშვური სულის გოდება იყო – სუფთა, უმანკო სულისა?

დედამ, ეტყობა, რაღაც იგრძნო:

– ხელისგულზე მიმკითხავეს, მითხრეს, რომ ერთადერთი შვილი მეყოლება... ანდა მეორე რაღაში მჭირდება?! ეს ისეთი კარგი გოგონაა, ისეთი გულისხმიერი და კეთილი, ათი რომ მყავდეს, ამ ერთს იმ ათშიაც არ გავცვლიდი.

– ეს კი ასეა... მაგრამ... დედისერთა ბავშვები მუდამ გულჩახვეულები არიან, მარტოსულები და მიუკარებლები... მთელი სიცოცხლე მერეც სულ მარტოობისაკენ ისწრაფიან. გაუჭირდება ამ ბავშვს ხალხში ყოფნა...

მამათქვენმა ასე ალბათ იმიტომ თქვა, ერთთავად პირქუში და გაჩუმებული რომ დავდიოდი... იმას ხომ სულ გავურბოდი, სულ იმას ვცდილობდი, არ შემეხედა და არ დავლაპარაკებოდი. მაგრამ ბუნებით უჟმური და ბაიყუში კი არა, პირიქით, სიცოცხლით სავსე და ხალისიანი გოგო ვიყავი. მე ხომ სულ დედას ვგავდი ხასიათით!.. მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა გართული ვყოფილიყავი თამაშში, რაც უნდა მხიარული განწყობა მქონოდა, საკმარისია, მამათქვენი გამოჩენილიყო, რომ მაშინვე განზე გავდგებოდი. დედა ალბათ წუხდა,

იტანჯებოდა ჩემი ამ ბავშვური ჯანყის გამო... მამათქვენს კი მის მიმართ ჩემი ეს განწყობა, ცხადია, აზრადაც არ მოსვლია, უბრალოდ, ეტყობა, თქვენ გაახსენდით, ოჯახის ერთადერთი მემკვიდრის, თავისი ერთადერთი ვაჟიშვილის ბედი აფიქრებდა.

მაგრამ საინტერესოა, მაინც რა იქნებოდა, დედაჩემს ის ბავშვი რომ გასჩენოდა, ბავშვი, რომელსაც სიკვდილით ვემუქრებოდი, რომელიც ჩვენი – თქვენი და ჩემი უმცროსი და ან ძმა უნდა ყოფილიყო?

რა საშინელებაა?

რატომ? რატომ მომდის თავში ეს ავადმყოფური აზრები? ეს მოგზაურობა და ბუნება ხომ განწმენდს ჩემს სულს... დღეს სულ ფეხით მოვიარე ზეგანი, უღელტეხილზედაც გადავედი, ამინდი კი მართლაც შესანიშნავი იდგა...

– რა დიდებული ამინდია!

– დიახ, დიახ!

ეს სიტყვები დღეს დილას სუძიუდან გამოსვლისას გავიგონე. გამარჯობის მაგივრად აქაური გლეხები ამ სიტყვებით ესალმებიან ერთმანეთს. თან – «კარგი» კი არა, «დიდებული» ამინდიაო... ამ უცნაური მისალმების გაგონებაზე ერთბაშად როგორღაც დავმშვიდდი.

ამინდი კი მართლაც დიდებული იდგა. გზისპირებში ბალახი ბიბინებდა. არ ვიცი, მისკანტი იყო თუ მინდვრის სხვა რაღაც სარეველა ბალახი – ახლად ამოსულ მზის სხივებზე ნელა ირწეოდა, ვერცხლისფრად ღელავდა. მარცხნივ, მთის ძირას, კრიპტომერიის ხეები იყო აღმართული. ხეებსა და ხეებს შუა ლურჯად ჩაწოლილიყო ბინდისფერი ჩრდილი. ბრინჯის ნათესებს შორის, მიჯნაზე, ნეჭა იყო ჩაფენილი, ნეჭაზე წითელკიმონოიანი ბავშვი იჯდა, ზურგზე მოკიდებულ თეთრ, პატარა ტომსიკაში საჭმელი და სათამაშოები ელაგა. ამ ადგილებში, თურმე, ნაადრევი სიცივე და სუსხი იცის. ამიტომ ცდილობენ, სიცივეებს დაასწრონ, ბრინჯი დროზე დარგონ... ბრინჯის დარგვის დრო რომ დადგება, მინდვრებში კოცონებს ანთებენო. ახლა კი მზე უხვად აფრქვევდა სითბოსა და სინათლეს. თბილი ფეხსაცმელი გავიხადე და რეზინისძირიანი ბრეზენტის მსუბუქი ჩუსტები ჩავიცვი. ასე მეგონა, სულ ასეთი

სითბო იქნებოდა და სულ ასე მსუბუქად ვივლიდი.

სუძიუდან უღელტეხილზე ასვლა, ალბათ ალპური გზებითა და მთის ბილიკებითაც შეიძლება, მაგრამ გადავწყვიტე, ჰანდასთან გავსულიყავი, სადაც ფოსტა და სკოლაა, იქიდან კი ზეგან-ზეგან მევლო და ბარემ კუჯის მთების ცქერითაც დავმტკბარიყავი. ეს გზა შედარებით იოლია, სუგამორის უღელტეხილამდე სულ ვაკეზე უნდა იარო, მერე კი ამ უღელტეხილს გადაივლი და ჰოკეინისკენ დაეშვები.

მთლიანად ქედს კუჯი ჰქვია. ქედზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ჩარიგებული რამდენიმე მაღალი მწვერვალია: კუროგატაკე, ტაისენძანი, კუჯისანი, მიმატაიამა, კუროივასანი, რიოშიგატაკე, ვაიტაიამა, იჩიმოკუსენი და სენსუისანი... ამ მთების ჩრდილოეთით ჰანდას ვაკობია გაჭიმული.

მთების ჩრდილოეთით... დიახ, დიახ, მთელი ჰანდას ვაკობი ამ მთების ჩრდილოეთით მდებარეობს. თუმცა ვაიტაიამას მთა, მაგალითად, დასავლეთით აკრავს, კუეჰირას მთა – აღმოსავლეთით. ეს მრგვალი ვაკობი მთებს თითქოს ხელში აუტატებიათ, მაღლა-მაღლა ეწევიან, თითქოს რაღაც ჯადოსნური უხილავი ფსკერიდანაა ამოტივტივებული და ჰაერში ლივლივებს... მთები ოქროსფერ სამოსშია გახვეული. მზეში მოლივლივე მისკანტი ვერცხლისფრად ირწევა და ასე გგონია, მთელი დაბლობი ღია იასამნისფერი ტალღებით არის დაფარული. ჰანდას ვაკობის სიმაღლე ათასი მეტრია, მისი განაკვეთი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ – რვა კილომეტრი.

მე იგი სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადავკვეთე. დაახლოებით შუა გზაზე რომ ვიყავი, იქ, სადაც წინ მხოლოდ გაშლილი სივრცეა, მიმატაიამასა და ჰოშიოძანის მთებს შორის, მსუბუქი კვამლი გამოჩნდა: კვამლი ივოსანის მთიდან ამოდიოდა – მთა ბოლავდა. ირგვლივ ცა მოკრიალებული იყო, მხოლოდ ვაიტაიამას მწვერვალის თავზე მიცურავდა ღრუბლის თეთრი, პატარა ნაგლეჯი... ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვიყავი – მე ხომ ჯერ კიდევ ტოკიოში ვოცნებობდი ჰანდას ზეგანის «დიდებულ ამინდზე».

ბუნება აქ საოცრად ლბილია და ლირიკული, ჰაერი – გამჭვირვალე, ფერები – არაჩვეულებრივად სუფთა და ნათელი.

ყველა, ვისაც კი ოდესმე ეს ადგილები უნახავს, მეტისმეტად პოეტურსა და რომანტიკულს უწოდებს და ალბათ ასედაც არის. თუმცა პირადად მე ვერაფერს შევადარებ, ვინაიდან, ამ მოგზაურობამდე სინანოს ალპური საძოვრების მეტი არაფერი მინახავს. აქ ისეთი სიმშვიდეა... ისეთი სილამაზეა!.. სინათლე, სივრცე, შორეთს იქითა შორეთი... ვაკობი თითქოს გათბობს, გეალერსება, გულს სინაზითა და სინატიფით გივსებს. სამხრეთით აზიდული მთების სილუეტი ლბილია, კეთილშობილებით აღსავსე. დატყვევებული შეჰყურებ ბეპუს ნავსადგურს ირგვლივ შემოჯარულ, ჰაერში გაქვავებული ტალღებივით მრგვალად დაკვერცხილ მთებს, ასევე სრულიად განსხვავებულსა და განსაკუთრებულს და ცაში აზიდული მწვერვალების საოცარი ჰარმონიულობითა და გულგახსნილობით მოჯადოებული რჩები, რაც, ცხადია, სრულიად უჩვეულოა ასეთი სიმაღლის მწვერვალებისათვის (კუჯისანის სიმაღლე ხომ ზღვის დონიდან ათას შვიდას ოთხმოცდაექვსი მეტრია! იგი კიუსიუს ყველაზე მაღალი მთაა). სიმაღლის მიხედვით მეორე – ტაისენძანია. დიდებულია მიმატიამა და ჰოშიოჯანიც, რომელთა სიმაღლეც აგრეთვე ათას შვიდას მეტრამდე აღწევს. ასეთი მაღალი მთა აქ დაახლოებით ათი მაინც იქნება. მაგრამ ეს მთები თავიანთი სიმკაცრითა და მიუკარებლობით არ გთრგუნავენ, მით უმეტეს, ათასი მეტრის სიმაღლის ზეგანზე თუ დგახარ და მთებს ათასი მეტრის სიმაღლიდან გაჰყურებ... ყველა ეს მთა თითქმის ერთი სიმაღლისაა, მწვერვალებს შორის განსხვავება თითქმის არ არის. ირგვლივ აქაც საოცარი შუქია განფენილი – ეს ხომ სამხრეთის მხარეა, თან არც ზღვაა მაინცდამაინც შორს.

დაახლოებით შუა გზაზე რომ მივედი, ცოტა ხანს ჩავიმუხლე, ჩიოძიაბარას ველზე კი დიდხანს, დიდხანს ვიჯექი ფიჭვებქვეშ. ფიჭვები ველზე ჯგუფ-ჯგუფადაა გაბნეული. ისეთი ფიჭვნარი მოვძებნე, რომლის ძირშიც ხშირი, მაღალი ბალახი ბიბინებდა. ცოტაოდენი მანძილი რომ გავიარე, დავჯექი და ვისადილე. უკვე ორი საათი იქნებოდა. მაღალ, ჭალასავით წამოსულ ბალახს შრიალი გაჰქონდა. იქ, სადაც მზის სხივები პირდაპირ სცემდა, შეყვითლებულ ბალახს მსუყე ოქროსფერი დასდებოდა, იმ ადგილას კი, სადაც მე ვიჯექი, ბალახი მზის ალმაცერად წამოსულ სხივებში იყო გახვეული და ნაირფრად ელავდა. თითოეულ მთასაც თავისი განსაკუთრებული ფერი ჰქონდა. ასე მეგონა, ბუნების ლაჟვარდოვან სრა-სასახლეში

გახლდით დაბრძანებული და ძოწითა და ოქროთი პირშემოსილი მთების ფერადი ვიტრაჟიდან უკიდეგანო სამყაროს გავცქეროდი.

– ღმერთო ჩემო! ღმერთო, რა სილამაზეა! – წარმოვთქვი ხმამაღლა... მერე ერთბაშად ცრემლი მომეძალა და მისკანტის ღეროთა ვერცხლისფერი ჭავლი თვალებში ნაცრისფრად ჩამებინდა. მაგრამ ცრემლი კი არ აღრმავებდა სევდას, ცრემლს სევდა თან მიჰქონდა. აქ, მამაჩემის სამშობლოში, იმიტომ ჩამოვედი, რომ თქვენი სიყვარულით აღსავსე აქ, ამ არემარეში, გამოგთხოვებოდით სამუდამოდ. დაე, ცრემლმა თან წაიღოს ჩემი წარსული – ჩემი ცოდვა და სინანული. სხვაგვარად ალბათ ვერასოდეს შევძლებლი თქვენს დათმობას, თქვენთან განშორებას... ვერასოდეს შევძლებდი ახალი ცხოვრების დაწყებას... მიუხედავად ამისა, დღეა თუ ღამეა, მაინც დღენიადაგ თქვენზე ვფიქრობ... აქ, ამ მაღალმთიან ვაკობზე, შორს ყოველივე იმისაგან, რაც გადამხდა, ფიქრით ისევ და ისევ თქვენთანა ვარ, გთხოვთ, მაპატიოთ... ვფიქრობ... სულ ვფიქრობ, რომ ამ ფიქრებით სამუდამოდ გამოგემშვიდობოთ... ნება მომეცით, ვიარო ამ ზეგანზე, მთების ცქერით დავტკბე და მხოლოდ თქვენზე ვიფიქრო...

ახლაც ვზივარ ამ ფიჭვების ჩრდილში და ჩემი ფიქრები თქვენკენ მოისწრაფიან. ერთ ადგილას გარინდებულს განძრევისაც კი მეშინია. აჰ, რა იქნებოდა ახლა, ამ ნათელ წუთებში, ზეცად ავმაღლებულიყავი!.. მე ხომ ისედაც ზეციურ სასახლეში ვარ! და აი, აღტაცებისაგან გაოგნებულმა თქვენზე – თქვენს მომავალ კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე ლოცვა აღვავლინე...

«შეირთეთ, უსათუოდ შეირთეთ იუკიკო-სანი!..» – ვთქვი და ამ სიტყვებით საბოლოოდ გამოგემშვიდობეთ. დავიწყებით კი, როგორც ჩანს, ვერასოდეს დაგივიწყებთ. რა დღეშიაც უნდა ვიყო, როგორი მწუხარე, გულისმომკვლელიც უნდა იყოს თქვენი ყოველი გახსენება, მე მაინც გონებიდან არასოდეს ამომივა, რომ აქ, ამ მაღალი მთებისაკენ, თქვენთან, თქვენთვის გამოვესწრაფე და აქ, ამ მთებში გამოგემშვიდობეთ...

დღეიდან ჩვენ – მეცა და ჩემი დედაც – სამუდამოდ ჩამოგეცალეთ გზიდან...

უკანასკნელად გთხოვთ, მაპატიოთ.

გთხოვთ, აპატიოთ ჩემს დედას!..

ჰანდას ვაკობიდან სუგამორის უღელტეხილზე, ჩვეულებრივ, იმ გზით მიდიან, რომელიც მიმატაიამას მთის ძირას იწყება.

მე კი სხვა გზა ავირჩიე – გზა, რომლითაც მთიდან გოგირდი გააქვთ. იოძანი, ანუ გოგირდის მთა, რაც უფრო ახლოს მიდიხარ, მით უფრო შემზარავია. იმის გამო, რომ მწვერვალს თავზე მუდამ გოგირდის კვამლი ადგას, შორიდან ვულკანს წააგავს. იგი სრულიად შიშველი, მოტიტვლებული მთაა, მის ფერდობებზე არათუ ბუჩქს, ბალახსაც ვერსად დაინახავთ. მთის ქანები გოგირდისაგან ისეა გამოჭმული, თითოეული ქვაც კი კეთროვანი გეგონება. ირგვლივ ყველაფერი უღიმღამოა, ნახანძრალივით ჩაშავებულ-გადაყავისფრებული. გოგირდს, იოძანის მხარმარცხნივ, ერთი პატარა, მომცრო მთიდან იღებენ. ჩაუშვებენ დუმაროლში ცილინდრისებურ მილებს და ლოლუებად დალექილ გოგირდს აგროვებენ. ქვებზე კორწიალ-კორწიალით გოგირდის საბადოსთან მივედი, მაგრამ გოგირდის სუნსა და ბოლზე კინაღამ დავიხრჩე. ისე ვიყავი დაბორიალებული, უღელტეხილამდე ძლივსღა მივაღწიე.

უღელტეხილიდან ჩრდილოეთ სენრიგაჰამასაკენ რომ დავეშვი, უკვე საღამოვდებოდა. უკან რომ მივიხედე, ჩამავალი მზე ნელა ეშვებოდა ჰორიზონტისაკენ, თანდათან მთის მწვერვალებს ეფარებოდა, გოგირდის ხშირ კვამლში ახლა ბრდღვიალა მნათობს კი არა, მთვარის მიმცხრალ ლანდს ჰგავდა. წინ შემოდგომის წითელ-ყვითელი ფოთლების სტავრაში გახვეული, დაფიონის მეწამული ათინათით აკიაფებული ტაისენძანის მთა იყო აღმართული. მერე ციცაბო ფერდობით დაღმართ-დაღმართ დავეშვი და სულ მალე თავი ჰოკეინის ცხელ წყლებზე ამოვყავი.

საღამოს ბევრი ვწერე, მინდოდა, თქვენთვის დღევანდელი ამბები მომეთხრო – თქვენთან გამომშვიდობების მეორე დღის ამბები... მშვიდად იძინეთ, ჩემზე ნუ იდარდებთ».

5. «პატარა ქალაქი ტაკედა, 23 ოქტომბერი

აი, უკვე მამაჩემის მშობლიურ ქალაქში ვარ.

კლდეში გამოჭრილ გვირაბს რომ გავცდი, ტაკედაში რომ შევედი, უკვე ბინდდებოდა.

ჰეკეინის ცხელი წყლებიდან კუჯის ზეგანზე ჩამოვივაკე. პატარა ქალაქ კუჯიდან ტაკედამდე კი ავტობუსით სულ რაღაც ორმოცდაათი წუთის სავალი თუ იქნება.

საცხოვრებლად ბიძაჩემის სახლში დავბინავდი – სახლში, სადაც მამაჩემი დაიბადა. ვერ წარმოიდგენთ, რა უცნაური იყო ჩემთვის იმ სახლის დანახვა, სადაც იგი ამქვეყანას მოევლინა. აქეთ რომ მოვემგზავრებოდი, როგორღაც გაორებული ვიყავი – ერთი მხრივ, ეს ქალაქი ჩემთვის თითქოს სრულიად უცხო და შორეული იყო, მეორე მხრივ – მეტისმეტად მახლობელი და მშობლიური. მაგრამ, დავინახე თუ არა ბიძაჩემი, რომელიც ასე ძალიან ჰგავდა ჩემს მამას, ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დღეს პირველად წარმომიდგა მამაჩემის სახე ასე ცხადლივ და, უსახლკაროსა და მიუსაფარს, ერთბაშად ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს აღარც უსახლკარო ვიყავი, აღარც ასე ეული და მიუსაფარი.

ბიძაჩემმა რომ გაიგო, ბეპუდან ტაკედაში კუჯის გავლით ჩავედი, ძალიან გაოცდა. ალბათ იფიქრა, გულადი გოგო იქნება, ამ მთებში მარტო სიარულსა და სასტუმროებში ღამის თევას რომ არ შეუშინდაო. მე კი, მართალია, მთელი სულითა და გულით მეწადა ამ მთების მოვლა და მოხილვა, მაგრამ ტაკედაში წამოსვლამდე კარგა ხანს ვიყოყმანე, ვინაიდან მამის გარდაცვალების შემდეგ მის ნათესავებს მე და დედა თითქმის მთლიანად ჩამოცილებული ვიყავით, მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მათ წინაშე დედა თავს როგორღაც დამნაშავედ გრძნობდა.

– რატომ ტელეგრამა არ გამოგზავნე გემიდან, ბეპუში დაგხვდებოდი, ბეპუ ხომ აქვე, ყურისძირასაა, – მისაყვედურა ძიამ.

ბიძაჩემს წერილი კი მივწერე, მაგრამ დეპეშის გამოგზავნა აზრადაც არ მომსვლია, უბრალოდ, მომერიდა – ჩვენ ხომ არც ისე ახლო ურთიერთობა გვქონდა.

– რამდენის იყავი, მამა რომ გარდაიცვალა?

– ათი წლის.

– ათისა? – თქვა ბიძაჩემმა და შემომხედა, – იცი, ზედგამოჭრილი დედა ხარ, ძალიან ჰგავხარ. მართალია, ერთმანეთს ხშირად ვერ ვხვდებოდით, მაგრამ, დაგინახე თუ არა, მაშინვე დედაშენი გამახსენდა. სხვათა შორის, მამასაც

ჰგავხარ, აი, ყურები სულ მამას გიგავს. დიახ, დიახ, ჩემს ძმასაცა და, საერთოდ, ჩვენ, ოოტებს, – ყველას ასეთი ყურები გვაქვს!

– მე კი, იცით, შემოგხედეთ თუ არა, მაშინვე მამაჩემი გამახსენდა.

– აბაა!..

– მინდოდა მანამდე მენახეთ, სანამ მუშაობას დავიწყებდი. მერე ალბათ წასასვლელ-წამოსასვლელად ვეღარ მოვიცლი...

ვერ მოვიცლი-მეთქი, განგებ ვუთხარი. არ მინდოდა ძიას ასე ეფიქრა, რჩევა-დარიგების საკითხავად ჩამოვიდა – მარტოხელამა და მიუსაფარმა, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, როგორ ვიცხოვროო... დედა რომ გარდაიცვალა, ნათესავებმა ისიც არ ჩათვალეს საჭიროდ, მოესამძიმრებინათ და ორიოდე თბილი სიტყვა ეთქვათ. მართალია, კიუსიუდან გემით დაკრძალვას ვერ მოუსწრებდნენ, არც დაკრძალვა იყო მთლად ჩვეულებრივი, მაგრამ... ტაკედაში წამოსვლა რომ გადავწყვიტე, მხოლოდ ერთი სურვილი მამოძრავებდა, ჩამოვსულიყავი მამაჩემის სამშობლოში, გამეხსენებინა ჩემი მამა – უბრალო, მხნე, ჯანსაღი ადამიანი და როგორმე იმ ავადმყოფურ ფიქრებს დავღწეოდი, ასე მორევივით რომ ჩამითრია. მიუხედავად ამისა, მაინც რაღაც სევდის მომგვრელი იყო ჩემი ეს ჩამოსვლა – იგი ლტოლვილის თავშეფარებას უფრო ჰგავდა.

დღეს დილას ჰოკეინში ჩვეულებრივზე ცოტა უფრო მეტხანს ჩამეძინა.

– დილა მშვიდობისა! – ოთახში სასტუმროს დიასახლისი შემოვიდა და ბოდიშის მოხდა დამიწყო, ვინაიდან, ჯერ თურმე წესიერად გათენებულიც არ იყო, რომ ბავშვებს ეზოში ხმაური დაუწყიათ. მე კი ისე ღრმად მეძინა, არაფერი გამიგია.

დიასახლისს ნომერში ის პატარა, თვალებბრდღვიალა გოგონაც შემოჰყვა – იდგა და ბებიას საუზმის გაწყობაში ეხმარებოდა. თურმე, ნუ იტყვი, ამ დილაუთენია მდინარეზე გადებული ხიდიდან გადავარდნილა. ეს ხიდი კი, რომელიც სასტუმროს მთავარ კორპუსს ფლიგელთან აკავშირებს, სიმაღლით დაახლოებით თხუთმეტი შიაკუ მაინც იქნება. საბედნიეროდ, ბავშვი სამ კაჭარს შორის გაჩხერილა, ისეთი არაფერი სტკენია,

მაგრამ სიკვდილს ბედზე გადარჩენია. წყლიდან რომ ამოიყვანეს, ერთი ყვირილი და გნიასი აუტეხავს: ვაიმე, გეტები!.. ჩემი გეტები წყალმა წაიღოო...

მერე ტირილი დაუწყია. უფროსები, თურმე, თან ამშვიდებდნენ, თან ტუქსავდნენ – ერთხელაც იქნება, კიდევ ჩავარდები, ნახავ, რა დღეშიაც აღმოჩნდებიო...

იმას კი ასე უპასუხია:

– არა, აღარ მინდა... აღარ ჩავვარდები, ცოდო არ არის ჩემი კაბა? კაბა ხომ დამისველდებაო.

პატარა მდინარის ნაპირას, ქვებზე, გოგონას მუქი ლურჯი კასურის[50] კიმონო და პეპლებ და იორდასალამებმოხატული წითელი დაბამბული შემოსაცმელი შრებოდა. წითელი, უსახელო შემოსაცმელი და კიმონო – ბრდღვიალა, ახლად ამოსული წითელი მზე... რა მადლიანი, რა მშვენიერია სიცოცხლე! გოგონას კი ბედმა ნამდვილად გაუღიმა – მართალია, იმ სამ კაჭარს შორის სივრცე ისე ვიწრო იყო, ბავშვი ვერ ჩაეტეოდა, მაგრამ, საკმარისია, ოდნავ მარცხნივ ან მარჯვნივ მოხვედრილიყო, რომ ბოლომდე სული არ ჩაჰყოლოდა ან, უკეთეს შემთხვევაში, მთელი სიცოცხლე ხეიბარი დარჩენილიყო. კიდევ კარგი, ბავშვებს ყველაფერი ადვილად ავიწყდებათ – მეორე წუთს გოგონას უკვე აღარაფერი ახსოვდა. მე კი ეს ამბავი გონებიდან არ ამომდიოდა, ვუყურებდი და ასე მეგონა, ეს ის წყალში ჩავარდნილი გოგონა კი არა, სულ სხვა ბავშვი იყო.

დედას ვერაფერი ვუშველე, სიკვდილისაგან ვერ ვიხსენი, მე კი ცოცხალი დავრჩი. არ ვიცი, რამ გადამარჩინა, რამ შემინარჩუნა სიცოცხლე. ჩანს, სირცხვილით, გაწბილებით, ამქვეყნიური ცოდვებით დამძიმებულ დედამიწაზეც არის ისეთი ადგილები, სადაც შეიძლება ისევე გადარჩე, როგორც ის გოგონა გადარჩა ქვებს შორის. დიახ, ვფიქრობ... ვფიქრობ ამაზე და კიდევ უფრო გულმხურვალედ ვლოცულობ... თქვენთვის, თქვენი მომავალი ბედნიერებისათვის.

ჰოკეინიდან რომ მოვდიოდი, გოგონას ხშირ, მოკლედ შეკრეჭილ თმაზე ხელი გადავუსვი. ამ სასწაულებრივად გადარჩენილი ბავშვის შეხებამ გული სითბო-სიკეთით ამივსო, თითქოს მისი ბედის თანამოზიარე გამხადა.

მივაბიჯებდი ბოგაცურუს ტაფობზე და ტაისენძანის მთის ფერდობებზე შეფენილი შემოდგომის ფერადი ფოთლების აუწერელი სილამაზით ვტკბებოდი. ბოგაცურუს ტაფობი მიმატაიამას, ტაისენძანის, ჰეიძიგატაკეს და კიდევ სხვა რომელიღაც მთებს შორის არის მოქცეული. და აი, მიმატაიამას დღეს უკვე სულ სხვა მხრიდან შევხედე.

მერე თვალწინ ალპინისტთა საზოგადოების პატარა, ბუჩქებში მიყუჟული ქოხი და მისი შემოგარენი გადამეშალა. ბუჩქებს შორის გუგულის სელის მსგავსი, საუცხოო, არაცთუ ისე მაღალი, დაახლოებით ორი-სამი სუს სიმაღლის ღვია იყო ამოსული. აქა-იქ წითელი მოცვი ანათებდა. მე კი ჯერ კიდევ შორიდან დამაინტერესა ტაისენძანის მთის ოქროსფერი ფოთლებით გადაყვითლებულ ფერდობებზე მიმობნეულმა შავმა ლაქებმა. როგორც გამოირკვა, ეს თურმე შქერის ბუჩქები იყო. ამბობენ, აქ ისეთი შქერიც იზრდება, რომლის ვარჯი ზოგჯერ თურმე მთელ ექვს ჯიოზეა გადაშლილი. თვითონ ბოგაცურუს ტაფობიც აუარებელი ბლაგვფოთოლა შქერით არის მოფენილი. მისკანტი კი ამ ადგილებში რატომღაც მეტისმეტად დაბალია, მისკანტის საგველა – მეტისმეტად პატარა.

ამბობენ, დღეს დილას მწვერვალზე ტემპერატურა ნულამდე დაეცაო, სამაგიეროდ, ბოგაცურუში ნამდვილი პაპანაქება სიცხე იდგა. ასე გეგონებოდა, ეს წითელ-ყვითელი ფოთლები მზეს მცხუნვარებას ჰმატებდნენ.

ბოგაცურუს ტაფობზე გავიარ-გამოვიარე, მერე ტაფობს მეორე მხრიდან შემოვყევი და ისევ სასტუმროში მოვედი. ჰოკოდატიტოგის უღელტეხილზე ასვლა ყველაზე მოსახერხებელი სწორედ ამ მხრიდან არის. უღელტეხილს მოპირდაპირე მხარეს სადოკუბომას ღრმული აკრავს. ქვემოთ, ღრმულის დასწვრივ, სადოს ტბის სანაპიროები უამრავი ხმობაშეპარული ღიჭის ბარდითაა მოფენილი. ამის შემდეგ ნებავარიძაკის დაბლობით სულ ქვევითა და ქვევით უნდა მევლო. კუტამივაკარეს გზის გასაყართან რომ გავედი, თვალწინ კუჯის ტაფობი გადამეშალა. ვიწრო, ქვიან ბილიკს აქეთ-იქით შერეული ტყე მიუყვებოდა. მივდიოდი და გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ ფეხქვეშ აშრიალებული ხმელი ფოთლების ხმაური არღვევდა.

გზად კაცის ჭაჭანებაც არსად იყო. ვუსმენდი საკუთარი ნაბიჯების ხმას და ასე მეგონა, ბუნების სხეულზე თავად

მარტოობა მიაბიჯებდა. სიმიძუძანის მთის ფერდობებზე (იგი კუტამივაკარეს განშტოების მხარმარცხნივაა აღმართული) შემოდგომის ზღვად მოხეთქილი ულამაზესი წითელი ფოთოლი გიზგიზებდა... ამბობენ, ასოს მთის ხუთივე მწვერვალი აქედან ხელისგულივით მოჩანსო, მაგრამ ახლა ის ხშირ ღრუბლებში იყო გახვეული. სქელ ნისლში მხოლოდ კატამუკასა და სომოს მთაგრეხილები ილანდებოდა სულ ოდნავ. კუჯის ზეგანი ოც კილომეტრზე გაჭიმული ტრამალია, ასოს მთის ჩრდილოეთ კალთაზე იგი ნამიგონაჰარას საძოვრებს უერთდება. ჩემს ზურგს უკან, შორს, სადღაც, ხშირ ღრუბლებში გახვეული კუჯის მთები იყო აღმართული. მალე მაღალ, ლამის კაცის სიმაღლეზე გაზრდილი მისკანტის უსიერ ზღვას შევერიე. ეს საძოვრებიც რომ გავიარე, პატარა ქალაქ კუჯიში გავედი.

კუჯის სამხრეთ შესასვლელში ძველთაძველი, ნახევრად დანგრეული ბუდისტური ტაძარი დგას, რომელსაც საკმაოდ იშვიათი სახელი – «იკარაძი», ანუ ტახის, ირმისა და მგლის ტაძარი ჰქვია. იკარაძი და ჰოკეინი წმინდა ადგილებია. მათ მრავალი საუკუნის ისტორია აქვთ. თვითონ კუჯის მთები წმინდა მთებად ითვლება. მივდიოდი და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს წმიდათაწმიდა მიწაზე მივაბიჯებდი, რაღაც უზომოდ მშვენიერისა და დიადის მოზიარე ვიყავი.

ბიძაჩემის მთელ სახლში უკვე ყველას სძინავს, ამიტომაც გვიანობამდე ჯდომასა და წერას ვერიდები...

ძილი ნებისა!»

6. «პატარა ქალაქი ტაკედა, 24 ოქტომბერი

სადგურ ტაკედაში ჰოჰისენის ხაზზე ყოველი მატარებლის გასვლისას ერთსა და იმავე ფირფიტას უკრავენ. სიმღერას, რომელიც ამ ფირფიტაზეა ჩაწერილი, «მთვარე ციხის ნანგრევებს ზემოთ» ჰქვია. აქაურები ამბობენ, კომპოზიტორმა რენტარო ტაკიმ ეს მუსიკა ტაკედაში, ოკასიროს ციხის ნანგრევების შთაბეჭდილებით დაწერაო. იმპერატორ მეიჯის მმართველობის დაახლოებით მეოცე წელს[51], რენტარო ტაკის მამას ამ მხარეში მაზრის უფროსად დაუწყია მუშაობა. მამას რენტაროც თან ჩამოუყვანია და იმ გაძლიერებული ტიპის დაწყებით სკოლაში მიუბარებია, სადაც ჯერ ისევ სწავლების ძველი სისტემა იყო გამეფებული. როგორც ჩანს, ბიჭი ხშირად დადიოდა ამ ციხის ნანგრევებში სათამაშოდ.

რენტარო ტაკი მეიჯის მმართველობის ოცდამეთხუთმეტე წელს[52] ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა – ოცდახუთი წლის ჭაბუკი გარდაიცვალა, ესე იგი, ჩემზე სულ რაღაც სამიოდე წლით უფროსი...

მახსოვს, გიმნაზიაში მე და ჩემი ამხანაგი ხშირად ვიტყოდით ხოლმე, ნეტავი ოცდახუთი წლის მოვკვდეო. მგონი, ამას ჩემი ამხანაგი ამბობდა. თუმცა ახლა ეჭვიც არ მეპარება, რომ ამ სიტყვებს სწორედ მე ვამბობდი.

მანსუი ცუტიი, ავტორი ლექსისა «მთვარე ციხის ნანგრევებს ზემოთ», წლეულს გარდაიცვალა. ამ ცოტა ხნის წინათ კი, ტაკედაში, ოკასიროს ციხე-დარბაზის ნანგრევებს შორის, მისი ხსოვნის საღამო გაუმართავთ. მუსიკისა და ლექსის ავტორი ერთმანეთს ერთხელ, თურმე, ლონდონში შეხვედრიან, მაშინ მამაჩემი ჯერ ისევ პატარა ბიჭი ყოფილა. ვინ იცის, იქნებ უცხო ქვეყანაში სწორედ იმ ერთმა შეხვედრამ მისცა ბიძგი ახალგაზრდა მუსიკოსსა და პოეტს, რათა ისეთი ლექსი და სიმღერა შექმნილიყო, როგორიცაა «მთვარე ციხის ნანგრევებს ზემოთ». იქნებ, ასეცაა და არც არის ასე, ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი... კაცმა რომ თქვას, ან კი აქვს ამას რაიმე მნიშვნელობა? მთავარია, მათ შესანიშნავი სიმღერა დაგვიტოვეს. მთელ ამ არემარეში ალბათ ერთი კაციც არ არის, «მთვარე» არ ემღეროს.

«მე? მე რაღას დავტოვებ ჩვენი იმ ერთადერთი შეხვედრის შემდეგ? ბავშვს, რომელიც ისეთივე გენიალური იქნება, როგორიც რენტარო ტაკი იყო?» – გავიფიქრე გუნებაში და უმალვე შევცბი.

ახლა მე მამაჩემის სამშობლოში ვიმყოფები, იქნებ ამიტომ მომდის თავში ასეთი უცნაური აზრები? იქნებ თქვენც ამიტომ გიბედავთ, ამიტომ გწერთ ამგვარ რამეებზე? არ ვიცი, წარმოდგენილი გაქვთ თუ არა, რა დღეში შეიძლება ჩააგდოს ქალი ასეთმა აზრებმა, ასეთმა შიშმა და ასე ერთბაშად ანდეზე მოვარდნილმა სიხარულმა? იგი თრთის თავით ფეხებამდე ძრწოლაატანილი... ყოფილა კი ოდესმე თქვენი სული ისეთი მღელვარე და აფორიაქებული, როგორიც ახლა ჩემი სულია? რა უცნაური, რა უცხო, რა მოულოდნელი იყო ეს თრთოლა. უცბად ვიგრძენი, რომ ქალი ვარ... ვიგრძენი და თავი ოცნებას მივეცი – «რა იქნება, მართლაც...» ალბათ ბავშვს მარტოდმარტო გავზრდიდი, ჩემში საამისო ძალასაც ვგრძნობდი და გამბედაობასაც. და იცით რატომ? მხოლოდ და მხოლოდ

იმიტომ, რომ ჩემთვის – დედაჩემის შვილისათვის – ასეთი ბედისწერა გარდაუვალი იყო. გიკვირთ? მე კი ქალი ვარ და ამ უბრალო გაფიქრებაზეც საშინლად გავიტანჯე, ლამის სიკვდილის პირას მივედი... კიდევ კარგი, ყველაფერმა მალე გამიარა.

ჩემი მაშინდელი გულის ძგერა გამახსენდა, სადგურ ტაკედაში რომ ჩავედი და «მთვარე ციხის ნანგრევებს ზემოთ» მოვისმინე.

ვინაიდან გუშინ კუჯიდან მატარებლით კი არა, ავტობუსით ჩამოვედი, ეს სიმღერა დღეს დილას პირველად გავიგონე. ქალაქში სასეირნოდ გამოსული მივაბიჯებდი ხიდზე, ხიდს ქვემოდან «შემოდგომის წყლის დუდუნს» ვუსმენდი, რომ უცებ სიმღერა შემომესმა – სადგურში ფირფიტას ამღერებდნენ.

მუსიკით გადაბირებული სადგურამდე მივედი და მერე ისევ ხიდზე დავბრუნდი – მდინარე ხომ სადგურს ჩაუდის პირდაპირ. სიმღერა ჯერ ისევ ჟღერდა... ერთხანს ხიდის მოაჯირთან ვიდექი და სწრაფად მოჩუხჩუხე წყალს ჩავცქეროდი. ზევით, მდინარის აყოლებით, ნაპირი დამრეცია, ძლიერად დახრამული. საითაც გაიხედავ, ყველგან კლდეებია, კლდეებს შორის პაწაწინა სახლები, ნამდვილი ქოხმახებია ერთმანეთზე მიჯრილი. ერთ-ერთი კლდის პირას ვიღაც ქალი თეთრეულს რეცხავდა. სადგურს გაღმა კედელივით კლდე იყო აღმართული, კლდეზე წყლის პატარ-პატარა ჩანჩქერები მოჩქეფდა. უფრო შორს, მთის ფერდობებზე, ამაყად ტოტებგადაშლილ, შემოდგომის ხანძრით აბრიალებულ ხეებს მხოლოდ აქა-იქ თუ შემორჩენოდა სიმწვანე.

დავაბიჯებდი მამაჩემის მშობლიურ ქალაქში და თქვენზე ვფიქრობდი. ახლა უკვე ვიცნობ ამ ქალაქს – იგი პატარა, ერთი ბეწო ქალაქია. გუშინ კი ეს ვერ შევამჩნიე, ვინაიდან, აქ რომ ჩამოვედი, უკვე კარგად დაბინდებული იყო.

საოცარია, საითაც, ქალაქის რომელ მხარესაც არ უნდა წახვიდე, ყველგან ფრიალო კლდეებია. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ამიყვანეს და ოთხ კლდოვან მთას შუა ჩამსვეს.

გუშინ ბიძაჩემი პაპიროსს რომ ეწეოდა, ჩემი ყურადღება ასანთის კოლოფმა მიიქცია, რომლის ეტიკეტზედაც «იასამნისფერი მთები, ანკარა ნაკადულები და ტაკედელი მზეთუნახავები» იყვნენ გამოხატული.

– ზუსტად ისეა, როგორც კიოტოში! – ვუთხარი სიცილით ბიძაჩემს.

– აბა რა გგონია! ტაკედელი მზეთუნახავები უწინ საქვეყნოდ იყვნენ განთქმულები. აქ ხომ იუგეი[53] მუდამ დიდი წარმატებით სარგებლობდა, ვთქვათ, კოტოზე დაკვრა, ჩაის ცერემონიალი... რაც შეეხება წყალს – წყალი მართლაც გასაოცარი გვაქვს, არაჩვეულებრივად გემრიელი და ანკარა. აი, პატარა არხები თუ შეამჩნიე სახლებწინ? ამ არხებს აქ «იდეს» ეძახიან, ვინაიდან ჭის წყალს იგი მართლაც არაფრით ჩამოუვარდება. ბავშვობაში მე და მამაშენი ხანდახან პირშიაც კი ვივლებდით. ჭურჭელსაც უწინ იდეში რეცხავდნენ.

არ ვიცი, რით, მაგრამ ტაკედა მართლაც ძალიან ჰგავს კიოტოს; აი, თუნდაც თავისი ამ აუარებელი ტაძრით: ქალაქში, სადაც ათი ათასი მცხოვრებიც კი ძლივს იქნება, ათზე მეტი ბუდისტური და დაახლოებით ამდენივე შინთოისტური ტაძარია.

– ისე, ჩვენი მზეთუნახავები სულ აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ, აქ თითქმის აღარავინ დარჩა, – განაგრძო ძიამ და იმ ლამაზი ქალების ჩამოთვლას მოჰყვა, რომლებიც ტაკედადან ტოკიოში იყვნენ გადასული. თუმცა ბიძაჩემი ალბათ მთლად მართალი არ არის, ვინაიდან ქუჩაში სეირნობისას არაერთი ლამაზი, გემოვნებით ჩაცმული ქალი შევნიშნე. ქალაქის ბოლოს გვირაბს რომ მივუახლოვდი (გვირაბის თავში, ჩემს მხარეს, კლდე მეწამული ფოთლებით იყო გადაწითლებული, ბოლოში, გასასვლელთან კი მწვანე ხავსი ჰქონდა მოდებული), თეთრსვიტრიანი ლამაზი ქალიშვილი შემომხვდა, რომლის არაჩვეულებრივი სილამაზე მწვანე ხავსის ფონზე კიდევ უფრო თვალში საცემი იყო.

ტაკედას ცენტრი მოასფალტებული სავაჭრო ქუჩაა, ქუჩას საოცრად ლამაზი, გირლანდებიანი ფარნები ამშვენებს, ოღონდ, საკმარისია ოდნავ გვერდით გადაუხვიო, რომ თავი ერთბაშად პატარა, პროვინციულ ქალაქში ამოყო: წყნარი შუკები, ფარდულები, კუპრით გაჟღენთილი ფიცრის მჭიდრო მესერშემოვლებული ეზოები და ყველა ეზოში ქვითკირით ან ალიზით ნაგები თეთრად შეფეთქილი ბეღელი... მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, თავიდან არის აშენებული, ვინაიდან მეიჯის მმართველობის მეათე წელს,[54] ჩრდილოელთა და სამხრეთელთა ომის დროს, ქალაქი ერთიანად გადამწვარა და

მხოლოდ რამდენიმე სახლი გადარჩენილა ზევით, მთიან ნაწილში. შინ რომ დავბრუნდი, ისევ ტაკედაზე ჩამოვაგდე საუბარი.

– კი მაგრამ, ფუმიკო-სან, ამ ჩვენი ქალაქის კუთხე-კუნჭულის შემოვლა როდისღა მოასწარით? – გაოცდა ბიცოლაჩემი.

ნახევარი დღის განმავლობაში მე მართლაც ქალაქის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი დავათვალიერე, ვნახე სახლი, რომელშიც ტანომურა ჩიკუდენი ცხოვრობდა; მოვინახულე ტაბუსეს ნასახლარზე აგებული კირიშიტანების[55] საიდუმლო სამლოცველო, ნაკაგავას შინთოისტური ტაძრის ზარი «სანტიაგო», შინთოისტური ტაძარი ჰიროსე, ოკასიროს ციხის ნანგრევები, უოძუმის ჩანჩქერი თუ ბუდისტური ტაძარი ჰეკუინი.

ტაკედას მოსახლეობის უმეტესობა ჩიკუდენს დღემდე, თურმე პატივისცემით «ჩიკუდენ-სენსეის» ეძახის. ის გზა კი, რა გზითაც გუშინ მე კუჯიდან ჩამოვედი, თურმე ძველთაძველი ტრაქტია, რომელზედაც ოდესღაც ფეოდალები დადიოდნენ და თან დიდებული ამალა დაჰყვებოდათ... ამ ტრაქტზე უვლიათ ბუნგოს პროვინციის სწავლულებსა და მხატვრებს, ასე, მაგალითად, ჩიკუდენსა და ჰიროსე ტანსოს. აქ გაუვლია ჩიკუდენთან მიმავალ რაი სანიოსაც... ჩიკუდენისეულ სახლში ახლაც არის შემორჩენილი ჩაის პავილიონი, სადაც ჩიკუდენი და რაი სანიო თურმე სიამოვნებით შეექცეოდნენ ჩაის. ამ პავილიონსა და სახლს შორის, ბაღში, ფოთლებგაყვითლებული, ტოტებჩამოძენძილი ბანანის ხე დგას. იქვეა ხებუერაც და ისიც ბანანის ხესავით ფოთლებგაყვითლებული. ხეებს მზის სხივთა ათინათი დასთამაშებს. შემორჩენილია ჩიკუდენისეული ხეხილის ბაღიც, რომელში მოკრეფილი ხილითაც, როგორც ამბობენ, ჩიკუდენი თურმე რაი სანიოსაც უმასპინძლდებოდა. ასე მითხრეს, ხელოვნების მოყვარულები ამ პავილიონში, უბრალოდ, მარტო ჩაის დასალევადაც რომ შემოივლიან, მათთვის ზოგჯერ ჩიკუდენის სამხრეთული სკოლის მანერაზე შესრულებულ გრაგნილ ტილოებსაც გამოფენენ ხოლმეო.

კირიშიტანების საიდუმლო სამლოცველოც ჩიკუდენის სახლის მახლობლად მდებარეობს. ეს არის კლდეში გამოჭრილი საკმაოდ მოზრდილი მღვიმე, რომლის შესასვლელიც ბამბუკის ხშირი ბარდით არის დაფარული. სამლოცველოს ზარზე (ზარს სახელად «სანტიაგო» ჰქვია) ასეთი წარწერაა ამოტვიფრული:

«1612. SANTIAGO HOSPITAL». ტაკედას ძველთაძველი ციხის მფლობელი თურმე კირიშიტანი იყო.

ჩიკუდენის სახლის ეზოში ბაღის ფარანი – ორიბე დგას. ეზოს გალავნის გარეთ ბილიკია. ამ ბილიკს მარჯვნივ ზევით თუ აუყვები, მერე გალავნის მოპირდაპირე მხარეს გადახვალ და მხარმარცხნივ გაუხვევ, ერთ სახლს მიადგები, რომელშიაც, როგორც ამბობენ, დღესაც თურმე ფურუტა ორიბეს შთამომავლები ცხოვრობენ. სახლს შევხედე და გულმა ძგერა დამიწყო. გადმოცემის მიხედვით, ტაკედაში, თუ არ ვცდები, ფურუტა ორიბეს ვაჟიშვილი ჩამოსულა და სამურაების უბანში – კამიდონოტის ქუჩაზე დასახლებულა...

არა, მე ეს ალბათ არასოდეს დამავიწყდება! ენკაკუჯის ტაძარში, ჩაის ცერემონიალზე, სადაც მე თქვენ პირველად გიხილეთ, იუკიკო ინამურამ, სანამ ჩაის დაგისხამდათ, რომელი ფინჯნით მივართვაო? – ჰკითხა ჩიკაკო კურიმოტოს.

– რომელი? მგონი, ეს აჯობებს, აი, ეს ორიბე... – თქვა ქალბატონმა კურიმოტომ და დასძინა, რომ იგი მამათქვენის საყვარელი ფინჯანი იყო და რომ მამათქვენმა ეს ფინჯანი მას – ჩიკაკო კურიმოტოს აჩუქა. მაგრამ ორიბე ხომ მანამდე მამაჩემს ეკუთვნოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი დედამ იგი მამათქვენს უსახსოვრა...

იუკიკო-სანმა ჩაი, მართლაც, იმ ორიბეში დაგისხათ... მე ჯერ ისედაც თავის აწევას ვერ ვბედავდი, დედამ კი – ამ ფინჯნით მეც სიამოვნებით დავლევდიო!..

იქნებ იმ დღეს იმ ფინჯნით დედამ სწორედ ის საწამლავი შესვა, რომელიც წინასწარ ბედისწერისაგან იყო მისთვის გამზადებული...

არ მეგონა აქ, მამაჩემის სამშობლოშიაც თუ გამახსენდებოდა ასე ცხადად ის დღე და ჩაის ის ცერემონიალი! მაგრამ, თუ ის შავი ორიბე დღემდე ქალბატონ კურიმოტოსთანაა, ძალიან გთხოვთ, გამოართვით... გამოსტყუეთ როგორმე... და ისევე სამუდამოდ და უგზო-უკვლოდ გადაკარგეთ, როგორც მე გადაგეკარგეთ სამუდამოდ და უგზო-უკვლოდ...

ამ მოკლე დროში უკვე მოვასწარი მამაჩემის მშობლიური ქალაქის გაცნობა, ცხადია, ზოგადად. და აი, სამუდამოდ ვტოვებ აქაურობას – ალბათ აღარასოდეს მომიწევს აქ

ჩამოსვლა... ამაზე მხოლოდ იმიტომ გწერთ ასე ბევრს და ასე დაჟინებით, რათა აქ, მამაჩემის მშობლიურ მხარეში, გითხრათ ჩემი გამოსამშვიდობებელი სიტყვები... ეს წერილი ალბათ ვერასოდეს მოაღწევს თქვენამდე; თქვენ მას ალბათ ვერასოდეს წაიკითხავთ. მაგრამ თუ ოდესმე მაინც გადავწყვიტე და გამოვგზავნე, იცოდეთ, ის ჩემი უკანასკნელი წერილი იქნება...

დავათვალიერე აგრეთვე ოკასიროს ციხის ნანგრევები. იგი მართლაც ნანგრევებიღაა – კედლების გარდა თითქმის აღარაფერია შემორჩენილი. სამაგიეროდ, ციხესიმაგრის შუაგულში ერთი პატარა ბორცვია, რომელსაც თავის დროზე, ეტყობა, რაღაც სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. ამ ბორცვიდან შესანიშნავად მოჩანს მთელი იმ მხარის შემოგარენი. შემოდგომის ნათელი დღის ფონზე დავინახე კუჯის მთების წინ აღმართული სომოსა და კატამუკის მთები. ისინი შემოდგომის ოქროსფერ შუქში იყო გახვეული, ზეცა ლაჟვარდისფრად იყო მოკრიალებული. მხოლოდ ტაისენძანის მწვერვალს ჩამოსწოლოდა მსუბუქი ღრუბელი იმ პლატოსა და უღელტეხილის მხრიდან, საიდანაც ჩამოვედი.

მეგონა, საბოლოოდ დაგემშვიდობეთ იქ, მთაში, ფიჭვების ჩრდილქვეშ, ვერცხლისფრად მობიბინე მისკანტებს შორის... და აი, მე ისევ გამომშვიდობებაზე გელაპარაკებით. იქნებ ეს ერთგვარ სულმოკლეობადაც მოგეჩვენოთ – დროს განგებ წელავს, უნდა, რაც შეიძლება იქითა და იქით გადაწიოს საბოლოო განშორების წუთებიო. მაგრამ ეგ ჩემთვის სრულიად უცხო და შეუსაბამოა, ვინაიდან ჩემი გადაწყვეტილება – სამუდამოდ გადავიკარგო თქვენი ცხოვრებიდან – მტკიცეა და საბოლოო... ქალი ვარ, ვიცი, აღმოვაჩენ ამ ძალას ჩემს გულში.

გთხოვთ, მაპატიეთ უღირსს!..

და მშვიდად იძინეთ...

ჯერ ისევ გზიდან გწერდით, იუკიკო-სანი ითხოვეთ-მეთქი. ეს, რა თქმა უნდა, თქვენი საქმეა, თქვენ თვითონ უკეთესად იცით, როგორ მოიქცეთ. მე კი მხოლოდ ერთი რამ მინდა გახსოვდეთ – ის, რომ არც დედა და არც მე თქვენს ქორწილსა და ბედნიერებას ხელს არასოდეს შევუშლით. გთხოვთ, ძებნას ნუ დამიწყებთ, ნურსად, ნურასოდეს, ნურც ერთ ვითარებასა და გარემოებაში.

მთელი ამ ექვსი დღის განმავლობაში, რაც გზაში ვარ, სულ გწერთ და გწერთ, გწერთ ყოველგვარ წვრილმანსა და სისულელეს. რა აბეზრები, რა აუტანლები ვართ ეს ქალები! მაშინაც კი, როცა მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი – სამუდამოდ გამოგთხოვებოდით, მაინც სულ იმას ვესწრაფოდი, ჩემს სულში ჩამეხედებინეთ. ახლა კი, ასე მგონია, ეს ყველაფერი მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და რომ ქალისათვის მთავარი ეს კი არა, მთავარი ის არის, საყვარელი ადამიანის გვერდით იყოს, თუნდაც იმ ადამიანს იმისი არც სულისა გაეგებოდეს რაიმე, არც გულისა. ამწუთას კი, ღმერთმა უწყის, რა უფრო მწადია, რომელ გაგებაზე უფრო ვოცნებობ... იქნებ, სრულიად საწინააღმდეგოზეც კი?»

2.

საქორწილო მოგზაურობიდან დაბრუნებულმა კიკუჯიმ წერილები კიდევ ერთხელ გადაიკითხა, მაგრამ ეს ბარათები ახლა სულ სხვაგვარად აღიქვა, ვიდრე წელიწად-ნახევრის წინ.

თუმცა, როგორი იყო ეს «სხვაგვარად», არცთუ ისე ნათელი გახლდათ კიკუჯისათვის.

«ცარიელი სიტყვები»...

კიკუჯი სახლის წინ, ბაღში გამოვიდა. ეს იყო ვიწრო, ფიცრით შემოკავებული შიშველი ადგილი, რომელსაც ბაღისა არაფერი უგავდა. წერილების მოზრდილი შეკვრა მიწაზე დადო და ცეცხლი მოუკიდა, ნესტგამჯდარი ქაღალდი კი არ იწვოდა, ცეცხლი არა და არ ეკიდებოდა.

კიკუჯი ფურცლებს, ვინ იცის, მერამდენედ უკიდებდა ასანთს. ქაღალდი ყვითლდებოდა, ფუმიკოს მელანი ფერს იცვლიდა, მაგრამ ჩაფერფლილ ფურცლებს ნაწერი მაინც გარკვევით აჩნდა.

«დაიწვით, სიტყვებო, დაიწვით!»

ფურცლებს ცეცხლში ახლა უკვე თითო-თითოდ ყრიდა.

დიახ, ეს ბარათები დაიწვება, დაიწვება მელნით დაწერილი სიტყვები... მაგრამ შეძლებს კი კიკუჯი, ყველაფერი ცეცხლს გაატანოს... სახლისკენ ზურგშებრუნებულმა მესერს მზერა გააყოლა: ერთ ადგილას, მესერსა და მესერს შორის, ზამთრის

მზის ალმაცერი სხივი ატანდა.

– რა ქენით, ხომ მშვიდობით ჩამოხვედით?

ამ ხმამ... ამ მოულოდნელმა ხმამ, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, კიკუჯის სხეულში ცივად დაუარა – გალერეაში ჩიკაკო კურიმოტო იდგა.

– ასე უკითხავად და გაუფრთხილებლად... სახლში ასე როგორ შემოიჭერით?

– მაშ რა ვქნა, თუკი არავინ მხვდება, კაკუნზე თუ არავინ მპასუხობს? ისე, ახალდაქორწინებულთა ბინა მართლაც რომ სამოთხეა ქურდისათვის! თქვენ კი, ეტყობა, ჯერ მოსამსახურეც არ აგიყვანიათ. სხვათა შორის, პირველ ხანებში ეს არც ისე ცუდია – ახალი ცოლ-ქმრისათვის, აბა, მარტო ყოფნას რა სჯობია!.. იუკიკო-სანი, ეტყობა, შესანიშნავად გივლით...

– არა, მაინც საიდან გაიგეთ?

– რა? რა გავიგე საიდან, სადა ხართ და სად ცხოვრობთ? რა დიდი გაგებაც ამას უნდოდა, ნათქვამია, თავისი ბილიკი გველმაც იცისო...

– მართლაც რომ პირწავარდნილი გველი ხართ! – მოურიდებლად მიახალა კიკუჯიმ.

კაცმა რომ თქვას, ჩიკაკოს ამგვარ თავდასხმებს კიკუჯი, კარგა ხანია, შეჩვეული იყო. მამა რომ გარდაეცვალა, მაშინაც ასე მოულოდნელად წაადგებოდა ხოლმე თავს დედა-შვილს. მაგრამ ამ სახლში მისმა დღევანდელმა გამოცხადებამ ძველი სიძულვილი გაუათკეცა.

ჩიკაკომ კი, ვითომც არაფერიაო, მშვიდად განაგრძო:

– მგონი, გაყინულ სამზარეულოში დილიდან დაღამებამდე წყალთან ტრიალი იუკიკო-სანისათვის არც ისე ადვილია. გნებავთ, მე მოვალ, მე მოვეხმარები?

კიკუჯის ხმა არ გაუცია, თავი არ მოუბრუნებია.

– ფუმიკო-სანის წერილებს წვავთ?

ვაჟი ზურგშექცევით იყო ჩაცუცქული, ყოვლად შეუძლებელია,

ჩიკაკოს ფუმიკოს წერილები დაენახა.

– თუ ეს მართლაც ასეა, თქვენც ახლა ალბათ ცეცხლი გაქვთ შეკიდებული... ისე, რომ იცოდეთ, შესანიშნავ საქმეს სჩადიხართ.

– როგორც ხედავთ, მე უკვე საკმაოდ ხელმოკლე გახლავართ, მოსამსახურედ ვეღარავის დავიყენებ, მით უმეტეს, თქვენ! გასაგებია?

– ზედმეტად თქვენს შეწუხებასა და თავის გაბეზრებას არც ვაპირებ. მოგეხსენებათ, მე ჩემი საქმე უკვე გავაკეთე, იუკიკო-სანი და თქვენ ერთმანეთთან დაგაკავშირეთ, ხიდი გავდე თქვენ შორის. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვარ! როგორც იქნა, გული დავიმშვიდე, ახლა ისღა დამრჩენია, თქვენ გემსახუროთ...

დარჩენილი წერილები კიკუჯიმ უბეში ჩაიწყო და წამოდგა.

ჩიკაკომ, რომელიც ამ დროს გალერეის ზღურბლზე იდგა, კიკუჯის ერთი შეხედა და უკან დაიხია.

– რა იყო, რა დაგემართათ? რა საშინელი სახე გაქვთ? მე ხომ... მე ხომ... უბრალოდ, დახმარება მინდოდა!.. იუკიკო-სანს ჯერ ალბათ თავისი ბარგიც არ გაუხსნია...

– გაუხსნია თუ არ გაუხსნია, თქვენი საქმე არ არის!

– საქმე რა შუაშია! ნუთუ არ გესმით, გული სულ თქვენკენ მომიწევს, მზად ვარ, დღედაღამ გემსახუროთ.

თქვა ჩიკაკომ და იქვე უღონოდ ჩაიკეცა. მარცხენა მხარი უთამაშებდა, ძლივს სუნთქავდა, ეტყობოდა, შეშინებული იყო.

– კიკუჯი-სან, თქვენი მეუღლე ახლა ალბათ მშობლებთან წავიდა, არა? საქორწილო მოგზაურობიდან შინ მარტო, მეუღლის გარეშე რომ დაბრუნდით, იუკიკო-სანის მშობლები პირდაპირ შეშფოთებული არიან.

– აჰა, ესე იგი, იქაც მოასწარით მისვლა!

– მივედი და მივულოცე, აბა, რა უნდა მექნა?! თუ გეწყინათ, ბოდიშს გიხდით, – ამბობდა ჩიკაკო და კიკუჯის სახეში გამომცდელად მისჩერებოდა.

კიკუჯიმ, როგორც იქნა, თავს სძლია, ბრაზი დაიოკა:

– ჰო, მართლა, ის ფინჯანი... აი, ის შავი ორიბე რა უყავით? ისევ თქვენთან არის?

– რომელი, მამათქვენის ნაჩუქარი? დიახ, ჩემთან არის.

– ხომ არ მომყიდით?

– კი ბატონო... – იჭვნეული, გაოცებული თვალები ერთბაშად გესლით აევსო ჩიკაკოს, – კი ბატონო!.. ვერა და ვერ ველეოდი, მინდოდა, მამათქვენის სახსოვრად დამრჩენოდა, მაგრამ, რახან ასე დაჟინებით მოითხოვთ, კი ბატონო, გნებავთ, დღესვე მოგიტანთ იმ ფინჯანს... ალბათ გადაწყვეტილი გაქვთ, ისევ ჩაის ცერემონიალს მიჰყოთ ხელი?

– გთხოვთ, ახლავე მომიტანოთ!

– გასაგებია, ყველაფერი გასაგებია! მივრბივარ, ბატონო, მივრბივარ!.. რა გაეწყობა, ახლა, როდესაც ფუმიკო-სანის წერილები უკვე დამწვარია, ის დროა, ჩაი სწორედ იმ შავი ორიბეთი იგემოთ...

თქვა ჩიკაკომ და წინ ისე კისერწაგრძელებული წავიდა, თითქოსდა რაღაც უხილავი ზღუდე უნდა გაანგრიოსო.

კიკუჯი კვლავ ბაღში გამოვიდა, მაგრამ ხელები ისე უკანკალებდა, ასანთს ვერ იქნა და ვეღარ მოუკიდა.

ახალი ოჯახი

1.

კიკუჯი ხედავდა, მუდამ ხალისიანი, სწრაფი, ერთ ადგილას გაუჩერებელი იუკიკო ამ ბოლო დროს ხშირად იჯდა როიალთან და თვალგაშტერებული უაზროდ იყურებოდა.

როიალი ამ ახალ ბინაში როგორღაც დიდი და მოუხერხებელი ჩანდა.

იგი იმ სახელოსნოში იყო დამზადებული, რომელთანაც კიკუჯის რაღაც დროიდან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა. თავის დროზე მამამისი მუსიკალური საკრავების ფირმის

აუქციონერი იყო. ომის დროს ეს ფირმაც, სხვა დანარჩენთა მსგავსად, საბრძოლო იარაღის დამზადებაზე გადავიდა. ამ რამდენიმე წლის წინათ კი ფირმის ერთ-ერთმა ინჟინერმა გადაწყვიტა, ახალი მარკის როიალების გამოშვებას შესდგომოდა. როგორც მამამისის ძველი ნაცნობი, იგი ხშირად შემოივლიდა ხოლმე კიკუჯისთან და თავის ახლად წამოწყებულ საქმეზე უყვებოდა. სახლი რომ გაყიდა, კიკუჯი ადგა და მთელი ის ფული ამ წამოწყებაში დააბანდა.

და აი, მის ბინაში ახლა სწორედ იმ ახალი მარკის როიალის ერთ-ერთი საცდელი ნიმუში იდგა.

– თუ ამ როიალზე დაკვრა არ გეხერხება, შეგიძლია, შენი ძველი როიალი მოიტანო. იქნებ მე მერიდები, გეშინია, არ ვაწყენინოო?

უთხრა კიკუჯიმ, ვინაიდან ასე ეგონა, იუკიკოს ალბათ ეს როიალი არ მოსწონს, ალბათ ამიტომ ზის მის წინ ასეთი დაბნეული და გაშტერებულიო.

– არ მეხერხება? რატომ? აბა ამ როიალს დასაწუნი რა სჭირს?! – იკითხა გაოცებულმა იუკიკომ, – მართალია, ამ საქმეში დიდად გარკვეული არა ვარ, მაინცდამაინც ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ამწყობმა ხომ ძალიან აქო?

სიმართლე ითქვას, კიკუჯის თვითონაც მშვენივრად ესმოდა, როიალი აქ არაფერ შუაში იყო და არც იუკიკო იყო პიანინოზე დაკვრის ისეთი ოსტატი, რომ საკრავის რჩევა-რჩევაში შესულიყო.

– მე კი მეგონა, როიალი არ მოგწონდა. ზიხარ მის წინ დაბნეული და კლავიშებს ხელსაც არ აკარებ.

– როიალი აქ არაფერ შუაშია, – უთხრა გულწრფელად იუკიკომ, – ალბათ მოგეჩვენათ... კი მაგრამ, დაბნეულიაო, როდის შემნიშნეთ?

როიალი ქვევით, წინკარის გვერდითა, ევროპულ ყაიდაზე მოწყობილ სასტუმრო ოთახში იდგა, ამიტომ ვერც სასადილო და ვერც მეორე სართულზე მდებარე თავისი ოთახიდან კიკუჯი ვერ დაინახავდა, როგორ და რა სახით იჯდა იუკიკო როიალთან.

– ჰო, ჩავფიქრდები ხოლმე ხანდახან ისე, რაღაცაზე... ჩვენთან სახლში ხომ მუდამ გაუთავებელი ფუსფუსი და ხმაურია. ცოტა ხანს წყნარად რომ დავმჯდარიყავი, რაღაცაზე

ჩავფიქრებულიყავი, ამის საშუალება არასოდეს მქონია.

და იუკიკო თავის მშობლიურ სახლზე ფიქრმა გაიტაცა, სადაც გაიზარდა, სადაც ერთთავად მხიარული ქოთქოთი და ჟივილ-ხივილი იყო. მაშ, რა იქნებოდა, ისეთი ბედნიერი, ისეთი სისხლსავსე ოჯახი ჰქონდათ – დედა, მამა, დები, ძმები... და მუდამ უამრავი სტუმარი...

– სანამ ცოლად შეგირთავდი, ასე მეგონა, ძალიან ჩუმი და სიტყვაძვირი იყავი.

– მე? რას ბრძანებთ! ვერ წარმოიდგენთ, რა ყბედი და ენატარტარა ვარ... მართლა, მართლა! ხანდახან ვისხედით მე, დედა, ჩემი უმცროსი და და ენას არ ვაჩერებდით... არ ვიცი, იმ სამიდან შეიძლება მე უფრო ნაკლებს ვლაპარაკობდი, აი, დედას კი ნამდვილად არ შეუძლია ჩუმად ჯდომა. ლაპარაკს რომ დაიწყებს, განსაკუთრებით – თუ სტუმრებიც არიან, ვეღარაფრით გააჩერებ. იმ დროს ვცდილობდი, მე მაინც მელაპარაკა ნაკლები – რა მექნა, პირდაპირ უხერხულიც კი იყო. ალბათ თქვენც მოგაბეზრათ თავი იმ თავისი გაუთავებელი თავაზიანი ლაქლაქით. კარგად რომ ჩაუკვირდე, ასეთი დედის შვილი, შეიძლება, მართლაც სიტყვაძვირი და გულჩახვეული იყო... ჩემი უმცროსი და კი ზედგამოჭრილი დედაა, ყველაფერში დედას ჰბაძავს.

– როგორც ვიცი, დედაშენს უნდოდა, ჩემზე გაცილებით უკეთეს კაცს გაჰყოლოდი.

– დიახ!.. – გულწრფელად დაუქნია თავი იუკიკომ, – ახლა რა შედარებაა... ახლა ალბათ იმის მეათედსაც არა ვლაპარაკობ.

– ვის უნდა ელაპარაკო, მთელ დღეს მარტო ხარ.

– მაგრამ, შინ რომ მოდიხართ, მაშინ ხომ...

– სამაგიეროდ, სეირნობისას ტიტინებ დიდი სიამოვნებით!

და კიკუჯის მწუხრით მოცულ ქუჩებში თავიანთი ის სეირნობები ახსენდება: იუკიკო ლაპარაკობს, ენას არ აჩერებს, სიცოცხლითა და ხალისით არის სავსე... სულ გვერდით ეკვრის, ხშირად თვითონვე უკეთებს ხელკავს... იქნებ, სახლიდან გამოსულს თავისუფლების გრძნობა ეუფლება?

– რა თქმა უნდა! ჩვენ ხომ მუდამ ერთად ვსეირნობთ, მე ხომ

მარტო არასოდეს გავდივარ ქუჩაში, ჰოდა, აბა, რა უნდა ვქნა, მეც გელაპარაკებით და გელაპარაკებით... უწინ საიდანმე რომ დავბრუნდებოდი, ჯერ დედას მოვუყვებოდი ყველაფერს დაწვრილებით, მერე – მამას.

– მამას ეს ალბათ ძალიან სიამოვნებდა.

იუკიკომ კიკუჯის სახეში გამომცდელად შეხედა და ბოლოს თავი დაუქნია:

– ვერ წარმოიდგენთ, რა სასაცილო იყო, დედას რომ მოვუყვები დაწვრილებით, ახლა მამას ვუყვები ყველაფერს სიტყვასიტყვით. დედა კი არ მაცლის, მაწყვეტინებს, ერთსა და იმავეს ასჯერ მაინც მეკითხება, არადა, ყველაფერი უკვე ზეპირად იცის!..

მშობლიურ სახლსა და უსაყვარლეს ოჯახს მოწყვეტილი იუკიკო აი, ზის ახლა ამ უბადრუკ სასადილოში, თავის ქმართან ერთად... ნეტავი, რას გრძნობს, რას ფიქრობს, რას განიცდის? საკუთარი ცოლი კიკუჯის დღემდე გამოუცნობ, იდუმალებით მოცულ არსებად ეჩვენება.

პირველ დღეებში კიკუჯი იუკიკოს მუდამ რაღაც ახალსა და ახალს აღმოუჩენდა ხოლმე, მაგალითად, პაწაწა, თვალით უხილავ ღია ფერის ხალს წამწამებს შორის.

მისი ლამაზად მოხაზული, უმშვენიერესი ბაგე კი... მუდამ საოცრად უმანკო ეჩვენება კიკუჯის, მაშინაც კი, როცა კოცნის. ეს იქნება იმისი ბრალი იყო, მათ შორის კოცნის მეტი რომ არაფერი ყოფილა?

იუკიკოს გულში რომ იკრავდა, უცებ თვალებზე ცრემლი მოერეოდა – მისთვის ეს ქალი, ქალი, რომელთანაც მხოლოდ კოცნას სჯერდებოდა, უსაზღვროდ ძვირფასი და გულის ამაჩუყებელი გამხდარიყო.

მაგრამ იუკიკო ამით, ჩანს, დიდად არ იტანჯებოდა, ყოველ შემთხვევაში, ისე არ განიცდიდა, როგორც კიკუჯი. იგი კოცნაზე კოცნითვე პასუხობდა და მისთვის ეს ალბათ არაჩვეულებრივი სიახლე, საოცრება, ის კი არა, გულშეჯერებული სიყვარულიც იყო, ვინაიდან სხვა მან არაფერი იცოდა.

ხანდახან კიკუჯი იმასაც ფიქრობდა, ახალდაქორწინებულთა ამგვარ ურთიერთობას თავისებური სილამაზეცა აქვს, ეს

ყველაფერი ალბათ ამდენ ტანჯვად და ნერვიულობად არცა ღირსო.

თვითონვე უკვირდა, ირგვლივ ახლა ყველაფერი ლამაზი და გულისამაჩუყებელი რომ ეჩვენებოდა, თვით იუკიკოს მიერ დუქანში ნაყიდი თეთრი, ქათქათა კომბოსტო და თალგამიც კი! განა მხოლოდ ესეც საკმარისი არ იყო, რათა თავი ბედნიერ კაცად ეგრძნო! უწინ, როდესაც თავის ძველ სახლში მოხუც მოსამსახურე ქალთან ერთად ცხოვრობდა, სამზარეულოში შეხედვა აზრად არასოდეს მოსვლია, ბოსტნეულს ხომ საერთოდაც ვერ ამჩნევდა.

– არ გწყინდებოდათ იმ თქვენს ძველ სახლში მარტოდმარტოს? – ჰკითხა ერთხელ იუკიკომ, მაშინ ისინი ამ ბინაში ახალი გადმოსულები იყვნენ. ეს უბრალო შეკითხვა კიკუჯიმ იუკიკოს გულისხმიერებად მიიღო – ესე იგი, ცოლს ყველაფერი აინტერესებდა ქმრისა...

დილით, თვალს გაახელდა თუ არა, გვერდით ლოგინში იუკიკოს თუ არ დაინახავდა (თუმცა ეს სრულიად ბუნებრივი იყო, ვინაიდან საუზმის მოსამზადებლად ქალი მუდამ დილაუთენია დგებოდა), უცებ მოიწყენდა – მას ხომ ასე ძალიან უყვარდა მძინარე იუკიკოს ყურება!

ერთხელ კიკუჯი შინ მზის ჩასვლისას დაბრუნდა და შემოსულიც არ იყო, რომ კარის ზღურბლიდანვე იკითხა:

– იუკიკო, რა ჰქვია შენს სუნამოს – «პრინცი მაკიაველი?»

– რატომ მეკითხებით?

– ისე, უბრალოდ... დღეს ფაბრიკაში ერთ ქალს შევხვდი. დამელაპარაკა თუ არა, მაშინვე ის მითხრა, შენს სუნამოს რა ერქვა. ხომ წარმოგიდგენია, როგორ აქვს ზოგს ყნოსვა გაფაქიზებული...

– კი მაგრამ, როგორ უნდა გადასულიყო სუნი თქვენს ნივთებზე? – იუკიკომ კიკუჯის პიჯაკი ჩამოართვა და ცხვირი წაყო, – ა-ა, სულ არ დამავიწყდა! გარდერობში სუნამოს პატარა ფლაკონი მიდევს...

2.

თებერვლის მიწურულს, როცა სამი დღის გადაუღებელი წვიმის შემდეგ, საღამო ხანს, როგორც იქნა, გამოიდარა და ჩამავალმა მზის სხივებმა ღრუბლები ღია ვარდისფრად შეავარაყა, სახლში ჩიკაკო კურიმოტო გამოეცხადათ.

– აი, მოვიტანე ის შავი ორიბე, – თქვა ჩიკაკომ, ფინჯანი ორმაგი ბუდიდან ამოიღო, ჯერ ისევ წვიმისაგან დასველებულ ხელებში სიყვარულით შეატრიალ-შემოატრიალა და კიკუჯის წინ დაუდგა.

– ზუსტად ამ ფინჯნის დროა, აბა, დააკვირდით ამ ნახატს, ეს ხომ ეწრის გვიმრაა...

– ახლა მოგაქვთ, როცა ლამის დამავიწყდა კიდევაც? აკი შემპირდით, დღესვე მოვიტანო, მეგონა, გადაიფიქრეთ.

– ეს ფინჯანი ადრეული გაზაფხულისთვისაა, ზამთარში რატომ მომეტანა? სიმართლე რომ გითხრათ, ვერ ველეოდი, ვიცოდი, უკან არასოდეს დამიბრუნდებოდა. თქვენ ალბათ უცნაურად მოგეჩვენებათ, ამ ფინჯანთან განშორება მიჭირს-მეთქი, თუ ვიტყვი...

იუკიკომ ჩიკაკოს ჩვეულებრივად დაყენებული ჩაი მიართვა.

– ღმერთო ჩემო, ქალბატონო, რატომ შეწუხდით! – გაპრანჭულად წარმოთქვა ჩიკაკომ, – მთელი ზამთარი ალბათ მარტო უძღვებოდით საოჯახო საქმეებს, მოსამსახურე არ აგიყვანიათ, ასე არ არის? მიკვირს, როგორ გაუძელით.

– ეს იმიტომ, რომ ძალიან გვინდოდა, ცოტა ხანს მარტო გვეცხოვრა, ჩვენ გვერდით სხვა არავინ ყოფილიყო, – უპასუხა იუკიკომ და თავისი ამ გულახდილი პასუხით კიკუჯი დიდად გააოცა.

– აჰ, რა სისულელეს გეკითხებით, პირდაპირ უხერხულიც კია, – ჩიკაკომ ხელი ხელს შემოჰკრა და ისეთი სახე მიიღო, აქაოდა, მესმის, ყველაფერი შესანიშნავად მესმისო, – ქალბატონო, თქვენ, ალბათ გახსოვთ ეს ორიბე? მგონი, ამ ფინჯანთან უამრავი მოგონება გაკავშირებთ, ხომ ასეა? მე კი ამაზე უკეთესი საჩუქარი, მართალი გითხრათ, ვერაფერი მოვიფიქრე.

იუკიკომ გაოცებულმა შეხედა კიკუჯის.

– ქალბატონო, – განაგრძო ჩიკაკომ, – გთხოვთ, ჰიბაჩისთან

ახლოს გადმოჯექით, აგერ, ჩვენ გვერდით...

– ახლავე!

იუკიკო კიკუჯის გვერდით გადმოვიდა და ისე ახლოს მიუჯდა, იდაყვებით ლამის ერთმანეთს ეხებოდნენ.

– არა, თქვენი საჩუქარი არ მჭირდება, მე მხოლოდ ის გთხოვეთ, მომყიდეთ-მეთქი, – ამბობდა კიკუჯი და სიცილს (რაზე ეცინებოდა, თვითონაც არ იცოდა) ძლივს იკავებდა.

– როგორ არ გრცხვენიათ, კიკუჯი-სან, ნუთუ მართლა გგონიათ, რომ მამათქვენის ნაჩუქარ ფინჯანს მოგყიდით? არა, ჩემო კარგო, ჯერ ასე არ დავცემულვარ! – პირდაპირ მიახალა ჩიკაკომ. – ქალბატონო, რა ხანია ჩაის დაყენების თქვენეული ხელოვნებით არ დავმტკბარვარ. გულახდილად რომ გითხრათ, ჩემი მოსწავლეებიდან ეს საქმე ასე მოხდენილად, ასე მომხიბლავად და დიდებულად არავის შეუძლია. ამწუთშიაც თვალწინ მიდგას, ენკაკუჯის ტაძარში ამ ორიბეთი კიკუჯი-სანს ჩაი პირველად როგორ მიართვით.

იუკიკოს ხმა არ ამოუღია.

– ძალიან გთხოვთ, ჩაი დააყენოთ და თქვენს მეუღლეს ამ ფინჯანში დაუსხათ, მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ ტყუილად არ მომიტანია.

– იცით, ჩაის ცერემონიალის ჭურჭელი სულ არა გვაქვს, – თქვა იუკიკომ ისე, თავი არ აუწევია.

– რასა ბრძანებთ, რა ბევრი რამეც ამას უნდა! ერთი პატარა ჩაის ფუნჯი და მორჩა.

– დიახ...

– ძალიან გთხოვთ, გაუფრთხილდით ამ ფინჯანს!

– კი ბატონო...

ჩიკაკომ ახლა კიკუჯის შეხედა.

– ჭურჭელი არა გვაქვსო! შინოს ქოთანი ხომ...

– გვაქვს, მაგრამ იმ შინოს ჩვენ მხოლოდ ყვავილების ლარნაკად ვიყენებთ, – სიტყვის დამთავრება არ აცალა კიკუჯიმ.

ქალბატონი ოოტასეული შინოს ქოთნის გაყიდვას კიკუჯი ვერა და ვერ ბედავდა... მაგრამ ქოთანი ისე ჰქონდათ სადღაც კარადაში გადამალული, ლამის გადაავიწყდათ კიდევაც. მის ხსენებაზე კიკუჯი შეკრთა, გულმა გამალებით ცემა დაუწყო.

ბოლოს ცოლ-ქმარმა სტუმარი წინკარამდე მიაცილა.

ჩიკაკომ კარის ზღურბლს გადააბიჯა და ცას შეხედა.

– შესანიშნავი ღამეა! ცოტა დათბა კიდევაც... ცაც ისეთია, ასე გეგონება, რაც ტოკიოში ნათურები ანთია, მის თავზე გადმომხობილ ზეცაზეა არეკლილი!..

ამ სიტყვებით ჩიკაკო გასასვლელისაკენ გაეშურა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე მხარი შეშინებულივით უხტოდა.

იუკიკო ჯერ ისევ წინკარში იჯდა:

– «ქალბატონო»... «ქალბატონო»... ნეტავი, რას გადამეკიდა, რა საშინელებაა!..

– ჰო, საშინელებაა.. ალბათ ამის შემდეგ მაინც შეწყვეტს აქ სიარულს, – კიკუჯი ერთხანს წინკარში იდგა, – ცაზე კი მართლაც მშვენივრად თქვა: ცაც ისეთია, თითქოს რაც ტოკიოში ნათურები ანთია, მის თავზე გადმომხობილ ზეცაზეა არეკლილიო...

იუკიკო წამოდგა, წინკარის კარი გამოაღო, ცას შეხედა, ის-ისაა, ისევ უნდა მიეხურა, მაგრამ დაინახა, კიკუჯიც ცას გაჰყურებსო, და ჰკითხა:

– შეიძლება დავხურო?

– დიახ.

– მართლაც როგორ დათბა, არა?

ამ სიტყვებით ისინი სასადილოში შებრუნდნენ. იუკიკოს მაგიდიდან ორიბეს ფინჯანი უნდა აეღო, რომ კიკუჯიმ გასეირნება შესთავაზა.

მალე ისინი კერძო სახლების უბანში მთისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვნენ. ხალხის თვალს მიეფარნენ თუ არა, იუკიკომ კიკუჯის ხელი ხელში ჩაავლო. მართალია, ხელებს გულმოდგინედ უვლიდა, მაგრამ ზამთრის ცივი წყლისაგან

ხელისგულები გაუხეშებული ჰქონდა.

– ფინჯანს საჩუქრად ხომ არ გამოართმევთ, ხომ იყიდით? – ჰკითხა უცებ კიკუჯის.

– რა თქმა უნდა.

– ესე იგი, გასაყიდად მოიტანა? ასეც ვიფიქრე.

– არა, იმან არა, მაგრამ მე გავყიდი: ჩაის ჭურჭლის ვაჭარს მივყიდი და ფულს კურიმოტოს მივცემ.

– როგორ თუ გაყიდით? რატომ უნდა გაყიდოთ?

– იუკიკო, ხომ იცი, ხომ გაგებული გაქვს ამ ფინჯნის ამბავი? დღესაც და მაშინაც, ენკაკუჯის ტაძარში, ხომ გახსოვს, ჩიკაკო სულ იმას ამბობდა, ფინჯანი მამათქვენმა მაჩუქაო. მანამდე კი იგი ოოტების ოჯახის საკუთრება იყო. აბა ასეთი ბედის ფინჯანი...

– ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, თუ ეს ფინჯანი ნამდვილად ასე კარგია, რატომ უნდა გაყიდოთ, რატომ არ უნდა დავიტოვოთ?

– კარგი კი არა, კარგზე კარგია... მეც სწორედ ამიტომ მინდა, რომ კარგი კაცის ხელში მოხვდეს. მცოდნე, კეთილსინდისიერი ვაჭარი ისე მოიხმარს, როგორც წესი და რიგია... ჩვენს ხელში კი, აი, მაგალითად ჩემს ხელში, გინდა ყოფილა და გინდა არა, სულერთია, უკვალოდ უნდა იყოს დაკარგული...

წამოსცდა თავისდა უნებურად ფუმიკოს წერილში ამოკითხული სიტყვები. კიკუჯი ხომ სწორედ ფუმიკოს გამო ცდილობდა, ფინჯანი როგორმე კურიმოტოსათვის ხელიდან გამოეგლიჯა.

– ამ ნივთს თავისი ბედი, თავისი უჩვეულო ცხოვრება აქვს. ჰოდა, იცხოვროს ისევ იმ თავისი ცხოვრებით, უჩვენოდ. მართალია, ამ «უჩვენოდში» შენ სულაც არ იგულისხმები, იუკიკო, მაგრამ... გესმის, ასეთი ლამაზი, ასე ყოვლად სრულყოფილი ფინჯანი თავისთავად ადამიანის გულში მწარე ფიქრებსა და არაჯანსაღ გრძნობებს არასოდეს აღძრავს. და, თუ მაინც ვინმეში რაიმე ამგვარ განცდებს გამოიწვევს, დამნაშავე იქნება არა ფინჯანი, არამედ ადამიანი, მისი ხსოვნა, მისი გონება, ვინაიდან ჩვენ, ადამიანები, ვუყურებთ ასე

გულდამძიმებულნი. ადამიანები-მეთქი... ამ «ადამიანებში» კი სულ რაღაც ხუთ-ექვს კაცს თუ ვგულისხმობ. ჩვენამდე ასეული წლების განმავლობაში, ვინ იცის, რამდენი შეჰყურებდა სიამოვნებისაგან თვალებგაბრწყინებული, შეჰხაროდა, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ეს ფინჯანი, სულ ცოტა, ოთხასი წლისა მაინც არის, ასე რომ, დრო, რომლის განმავლობაშიც იგი მამაჩემის, ბატონი ოოტასა და კურიმოტოს ხელში იყო, მის ასაკთან შედარებით ცაზე წამიერად გადავლილი ღრუბლის უმნიშვნელო ჩრდილია. ამიტომაც, დაე, იმ ადამიანის საკუთრებად იქცეს, ვისაც იგი არავითარ მწარე მოგონებას არ აღუძრავს. დაე, ფინჯანმა ჩვენი სიკვდილის შემდეგაც იცხოვროს თავისი ცხოვრებით, დაე, ბოლომდე ასეთი სრულყოფილი და მშვენიერი დარჩეს.

– ჰო-ო? თუ ასეა, თუ გული ასე შეგტკივათ, იქნებ სულაც არ გაგვეყიდა? თუმცა, როგორც გენებოთ, ჩემთვის სულერთია.

– არა, კი არ შემტკივა, უბრალოდ, მინდა ამით ჩვენ მიერ დატოვებული ბინძური ნაკვალევი ჩამოვრეცხო... განა საშინელება არ იქნება კურიმოტოს ხელში მისი ჩატოვება!.. იქაც კი... ენკაკუჯის ჩაის პავილიონში, ფინჯანი ჯერ ისევ თავისთავადი იყო, იგი თავის მოვალეობას ასრულებდა, მოვალეობას, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ადამიანების უბადრუკ ურთიერთობებთან.

– თქვენი სიტყვებიდან გამოდის, რომ ფინჯანს ადამიანებზე მაღლა აყენებთ.

– რა ვიცი, შეიძლება... მართალი გითხრათ, მაინცდამაინც დიდად ვერ ვერკვევი ფინჯნებში, მაგრამ მას ხომ ასეული წლების განმავლობაში უვლიდნენ და ელოლიავებოდნენ ის ადამიანები, რომლებსაც მისი ფასი და ყადრი გაეგებოდათ. ხომ არ შემიძლია, ავდგე ახლა და დავამსხვრიო... განა არ სჯობს, ჩვენთვის ისევ უკვალოდ იყოს დაკარგული?!

– მე კი, მართალი გითხრათ, მირჩევნია ჩვენთან, ჩვენს ოჯახში დარჩეს, როგორც სამახსოვრო ნივთი ჩემთვისაც და თქვენთვისაც, – წარმოთქვა იუკიკომ მკაფიოდ, – ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნება, ამ ფინჯნის სილამაზე, რომლისაც მე ახლა არაფერი გამეგება, ჩემთვისაც ნათელი და გასაგები გახდეს. ის კი, აქამდე რა იყო და როგორ იყო, მართალი გითხრათ, სულაც არ მანაღვლებს... ვთქვათ, გაყიდეთ, როგორ

გგონიათ, მერე ხომ არ ინანებთ?

– არა! ფინჯანი სამუდამოდ უნდა მოვიშოროთ, იგი ჩვენთვის უკვალოდ უნდა იყოს დაკარგული. რას იზამ, ასეთია მისი ბედისწერა.

სიტყვა «ბედისწერის» წარმოთქმაზე კიკუჯის თვალწინ ფუმიკო წარმოუდგა.

სეირნობიდან შინ ისინი საათ-ნახევრის შემდეგ დაბრუნდნენ.

იუკიკოს, ის-ის იყო, კოტაცუსათვის ჰიბაჩიდან ნაღვერდალი უნდა ამოეღო, რომ უცებ კიკუჯის მიუტრიალდა და მისი ხელი ხელისგულებში ისე მოიმწყვდია, თითქოს უნდა აგრძნობინოს, ცალი ხელისგული რა ცივი აქვს, მეორე კი – რა თბილი.

– ქალბატონი კურიმოტოს მოტანილი ნამცხვარი ხომ არ მოგართვათ?

– არა, არ მინდა.

– მარტო ნამცხვარი კი არა, რუხი ჩაიც მოგვიტანა, კიოტოდან გამომიგზავნესო, – უთხრა იუკიკომ.

ფუროშიკიში გამოკრულ ფინჯანს კარადაში რომ ინახავდა, ერთი პირობა კიკუჯიმ გუნებაში გაიფიქრა, ამ ფინჯანთან ერთად, მოდი, შინოს ქოთანსაც გავყიდიო.

იუკიკომ სახეზე მალამო გადაისვა, თმიდან სარჭები გამოიძრო და დასაწოლად შეემზადა.

– რას იტყვით, თმა ხომ არ შევიჭრა? ვაითუ მეუხერხულოს შიშველი კისრით სიარული?

გრძელ, გაშლილ თმას რომ ივარცხნიდა, თმა წუთით კეფაზე აიკეცა, რათა ქმრისათვის ეჩვენებინა, როგორი იქნებოდა მოკლედ თმაშეჭრილი და კისერმოშიშვლებული. მერე სარკესთან სახე სულ ახლოს მიიტანა და ბლონდის ნაჭრით ტუჩებზე დიდხანს, დიდხანს იწმინდა პომადა.

იწვნენ სიბნელეში ერთმანეთს ჩახუტებულები და თავიანთი სხეულის სითბოს ერთმანეთს უზიარებდნენ. მერე კიკუჯის თანდათან ჩვეული სევდა მოეძალა – როდემდე, როდემდე უნდა ებღალა ეს ურთიერთბნედვა, ჯერ ისევ უმწიკვლო და შეუბღალავი? იუკიკო წმინდაა... განა შეუძლია რაიმეს ჩირქი

მოსცხოს, შებღალოს ჭეშმარიტი უბიწოება? სიწმინდე ხომ ყველასა და ყველაფერის შემნდობია! მაშ, რატომ არ შეიძლება... – კიკუჯის გონებაში ერთმანეთს ენაცვლებოდა ეს ეგოისტური აზრები, რომლებშიაც იგი ხსნასა და გამოსავალს ეძებდა.

ბოლოს იუკიკოს ჩაეძინა და მის მკლავებში მომწყვდეულ ქალს კიკუჯიმ ხელი შეუშვა – მეტისმეტად მწარე და სევდის მომგვრელი იყო ცივ ლოგინში გადასვლა, – არა, არ უნდა მეთხოვა ცოლიო, – გაიფიქრა.

3.

მთელი ორი საღამო მზის ჩასვლის წინ ცის დასალიერი მკრთალი ვარდისფერი შუქით იყო გაფერადებული.

ელექტრომატარებლით შინისაკენ მიმავალი კიკუჯი ახლად აგებული შენობების ფანჯრებს გაჰყურებდა. ყველა ფანჯარა განათებული იყო, მაგრამ როგორღაც უღიმღამოდ, უსხივოდ. გაოცებულმა ერთი კი გაიფიქრა, რა უცნაურიაო, რომ უცებ მიხვდა, სახლები ლუმინისცენტური ლამპებით იყო განათებული. ამდენ სახლში ერთ ფანჯარასაც ვერ დაინახავდი ჩაბნელებულს. ასე გეგონებოდა, თითოეული ოთახი ახალმოსახლეობის სიხარულის შუქს გაენათებინა. ახალმშენებლობის გასწვრივ, ცაზე, სავსე მთვარე იყო გადმოკიდებული.

კიკუჯი სახლს რომ მიუახლოვდა, ვარდისფრად გაკაშკაშებული ცის ტატნობი თანდათან ჩაქრა, მუქ ვარდისფრად აელვარებული საღებავი თანდათან ჰორიზონტისაკენ ჩაიწურა, იქ, სადაც ეს-ესაა მიმწუხრის მზე ჩაესვენა და ცის დასალიერი დაფიონმა ააპრიალა.

სახლისაკენ რომ შეუხვია, კიკუჯი რატომღაც აღელდა, პიჯაკის შიდა ჯიბეში ქვითარი მოისინჯა.

და აი, უცებ, იუკიკოს მოჰკრა თვალი. აჩქარებული ნაბიჯით იგი მეზობელი სახლის ჭიშკრიდან გამოვიდა და თავიანთი სახლის ჭიშკარში გაუჩინარდა.

– იუკიკო!.. იუკიკო!..

ძახილზე იუკიკომ ქუჩაში გამოიხედა.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ალბათ დამინახეთ, არა? – თქვა და სახე წითლად წამოენთო, – მეზობელმა ტელეფონთან მიმიხმო, ჩემი უმცროსი და რეკავდა.

– ჰოო?

კიკუჯისათვის ეს ამბავი მოულოდნელი აღმოჩნდა: არა, მაინც როდის აქეთია, მეზობლებში დაიწყო სიარული?

– იცით, ცა დღესაც ისეთი იყო, როგორიც გუშინ, მზის ჩასვლისას, ოღონდ ცოტა უფრო თბილი ფერი ჰქონდა, ეს იმიტომ, რომ მთელ დღეს არაჩვეულებრივად მზიანი და ჩახჩახა ამინდი იდგა...

იუკიკომ ცას ახედა.

კიკუჯიმ ტანსაცმელი გამოიცვალა, ჯიბიდან ქვითარი ამოიღო და ბუფეტზე დადო.

იუკიკო კიკუჯის ტანისამოსს რომ კეცავდა, ისე ჩაილაპარაკა, თავი არ აუწევია:

– ჩემმა დამ, კვირა საღამოს მე და მამა თქვენთან ვაპირებდით ჩამოსვლასო...

– ჩვენთან?

– დიახ.

– მერედა, რატომ არ გვესტუმრნენ? – გულწრფელად იკითხა კიკუჯიმ.

იუკიკოს ჯაგრისი ხელში გაუშეშდა.

– როგორ თუ რატომ? მე ხომ ამას წინათ წერილი გავუგზავნე, ვთხოვე, ჯერჯერობით ჩვენთან ნუ ჩამოხვალთ-მეთქი.

გაოცებისაგან შეცბუნებულ კიკუჯის ის იყო, უნდა ეკითხა, კი მაგრამ, რატომ, რა მიზეზითო, რომ უცებ მიხვდა, იუკიკოს ალბათ ეშინია მამამისის ჩამოსვლისა, ვაითუ მიხვდეს, აქამდე ჯერ კიდევ ნამდვილი ცოლ-ქმარი რომ არა ვართო...

მაგრამ იუკიკომ თავი სწრაფად ასწია და ქმარს სახეში ჯიქურ შეხედა:

– იცი, როგორ უნდა მამას ჩვენთან მოსვლა, ძალიან გთხოვთ,

დაპატიჟოთ...

– ნუთუ საგანგებო დაპატიჟებაა საჭირო? ამდგარიყო და ჩამოსულიყო, უბრალოდ, შინაურულად, – თქვა იუკიკოს თვალთა შუქით თვალმოჭრილმა კიკუჯიმ.

– გათხოვილ ქალიშვილთან... ეჰ, ეს ხომ არც ისე იოლი ამბავია...

თითქმის მხიარულად წარმოთქვა იუკიკომ.

ვინ იცის, კიკუჯი იქნებ მასზე მეტად უფრთხოდა მამამისის სტუმრობას? ქორწილის შემდეგ მას ხომ ცოლის ნათესავი ერთხელაც არავინ მოუპატიჟებია – არც მშობლები, არც და-ძმა, უბრალოდ, აზრადაც არ მოსვლია. ის კი არა, ლამის გადაავიწყდა კიდევაც, მის ცოლს მშობლები და ახლობლები რომ ჰყავდა. ისე იყო შთანთქმული იუკიკოსთან თავისი ამ უცნაური კავშირით, არც არავინ აგონდებოდა, არც არავისთვის ეცალა. ანდა იქნებ იუკიკოს გარდა არავისზე ფიქრი იმიტომ არ შეეძლო, მათ შორის არავითარი კავშირი და ურთიერთობა რომ არ იყო.

დიახ, არავისზე და არაფერზე არ ფიქრობდა კიკუჯი. მხოლოდ ქალბატონი ოოტასა და ფუმიკოს სახეები თუ ამოტივტივდებოდა მის მეხსიერებაში და მისი ამ უძლურების მიზეზიც, როგორც ჩანს, სწორედ ისინი იყვნენ. ამოილანდებოდნენ პეპლის აჩრდილებივით და დაიწყებდნენ ფარფატს პეპლებივით. ასე ეგონა, საკუთარი თვალით ხედავდა, ცნობიერების სიღრმიდან როგორ მოიზიდებოდა სიფრიფანაფრთებიანი აჩრდილი, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ეს ქალბატონი ოოტას აჩრდილი კი არა, მისი საკუთარი სინდისის აჩრდილი უფრო იყო.

აგერ ახლა იუკიკომ თავისი წერილი ახსენა, წერილი, რომელშიაც მშობლებს სთხოვდა, ჯერჯერობით სტუმრად არ სწვეოდნენ. ეს კი სრულიად საკმარისი იყო კიკუჯისათვის, რათა მიმხვდარიყო, როგორ იტანჯებოდა, რა საგონებელში იყო ჩავარდნილი იუკიკო. ჩიკაკო კურიმოტოს უკვირდა, ამ ცივ ზამთარში მოსამსახურის დაუქირავებლად იოლას როგორ გადიოდნენ. იუკიკოს კი ალბათ მოსამსახურისაც ეშინოდა, ფიქრობდა, იმ ვიღაც უცხო ქალს მათი ცოლქმრული ურთიერთობის საიდუმლო არ გაეგო. ამავე დროს კი, მუდამ შესანიშნავ გუნებაზე იყო. ერთთავად ბედნიერებისაგან გაბრწყინებული დადიოდა... და ეს ალბათ კიკუჯის

სიბრალულის გამო არა...

– წერილი როდის გააგზავნე, აი, არ ჩამოხვედითო, რომ სწერდი? – ჰკითხა კიკუჯიმ იუკიკოს.

– ახლავე გავიხსენებ... მგონი, შვიდი იანვრის შემდეგ... თუ გახსოვთ, როდის ვეწვიეთ ნაახალწლევს ჩემს მშობლებს?

– როდის და სამ იანვარს.

– იმ სამი იანვრიდან ასე ოთხი-ხუთი დღე თუ იქნებოდა გასული. გახსოვთ? ახალი წლის მეორე დღეს ჩემმა უმცროსმა დამ მარტომ მოგვილოცა, თან ბოდიშიც მოგვიხადა, დედასა და მამას არ ეცალათ, საახალწლოდ ძალიან ბევრი სტუმარი გვყავდა, ვინ აღარ მოვიდაო.

– კი, როგორ არა, მეორე დღისათვის იოკოჰამაშიაც დაგვპატიჟა, – თავი დაუქნია კიკუჯიმ, – მიუხედავად ამისა, მგონი, მაინც უხერხული იყო მშობლებისთვის ასეთი წერილის მიწერა... რაც არის, არის, მოდი, დავპატიჟოთ, აი, ვთქვათ, მომავალი კვირისათვის, კარგი?

– მართლა? რომ იცოდეთ, როგორ გაუხარდება მამას. მარტო მოსვლა რომ არ ეუხერხულოს, ვიცი, თან უმცროს დასაც წამოიყვანს. ის რომ იქნება, მეც თავს უფრო თავისუფლად ვიგრძნობ. ისე, რა უცნაურია, არა?

ალბათ დას რომ გვერდით დაიგულებს, შეძლებს, თავი უფრო ბუნებრივად დაიჭიროს, მშობლებს თავისი არაბუნებრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობა დაუმალოს, – გაიფიქრა კიკუჯიმ.

იუკიკო უცებ სადღაც გაქრა, ეტყობა, პატარა აბანოს გასახურებლად გავიდა. იქიდან მალე, მართლაც, წყლის ჭყაპაჭყუპის ხმა მოისმა. როგორც ჩანს, წყალს სინჯავდა, ცხელია თუ არაო.

– ვახშმის წინ ხომ არ იბანავებდით? – ჰკითხა იუკიკომ კიკუჯის.

– კი, როგორ არა.

აუზში რომ იჯდა, შემინულ კარს იქიდან იუკიკოს ხმა მოესმა:

– ბუფეტზე რა ჩეკი დევს?

– ფინჯნის ფულის ჩეკია, კურიმოტოს უნდა მივცე.

– ამდენი ფული ერთ ფინჯანში?

– არა, მარტო ფინჯანში არა, ქოთანიც გავყიდე.

– მაინც რამდენი გეკუთვნით ამ ფულიდან?

– დაახლოებით ნახევარი...

– ოო, ნახევარიც კარგა ბლომადაა!

– ჰოდა, მოვიფიქროთ, რაში დავხარჯოთ ეს ფული.

ფინჯნის თაობაზე იუკიკოსათვის ყველაფერი ცნობილი იყო. ამაზე გუშინ საღამოს სეირნობისას ისაუბრეს. აი, ქოთანზე კი არაფერი უთქვამს.

იუკიკო ისევ აბანოს შემინულ კარს უკან იდგა:

– არა, კი არ დავხარჯოთ, ამ ფულით, მოდი, აქციები ვიყიდოთ...

– აქციები?

კიკუჯის ეს ალბათ აზრადაც არასოდეს მოუვიდოდა.

– იცით, – იუკიკომ მინის კარი გასწია და აბანოში შევიდა, – ერთხელ მე და ჩემს უმცროს დას მამამ ფული გვაჩუქა, დაახლოებით ამ ფულის მეოთხედი – აბა, თქვენ იცით, როგორ გაზრდით ამ თანხასო! ჩვენც ავდექით და ფული ჩვენს მაკლერს ჩავაბარეთ. მაკლერმა კი იმ ფულით აქციები იყიდა. აქციების ფასი დაეცემოდა თუ არა, შეინახავდა, როცა აიწევდა, ძველებს გაყიდდა და ახლებს ყიდულობდა. ამასობაში კი თანხა ცოტ-ცოტას მატულობდა.

– ჰმ...

კიკუჯიმ უცებ იუკიკოს მშობლიური ოჯახის ცხოვრების წესი და ყაიდა მთელი სიცხადით წარმოიდგინა.

– მე და ჩემი და ყოველდღე ვათვალიერებდით გაზეთის იმ სვეტს, სადაც საბაჟო ბიულეტენები იყო გამოქვეყნებული.

– ახლაც გაქვთ ის აქციები?

– დიახ... მართალია, მე იგი თვალითაც არასოდეს მინახავს, სულ მაკლერთანაა, მაგრამ, როცა აქციების ფასი ეცემა, ჩვენ მას

არასოდეს ვყიდით, ამიტომ არც ზარალს განვიცდით, – თქვა გულუბრყვილოდ იუკიკომ.

– თუ ასეა, მოდი, ეს ფულიც მაკლერს ჩავაბაროთ, კარგი, იუკიკო-სან?

თქვა ღიმილით კიკუჯიმ და ცოლს შეხედა.

იუკიკოს თეთრი წინსაფარი ეკეთა, ფეხთ შალის მოკლეყელიანი წითელი წინდები ეცვა.

– შენც ხომ არ ჩამოხვიდოდი აუზში, ცოტას ხომ არ გათბებოდი?

იუკიკომ უცებ დაიმორცხვა, ლამაზი თვალები ძირს მოკრძალებით დახარა.

– არა, არ მცალია, ვაშხამი უნდა მოვამზადო.

თქვა და აბანოდან სასწრაფოდ გავიდა.

4.

შაბათს ისეთი ამინდი დაიჭირა, მარტი გეგონებოდა.

მეორე დღეს იუკიკო სტუმრად მამასა და თავის უმცროს დას ელოდა. ნავახშმევს იგი მარტო წავიდა საყიდლებზე და შინ დატვირთული დაბრუნდა, ყვავილებიც კი მოიტანა. გვიან ღამემდე სამზარეულოში იფუსფუსა, მერე სარკის წინ დაჯდა და თავისი ახალი ვარცხნილობა კარგა ხანს ათვალიერა.

– დღეს კინაღამ მართლა შევიჭერი თმა! თქვენ ხომ წინააღმდეგი არა ხართ? მამა კი... აი, ხვალ მამა რომ შემომხედავს, ვაითუ გული გაუსკდეს-მეთქი, ავდექი და მხოლოდ დავავარცხნინე... მაგრამ საშინლად დამვარცხნა, სულ არ მიხდება...

იგი კიდევ დიდხანს ათვალიერებდა საკუთარ სახეს სარკეში და თავის თავს ელაპარაკებოდა.

ბოლოს დაწვა, თუმცა ვერა და ვერ დამშვიდდა, ვერ დაიძინა.

«ნუთუ ასე ძალიან უხარია მამისა და უმცროსი დის სტუმრობა?» – გაიფიქრა კიკუჯიმ. მაგრამ, ეტყობა, უბრალოდ მოწყენილიაო, – ცოლს მკლავები ნაზად მოჰხვია და თავისკენ მიიზიდა.

– რა ცივი ხელები გაქვს, ასე რატომ გაიყინე!

იუკიკოს ხელები მკერდზე დაილაგა, ცალი ხელი კისერზე მოხვია, მეორე ღამის კიმონოს სახელოში შეუცურა და მხარზე მოუთათუნა.

– მომიყევით რამე!

სთხოვა იუკიკომ და თავი გვერდზე გასწია.

– მეღუტუნება! – თქვა კიკუჯიმ, ჩამოშლილი თმა ცოლს ყურსუკან გადაუწია, – გახსოვს, იზდუშიაც მთხოვე, რაიმე მომიყევიო.

– არა, არ მახსოვს...

კიკუჯის კი არასოდეს დაავიწყდება ის ღამე, უძირო წყვდიადში ჩანთქმული უმწეოდ ფართხალებდა, თვალებს ძალით ხუჭავდა, ცდილობდა, როგორმე ქალბატონი ოოტასა და ფუმიკოს სახეები წარმოედგინა, რათა ამით მაინც ეპოვა ძალა იუკიკოსათვის. ხვალ იუკიკოს მამა უნდა ჩამოვიდეს, იქნებ ამღამინდელმა ღამემ მაინც დაუდოს ზღვარი მის ტანჯვას? და აი, კიკუჯის ისევ ქალბატონი ოოტა გაახსენდა, ისევ მოაწყდნენ ქალბატონი ოოტასეული ტალღები, მაგრამ ამან კიდევ უფრო გააცხოველა მის გულში იუკიკოს სიწმინდისა და სისპეტაკის შეგრძნება.

– იუკიკო, იქნებ შენ თვითონ მომიყვე რაიმეს?

– არა, აბა მე მოსაყოლი რა მაქვს...

– ხვალ მამა რომ ჩამოვა, რას ეტყვი, რას აპირებ?

– რა უნდა ვუთხრა? რაც მომაფიქრდება, იმას ვეტყვი. მამას ძალიან უნდა ჩვენთან ჩამოსვლა... აი, ჩამოვა და ბედნიერებს რომ გვნახავს, ძალიან გაიხარებს, მისთვის ესეც საკმარისი იქნება.

კიკუჯი პირაღმა გაუნძრევლად იწვა, იუკიკომ მის მკერდში თავი წარგო და ისიც გაირინდა...

მეორე დღეს თერთმეტი საათი იყო დაწყებული, რომ იუკიკოს მამა და უმცროსი და ჩამოვიდნენ.

იუკიკო გახარებული დაფუსფუსებდა ოთახებსა და

სამზარეულოში. მთელ სახლში ყოველ წუთს დების გულიანი კისკისი ისმოდა. ის იყო, სადილად დასხდნენ, რომ ჩიკაკო კურიმოტო მობრძანდა.

– ესე იგი, გაყიდეთ ის ფინჯანი? მე იმიტომ გამომართვით, რომ გაგეყიდათ, არა? ვითომ ეს ფულის გამოგზავნა რაღა იყო? მაინც რას ნიშნავს, რას მიბრძანებთ, ეგ თქვენი საქციელი როგორ ავხსნა? – გაავებული ეცა კიკუჯის ჩიკაკო, – მივიღე თუ არა, მინდოდა, მაშინვე წამოვსულიყავი, მაგრამ, არ ვიცოდი, სახლში დამიხვდებოდით თუ არა, თქვენ ხომ შინ მხოლოდ კვირაობითა ხართ. სხვათა შორის, შემეძლო, საღამოსაც წამოვსულიყავი.

ჩიკაკომ ხელჩანთა გახსნა და კიკუჯის წერილი ამოიღო.

– აი, გიბრუნებთ თქვენს წერილს. ფულიც კონვერტში დევს, გთხოვთ, კარგად დაითვალოთ.

– ეგ ფული თქვენ გამოგიგზავნეთ, – თქვა კიკუჯიმ.

– მაინც რაში, გირაოში ხომ არა?

– კარგი ერთი, ვითომ რატომ უნდა მომეცა გირაო, თანაც ახლა?

– მეც მაგას არ გეკითხებით?! სხვა რომ არა იყოს რა, უცნაურიც კია, ამ ფინჯანში აღებული ფული ადგეთ და გირაოში მომცეთ.

– ფინჯანი თქვენია, იმ ფინჯანში აღებული ფულიც, რა თქმა უნდა, თქვენ გეკუთვნით!

– კიკუჯი-სან, მე ხომ გაჩუქეთ! რომ მთხოვეთ, ვიფიქრე, ამაზე უკეთეს საქორწილო საჩუქარს სხვას რას ვუყიდი-მეთქი, და საჩუქრად მოგართვით, თუმცაღა მამათქვენისეული ფინჯანი ჩემთვის მეტად ძვირფასი და სანუკვარი გახლდათ.

– თქვენც ჩათვალეთ, რომ კი არ მაჩუქეთ, მომყიდეთ.

– არა, არ შემიძლია! აკი გითხარით, ჯერ ისე არ დავცემულვარ, მამათქვენის სამახსოვრო საჩუქარი გავყიდო... მაგრამ აი, თქვენ უკვე გაყიდეთ, ფინჯანი ახლა უკვე ვაჭრის ხელშია. თუ მაინცდამაინც არ დაიშლით და ფულის აღებას დამაძალებთ, წავალ და გამოვისყიდი იმ ვაჭრისაგან!

სიმართლე არ უნდა მიმეწერა, – გაიფიქრა კიკუჯიმ, – აბა რას

გაიგებდა, ფინჯანი ვის მივყიდე და ვის ხელთაა.

– აქ რატომ დგახართ? მობრძანდით... – სთხოვა იუკიკომ, – ჩვენთან მხოლოდ მამა და უმცროსი დაა სტუმრად, იოკაჰამადან ჩამოვიდნენ, მობრძანდით...

– მამა?! ღმერთო ჩემო, აი ამას კი ნამდვილად არ ველოდი!.. ამ სახლში მამათქვენთან შეხვედრა ჩემთვის მართლაც რომ დიდად სასიამოვნოა! – ჩიკაკომ ამ სიტყვებზე მხრები კმაყოფილმა დაუშვა და თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

[1] კიმონო – იაპონური ეროვნული ტანსაცმელი, ფართოსახელოებიანი ხალათი.

[2] საკე – ბრინჯის არაყი.

[3] ჯიო – მანძილის საზომი ერთეული, უდრის დაახლოებით 3 მეტრს.

[4] გეიშა – მსახიობი ქალი, რომლის მოვალეობაა მაყურებლების გართობა.

[5] კოტაცუ – საბნით გადახურული ოთახის მაყალი.

[6] ობი – კიმონოზე მოსაჭერი დეკორატიული ქამარი.

[7] კაბუკი – იაპონური თეატრი, შეიქმნა XVII საუკუნეში.

[8] შიოჯი – იაპონურ სახლში გასაწევ-გამოსაწევი შიდა ტიხარი, ერთგვარი შირმა, თეჯირი; მზადდება ხის ჩარჩოსა და ქაღალდისგან.

[9] აკიტა – დიდი ზომის იაპონური მონადირე ძაღლი.

[10] ჰაკამა – იაპონური კაბა-შარვალი.

[11] შამისენი – სიმებიანი მუსიკალური საკრავი.

[12] ფუსუმა – იაპონური სახლის გარეთა გასაწევ-გამოსაწევი კედელი.

[13] ჰიბაჩი – ოთახის გასათბობი მაყალი.

[14] «ნაგაუტა» – («გრძელი სიმღერა») გრძელი, ეპიკური ბალადა, რომელიც სრულდებოდა იაპონურ ტეატრებში შამესენის აკომპანემენტის ქვეშ.

[15] ბუნკის ეპოქა – მოიცავს 1804-1818 წლებს.

[16] რი – მანძილის საზომი ერთეული, უდრის 3,927 კმ-ს.

[17] შიაკუ – სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 30,3 სმ-ს.

[18] ფუროშიკი – ნივთის ან ბოხჩის გამოსაკვრელი ფერადი ხელსახოცი.

[19] მანჯიუ – ტკბილეულია ერთგვარი.

[20] კენი – სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 6 შიაკუს, ანუ 1,818 მ-ს.

[21] შიმე – ბრინჯის ნამჯაში ქაღალდის ზოლებჩაწნული მოსართავი, რომელსაც საახალწლოდ სახლის შესასვლელში კიდებენ.

[22] იკებანა – ლარნაკში ყვავილების ჩაწყობის ხელოვნება. ყვავილები ლარნაკში.

[23] ჰაორი – მოკლე ზედა კიმონო.

[24] ტაბი – იაპონური დაბალყელიანი ნაჭრისგან წინდები ცალკე გამოყოფილი ცერა თითით.

[25] ჯიძოო – ბოდჰისატვას (ბუდისტური რელიგიის მიხედვით, ის, ვინც ბუდად უნდა იქცეს) იაპონური სახელი.

[26] უმებოში – ქლიავის ჩირი.

[27] ტატამი – იაპონიაში ოთახის ფართი იზომება ტატამებით. ერთი ტატამი უდრის 1,5 კვ.მ-ს; იატაკზე დასაგები ნამჯის 1,5 კვ.მ ზომის ლეიბი.

[28] კენი – იგულისხმება თამაში ხელებით «ქვა-ქაღალდი-მაკრატელი».

[29] ძაბუტონი – იატაკზე დასაგები ბრტყელი ბალიში, რომელზეც სხდებიან.

[30] უტაი – თეატრ ნოს ერთგვარი სიმღერა.

[31] ვარაჯი – ნამჯისაგან დაწნული ჩექმა.

[32] ბაშიო – მაცუო ბაშიო (1644-1694), იაპონელი პოეტი.

[33] კაკემონო – სურათ-გრაგნილი ანდა აბრეშუმსა ან

ქაღალდზე შესრულებული კალიგრაფიის ნიმუში.

[34] მიძუია – ოთახი ჩაის პავილიონში, სადაც იაპონელები ჩაის ჭურჭელს რეცხავენ.

[35] ტოკონომა – თაროებიანი კედლის ნიშა.

[36] მომოიამას ეპოქა – XVI საუკუნის მეორე ნახევარი.

[37] ფუკუსა – აბრეშუმის ქსოვილი ჩაის ცერემონიალის ჭურჭლის გასაწმენდად.

[38] მიძუსაში – დოქისმაგვარი წყლის ჭურჭელი, რომლიდანაც კერიაზე დადგმულ კარდალაში წყალს ასხამენ.

[39] ტიაშიკუ – ჩამჩა, უმეტესად ბამბუკის, რომლითაც კარდლიდან მდუღარეს იღებენ.

[40] უბანი ტოკიოში.

[41] კი-ნო ცურაიუკი (859-946) – პოეტი, იაპონური პოეზიის პირველი თეორეტიკოსი და კრიტიკოსი. პირველი ოფიციალური პოეტური ანთოლოგიის შემდგენელი

[42] შინო – კერამიკის, ფაიანსის ან ფაიფურის ძველებური მაღალმხატვრული ნახელავი.

[43] აბრეშუმას იაპონურად ასაგაო ჰქვია, ანუ «მწუხრის ხატება».

[44] გეტები – მაღალქუსლიანი ხის ფეხსაცმელი (ქოშები, სანდლები).

[45] ფუროსიდე – ლამაზი საგარეო კიმონო.

[46] კარაცუ – კერამიკის ერთ-ერთი სახეობა.

[47] ოოისი კურანოსუკე, ანუ იოსიო – აკაოს გვარის გამგებელი გენროკუს პერიოდში (1688-1700).

[48] კაკინომოტო ჰიტომარო – VII საუკუნის ბოლოსა და VIII საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი უდიდესი იაპონელი პოეტთაგანი (მთ.).

[49] ჰაში – ჩხირები, რომლებითაც იაპონელები საჭმელს ჭამენ.

[50] კასური – ბამბის ქსოვილი.

[51] 1887 წელი.

[52] 1902 წელი.

[53] იუგეი – იაპონური ნატიფი ხელოვნების ჟანრები: მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, იკებანა და ჩაის ცერემონიალი. იაპონელი ქალიშვილი, როგორც წესი, ყველა ამ ხელოვნებას შეისწავლის.

[54] 1877 წელი.

[55] კირიშიტანები – შუასაუკუნეების პირველი იაპონელი ქრისტიანები.